საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტი

კობა წენგუაშვილი

საქართველოს 1921-1925 წლების ისტორიის ისტორიოგრაფია

თბილისი
2005

უაკ(UDC)930(479.22)
ნ 381

ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს XX საუკუნის ისტორიის უმნიშვნელოვანესი პერიოდის - 1921-1925 წლების პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესწავლის მდგომარეობა ქართულ საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიაში, ნაშრომში ასახულია ავტორის მიერ მოსკოვისა და თბილისის არქივსაცავებში აღმოჩენილი უნიკალური საისტორიო დოკუმენტები. წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისა და საქართველოს ისტორიით დაინტერესებული მკითხველებისათვის.

რედაქტორი: ი.მ.დ. **ალექსანდრე დაუშვილი**

რეცენზენტები: პროფ. **ავთანდილ სონღულაშვილი**
ი.მ.კ. **ლერი ნანიკაშვილი**

ნაშრომი რეკომენდებულია დასაბეჭდად ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2005 წლის 16 მაისის №5 დადგენილებით.

კრებული გამოსაცემად მომზადდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობაში „მემატიანე".

რედაქტორი: **ლია კოტრიკაძე**
კორექტორი: **ლუიზა ჯიქია**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **მარიამ ბუტიკაშვილი,**
ანა რუაძე, პაატა ვარდანაშვილი

ISBN 99940-0-33..

6 150
2005

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ქართულ ისტორიოგრაფიას მდიდარი ტრადიციები აქვს. თვალსაჩინო ქართველი ისტორიკოსები: ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ ისტორიოგრაფიას - ისტორიის დამხმარე დისციპლინას, რომელიც მოწოდებულია ასახოს, შეაჯამოს და კრიტიკულად გაიაზროს ისტორიკოსთა სხვადასხვა თაობის მიღწევები, შეამჩნიოს ნაკლოვანება თუ უზუსტობა და, შეძლებისამებრ, დასახოს საისტორიო მეცნიერების შემდგომი განვითარების კონკრეტული გზები.

1921-1925 წლები უმნიშვნელოვანესი პერიოდია საქართველოს ისტორიაში. მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე მიმდინარე მოვლენები რელიეფურად აისახა ქართველი ხალხის ისტორიულ განვითარებაზეც - დასრულდა პირველი მსოფლიო ომი თავისი დრამატული შედეგებით, რუსეთში გაიმარჯვა ბოლშევიკურმა გადატრიალებამ, შეიქმნა ორი დაპირისპირებული იდეოლოგიური ბანაკი: დემოკრატიული და ტოტალიტარული, ევროპის ქვეყნებში იწყება ახალი პოლიტიკური სისტემების ძიება, რაც აგრესიული ფაშიზმისა და დიქტატორული კომუნიზმის პოლიტიკურ ამბიციებშიც აისახა.

1921 წლის თებერვალში საქართველოში ძალმომრეობით დამყარდა საბჭოთა დიქტატურა. დაიწყო ახალი პოლიტიკური სტრუქტურების ფორმირება, ადგილი ჰქონდა ეროვნული ძალების წინააღმდეგ მიმართულ არნახულ რეპრესიებს, მაგრამ ამავე დროს, იყო ახალი სოციალისტური სისტემისადმი რწმენა, ეკონომიკური და კულტურული აღმშენებლობაც. ეს მდიდარი და ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობრივი პროცესები სათანადოდ აისახა ქართულ ისტორიოგრაფიაში. რამდენადაც საისტორიო მეცნიერება, განსაკუთრებით ახალი და უახლესი ისტორია, კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური წნეხის ქვეშ აღმოჩნდა, იმდენად ისტორიკოსები პოლიტიკურ ვითარებას ბევრ შემთხვევაში ასახავდნენ არაობიექტურად, ტენდენციურად, ისტორიული ფაქტებისა და მოვლენებისადმი კლასობრივი მიდგომით.

XX საუკუნის 90-იან წლებში კომუნისტური იდეოლოგიის კრახმა, საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს დაშლამ

და დამოუკიდებელი სახელმწიფოების ჩამოყალიბებამ გამოიწვია მკვეთრი მსოფლმხედველობითი ტეხილი, რის შედეგადაც საბჭოთა საქართველოს ისტორიაზე მომუშავე მეცნიერები (მათი ძირითადი ნაწილი) გაემიჯნენ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ათეული წლების განმავლობაში ჩამოყალიბებულ სტერეოტიპებს, ზოგ შემთხვევაში, საკუთარ ნააზრევსაც კი. ასეთ ვითარებაში თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ამოცანაა ყოველმხრივ შეისწავლოს საკვლევი თემის გარშემო გამოქვეყნებული მდიდარი ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობა, დაინახოს განვითარების ძირითადი მაგისტრალური ხაზი, თავი მოუყაროს წინამორბედთა ნააზრევს, შეაჯამოს მათი მიღწევები, კვლევის შედეგები, წარმოაჩინოს ნაკლი და უზუსტობა, შეძლებისამებრ დასახოს ახალი განვითარების პერსპექტივები.

საბჭოთა საქართველოს ისტორიის აღიარებული მკვლევარი აკად. ი. კაჭარავა თავის დროზე მიუთითებდა, რომ „საბჭოთა საქართველოს ისტორიის შედარებით შესწავლილ პერიოდებს წარმოადგენენ სახალხო მეურნეობის აღდგენის (1921-1925 წწ.) და დიდი სამამულო ომის (1941-1945 წწ.) პერიოდები"[1]. რამდენად არის ჭეშმარიტი ეს დებულება დღეს? აქედან გამომდინარე ჩვენ მიზნად დავისახეთ:

1. ვაჩვენოთ, თუ როგორ ყალიბდებოდა საბჭოთა საქართველოს ისტორიის შემსწავლელი ისტორიოგრაფიული სკოლა, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა 1921-1925 წლების საქართველოს ისტორიის კვლევის საქმეში;

2. წარმოვაჩინოთ, თუ რამდენად სრულყოფილად არის შესწავლილი საქართველოს 1921-1925 წლების ისტორიის პერიოდი. შეძლებისამებრ შეფასდეს წინამორბედი ისტორიკოსების დამსახურება, მათი მიღწევები, აღინიშნოს უზუსტობანი და ნაკლოვანებები;

3. უნდა დავადგინოთ საბჭოთა საქართველოს ისტორიაზე მომუშავე ისტორიკოსების დამოკიდებულება წყაროებისადმი, წყაროზე მუშაობის მათ მიერ კულტივირებული მეთოდები და ფორმები;

4. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ქართული საისტორიო მეცნიერება, მათ შორის საბჭოთა პერიოდის საისტორიო მეცნიერება, არ არის „უძრავი". ის „მოძრაობს", განიცდის ევო-

ლუციას. ჩვენი მიზანი იყო შეძლებისამებრ დაგვეფიქსირებინა ეს „მოძრაობა", ეს განვითარება და ევოლუცია. შეგვემჩნია მისი განვითარების ტენდენცია და წარმოგვეჩინა ამ პროცესის მასაზრდოებელი იმპულსები;

5. ნაშრომის მიზანია საკვლევი პერიოდის ისტორიოგრაფიის კომპლექსური შესწავლა: პოლიტიკური, ეროვნული, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო პრობლემების ისტორიოგრაფიაში ასახვის კონკრეტული შედეგებისა და მასშტაბების წარმოჩენა. მიგვაჩნია, რომ ღირსეულად უნდა დაფასდეს ყველა ჩვენი წინამორბედი მკვლევრის წვლილი და დამსახურება ქართული საისტორიო მეცნიერების წინაშე და, ამასთან, გამოიკვეთოს ის რადიკალური იდეოლოგიური ცვლილებებიც, რაც ბოლო წლებში განიცადა ქართულმა ისტორიოგრაფიამ;

6. გვინდა ვაჩვენოთ თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მიერ 1921-1925 წლების ისტორიის პრობლემებზე მუშაობის ძირითადი მიმართულებები, მიღწევები და სადისკუსიო პრობლემები;

7. ახლანდელ ვითარებაში 1921-1925 წლების ისტორიის პრობლემების მეცნიერული შესწავლა სეპარატიზმის წინააღმდეგ იდეოლოგიური ბრძოლის მნიშვნელოვანი საშუალებაა, ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ, თუ როგორ ასრულებს თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ამ საპასუხისმგებლო ამოცანას.

ნაშრომის მეთოდოლოგიური ბაზაა ისტორიის ობიექტივისტური გაგება, ფაქტებისა და მოვლენებისადმი მიდგომის კრიტიკულ-ანალიტიკური მეთოდი, მიზეზ-შედეგობრიობის საყოველთაო კავშირის, ისტორიზმის ფუძემდებლური პრინციპების აღიარების საფუძველზე. ფაქტებისა და მოვლენებისადმი კრიტიკულ-ობიექტივისტური მიდგომის მეთოდი დაგვეხმარა შეგვექმნა განმაზოგადებელი ნაშრომი, რომელშიც შესწავლილია საქართველოს 1921-1925 წლების ისტორიული პროცესის ასახვის თავისებურებანი როგორც საბჭოთა, ისე თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში.

უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალური გამოკვლევა, რომელშიც კომპლექსურად იქნებოდა შესწავლილი საქართველოს 1921-1925 წლების ისტორიოგრაფია, არ არსებობს, თუმ-

ცა ცალკეული ისტორიკოსების ნაშრომები ასახავენ ამ პერიოდის ისტორიოგრაფიის ზოგიერთ პრობლემას. აღსანიშნავია აკად. ი. კაჭარავას დამსახურება ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ისტორიოგრაფიული პრობლემების კვლევის საქმეში. მისი „ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები"[2], გარკვეულწილად, ეხება1921-1925 წლების ისტორიოგრაფიის ზოგიერთ პრობლემას. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ეს მკვლევარი ცალსახად დადებითად აფასებდა 1921-1925 წლების ისტორიული მონაკვეთის კვლევის მდგომარეობას, თუმცა თავის საკმაოდ სქელტანიან მონოგრაფიაში ამ პრობლემას სულ რამდენიმე გვერდი დაუთმო (სამართლიანობისათვის ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი არ მალავდა, რომ ამ პერიოდში კლასობრივი ბრძოლისა და კულტურული მშენებლობის საკითხები სუსტად იყო შესწავლილი).

თავისი ეს შეხედულებები ი. კაჭარავას დადასტურებული აქვს თავის სხვა შრომებშიც: „ისტორიოგრაფიული ეტიუდები" და კოლექტიურ ნაშრომში „ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია" (რუს. ენაზე)[3].

ჩვენთვის საინტერესო საკვლევ პერიოდში მუშათა კლასის ისტორიის შესწავლის მდგომარეობა ქართულ ისტორიოგრაფიაში კრიტიკულად გაიაზრა მ. ნათმელაძემ თავის მოხსენებაში - „სკკპ XXY ყრილობა და საქართველოს მუშათა კლასის ისტორიოგრაფია", რომელიც მან 1968 წლის 2 აპრილს წაიკითხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის საერთო კრებაზე. მკვლევარი სამართლიანად შენიშნავს, რომ „ქართულ ისტორიოგრაფიაში მონოგრაფიულად არის შესწავლილი სამრეწველო პროლეტარიატის ფორმირებისა და მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის პრობლემები... გამოქვეყნდა წიგნები მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შესახებ სოციალისტური მშენებლობის წლებში... გაანალიზებულია საქართველოს საბჭოური მუშათა კლასის კონსოლიდაციისა და განვითარების თავისებურებანი"[4]. მ. ნათმელაძეს ეკუთვნის საქართველოს მრეწველობის განვითარების ისტორიოგრაფიის ზოგიერთი საკითხის მეცნიერული შეფასებაც[5].

საქართველოს სოფელში მიმდინარე რევოლუციური გარდაქმნების ისტორიოგრაფია სპეციალურად შეისწავლა

ფ. ლომაშვილმა თავის მონოგრაფიულ გამოკვლევაში: „საქართველოს სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ისტორიოგრაფია". ნაშრომში განხილულია ამ საკითხზე იმჟამად გამოქვეყნებული ყველა საყურადღებო გამოკვლევა, მართალია, ავტორი ძირითადად შეისნავლის XX საუკუნის 20-იანი წლების დასასრულს საქართველოს სოფელში მიმდინარე რადიკალური ეკონომიკური გარდაქმნების ისტორიოგრაფიას, მაგრამ მასში მიმოხილულია ჩვენთვის საინტერესო პერიოდის შესახებ არსებული საისტორიო ნაშრომებიც (მაგალითად, ნ. შველიძის, ბ. კაპანაძის და სხვ.)[6].

გარკვეულ მეცნიერულ ინტერესს იწვევს ს. ჩხარტიშვილის გამოკვლევა - „საბჭოთა საქართველოს შრომითი კოლექტივების ისტორიოგრაფია", რომელშიც 1921-1925 წლებში ამოქმედებული საწარმოთა შესახებ დაწერილი ნაშრომების კრიტიკული ანალიზია მოცემული, მათ შორის ზოგიერთს - ჩვენც ვეხებით[7].

ნ. ბენდელიანი თავის ნაშრომში „ისტორიოგრაფია საქართველოში 1921-1924 წლებში არსებული ვითარების შესახებ და სინამდვილე" ცდილობს ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ზოგადი და მოკრძალებული კრიტიკის ფონზე საქართველოს პერიოდულ პრესაში XX ს. 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში ცნობილი ქართველი ისტორიკოსების: ლ. თოიძის, გ. ჟვანიას, ა. მუჯირისა და სხვათა მიერ გამოქვეყნებული წერილების საფუძველზე ახლებურად გაიაზროს საქართველოს გასაბჭოების, „ნაციონალ-უკლონიზმის", ეკლესიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხები, 1924 წლის აჯანყების მიმდინარეობა და შედეგები[8]. რა თქმა უნდა, ავტორის მიერ წამოწეული საკითხები არ წარმოადგენენ 1921-1924 წლების ქართული ისტორიოგრაფიის ყოვლისმომცველ პრობლემებს და ოდნავაც ვერ წარმოაჩენენ საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებას მთლიანობაში. მით უფრო, რომ 90-იანი წლების შემდეგ ახალი წყაროების აღმოჩენის საფუძველზე როგორც ზემოთ აღნიშნული, ისე 1921-1925 წლების საქართველოს ისტორიის სხვა, საინტერესო პრობლემების კვლევა მნიშვნელოვნად წავიდა წინ.

ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიმართ მკაცრად კრიტიკული დამოკიდებულება გამოხატა ა. სონღულაშვილმა

წერილში „საქართველოს „საბჭოთა პერიოდის" ისტორიის პრობლემები", რაც, მართალია, საბჭოთა სისტემის კრახის შემდეგ გამოქვეყნდა, მაგრამ ასახავს იმ ძირითად და მთავარ ნაკლს, რაც დამახასიათებელი იყო როგორც საბჭოთა, ისე ქართული ისტორიოგრაფიისათვის ჩვენთვის საინტერესო პერიოდშიც – დოკუმენტებისა და საარქივო მასალების გაყალბება, ისტორიული ფაქტების არაადეკვატური ინტერპრეტაცია და სხვ.[9].

განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ უ. სიდამონიძის საყოველთაოდ აღიარებული ნაშრომი - „საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია". მართალია, ნაშრომი არ ეხება ჩვენთვის საინტერესო პერიოდს, მაგრამ პრობლემების განხილვის სიღრმე, ფაქტებისა და მოვლენებისადმი ავტორის მაღალპროფესიული მიდგომა, უდიდესი პასუხისმგებლობა, და რაც მთავარია, იმჟამინდელი საქართველოს პარტიული ხელისუფლების მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება იმ ნოვაციებისადმი, რაც ავტორმა პირველად გაბედა და განახორციელა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, ამ გამოკვლევას ყველა ისტორიოგრაფის მნიშვნელოვან ორიენტირად და მეთოდიკურ სახელმძღვანელოდ აქცევს.

საქართველოს უახლესი ისტორიის მეცნიერულ კვლევას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობა: საბჭოთა ისტორიის „თეთრი ლაქების" შესწავლა და წარმოჩენა, ახალი წყაროებისა და დოკუმენტების სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა, წინა თაობის ისტორიკოსების მოღვაწეობის შედეგების ათვისება ინსტიტუტის თანამშრომელთა სამეცნიერო მოღვაწეობის ერთ-ერთი მიმართულებაც არის. იდეოლოგიურმა ტეხილმა, რაც მოხდა XX საუკუნის 90-იან წლებში, გარკვეული კრიზისული ვითარება შექმნა საქართველოს საბჭოთა ისტორიის პერიოდის მეცნიერული შესწავლის საქმეში. ამ კრიზისიდან გამოსვლის მიზნით ჯერ კიდევ 1998 წელს მოეწყო დისკუსია საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის პერიოდიზაციის საკითხებზე (მასში მონაწილეობდნენ: ა. ბენდიანიშვილი, მ. ნათმელაძე, ვ. გურული, ა. დაუშვილი და სხვები);

2001 წელს მოეწყო მ. სამსონაძის სადისკუსიო ნაშრომის „საქართველოს ისტორია 1921-1991 წლები" განხილვა; 2004 წელს ინსტიტუტმა, დიდი ხნის შემდეგ, სამეცნიერო ექსპედიცია გაგზავნა მოსკოვში რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში XX საუკუნის 20-იანი წლების ამსახველი უცნობი საარქივო მასალის ჩამოსატანად (ამ ექსპედიციაში ჩვენც ვიღებდით მონაწილეობას). ყველაფერმა ამან კი შექმნა კეთილნაყოფიერი ფონი წინამდებარე ნაშრომზე მუშაობისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომში შევისწავლეთ ჩვენთვის საინტერესო პერიოდზე 2005 წლამდე გამოქვეყნებული პუბლიკაციები, ამ ნაშრომებზე მომუშავე ავტორების მიღწევები, კვლევის ძირითადი მიმართულებები, მეცნიერული სიახლეები, შემჩნეული ნაკლოვანებებიც. მიზნად დავისახეთ არა მარტო ჩვენი წინამორბედი კოლეგების ნაშრომების ძირითადი დებულებების კონსტატაცია, არამედ სათანადო ადგილზე გამოვიყენეთ ჩვენს მიერ მოსკოვის არქივში გამოვლენილი საყურადღებო დოკუმენტური მასალაც, რამაც ზოგიერთი კარდინალური საკითხის ახლებურად გააზრების შესაძლებლობა მოგვცა. აქედან გამომდინარე ნაშრომის მეცნიერული სიახლეა:

1. მონოგრაფიაში აღიარებულია აუტენტური მარქსიზმის, დასავლეთ ევროპის საისტორიო სკოლების წარმომადგენლების (ო. შპენგლერის, მ. ვებერის, მ. ბლოკისა და სხვ.) და ქართული საისტორიო სკოლის კორიფეების (ივ. ჯავახიშვილის, ე. თაყაიშვილის, ნ. ბერძენიშვილის, ს. ჯანაშიას და სხვ.) მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობის, როგორც საისტორიო ცოდნის ფორმირების მეთოდოლოგიური კრედოს მნიშვნელობა.

2. ნაშრომში პირველად არის კომპლექსურად შესწავლილი საქართველოს 1921-1925 წლების ისტორიული მონაკვეთის საზოგადოებრივი ცხოვრების სამი ძირითადი მიმართულების: პოლიტიკურის, სოციალურ-ეკონომიკურისა და კულტურული განვითარების თავისებურებების ასახვის მდგომარეობა ქართულ ისტორიოგრაფიაში.

3. დასაბუთებულია, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული შეხედულება - „1921-1925 წწ. ისტორია შედარე-

ბით უკეთესად არის დამუშავებული" - არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან დავადასტურეთ, რომ XX საუკუნის 60-80-იან წლებშიც კი მრავალი პრობლემა (ინტელიგენციის სოციალური განვითარების თავისებურებანი, ეკლესიისა და ტოტალიტარული სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხი, კულტუროლოგიის ბევრი პრობლემა) თითქმის შეუსწავლელი იყო.

4. კონკრეტული მაგალითების საფუძველზე ვაჩვენეთ ჩვენთვის საინტერესო პერიოდზე საბჭოთა ისტორიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი პრობლემები, წყაროს არაადეკვატური ინტერპრეტაცია, წყაროს გაყალბება, წყაროს წინასწარგამიზნული, არასრული პუბლიკაცია და ა. შ.

5. ნაშრომის სიახლეა ისიც, რომ მასში ნაჩვენებია ჩვენთვის საინტერესო პერიოდის შესახებ ქართული ისტორიოგრაფიის ევოლუცია გამომდინარე იმ მსოფლმხედველობითი ტეხილიდან, რაც განიცადა მსოფლიომ XX საუკუნის 90-იან წლებში;

6. ნაშრომში პირველად აისახა ქართულ ისტორიოგრაფიისათვის აქამდე უცნობი ზოგიერთი დოკუმენტური მასალა (ლ. ტროცკის წერილი „ქართველი მენშევიკების შესახებ", დამფუძნებელი კრების წევრის, პოლიტპატიმრის ა. ჭიაბრიშვილის წერილები ლ. ტროცკისადმი, ლ. ტროცკის, ი. სტალინის, ბ. მდივანის რკპ (ბ) XII ყრილობის ეროვნული საკითხის სექციაში გამართული დისკუსიის მასალები და ა.შ.), რომელიც მოპოვებულია 2004 წლის მოსკოვში მივლინებული ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო ექსპედიციის მიერ.

ყველაფერმა ამან უზრუნველყო წინამდებარე ნაშრომის მეცნიერული ღირებულება და თანამედროვე საისტორიო მეცნიერების მოთხოვნების შესაფერისი დონე.

ყველა არგუმენტირებულ შენიშვნას ავტორი დიდი მადლიერებით მიიღებს.

თავი I
ისტორიოგრაფიის მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის საკითხები

1. ისტორიოგრაფიული კვლევის ზოგიერთი ასპექტის შესახებ

1931 წელს ჟურნალ „პროლეტარსკაია რევოლუციას" მე-6 ნომერში დაიბეჭდა ი. ბ. სტალინის სტატია „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ". აღნიშნული სტატია ეხებოდა ჟურნალში დაბეჭდილ სლუცკის სტატიას – „ბოლშევიკები გერმანიის სოციალ-დემოკრატიის შესახებ მისი ომისწინადროინდელი კრიზისის პერიოდში".

სტალინის გაღიზიანება გამოიწვია სლუცკის მტკიცებამ, რომ ლენინი სათანადოდ არ აფასებდა ცენტრიზმის საფრთხეს გერმანიის და საერთოდ ომისწინადროინდელ სოციალ-დემოკრატიაში. სტალინი გმობს რედაქციის მცდელობას საზოგადოება კვლავ ჩააბას დისკუსიაში იმ თემასთან დაკავშირებით, რომელიც „ბოლშევიზმის **აქსიომებს** (ხაზგასმა ჩვენია – კ. ნ.) წარმოადგენენ"[1].

ამრიგად, ი. სტალინი ხაზგასმით მიუთითებს, რომ ბოლშევიზმის ისტორიაში არსებობს ეჭვმიუტანელი, აქსიომატური დებულებები, რომლებიც დისკუსიას არ ექვემდებარებიან.

ამასთან, ი. ბ. სტალინი მიუთითებს, რომ საკითხი ლენინის ბოლშევიზმის შესახებ აქსიომიდან პრობლემად გადაქცევა, რომელსაც „შემდგომი დამუშავება სჭირდება, ყოვლად დაუშვებელია"[2]. ამრიგად, ისიც აშკარაა, რომ პარტიის გენერალური მდივანი მოითხოვს პარტიის აღიარებული ბელადების შეხედულებები „აქსიომიდან პრობლემად" არ აქციოს ზოგიერთმა ვაიმკვლევარმა და იგი ამ მოთხოვნას უყენებს არა მარტო ისტორიკოსებს, არამედ მთლიანად საისტორიო საზოგადოებას.

მიგვაჩნია, რომ სტატიაში სტალინი ერთმნიშვნელოვნად აღიარებს და ისტორიკოსებისაგან რუსეთის რევოლუციის „მსოფლიო რევოლუციის საკვანძო პუნქტად"და რუსეთის პროლეტარიატის „მსოფლიო რევოლუციის წარმმართველად და ჰეგემონად" წარმოჩენას მოითხოვს[3].

ამგვარად, ი. სტალინი ყველა ისტორიკოსსა და მკვლევარს ავალდებულებს პარტიის ლიდერების შეფასებას მათი საქმეების მიხედვით, რომ ისინი ბრმად კი არ მოქმედებდნენ – მხოლოდ „ქაღალდის დოკუმენტებით", არამედ მათი „საქმეების"მიხედვით. ეს კი იმას მიუთითებს, რომ მთავარია არა დოკუმენტური წყაროები, არამედ პიროვნების, ლიდერის, ბელადის კონკრეტული შედეგები, რაც ნიშნავს საისტორიო წყაროს მიმართ თავისუფლად მიდგომას კლასობრივი, ანუ გამარჯვებული კლასის, გამარჯვებული ფრაქციის, გამარჯვებული ბელადის პოზიციებიდან.

სტალინის სტატია ფაქტობრივად არის კომუნისტური პარტიის ისტორიის გარკვეული ეტაპის შეჯამება, როდესაც პარტიის უმაღლეს ეშელონებში პოლიტიკური ბრძოლა მიმდინარეობდა საკუთარი პოზიციების განსამტკიცებლად. ეს ბრძოლა დაიწყო ვ. ი. ლენინის გარდაცვალებისთანავე, როდესაც ლ. ტროცკიმ 1924 წ. თავისი ქართველი მომხრეების რჩევით გამოაქვეყნა ბროშურა „ოქტომბრის გაკვეთილები"[4]. აღნიშნული ბროშურის მიზანი იყო ტროცკის პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დისკრედიტაცია ისტორიული ფაქტების მოხმობით. ლ. ტროცკი თავის ნაშრომში აშკარად წარმოაჩენს თავისი ოპონენტების: ზინოვიევისა და კამენევის მოღალატურ ბუნებას ოქტომბრის რევოლუციის განხორციელების პერიოდში, როდესაც მათ ნახევრად მენშევიკურ გაზეთში დაბეჭდეს სახელმწიფო გადატრიალების აუცილებლობის შესახებ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების საპირისპირო მოსაზრება. ტროცკი ასევე შეფარვით უპირისპირდება სტალინს და შეახსენებს ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ მის მერყეობას დროებით მთავრობასთან დამოკიდებულების საკითხში, რაც გაზეთ „პრავდაში"1917 წ. მარტ-აპრილში დაბეჭდილ სტატიებში ასე აშკარად გამოვლინდა[5].

ლ. ტროცკის პოლიტიკურმა ოპონენტებმა (სტალინმა, ზინოვიევმა, კამენევმა) დაიწყეს ერთობლივი ძალისხმევა ტროცკის პოლიტიკური ამბიციების გასანეიტრალებლად. ამ მიზნით მათ გამოიყენეს სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ლიდერის – კარლო ჩხეიძისადმი 1913 წ. გაგზავნილი ტროცკის წერილი, რომელშიც ის აუგად იხსენიებს ლენინს[6].

აშკარაა, რომ XX ს-ის 20-იანი წლების შუა ხანებში საბჭოთა კავშირში ისტორიამ მიიღო პოლიტიკური ბრძოლის ფორმა და პარტიის ლიდერები მას იყენებდნენ საკუთარი ჰეგემონიის მისაღწევად პარტიასა და სახელმწიფოში. პოლიტიკური დაპირისპირება მიმდინარეობდა მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, რომელმაც თავისებური ფორმა მიიღო საქართველოშიც.

პარტიის ისტორიის საკითხებზე საქართველოში 20-იანი წლების შუა ხანებში მუშაობდნენ ცნობილი ქართველი ბოლშევიკებიც, პარტიული ლიდერები: ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, თ. ჟღენტი, მ. ტოროშელიძე და სხვები. მაგალითად, უკვე XX ს-ის 20-იან წლებში გამოქვეყნდა ფ. მახარაძის ნაშრომი „საქართველოს კომპარტიის ისტორიისათვის"[7], თ. ჟღენტის, მ. ორახელაშვილის, მ. კახიანის და სხვათა პუბლიკაციები საქართველოში ბოლშევიზმის განვითარების სხვადასხვა ეტაპის შესახებ. ამ ნაშრომებისათვის დამახასიათებელი იყო შედარებით თავისუფალი დამოკიდებულება ფაქტებისა და მოვლენებისადმი, რაც განპირობებული იყო ქვეყანაში, ლენინის გარდაცვალების შემდეგ, ერთპიროვნული ლიდერის არარსებობით, პარტიული ლიდერების პოლიტიკური ლავირებით, რადგან ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ გარკვეული, თუ რომელ პოლიტიკურ ფრაქციას დარჩებოდა გამარჯვება. ყველაფერი გაირკვა 1930 წ. პარტიის XVI ყრილობაზე, როცა სტალინის ფრაქციამ მოიპოვა ყოველმხრივი გამარჯვება პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებზე, როგორც მემარცხენე (ლ. ტროცკი, გ. ზინოვიევი, ლ. კამენევი), ისე მემარჯვენე ოპოზიციაზე (ნ. ბუხარინი, ა. ტომსკი, ა. რიკოვი და სხვ.).

XX ს. 30-იანი წლებიდან, სტალინის პოლიტიკური გამარჯვების შემდეგ, დღის წესრიგში დადგა ისტორიული მოვლენებისა და პროცესებისადმი ახლებური მიდგომის, ახალი იდეოლოგიური ამოცანების გადაჭრის გარდაუვალობა. ამასთან დაკავშირებით აუცილებლად გასათვალისწინებელია I მსოფლიო ომის შემდგომი პარიოდის, ანუ XX ს-ის 20-30-იანი წლების საერთაშორისო ვითარება მსოფლიოში.

I მსოფლიო ომის შემდგომ საერთაშორისო ასპარეზზე მოხდა მნიშვნელოვანი ძვრები: ეკონომიკური კრიზისის პირობებში ჩამოყალიბდა რადიკალური პოლიტიკური მიმდინარეობები. ომში დამარცხებულ ქვეყნებში წარმოიშვა რევანშისტული განწყობილებები, რომლის შედეგადაც აღმოცენდა რადი-

კალურ-ნაციონალისტური – ფაშისტური მიმდინარეობა იტალიასა და გერმანიაში, მოგვიანებით კი ევროპის სხვა ქვეყნებშიც. მსოფლიოში გამოიკვეთა სამი ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი იდეოლოგიური დაჯგუფება: დემოკრატიული ქვეყნები (ინგლისი, საფრანგეთი, აშშ); ფაშისტური ბლოკი (იტალია, გერმანია, ესპანეთი) და საბჭოთა რეჟიმი თავისი III ინტერნაციონალით. მათ შორის არსებობდა გარკვეული ძალთა თანაფარდობა. თითოეული მათგანი ცდილობდა საკუთარი სოციალურ-პოლიტიკური სისტემისა და იდეოლოგიის დამკვიდრებას.

ტოტალიტარული რეჟიმი, როგორც წესი, თავისი არსით გულისხმობდა ბელადის გამორჩეულ პოლიტიკურ როლს. XX ს-ის 30-იან წლებში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში იწყება პიროვნების კულტის დამკვიდრება, რომელიც ტოტალიტარიზმის მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი ხდება. მან საზოგადოების ტოტალიტარული იდეოლოგიის გარშემო დარაზმვის საქმეში უდიდესი როლი შეასრულა. გერმანიასა და იტალიას ჰყავდა ასეთი ბელადები ჰიტლერისა და მუსოლინის სახით, რომლებმაც სათავე დაუდეს საკუთარ პოლიტიკურ მიმართულებებს. განსხვავებული ვითარება იყო საბჭოთა კავშირში, რადგან ბოლშევიკური პარტიისა და იდეოლოგიის ფუძემდებელი ვ. ი. ლენინი ნაადრევად გარდაიცვალა და მისი დაწყებული საქმე გააგრძელა ი. ბ. სტალინმა, რომელიც ხელისუფლების სათავეში მოვიდა პოლიტიკურ კონკურენტებთან მწვავე უკომპრომისო ბრძოლის შედეგად.

ამასთან, ჩვენი აზრით, გარკვეული მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ჰიტლერი და მუსოლინი იყვნენ ნაციონალური იდეის მატარებლები, რაც უფრო ადვილი გასაგებია მასებისათვის, მაშინ როდესაც სტალინი ეფუძნებოდა რადიკალურად განსხვავებულს – პროლეტარულ-ინტერნაციონალიზმს და მოღვაწეობდა მრავალეროვან ქვეყანაში. იდეოლოგიურ სირთულეს ისიც წარმოშობდა, რომ სტალინის ავტორიტეტს არ უნდა დაეჩრდილა ლენინის უპირატესობა, ამიტომ გაჩნდა მოთხოვნილება სტალინის შემოქმედების ლენინის იდეებთან განსაკუთრებული სიახლოვის დასაბუთებისა. „სტალინი – ეს ლენინია დღეს"– ამ დოგმის განსამტკიცებლად საჭირო იყო პარტიის ისტორიის ხელახალი გააზრება. ეს პროცესი, რა

თქმა უნდა, სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის აკვანში – მის სამშობლოში, საქართველოში უნდა დაწყებულიყო.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ტროცკის თეზისს, რომ „სტალინი არ ასრულებდა არავითარ როლს საქართველოს და ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში"[8]. ამ თეზისის უარსაყოფად აუცილებელი იყო სტალინის გამორჩეული დამსახურების „მეცნიერული დასაბუთება".

ამ საქმის განხორციელება ითავა საქართველოსა და ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციის ლიდერმა ლ. ბერიამ. 1935 წ. 21-22 ივნისს პარტიული აქტივის კრებაზე ლ. ბერიამ წაიკითხა მოხსენება „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიიდან", რომლის შექმნაზე ბერიას დავალებით იმუშავა ისტორიკოსების დიდმა ჯგუფმა მ. ტოროშელიძისა და ე. ბედიას მეთაურობით, თუმცა წიგნის ავტორად იმჟამად ცალსახად ჩაითვალა ლ. ბერია[9].

წიგნის მიზანი სტალინის პიროვნების კულტის განმტკიცება და ლენინის იდეებთან მისი შეხედულებების სრული იდენტობის დასაბუთება იყო. ეს ამოცანა ნაშრომმა ბრწყინვალედ შეასრულა, მან თეორიულად დაადასტურა, რომ უკვე ადრეული პერიოდიდან არსებობდა ლენინისა და სტალინის იდეური ერთიანობა. ასევე ნათლად წარმოჩინდა სტალინის დამსახურება საქართველოსა და ამიერკავკასიის რევოლუციურ მოძრაობაში. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნულმა ნაშრომმა შეასრულა ის პოლიტიკური და იდეოლოგიური დატვირთვა, რაც მას ევალებოდა. ლ. ბერიას წიგნი მოიწონა სტალინმა და იგი ითარგმნა საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე.

ამის შემდეგ ძალიან მალე გამოქვეყნდა „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკური) ისტორია" (მოკლე კურსი) (1938 წ.), „სამოქალაქო ომის ისტორია სსრ კავშირში" (ორ ტომად). ეს ნაშრომები შეიქმნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელებისა და პირადად ი. სტალინის უშუალო მეთვალყურეობით. საკმარისია აღინიშნოს, რომ „სამოქალაქო ომის ისტორიის"რედკოლეგიის წევრები იყვნენ: მ. გორკი, ვ. მოლოტოვი, კ. ვოროშილოვი, ს. კიროვი, ა. ჟდანოვი, ი. სტალინი, თუმცა ნაშრომების უშუალო ავტორები საბჭოთა ისტორიკოსები იყვნენ; მათ შორის ისეთი აღიარებულნი, როგო-

რიცაა: გ. ფ. ალექსანდროვი, პ. ნ. პოსპელოვი, ი. ი. მინცი, ე. იაროსლავსკი, მ. პოკროვსკის საისტორიო სკოლის სხვა წარმომადგენლებიც.

მ. პოკროვსკი (1868-1932 წწ.) ჯერ კიდევ მეფის ხელისუფლების დროინდელი პროფესიონალი ისტორიკოსი იყო, რომელიც აღიარებდა რადიკალურ პოლიტიკურ შეხედულებებს, მათ შორის მარქსისტული ისტორიული მატერიალიზმის პრინციპებს. მ. პოკროვსკის ახლო ურთიერთობა ჰქონდა ვ. ი. ლენინთან, რომელიც დიდად აფასებდა მის მეცნიერულ შესაძლებლობებს. მართალია, XX ს. 30-იანი წლების II ნახევარში მისი შემოქმედება და ცალკეული მოსაზრებები კრიტიკის საგანი ხდება, მას ბრალი დასდეს მარქსიზმის ვულგარიზაციაში, ლენინიზმის დამახინჯებაში და სხვ. თუმცა მიგვაჩნია, რომ პოკროვსკისა და მისი სკოლის დამსახურება მარქსისტული ისტორიოგრაფიის პრინციპების დამკვიდრებაში მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია.

XX ს. 20-30-იან წლებში საბჭოთა კავშირში უკვე ჩამოყალიბდა მეთოდოლოგიური საფუძველი ისტორიოგრაფიული კვლევებისათვის. ეს იყო მარქსისტული მსოფლმხედველობა ვულგარიზებული ლენინის მიერ და ინტერპრირებული სტალინის პოლიტიკური დაჯგუფების ინტერესებიდან, მაგრამ მარქსიზმის ძირითადი საფუძველი – ისტორიული მატერიალიზმი – ძირითადად შენარჩუნებულია. აქედან განსაკუთრებით გამოვყოფდით მარქსიზმის მიერ ისტორიის საზრისის ობიექტურობის მნიშვნელობის აღიარებას. ისტორია არის არა ქაოტური მოვლენების გროვა, არამედ საზოგადოებრივი კანონებით დაკავშირებული ადამიანთა საზოგადოების ერთობლივი ქმედების პროდუქტი. მარქსიზმის კლასიკოსები ხაზგასმით მიუთითებენ, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება განისაზღვრება არა იდეებით და რელიგიური შეხედულებებით, არამედ საზოგადოებრივი ყოფიერებით. კ. მარქსი მიუთითებს: „ადამიანთა ცნობიერება კი არ განსაზღვრავს მათს ყოფიერებას, არამედ პირიქით, მათი საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათ ცნობიერებას"[10]. მარქსისტებისათვის მთავარია წარმოების წესი, საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობები. მათი ერთობლიობა ქმნის ცივილურ საზოგადოებას. „წარმოებაში, – ხაზგასმით აღნიშნავს მარქ-

სი, – ადამიანები ზემოქმედებას ახდენენ არა მარტო ბუნებაზე, არამედ ერთიმეორეზეც. მათ არ შეუძლიათ აწარმოონ, თუ არ შეერთდნენ გარკვეული წესით საერთო საქმიანობისათვის და თავისი საქმიანობის ურთიერთგაცვლისათვის. რათა აწარმოონ, ადამიანები ებმებიან განსაზღვრულ კავშირსა და ურთიერთობებში და მხოლოდ ამ საზოგადოებრივი კავშირისა და ურთიერთობათა საშუალებით არსებობს მათი დამოკიდებულება ბუნებისადმი, ადგილი აქვს წარმოებას"[11].

როგორც ცნობილია, საწარმოო ძალების ზეაღმავალი განვითარება პროგრესის მაჩვენებელია, რასაც ისტორიის გარკვეულ ეტაპზე ამუხრუჭებენ საწარმოო ურთიერთობები, რომლებიც ნაკლებად მობილურნი არიან და საჭირო ხდება ნახტომი – სოციალური რევოლუცია, რომ საწარმოო ძალები წარმოებით ურთიერთობაში შესაბამისობაში მოვიდნენ – ეს არის მარქსისზმის რევოლუციური თეორიის კვინტესენცია, რაც მეცნიერულად ასაბუთებს რევოლუციურ გადატრიალებებს, ისტორიულ კატაკლიზმებს.

მარქსისტული ისტორიული მატერიალიზმი იცნობს წარმოებითი ურთიერთობის ხუთ ძირითად ტიპს: – საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას, რომელიც მთლიანად განმსჭვალავს ცივილურ საზოგადოებას. ეს მოთხოვნა სტალინურმა ისტორიოგრაფიამ იმდენად გააფეტიშა, რომ ცდილობდნენ ნებისმიერი კონკრეტული საზოგადოების ისტორიაში დაენახათ ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის მონაცვლეობა. მაგალითად, მონობა იმ საზოგადოებაში, სადაც მონობა არ გასცილებია საოჯახო მონობის საზღვრებს და მოსახლეობის მნიშვნელოვან ფენას თავისუფალი მეთემეები წარმოადგენდნენ.

სტალინურმა ისტორიოგრაფიამ განსაკუთრებით აიტაცა ისტორიოგრაფიის, როგორც იდეოლოგიის შემადგენელი ნაწილის, პარტიულობის მოთხოვნა. ამას კი განსაკუთრებით აკრიტიკებდა ცნობილი გერმანელი მოაზროვნე მაქს ვებერი. მისი აზრით, „მეცნიერებასა და ფილოსოფიაში პარტიულობის შეტანა ეს არის პროკრუსტეს სარეცელის გამოყენება ჭეშმარიტების მიმართ"[12]. ამ შეხედულებას პრინციპულად არ იზიარებენ საბჭოთა იდეოლოგები. ისინი ამტკიცებდნენ: „პარტიულობა ნიშნავს გარკვეული პრინციპის გატარებას, ერთი ხა-

ზის დაცვას, როგორც განსაზღვრული ტენდენციისა და შეურიგებლობას ამ ხაზისაგან ყოველგვარი გადახვევისადმი"[13].

საყურადღებოა შემდეგი მოსაზრებაც: „მარქსისტი ისტორიკოსის პარტიულობა არ არის მხოლოდ ტენდენციური და სუბიექტური, ეს არის თეორიის შეგნებული კვლევა, დაფუძნებული ობიექტური კანონზომიერებისა და საზოგადოებრივი განვითარების შემეცნებაზე, დადასტურებულია და შემოწმებულია საზოგადოებრივი პრაქტიკით"[14].

მიგვაჩნია, რომ მ. ვებერი მართალია, რადგან პარტიულობის შეტანა საისტორიო მეცნიერებაში ობიექტურობისა და ჭეშმარიტების გზიდან გადახვევას გამოიწვევს, ამასთანავე, გაამართლებს პარტიის ყველა ქმედებას, მათ შორის წრეგადასულ რეპრესიებსაც კი, რაც სინამდვილეში დაემართა კიდეც საბჭოთა ისტორიოგრაფიას.

XX ს. 20-30-იანი წლების მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიური პრინციპები საფუძვლად დაედო ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის წარმომადგენელთა მოღვაწეობას. თვალსაჩინო ქართველი ისტორიკოსები, რომლებმაც XIX-XX სს. საქართველოს ისტორია სტალინური მეთოდოლოგიის მოთხოვნების საფუძველზე გამართეს, ძირითადად ეყრდნობოდნენ ლ. ბერიას და ჩვენს მიერ ზემოთ განხილული პარტიის ცკ-ის ხელმძღვანელობით გამოცემული განმაზოგადებელი თხზულებების დებულებებსა და დასკვნებს. მაგრამ ამ მეცნიერებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს არჩეული სამეცნიერო პრობლემატიკის მეცნიერული დამუშავების საქმეში. გამოავლინეს მდიდარი წყაროთმცოდნეობითი ბაზა, განსაზღვრეს პრობლემის კვლევის მაგისტრალური მიმართულებები. აღსანიშნავია გ. ხაჭაპურიძის, ნ. მახარაძის, ვ. ესაიაშვილის, ა. კიკვაძის, ი. კაჭარავას, პ. რატიანის, გ. ჟვანიას და სხვათა ღვაწლი XIX-XX სს. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის კვლევის საქმეში.

მარქსისტულმა ისტორიოგრაფიამ გარკვეული პოპულარობა მოიპოვა დასავლეთ ევროპაშიც. ამას აპირობებდა კომუნისტური მოძრაობის ავტორიტეტი 30-იან წლებში. მათ უაპელაციოდ მიიღეს სტალინის მიერ შეთავაზებული ისტორიის გაგების სქემები და კლიშეები, თუმცა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მათ გვერდზე არსებობდა და უფრო მაღლა იდ-

გა დემოკრატიული ისტორიოგრაფია, რომელმაც დაძლია მარქსისტული ცალმხრივობა და ისტორიის გაგების ახლებური კონცეფციები შემოგვთავაზა.

XX ს. დასავლურ ისტორიოგრაფიაზე უდიდესი გავლენა მოახდინა ოსვალდ შპენგლერმა. მისი თხზულების ციკლი „ევროპის მზის ჩასვენება"დასავლეთის ყველა ისტორიკოსისა და ფილოსოფოსის სამაგიდო წიგნად იქცა. 1923 წ. მისი თხზულება გამოქვეყნდა მოსკოვშიც, ისევე, როგორც ზ. ფროიდისა და სხვა პოპულარული ევროპელი მოაზროვნეების გახმაურებული თხზულებები. ეს აშკარად მიუთითებდა იმ ვითარებას, რომ საბჭოთა ტოტალიტარულ სახელმწიფოში ჯერ კიდევ იყო თავისუფალი აზრის გამოხატულების საშუალება. თუმცა 30-იანი წლებიდან ისინი აიკრძალა და მკაცრი კრიტიკის ქარტეხილში გატარდა საბჭოთა მეცნიერების მიერ.

ო. შპენგლერის შემოქმედება ნასულდგმულევია I მსოფლიო ომის შემდგომი ევროპის დეკადანსის იმპულსებით, როდესაც საზოგადოებათმცოდნეებს შორის მკაცრად დადგა საკითხი მსოფლიო განვითარების საზრისის შესახებ. ასეთ ვითარებაში შპენგლერის შეხედულებები განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ, რადგან ისინი იხილავდნენ ისტორიული ყოფიერების საზრისს: „მის თეორიაში დასმული საკითხებიდან უმნიშვნელოვანესია ისტორიული ობიექტურობის, ციკლურობის, ისტორიის მეთოდოლოგიის საკითხები"[15]. იგი უარყოფს ევროპაცენტრიზმს და პარტიულობას. მისი აზრით, და ჩვენც ვეთანხმებით მას, არ არსებობს ისტორია, რომელიც შეიძლება მხოლოდ მატერიალური ან მხოლოდ იდეალური მოტივებით აიხსნას. იგი წერდა: „სავსებით სულერთია წარსულს შევხედოთ დონ კიხოტის თუ სანჩო პანსას თვალსაზრისით, არც ერთ და არც მეორე გზას არ მივყავართ მიზნამდე"[16].

შპენგლერი განსაკუთრებით ილაშქრებდა ისტორიაში პარტიულობის პრინციპის წინააღმდეგ და მიუთითებდა, რომ ისტორიკოსის ასეთი პოზიცია მას უკარგავს ობიექტურობას. პარტიულობა და იდეოლოგიური მიდგომა ისტორიული კვლევებისადმი, მისი აზრით, ისტორიას აახლოებს ისტორიკოსის ადგილსამყოფელთან და აშორებს ნამდვილი ისტორიისაგან: „ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა ისტორიის პროცესის

ასახვასთან, არამედ მის შეფასებასთან, რაც გამოხატავს პრაქტიკული მოღვაწის პირად პოზიციას"[17].

შპენგლერი ისტორიკოსისაგან მოითხოვს მასალაზე მუშაობის დროს განთავისუფლდეს პირადი ცრურწმენისაგან, თუმცა ისტორიული პროცესის აღქმის ობიექტურობას გამორიცხავს, რადგან მიაჩნია, რომ ყოველ ეპოქას საკუთარი ისტორია და საკუთარი ჭეშმარიტებანი გააჩნია. მისი აზრით, მოაზროვნეს ყოველთვის არ ესმის, რომ მისი „უდავო ჭეშმარიტებანი", „მარადიული მსჯელობანი"ჭეშმარიტნი არიან მხოლოდ მისთვის და მარადიულნი მხოლოდ მისი მსოფლმხედველობის თვალსაზრისით"[18].

XX ს. ისტორიული მეცნიერების განვითარებაზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინა გერმანელმა ისტორიკოს-ფილოსოფოსმა მ. ვებერმა, რომელიც გერმანიის მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიული მიმდინარეობის წარმომადგენელი იყო და მის თხზულებაში მარქსის ეკონომიკურმა მოძღვრებამ და ისტორიის მატერიალისტურმა გაგებამ თვისებრივად ახალი იმპულსები შეიძინა. მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მის მოძღვრებაში ევროცენტრიზმის ელემენტები, განსაკუთრებით შეხედულება პროტესტანტიზმის, როგორც ისტორიის განვითარების მძლავრი ბერკეტის (დემიურგის) შესახებ. იგი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ დასავლეთის ცივილიზაციის წარმატებები დაკავშირებულია სწორედ ინგლისში, გერმანიაში და აშშ-ში პროტესტანტული სულისკვეთების გაძლიერება-გაღრმავებასთან.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მის მიერ პოლიტიკური ლიდერის გამორჩეულობის თეორიის (ხარიზმა) ჩამოყალიბება. იგი მიუთითებდა: „არაჩვეულებრივი პიროვნული მადლის (ხარიზმა), გინდა იმ პიროვნების ავტორიტეტი, ვისაც ბუნებამ პიროვნულად მიამადლა და უშუალოდ აზიარა უეცარ გასხივოსნებებს, გმირობისა და ბელადობის სხვა თვისებებს. ესაა „ხარიზმატული"ბატონობა, რომელსაც ახორციელებს წინასწარმეტყველი, ანდა პოლიტიკურ სარბიელზე – არჩეული მხედართმთავარი თუ პლებიცისტური მბრძანებელი, დიდი დემაგოგი თუ პოლიტიკური პარტიის ბელადი"[19].

ამასთან ერთად, XX ს-ის 20-იანი წლებიდან ევროპაში აღორძინებას იწყებს პროვიდენციალიზმი, რომლის მიხედვით ისტორიის გეზის განვითარებას განსაზღვრავს ღვთის ნება-

განგება, რომლის იარაღები არიან მეფე-მონარქები, მხედარ-თმთავრები და სხვ. ისტორიკოსის მთავარი ამოცანაა დააფიქ-სიროს ეს „ღვთაებრივი ნება", დოკუმენტებსა და წყაროებში მოიძიოს ამის დამამტკიცებელი არგუმენტები. ამ თეორიის ტიპური წარმომადგენელი იყო გერმანელი ისტორიკოს-ფი-ლოსოფოსი ლ. რანკე. მისი უდიდესი დამსახურებაა საარქივო მასალების სკრუპულოზური დამუშავება, ის რაც დოკუმენ-ტურად არ დასტურდება ისტორიისათვის არ წარმოადგენს რეალობას, – ხაზგასმით მიუთითებდა იგი.

პროვიდენციალიზმის თეორია განსაკუთრებით მოსწო-ნდა ა. ჰიტლერს. ცნობილია, რომ ის ხელს უწყობდა იმ მეცნი-ერებს, რომლებიც პროვიდენციალიზმის პრინციპებით ხსნი-დნენ ისტორიულ პროცესებს და განსაკუთრებით მის ისტო-რიულ მისიას, მის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მომენტებს. ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ 1944 წელს ოფ-იცერთა შეთქმულების დროს მისი გადარჩენა და 1945 წ. რუზ-ველტის მოულოდნელი გარდაცვალება, მისი იდეოლოგების მიერ აღქმულ იქნა, როგორც „ღვთის ნება"[20].

დასავლეთ ევროპაში 20-30-იან წლებში ასევე პოპულა-რული იყო ისტორიის საზრისის სუბიექტივისტური გაგება (ერიხ როთეკერი და სხვა). ეს შეხედულება მთლიანად ეფუძ-ნება სუბიექტურ იდეალიზმს. სამყაროს ისტორიის გააზრება ხდება სუბიექტის მიერ, ისტორიის ქაოტურ მრავალფეროვნე-ბაში სწორედ სუბიექტი (მკვლევარი) აყალიბებს წესრიგს და საზოგადოებას სთავაზობს საკუთარ ინტერპრეტაციას.

ამ მოსაზრების თვალსაზრისით სუბიექტისაგან დამოუ-კიდებელი სამყარო უაზროა. ე. როთეკერის შეხედულებით „სუბიექტი (მკვლევარი) იმ საზრისს დებს სამყაროში, ისტო-რიულ პროცესებში, რასაც ეძებს და რაც სჭირდება"[21].

ყველაზე დიდი ზეგავლენა დასავლეთ ევროპის საისტო-რიო აზროვნებაზე მოახდინა ფრანგულმა „ანალების"სკოლამ (მ. ბლოკი, ლ. ფევრი და სხვ.). ამ სკოლის ფუძემდებლებისათ-ვის, „უნინარესად დამახასიათებელი იყო ინტერესი ისტორი-ული პროცესის ადამიანურ შინაარსზე, მენტალიტეტზე, ის-ტორიულ-ანთროპოლოგიურ თემატიკაზე"[22]. ისინი უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებდნენ ისტორიკოსს. მათი აზრით, ისტორიკოსი არ შეიძლება იყოს მხოლოდ ფაქტების უბრალო

შემგროვებელი, ის უნდა იყოს მაქსიმალურად თავისუფალი. ისტორიკოსმა უნდა წამოჭრას პრობლემა, რომელსაც ცენტრალური ადგილი უკავია მის გამოკვლევაში, განსაზღვროს პოზიცია, რომელიც საფუძვლად დაედება მასალის ანალიზს. ისინი „ისტორია თხრობას"უპირისპირებდნენ „ისტორია პრობლემას". „არ არის პრობლემა, მაშასადამე არ არის ისტორია", – ასკვნიდა ლ. ფევრი. სამართლიანად მიუთითებენ, რომ „ეს იყო ისტორიული მეცნიერების ხვალინდელი დღე"[23].

მ. ბლოკი კი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ისტორიის საგანს წარმოადგენს ადამიანი, უფრო ზუსტად კი ხალხი"[24].

სამწუხაროდ, „ანალების" სკოლისაგან განსხვავებით, საბჭოთა ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი მთავარი ნაკლი ისიც იყო, რომ „მან ისტორიას დაუკარგა მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისება – ადამიანთა პირადი ურთიერთობით ნაკარნახევი ქმედების კრიტიკული ანალიზი, ადამიანს გამოაცალა ადამიანური და პიროვნება კლასობრივი იდეის უბრალო პოსტულატად აქცია"[25].

უდიდესი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს მ. ბლოკის პრინციპულ მითითებას, რომ ისტორიულ პროცესსა თუ ფაქტს „გასამართლება კი არა, გაგება და ობიექტური ინტერპრეტაცია სჭირდება". სწორედ ამაზე მიუთითებს მისი შემდეგი სიტყვები: „არ არის იმაზე უფრო მეტად ცვალებადი თავისი ბუნებით ისეთი განჩინებანი, რომლებიც კოლექტიური ცნობიერებისა თუ პირადი ნების ტყვეობაში არიან, აქედან გამომდინარე, ისტორიამ მიიღო ყველაზე უფრო არაზუსტი მეცნიერების იერი, რადგან დაუსაბუთებელი ბრალდებები უცაბედად იცვლება უაზრო რეაბილიტაციებით"[26].

XX ს-ის 90-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც საისტორიო მეცნიერება განთავისუფლდა მარქსიზმის იდეოლოგიური მარწუხებისაგან, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში დღის წესრიგში დადგა მსოფლმხედველობითი პრობლემები. საისტორიო მეცნიერება მსოფლმხედველობის გარეშე წარმოუდგენელია. თანამედროვე პირობებში, ალბათ, უმჯობესია არა რომელიმე კონკრეტული მსოფლმხედველობითი სკოლის მიღწევების გათვალისწინება, არამედ საისტორიო მეცნიერების დარგში ყველა პროგრესული მიმდინარეობის გამოცდილების შემოქმედებითი ათვისება, მათ შორის

აუტენტური მარქსიზმის სოციალურ-ეკონომიკური მოძღვრებისაც. მიგვაჩნია, რომ ეს უნდა მოხდეს ქართული საისტორიო მეცნიერების კორიფეების – ივ. ჯავახიშვილის, ნ. ბერძენიშვილის, ს. ჯანაშიას მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობის ათვისების საფუძველზე.

მთავარი კი ისტორიაში არის „ისტორიული ფაქტის"დაფიქსირება. ის არის ამოსავალი ნებისმიერი პრობლემის განხილვისას. „მას აქვს რთული შინაგანი სტრუქტურა და ფორმირების ეტაპობრივი, საფეხურებრივი განვითარება"[27]. ისტორიკოსის მიზანია „ისტორიული ფაქტის"რეკონსტრუქცია. ისტორიული ფაქტი ობიექტური რეალობაა. იგი განსაზღვრულია დროში, მას აპირობებენ სხვადასხვა გარემოებები, საერთაშორისო თუ საშინაო ფაქტორები. მას აქვს შემადგენელი ელემენტები. იგი ექვემდებარება ანალიზს.

მკვლევარი იმ ობიექტური რეალობის ლოგიკურ-გნოსეოლოგიურ სურათს ქმნის, რაც განსაზღვრულია იმ არსებული წყაროებითა და დოკუმენტებით, რომლებიც დღემდეა შემორჩენილი. ისტორიული ფაქტი, როგორც ლოგიკურ-გნოსეოლოგიური სახე, არასოდეს არ არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული, ყოველი ახალი წყარო, ახალი დოკუმენტი იწვევს ისტორიული ფაქტის ცვლილებას. ხშირად ეს გამოწვეულია, ასევე სხვადასხვა მკვლევრის მსოფლმხედველობითი და იდეოლოგიური პოსტულატებით.

მაგალითად, ავიღოთ ისტორიული ფაქტი „ნაციონალ-უკლონიზმი" საქართველოში. ჯერ კიდევ ლ. ბერიას გახმაურებულ წიგნში (1935 წ.) ჩამოყალიბდა ოფიციალური კონცეფცია „ნაციონალ-უკლონიზმის" შესახებ[28]. 1939 წელს ლ. ტროცკი თავის დილოგიაში განიხილავს ამ ისტორიულ ფაქტს[29]. 1957 წელს კ. შელია[30], ხოლო ერთი წლის შემდეგ ი. კაჭარავა[31] (1958) თავიანთ მონოგრაფიებში, ასევე, შეისწავლიან ამ ისტორიულ ფაქტს.

XX ს. 60-იან წლებში ს. ხანმანდარიანი[32] და ამერიკელი სოვეტოლოგი რ. ტაკერიც[33] თავის შრომებში ეხებიან აღნიშნულ პრობლემას. „გარდაქმნის" პერიოდში გ. ჟვანიამ[34] მიუძღვნა ნაშრომი ამ საკითხის შესწავლას. 1998 წ. ალ. დაუშვილმა[35], ხოლო 2001 წ. მ. სამსონაძემ[36] შეაფასეს აღნიშნული ისტორიული ფაქტი.

ამ „ისტორიული ფაქტის" ისტორიოგრაფიულ შეფასებაში ნათლად ჩანს ერთი და იგივე „ისტორიული ფაქტის" ინტერპრეტაციის, რეკონსტრუქციის კონკრეტული ისტორიული პირობებიდან გამომდინარე შეზღუდულობა: ლ. ბერიას უარყოფით დამოკიდებულებას „ნაციონალ-უკლონიზმთან" გარკვეულწილად იზიარებენ კ. შელია და ი. კაჭარავა. ლ. ტროცკი კი მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში „ნაციონალ-უკლონისტები" უფრო გამოხატავენ ლენინის ანტისტალინურ განწყობილებას და აშკარად ცდილობს მათ გამართლებას. ამავე თვალსაზრისს იზიარებს რ. ტაკერიც. ხანმანდარიანის შეხედულება (მისი წიგნი სტალინის კულტის კრიტიკის პერიოდში მომზადდა და გამოიცა) უფრო უახლოვდება რ. ტაკერის შეხედულებებს. ე. წ. „გარდაქმნის" პერიოდში ადგილი ჰქონდა მცდელობას მოეხდინათ ტროცკიზმის იდეოლოგიური საფუძვლების რეაბილიტაცია და გ. ჟვანიას ნაშრომი მიზნად ისახავს გარკვეულად გაამართლოს ნაციონალ-უკლონისტების პოზიცია ლენინური არგუმენტებით. საბჭოთა სისტემის დამხობის შემდეგ, ქართველი მეცნიერები უფრო არგუმენტირებულ მასალაზე დაყრდნობით ცდილობდნენ აღნიშნული ისტორიული ფაქტის რეკონსტრუირებას. მ. სამსონაძე მათ „კომუნისტ პატრიოტებს" უწოდებს, ხოლო ალ. დაუშვილი ამ ისტორიულ ფაქტს მთლიანად უკავშირებს კრემლის კულუარებში გაჩაღებულ ბრძოლას პოლიტიკური ძალაუფლებისათვის.

ისტორიული ფაქტების ერთობლიობა ქმნის ისტორიული შემეცნების პროცესს. როგორც მიუთითებენ, „იგი გულისხმობს საისტორიო ცოდნის სისტემის შემქმნელი ელემენტების რაოდენობრივ დაგროვებას, ხარისხობრივ ცვლილებებს დაგროვების სისტემაში, სისტემის სტრუქტურის ცვალებადობასა და ჩაღრმავებას"[37].

ისტორიული შემეცნების რეალიზატორი მკვლევარია; მან უნდა განსაზღვროს: ა) საკვლევი ამოცანა, დააფიქსიროს საპრობლემო სიტუაცია, მიზანი, პირობები და მეთოდები; ბ) საწყისი ჰიპოთეზების ერთობლიობა; გ) წინასწარი, საწყისი ცოდნის, მათ შორის თეორიულის, ერთობლიობა; დ) ემპირიული მასალის შესწავლის მეთოდები და საშუალებები, ლოგიკური, მათემატიკური მეთოდების საშუალებების ჩათვლით და სხვ.; ე) კვლევის საბოლოო შედეგი – ახალი ცოდნა"[38].

ნებისმიერი ისტორიკოსის ლოგიკურ-მეთოდოლოგიური მუშაობის აუცილებელი ჩამონათვალი ისტორიულ თხზულებებში სხვადასხვანაირად გამოიყენება, მაგრამ მათი დაცვა და გამოყენება უზრუნველყოფს საისტორიო თხზულების მაღალ კრიტერიუმებს. გარდა ამისა, უნდა გვახსოვდეს, რომ ისტორიკოსს, როგორც წერილობითი წყაროების, მათ შორის უწინდელი და თანამედროვე ისტორიოგრაფიის გამოყენებისას, დიდი სიფრთხილე მართებს, რათა მას საქმე ჰქონდეს ყოველმხრივ შემოწმებულ და ზუსტ ფაქტებთან და დასკვნებთან.

ისტორიკოსის პროფესია რთული და საპასუხისმგებლოა. მას შემდეგ, „რაც ისტორიკოსს ხელთ აქვს ერთი ისტორიული ეპოქის ან დიდი მოვლენის ამსახველი წყაროები, მან ისინი ერთმანეთს უნდა შეაჯეროს და ამ მიზნით დაადგინოს ზუსტი ისტორიული ფაქტები, რომელნიც, ასე ვთქვათ, საშენ მასალას წარმოადგენენ ისტორიკოსისათვის"[39].

2. სამეცნიერო ცოდნის ორგანიზაცია. წყაროთმცოდნეობითი პრობლემები

დიდი ხნის განმავლობაში ქართულ ისტორიოგრაფიაში თვლიდნენ, რომ „საქართველოში მარქსისტულ-ლენინურ ისტორიულ მეცნიერებას საფუძველი ჩაეყარა ვ. ი. ლენინისა და მისი მონაფეების - ი. სტალინის, ლ. კეცხოველის, ა. წულუკიძის, ფ. მახარაძის, მ. ცხაკაიას და სხვათა შრომებით"[40]. რა თქმა უნდა, ეს იდეოლოგიური კლიშე იყო, რასაც არსებული პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე „ხარკის" სახით იხდიდა ქართველი ისტორიკოსი. სინამდვილეში ახალი და უახლესი ისტორიის მეცნიერული კვლევა მუდამ დაკავშირებული იყო სიძნელეებთან და წინააღმდეგობების გადალახვასთან. ისტორიისადმი კლასობრივი მიდგომის მარქსისტულ-ლენინური დოგმატიკა სამეცნიერო ცოდნის ორგანიზაციას დამატებით პრობლემებს უქმნიდა, რადგან იგი პარტიული ნომენკლატურის, განსაკუთრებით კი კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური სამსახურების მუდმივი ყურადღებისა და მზრუნველობის ქვეშ იყო მოქცეული.

ჯერ კიდევ 1922 წლის 24 იანვარს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით შეიქმნა „პარტისი", რომლის პირველი სხდომა ჩატარდა 1923 წლის 14 იანვარს[41]. ამ სამეცნიერო უჯრედის ამოცანა იყო საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების რევოლუციური წარსულის შესასწავლად მასალებისა და დოკუმენტების მოძიება, ძველი მუშებისა და რევოლუციონერების მოგონებების ფიქსაცია, მეცნიერული და პროპაგანდისტული ნაშრომების მომზადება და გამოქვეყნება. მაგრამ ისტორიკოსთა სპეციალურად მომზადებული კადრების არარსებობის პირობებში საკმაოდ გაძნელდა სამეცნიერო მუშაობის ორგანიზაცია.

1922 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი. მისი პირველი დეკანი შ. ნუცუბიძე იყო. ფაკულტეტზე ლექციებს კითხულობდნენ: ივ. ჯავახიშვილი, შ. ნუცუბიძე, მ. პოლიექტოვი, ა. ვაჩეიშვილი და სხვები[42]. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნაბიჯები საქართველოს კომპარტიის ლიდერებისათვის არასაკმარისი აღმოჩნდა, რადგან, როგორც აღნიშნავენ, „1921-1926 წწ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთოდ არ წარმოებდა ისტორიკოსთა მომზადება ისტორიულ-პარტიული მეცნიერების პროფილით. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა შორის ამ პერიოდში არ იყო არცერთი სპეციალისტი, რომელსაც შეეძლო ახალგაზრდა ისტორიკოსთა მომზადება კომუნისტური პარტიის ისტორიაში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის"[43].

მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიით გამსჭვალული ისტორიკოსების აღსაზრდელად პარტიული ორგანოების 1923 წლის 2 თებერვლის დადგენილებით თბილისში დაარსდა 26 კომისრის სახელობის ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი[44].

1925 წლიდან საქართველოში დაიწყო მარსქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის სისტემატური სწავლება, რითიც საფუძველი ჩაეყარა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ინტენსიფიკაციას მარქსისტულ-ლენინური თეორიული პრინციპების საფუძველზე[45].

1931 წელს დაარსდა საქართველოს მარქსისტ-ისტორიკოსთა საზოგადოება, რომელმაც გააერთიანა მარქსიტულ-

ლენინურ იდეურ საფუძველზე მდგომი ისტორიკოსები. იმავე წელს, იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერების მიზნით, ჩამოყალიბდა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის გამართვის საქმეში.

როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაში მიუთითებდნენ: „საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა მიმდინარე საუკუნის 30-იან წლებში (იგულისხმება XX საუკუნის 30-იანი წლები - კ. წ.). ამ დროს ქართულმა ისტორიოგრაფიამ გადალახა ბურჟუაზიულ-იდეალისტური გავლენები და საბოლოოდ დაადგა მარქსისტულ-ლენინური პრინციპების საფუძველზე მუშაობის გზას“[26]. ეს შეხედულება მთლიანად შეეფერება ჭეშმარიტებას. 1935 წელს გამოქვეყნდა ლ. ბერიას ნაშრომი „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, რომელშიც, მართალია, ძირითადად ყურადღება რევოლუციამდელი ბოლშევიკური ორგანიზაციების საქმიანობაზეა გამახვილებული, მაგრამ არის სპეციალური თავი, რომელშიც საკმაოდ უარყოფითად არის შეფასებული საქართველოს კომპარტიის პირველი ხელმძღვანელების, ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტების“ პოლიტიკური თუ სამეურნეო საქმიანობა. ლ. ბერიას ეს შეხედულებები საქართველოს გასაბჭოების პირველ წლებში საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელთა მოღვაწეობაზე მრავალი წლის მანძილზე დოგმატურად იყო გაზიარებული ქართველი ისტორიკოსების მიერ - ლ. ბერიას დამხობის შემდეგაც კი, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა საქართველოში ამ საინტერესო საისტორიო პრობლემის ობიექტური კვლევის საქმე.

სიძნელეების მიუხედავად 30-50-იან წლებში საქართველოში მომზადდა ქართველი ისტორიკოსების ახალი თაობა, რომელმაც იტვირთა უახლესი ისტორიის მეცნიერული პრობლემების კვლევა. 1950 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტში შეიქმნა „საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის განყოფილება“, რომელმაც მიზნად დაისახა საქართველოს უახლესი ისტორიის მეცნიერული კვლევის ორგანიზაცია. უკვე XX საუ-

კუნის 50-იან წლებში გამოქვეყნდა ი. კაჭარავას, კ. შელიას, ვ. ესაიაშვილის, ა. კიკვიძის, ა. კოჭლავაშვილისა და სხვების განმაზოგადებელი მონოგრაფიული გამოკვლევები. ამ ნაშრომებში მოცემულია საქართველოს უახლესი ისტორიის ბევრი საკითხის მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე კვლევების შედეგები. 60-70-იან წლებში გამოქვეყნდა მ. ნათმელაძის, ს. ჩხარტიშვილის, მ. ჯიჯეიშვილის, ნ. სტურუას, რ. კოჭლამაზაშვილის, თ. ჟღენტის, მ. კანტერეს და სხვათა ნაშრომები, რომლებშიც შესწავლილი იყო საქართველოს უახლესი ისტორიის, მათ შორის ჩვენთვის საინტერესო 1921-1925 წლების, სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ბევრი უმნიშვნელოვანესი პრობლემა. 1976 წელს საბჭოთა საქართველოს ისტორიის განყოფილებას გამოეყო ფაბრიკა-ქარხნების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ისტორიის განყოფილება, რომელმაც მიზნად დაისახა საქართველოს შრომითი კოლექტივების ისტორიის მეცნიერული გააზრება და საქართველოს უახლესი ისტორიის შესწავლის საქმე გაამდიდრა ახალი დოკუმენტური წყაროებით და საინტერესო გამოკვლევებით.

უახლესი ისტორიის მეცნიერული კვლევა თავიდანვე სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. სიძნელეების ერთ ნაწილზე ყურადღებას ამახვილებდნენ იმ პერიოდში მოღვაწე ქართველი ისტორიკოსებიც, როცა აღნიშნავდნენ, რომ „თანამედროვეობის ისტორიის წერა ძნელია იმის გამოც, რომ აქ თითქმის ყოველი მკვლევარი დამწყებია. მათ თანამედროვეობის ისტორიის შესწავლის საქმეში თითქმის არავითარი მეცნიერული მემკვიდრეობა არ გააჩნიათ. ისინი პირველად ქმნიან თანამედროვე ისტორიას, ამიტომ არ შეიძლება მათი ხელიდან გამოსული პროდუქცია მთლად უნაკლო და სრულყოფილი იყოს“[47].

ასევე სამართლიანად მიუთითებდნენ, რომ „თანამედროვეობის ისტორია ჯერხნობით ძნელი დასაწერია, იმიტომ, რომ... ჯერ კიდევ არ დამარხულა და არ წაშლილა ჩვენს გულში ის აურზაური, რომელიც განვიცადეთ, ჯერ კიდევ არ დამცხრალა აღგზნებული გრძნობა, რომელიც ენთო გულში და ჯერ კიდევ არ დავმშვიდებულვართ მიუდგომელ, დინჯ და სამართლიანი დაფასებისათვის“[48].

აკად. ი. კაჭარავა ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „საბჭოთა საქართველოს ისტორიის მკვლევარი აწყდებოდა მრავალ სიძნელეს, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს: საქართველოს საბჭოთა პერიოდის ისტორიის ამსახველ მდიდარ წყაროებში პირველად ხდებოდა ისეთი დოკუმენტებისა და მასალების შერჩევა, რომლებიც ყველაზე სრულად ხსნიდნენ ამ პერიოდის ისტორიული განვითარების ძირითად კანონზომიერებებს, პირველად ხდებოდა აღნიშნული დოკუმენტების მეცნიერული ანალიზი"[49].

მაგრამ ამ ნაკლოვანებათა შორის იჩქმალებოდა ის ძირითადი და მთავარი ნაკლი, რაც საყოველთაოდ იყო დამახასიათებელი საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის: ფაქტებისა და მოვლენებისადმი კლასობრივი მიდგომა (ამის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი), იდეოლოგიური დეტერმინიზმი, თვითცენზურა და სერიოზული წყაროთმცოდნეობითი პრობლემები.

უახლესი ისტორიის წყაროთმცოდნეობა სერიოზული „აქილევსის ქუსლი" იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიისა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მასობრივად აქვეყნებდნენ წყაროებს, დოკუმენტების კრებულებს, მაგალითად ასეთებს: «Борьба за упрочения советской власти в Грузии» (сборник документов и материалов (1921-1925 гг.)», «Первый Закавказский сьезд Коммунистических организации», (Тб. 1922), «Отчет Заккрайкома РКП (б), საქართველოს კომპარტიის (ბ) III ყრილობის რეზოლუციები და დადგენილებები (თბ., 1924), „ანგარიში თბილისის კომიტეტისა", 1923 წ. მარტი, 1924 წლის მარტი (თბ., 1924; „საქართველოს საბჭოების პირველი ყრილობა" (სტენოგრაფიული ანგარიში) და სხვა მრავალი, მაგრამ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ მსგავსი პუბლიკაციები ხდებოდა წინასწარ შემუშავებული მეცნიერული პრინციპის მიხედვით იმ საარქივო ფონდებიდან, რომლებიც არ იყო „დახურული" და მიუწვდომელი. სპეციალურად მომზადებული არქივარიუსები ცენზორის მაგივრობას სწევდნენ და ყოველი დოკუმენტი, რაც არ შეესაბამებოდა კომუნისტური პარტიის გაბატონებულ იდეოლოგიურ შეხედულებებს, პუბლიკაციას არ ექვემდებარებოდა. მხოლოდ საბჭოთა სისტემის დამხობის შემდეგ გახდა ხელმისაწვდომი ისტორიკოსებისათვის მანამდე გასაიდუმლოებული დოკუმენტები (ყოფილი პარტიული არქივიდან, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივიდან და ა.შ.),

რომლებიც ხშირ შემთხვევაში რადიკალურად ცვლიან ჩვენს წარმოდგენებს ისტორიული პროცესის მრავალი ფაქტისა და მოვლენის შესახებ.

თვალსაჩინოებისათვის აღვნიშნავთ, რომ ქართულმა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ იგნორირება გაუკეთა საქართველოს პრეზიდენტის არქივში (ყოფილ პარტიულ არქივში) თავმოყრილ საყურადღებო ფაქტოლოგიურ მასალას - საქართველოსა და ამიერკავკასიის „ჩეკას" აგენტურული ცნობების დაიჯესტს, რაც ყოველ ორ კვირაში ერთხელ საკმაოდ დეტალურად დგებოდა და ასახავდა საბჭოთა ხელისუფლების პირველ თვეებში საქართველოში შექმნილ ჭეშმარიტ პოლიტიკურ თუ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას. მხოლოდ 90-იანი წლების მეორე ნახევარში ქართულმა ისტორიოგრაფიამ მიაქცია სერიოზული ყურადღება ამ მასალებს, როცა ჯერ ა. დაუშვილმა[50], ხოლო მოგვიანებით ო. ჯანელიძემ[51] თავის მონოგრაფიებში გამოიყენეს ამ აგენტურულ ცნობებში დაცული მასალები.

აი კიდევ ერთი არგუმენტი: ავიღოთ ისტორიული ფაქტი „ნაციონალ-უკლონიზმი საქართველოში". ამის შესახებ გარკვეულად უკვე ვისაუბრეთ წინა პარაგრაფში, მაგრამ ამჯერად ამ პრობლემის შესწავლის წყაროთმცოდნეობით საკითხებზე შევჩერდებით. მიუხედავად იმისა, რომ ამ პრობლემაზე სხვადასხვა – ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი პოზიციებიდან მრავალი ქართველი და არაქართველი ისტორიკოსი მუშაობდა, ისინი ძირითადად აფიქსირებდნენ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორი კომისიის მუშაობის შედეგებს: ძერჟინსკის (1922 წ.) და კამენევ-კუიბიშევის (1923 წ.); მაგრამ არსებობდა კიდევ მესამე კომისიაც, რომელმაც იგივე საკითხები შეისწავლა და მას ცენტრალური კომიტეტის წევრი კაკტინი ხელმძღვანელობდა. მასში შედიოდნენ: ლეჟავა, გეგეჭკორი, ყურულოვი, ქართველიშვილი, კახიანი, ღოღობერიძე. კომისიის მიზანი იყო „ნაციონალ-უკლონიზმის" პრობლემა შეესწავლა საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობის მეორე და მესამე ეშელონის მოღვაწეთა გამოკითხვისა და საქმეში გარკვევის საფუძველზე. ეს კომისია მუშაობდა 1924 წლის 19-27 თებერვლამდე და მისი მუშაობის შედეგები საერთოდ უცნობია ქართული საისტორიო საზოგადოებისათვის[52].

წყაროზე არაკორექტურული მუშაობის კიდევ ერთი მაგალითი: 1990 წელს, კომუნისტური რეჟიმის აგონიის პერი-

ოდში, პროფ. ლ. თოიძემ გაზეთ „კომუნისტში" გამოაქვეყნა ი. ბ. სტალინის სიტყვა რკპ (ბ) XII ყრილობის ეროვნებათა საკითხის სექციის სხდომაზე, რომლის მასალები მთლიანად გასაიდუმლოებული იყო[53]. მაგრამ მან ეს პუბლიკაცია შემოკლებით გამოაქვეყნა და ამის შესახებ არ მიუთითა. 2004 წელს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო ექსპედიციის წევრები მოსკოვში, არქივში მუშაობის დროს დავრწმუნდით, რომ პუბლიკაციის ავტორმა შემოკლებაში მოაყოლა ი. ბ. სტალინის გამოსვლის მეტად მნიშვნელოვანი მონაკვეთი, რაც მთლიანად ცვლის ჩვენს წარმოდგენებს ი. ბ. სტალინის პოზიციასთან დაკავშირებით საეროვნებათაშორისო ურთიერთობის აქტუალურ საკითხებზე. ამასთან ჩვენ დავადგინეთ, რომ აღნიშნული მკვლევარი იცნობდა ამ სექციაზე ლ. ტროცკის, ფ. მახარაძის, ბ. მდივანის გამოსვლის ტექსტებსაც, რომლებიც ასევე ახლებურად აშუქებენ მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებს და ეს მან არ გამოაქვეყნა. ამრიგად, წყაროების არასათანადო პუბლიკაციის გამო „ნაციონალ-უკლონიზმის" პრობლემა ბოლომდე შესწავლილად არ შეიძლება ჩაითვალოს.

კიდევ ერთი მაგალითი, აკად. ი. კაჭარავა თავის მონოგრაფიაში, პოლიტიკური მოსაზრებიდან გამომდინარე, ცდილობს დაინახოს იდეური და ორგანული კავშირი ლ. ტროცკისა და გადასახლებაში მყოფი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრის ა. ჭიაბრიშვილს შორის იმ წერილის ინტერპრეტაციის საფუძველზე, რაც ქართველმა პოლიტპატიმარმა თავის ყოფილ თანაპარტიელს - ლ. ტროცკის გაუგზავნა. ჩვენი აზრით ი. კაჭარავა არასწორ ინტერპრეტაციას აძლევს ამ დოკუმენტს, რადგან მოსკოვის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივის ტროცკის ახლად გახსნილ ფონდში ჩვენ გავეცანით ა. ჭიაბრიშვილის სამივე წერილს და მიგვაჩნია, რომ ეს წერილები არ აძლევენ საფუძველს მკვლევარს ამტკიცოს ქართველი მენშევიკების ალიანსი ლ. ტროცკისთან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ჩვენ ახლო მომავალში გამოვაქვეყნებთ ამ წერილების კრიტიკულ ანალიზს, რაც ნათლად დაგვანახებს ქართული საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულებას ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური თუ ეკონომიკური პროცესების მიმართ.

საბჭოთა სისტემის დამხობის შემდეგ მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა საქართველოს უახლესი ისტორიის მეცნიერული კვლევის საქმეში. განსაკუთრებით ეს დაეტყო უახლესი ისტორიის წყაროთმცოდნეობას: ქართველ ხალხს დაუბრუნდა ნააზრევი იმ მამულიშვილებისა, რომლებიც კომუნისტურ დიქტატურას გაეცალნენ და ხანგრძლივი დროის მანძილზე ემიგრაციაში მოღვაწეობდნენ. საქართველოს დაუბრუნდა სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტიის არქივის მიკროფირები ჰარვარდის უნივერსიტეტის ფონდიდან; გაიხსნა ყოფილი პარტიული და საბჭოთა არქივების დახურული საცავები, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივის რიგი ფონდი. 2004 წლის ივლისში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ მოსკოვის არქივში სამუშაოდ გააგზავნა სამკაციანი ექსპედიცია, რომელმაც რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ცენტრალურ საისტორიო არქივში საქართველოს უახლესი ისტორიის უცნობი მასალები გამოავლინა და სამშობლოში ჩამოიტანა. მათ შორის აღსანიშნავია: „ლორეს პროვოკაციის" დეტალური სცენარი, ლ. ტროცკის წერილი "ქართველი მენშევიკების შესახებ", რომელიც მეტად საინტერესო ინფორმაციას შეიცავს 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით (ამის შესახებ ქვემოთ), ქართველი პოლიტპატიმრის, დამფუძნებელი კრების წევრის ა. ჭიაბრიშვილის ლ. ტროცკისადმი გაგზავნილი წერილები, რაც მეტად მნიშვნელოვანი წყაროა 20-იანი წლების საქართველოში საზოგადოებრივი აზრის თავისებურებების შესასწავლად, აღმოჩნდა საქართველოსა და ამიერკავკასიის საგანგებო კომისიების აგენტურული ცნობები 20-იანი წლების დასაწყისის საქართველოში პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების შესახებ, არის ინფორმაცია აფხაზეთის რეგიონის, ბორჩალოსა და საქართველოს სხვა კუთხეებში შექმნილი ობიექტური ვითარების გასაშუქებლად. ექსპედიციამ ბევრ სხვა მასალასაც მიაგნო, რასაც სათანადო შესწავლის შემდეგ გამოაქვეყნებს. მომავალი სამეცნიერო ექსპედიციები კიდევ უფრო საინტერესო მასალებს გამოავლენენ, რაც შექმნის მყარ და ობიექტურ საფუძველს საქართველოს უახლესი ისტორიის განმაზოგადებელი და სრულყოფილი ნაშრომის დასაწერად. ეს კი ახლო მომავლის საქმეა.

თავი II
საბჭოთა ტოტალიტარული სახელმწიფოს ფორმირების საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში

1. ძალაუფლების საკითხი. პოლიტიკური ურთიერთობები

ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ ნებისმიერი რევოლუციური გადატრიალების შემდეგ უმთავრესია მოპოვებული ხელისუფლების შენარჩუნება და განმტკიცება. ამიტომაც ძალაუფლების დაპყრობის საკითხი მთავარი და განმსაზღვრელი იყო როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე სოციალ-დემოკრატიისათვის, თუმცა გარკვეულ ეტაპზე მათ შორის აზრთა სხვადასხვაობა მაინც წარმოიშვა. კ. მარქსის მტკიცებით პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების რეალიზაცია მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის საფუძველზე შეიძლება მომხდარიყო და მას ხაზგასმით აქვს ეს ნათქვამი ვეიდემაიერისადმი გაგზავნილ 1852 წლის 5 მარტის, მარქსიზმის კლასიკად ქცეულ, წერილში.

ვ. ი. ლენინი გამორჩეულად აფასებდა კ. მარქსის ამ მიგნებას. თავის „სახელმწიფო და რევოლუციაში" ის ხაზგასმით მიუთითებდა, რომ „მარქსისტია მხოლოდ ის, ვინც კლასთა ბრძოლის აღიარებას პროლეტარიატის დიქტატურის აღიარებამდე ავრცელებს"[1]. მან ასევე ჩამოაყალიბა პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი მახასიათებლები: „პროლეტარიატის დიქტატურა ეს არის მედგარი, სისხლისმღვრელი და უსისხლო, ძალისმიერი და მშვიდობიანი, სამხედრო და სამეურნეო, პედაგოგიური და ადმინისტრაციული ბრძოლა ძველი საზოგადოების ტრადიციების წინააღმდეგ".

აქედან გამომდინარე, ქართველი საბჭოთა ისტორიკოსები თავიდანვე გამორჩეულ ყურადღებას უთმობდნენ საქართველოში პროლეტარული დიქტატურის ფორმირებისა და განვითარების საკითხებს.

ცნობილია, რომ საბჭოთა რუსეთის XI არმიის მიერ ოკუპირებულ საქართველოში რევოლუციური კომიტეტების შეუზღუდავი ძალაუფლება დამყარდა. ამ ფაქტს ქართული

ისტორიოგრაფია ასეთ შეფასებას აძლევდა: „სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების ახალი ორგანოების შექმნა... შეიქმნა პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოები“[2]. კ. შელია იმასაც მიუთითებდა, რომ „საქართველოში პროლეტარიატის დიქტატურის შექმნა-განმტკიცება დაიწყო რევოლუციური კომიტეტის საშუალებით“. თავის სადოქტორო დისერტაციაში ი. ახალაიაც იზიარებს ამ შეხედულებას[3].

გ. ერემოვი აღნიშნავდა: „პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება ფაქტი გახდა. ძალაუფლება გლეხებისა და მუშების ხელში გადავიდა. ამ ვითარებაში პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმას დროებით რევოლუციური კომიტეტები წარმოადგენდენ“[4]. ამ თვალსაზრისს იზიარებდა აკად. ი. კაჭარავაც „საქართველოში 1921 წ. თებერვლიდან დამყარდა პროლეტარიატის დიქტატურა. საბჭოები კი შეიქმნა 1922 წ. დასაწყისში. ამ პერიოდში შეუძლებელია პროლეტარიატის დიქტატურა (შინაარსი) არსებულიყო რაიმე სახელმწიფოებრივი ფორმის გარეშე და ამ ფორმას, ჩვენი აზრით, წარმოადგენდა რევკომის სისტემა“ [5].

ამგვარად, ზემოაღნიშნულ ავტორებს მიაჩნიათ, რომ საქართველოში პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმას წარმოადგენდა რევოლუციური კომიტეტები, მსგავსად საბჭოებისა და სახალხო დემოკრატიის. ასეთი შეხედულება იმ პერიოდში სიახლე იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის, რომელიც არ ცნობდა პროლეტარიატის დიქტატურის ისეთ ფორმას, როგორიც იყო რევკომი. საბჭოთა ისტორიკოსების ამ შეხედულებას იზიარებდა ქართველი მეცნიერების ერთი ჯგუფიც: ვ. მერკვილაძე, ი. მირცხულავა, ლ. თოიძე, იურისტი უ. ბახტაძე და სხვები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ რევკომებს არცერთ საბჭოთა რესპუბლიკაში არ მიიჩნევდნენ პროლეტარიატის დიქტატურის ფორმად და რომ პროლეტარიატის დიქტატურისათვის დამახასიათებელია მხოლოდ ორი ფორმა: საბჭოები და სახალხო დემოკრატია.

ეს ავტორები დისკუსიის პროცესში გამორჩეულად მიანიშნებდნენ, რომ „ლაპარაკია პროლეტარიატის დიქტატურის ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ ფორმებზე და არა დროებითი

ხასიათის რევოლუციურ ორგანიზაციაზე, რომელთა შორის არსებითი სხვაობაა"[6].

უ. ბახტაძე თავისი ოპონენტების საწინააღმდეგოდ გამოთქვამდა საყურადღებო მოსაზრებას: „მათი შეცდომის მიზეზი იმაშია, რომ ისინი ურთიერთისაგან ვერ ასხვავებენ რევოლუციის დროებით საგანგებო ორგანოებსა და დიქტატურის ერთ, მთლიან ჩამოყალიბებულ ფორმებს"[7]. როგორც ამტკიცებდნენ, საქართველოს რევკომები იყვნენ დროებითი, რევოლუციური ორგანიზაციები, უფრო მოქნილი და ოპერატიული ორგანოები.

იმავე უ. ბახტაძის აზრით: „მცდარია მტკიცება იმის შესახებ, რომ თითქოს მაშინდელ საქართველოში საბჭოური სისტემით დაშვებული დემოკრატიზმისათვის ჯერ კიდევ არ იყო პირობები. ასეთ ავტორებს თუ გავყვებით, გამოვა რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება უნიადაგო იყო"[8].

ოპონენტების წინააღმდეგობის დაძლევის მიზნით ი. კაჭარავამ საისტორიო საზოგადოებას შესთავაზა შემდეგი კონცეფცია: „საყურადღებოა ის, რომ, ჯერ კიდევ მაშინ, 1921-1922 წლებში, როდესაც არ არსებობდნენ საბჭოები, მენშევიკებსა და სხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიებს ვერ გაეგოთ რევკომების სისტემა, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმის მნიშვნელობა და ამიტომ 1921 წ. თებერვალს საქართველოში დამყარებულ რეჟიმს ისინი „საოკუპაციო რეჟიმს" უწოდებდნენ. ამიტომ ისინი, რომლებიც უარყოფენ რევკომების სისტემას, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის გარდამავალი ხასიათის სახელმწიფოებრივ ფორმას მათდაუნებლიედ წყალს ასხამენ ჩვენი საერთო მტრის წისქვილზე"[9].

ამგვარად, ი. კაჭარავა და მისი მომხრეები თავისი პოზიციის განსამტკიცებლად იყენებენ იმჟამინდელი კომუნისტური დოგმატიკისათვის ყოვლად მიუღებელ ვერსიას - აბრალებენ ოპონენტებს, რომ მათი ლოგიკით რევკომები საოკუპაციო ხელისუფლების ორგანოებად ჩაითვლებოდნენ, რასაც რევკომებს თავის დროზე ჯერ კიდევ არაკომუნისტური პარტიების წარმომადგენლები აბრალებდნენ. ეს კი ნებისმიერი საბჭოთა ისტორიკოსისათვის სასიკვდილო ბრალდება იყო. ამ ეტაპზე დისკუსიას შედეგი არ მოჰყოლია, ოპონენტებმა შე-

თანხმებას ვერ მიაღწიეს და საკუთარი პოზიციები შეინარჩუნეს.

საბჭოთა სისტემის დამხობის შემდეგ რევკომების საკითხი კვლავ დარჩა ყურადღების ცენტრში, თუმცა სპეციალური მონოგრაფია არავის დაუწერია. ამჯერად ლ. თოიძე უკვე თვლიდა, რომ „საქართველოში არჩევნების ჩატარება საოკუპაციო რეჟიმის ჩატარების პირობებში მმართველი პარტიისათვის იმ დროს ერთობ სარისკო იყო, რადგან მასში გამარჯვების შანსი კომუნისტებს თითქმის არ გააჩნდათ“[10]. ამრიგად, ლ. თოიძე რევკომების შექმნას მთლიანად უკავშირებს კომუნისტების უუნარობას მიეღწიათ გამარჯვებისათვის საბჭოების არჩევნებზე.

მ. სამსონაძე აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის რევკომი, ისევე როგორც სხვა სახელმწიფო ორგანოები საქართველოში: "ნომინალურად წარმოადგენდნენ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს. ფაქტობრივად მთელ ძალაუფლებას რკ ცკ კავბიურო, სრულიად რუსეთის პროფკავშირთა საბჭო და XI არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭო ფლობდა“[11].

მ. ნათმელაძე კი აღნიშნავს: „რევკომების სისტემა, რომელიც საქართველოში წარმოადგენდა სახელმწიფოებრივი პოლიტიკური მმართველობის გარდამავალ ფორმას, ძალისმიერი მეთოდებით იკაფავდა გზას. მისი მოქმედების ორგანიზაციული ფორმები და მეთოდები ატარებდა ბრძანებების ხასიათს, რომელთა შესრულება სავალდებულო იყო, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ორგანიზაციებისათვის“[12].

როგორც ვხედავთ, ახალ ვითარებაში არცერთი ქართველი ისტორიკოსი რევკომებს აღარ განიხილავს როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ფორმას, ისიც აშკარაა, რომ საქართველოში საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ფორმირების პროცესის მეცნიერული შესწავლა მომავალში აუცილებელია. მსოფლმხედველობითი ცვლილებები, რაც ბოლო ათწლეულში მოხდა საქართველოში და პოსტსაბჭოთა სივრცეში, მოითხოვს რადიკალურად განსხვავებულ მიდგომას ცნობილი ისტორიული ფაქტებისადმი, მათ შორის რევკომებისადმი. ჩვენ ვიზიარებთ ლ. თოიძის, გ. ციციშვილის და სხვათა მოსაზრებას, რომ რევკომები საოკუპაციო რეჟიმის პოლიტიკური ორგანოებია, მაგრამ არა კლასიკური ფორმის. მუდამ უნდა გვახ-

სოვდეს ბოლშევიკების მესიანისტური იდეა - პროლეტარიატის ინტერნაციონალიზმის მარქსისტულ-ლენინური პრინციპები არ გამორიცხავდა რევოლუციურ ომებს, ინტერნაციონალურ დახმარებას როგორც მატერიალურად, ისე შეიარაღებული ძალებითაც. ამიტომ არ შეიძლება მოვლენებს მივუდგეთ მხოლოდ იმ საერთაშორისო სამართლებრივი კანონების გათვალისწინებით, რომელსაც ყოველდღიურად არღვევდა ვ. ი. ლენინი და მისი ბოლშევიკური პარტია.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, საკითხი ხელისუფლების შესახებ საბჭოთა რეჟიმის პირველ წლებში მონოგრაფიულად მუშავდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში და მალე წარედგინება საისტორიო საზოგადოებრიობას.

სხვა პოლიტიკური საკითხებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს მეზობელ სახელმწიფოებთან სასაზღვრო ურთიერთობების დარეგულირება. დღეისათვის აშკარაა, რომ საქართველო „დაისაჯა" და გასაბჭოება მას მნიშვნელოვანი ტერიტორიების დაკარგვის ფასად დაუჯდა. ეს იმდენად „უხერხული" თემა იყო, რომ ქართველი საბჭოთა ისტორიკოსები გაურბოდნენ მის შესახებ საერთოდ საუბარს, ცდილობდნენ მორიდებოდნენ ამ თემის განხილვას, ან ფაქტების კონსტატაციით კმაყოფილდებოდნენ. მაგალითად, კ. შელია წერდა: „პირველად ნაციონალიზმისაკენ გადახრის ფაქტმა თავი იჩინა საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის საზღვრების დაწესების საკითხში"[13]. კ. წერეთელი კი მიუთითებს, რომ „რკპ(ბ) ცკ კავბიუროს კომისია საზღვრების განსაზღვრისას გამოდიოდა აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის ხალხებს შორის მეგობრული თანამშრომლობის დამყარებისა და განმტკიცების ინტერესებიდან. **სავსებით უმტკივნეულოდ** (ხაზგასმა ჩვენია - კ. წ.) დადგინდა საზღვრები ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკებს შორის"[14].

ვ. მერკვილაძე არ ღალატობს საბჭოთა ტრადიციებს და აღნიშნავს: „მხოლოდ საბჭოთა წყობის პირობებში გახდა შესაძლებელი საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ტერიტორიული პრობლემების ჭეშმარიტად ძმური და მშვიდობიანი გზით მოგვარება"[15].

ასეთი პოზიცია დამახასიათებელი იყო ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის, რომელიც ჩქმალავდა, თუ რაოდენ მტკივნეული იყო ქართული ეროვნული ინტელიგენციისათვის ისტორიული ტერიტორიების უაპელაციო გასხვისება. აი, რას სწერდა ამ საკითხთან დაკავშირებით დამფუძნებელი კრების ყოფილი წევრი, სოციალ-დემოკრატი, პოლიტპატიმარი ა. ჭიაბრიშვილი 1923 წელს ლ. ტროცკისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში (ამ წერილს ჩვენ მივაკვლიეთ მოსკოვის „რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში" ლ. ტროცკის ფონდში): „ახალ ქართულ ხელისუფლებას არ შეეძლო არ ებრძოლა ქართველების და ყოველივე ქართულის წინააღმდეგ. პირველყოვლისა, მას უნდა გადაეხადა ვალები მათთვის, ვინც ხელი შეუწყო საქართველოს სოვეტიზაციას: აზერბაიჯანს სადავო ზაქათალა, სომხეთს - ბორჩალოს მაზრა ალავერდის მადნებით, თურქეთს - უდიდესი ნაწილი ისტორიული საქართველოსი, რუსეთმა კი მიიტაცა გაგრის ოლქი, რითაც დაარღვია თავის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი"[16].

მხოლოდ 1976 წელს გაბედა ი. კაჭარავამ დაეწერა შემდეგი: „საქართველოს კომუნისტებმა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის საზღვრების საკითხი გადაწყვიტეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის თვალსაზრისით, როდესაც წავიდნენ გარკვეულ ტერიტორიულ დათმობებზე მოძმე ხალხების სასარგებლოდ, რაც გაუგებარი დარჩა წვრილბურჟუაზიული მოსახლეობისათვის და ქართველი ინტელიგენციის ნაწილისათვის. ესეც თავიდან იქნებოდა აცილებული... რომ კომუნისტური ორგანიზაციები არ აჩქარებულიყვნენ და დროებით გადაედოთ საზღვრების საკითხი ამიერკავკასიის ეროვნებათა შორის უნდობლობის აღმოფხვრამდე"[17].

ახალ ვითარებაში ქართველი ისტორიკოსები უკვე ობიექტურად წარმოაჩენენ საზღვრებთან დაკავშირებულ პერიპეტიებს. ლ. თოიძე[18] და მ. ნათმელაძე[19] ცალსახად უარყოფითად აფასებენ ამ პროცესებს და დანაშაულად უთვლიან ქართველ კომუნისტებს სახელმწიფოს ისტორიული ტერიტორიების უპასუხისმგებლო გაჩუქებას.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრების საკითხი სპეციალური კვლევის საგნად გაიხადა ახალგაზრდა მკვლევარმა

ნ. მირიანაშვილმა. მისი დამსახურება ის არის, რომ მაქსიმალური ობიექტურობით განსაზღვრა XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს ყველა მთავრობის: მენშევიკებისა და ბოლშევიკების პასუხისმგებლობის საკითხი საქართველოს სახელმწიფო საზღვრების გამო. მიშვნელოვნად მიგვაჩნია ავტორის მიერ აქცენტირებული ერთი ისტორიული ფაქტი 1917 წელს ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატების VI ყრილობამ მიიღო რეზოლუცია „ტერიტორიული თვითმმართველობის საზღვრები დგინდება ამა თუ ეროვნების რეალური განსახლების პრინციპით"[20]. ამრიგად, აშკარაა, რომ ტერიტორიების გასხვისების მავნე ტენდენციას გარკვეული საფუძველი ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების უზურპაციამდე ჩაეყარა.

აღნიშნული ნაშრომის ღირსებაა საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებული ყველა გეოგრაფიული არეალის, გეოგრაფიული პუნქტის, გეოგრაფიული ორიენტირის, ნიშნულის ზუსტი და დოკუმენტურ წყაროებთან შეჯერებული ლოკალიზაცია.

ახალმა საბჭოთა ხელისუფლებამ მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებიდან გამომდინარე, დაანგრია ძველი სახელმწიფო მანქანა და ჩამოაყალიბა საბჭოთა, კომუნისტური სახელმწიფო სტრუქტურები, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი ძალისმიერ ინსტიტუტებს ეკუთვნოდათ. ჩვენ გამორჩეულად შევეხებით წითელი არმიის ქართული ქვედანაყოფების ფორმირების საკითხს, რაშიც, ჩვენი აზრით, არის სადავო მომენტებიც.

ქართველი საბჭოთა ისტორიკოსები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ წითელი არმია შეიქმნა ვ. ი. ლენინის სპეციალური მითითებით და ეს იყო საქართველოს სუვერენიტეტზე ლენინური ზრუნვის გამოხატულება. ვ. ესაიაშვილი მიუთითებს, რომ „ლენინმა იცოდა, რომ საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში მრავალი მტერი ჰყავდა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. ასეთ... ვითარებაში საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დაცვა და განმტკიცებისათვის... ვ. ი. ლენინს აუცილებლად მიაჩნდა დაუყოვნებლივ შექმნილიყო ქართული წითელი არმია"[21].

ისტორიკოსები ცდილობდნენ საქმის იმგვარად წარმოჩენას, რომ ქართული ეროვნული ფორმირებების ჩამოყალიბებას ხელს უშლიდა ლ. ტროცკი, რომლის შეხედულებით ეროვნული ფორმირებები გამოიწვევდა საქართველოს სამხედრო გაძლიერებას[22]. ასეთი კატეგორიული განცხადება არაფრით არ იყო გამაგრებული და გვაქვს სერიოზული საფუძველი დავეჭვდეთ მის ჭეშმარიტებაში (ამის შესახებ ქვემოთ).

საბჭოთა სისტემის დამხობის შემდეგ გამოქვეყნებულ ნაშრომებსა თუ დაცულ დისერტაციებში საქმე ისეა წარმოდგენილი, რომ საქართველოს წითელი ჯარის შექმნის დასაწყისი არის 1921 წლის მარტი[23]. თუ ამ მოსაზრების ავტორის მსჯელობა სწორია, მაშინ 1923 წლისათვის ქართული ეროვნული ფორმირებების ჩამოყილიბების საქმე შორს უნდა ყოფილიყო წასული. გვაქვს საფუძველი არ დავეთანხმოთ ამ მოსაზრებას, მით უფრო, რომ ჯერ კიდევ ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაშია გამოთქმული მისაღები შეხედულება ქართული წითელი არმიის ჩამოყალიბების პროცესის სიძნელეებთან დაკავშირებით[24].

ჩვენდა თავად კი აღვნიშნავთ შემდეგს - მოსკოვის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში მივაკვლიეთ მასალას, რომელიც ასახავს რკპ (ბ) XII ყრილობის ეროვნებათა საკითხის სექციის სხდომაზე ი. სტალინისა და ლ. ტროცკის დისკუსიას, რომელიც საერთოდ არ იყო ცნობილი ფართო საისტორიო საზოგადოებისათვის. ი. სტალინის რეპლიკაზე: „შემომაქვს დამატება, დაიწყოს ეროვნული ნაწილების ფორმირება - ქართულის, სომხურის, აზერბაიჯანულის, უკრაინულის“, ლ. ტროცკიმ თავის მეორე გამოსვლაში დაამატა: „არმიის უკრაინული და ქართული ნაწილების შექმნის საკითხი - ეს არის სოფლად ჩვენი სიმტკიცის საკითხი და საჭიროა დრო, რათა მომზადდეს მეთაურთა და პოლიტმუშაკთა შევსება“[25].

როგორც ცნობილია, ლ. ტროცკი რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე იყო, ი. სტალინი- რკპ (ბ) ცკ გენერალური მდივანი. მათ, რა თქმა უნდა, ჩინებულად იცოდნენ საქმის ჭეშმარიტი ვითარება და არ დაინყებდნენ მომავალ დროში საუბარს იმ საკითხებზე, რაც „დე ფაქტოს“ წარმოად-

გენდა. ეს აშკარად მიუთითებს, რომ 1923 წ. მარტისათვის წითელი არმიის ეროვნული ფორმირებები მხოლოდ ქაღალდზე არსებობდნენ.

კომუნისტური სახელმწიფოს პოლიტიკური საფუძველი მისი კონსტიტუცია იყო. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია 1922 წ. თებერვალში მიიღეს. ეს ისტორიული ფაქტი ქართველი საბჭოთა ისტორიკოსებისა და იურისტების განსჯის საგნად იქცა. ვ. მერკვილაძის აზრით საბჭოთა კონსტიტუცია „საქართველოს აცხადებდა სუვერენულ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკად"[26]. გ. ერემოვის შეხედულებით საბჭოთა საქართველოს პირველმა კონსტიტუციამ „განამტკიცა ისეთი სახელმწიფო საზოგადოებრივი წყობილება, რაც სასარგებლო და სასურველი იყო მუშათა კლასისა და ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელისათვის"[27]. ი. კაჭარავა ხოტბას ასხამს საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციას და ასკვნის: „კონსტიტუცია აცხადებს, რომ ჩვენს ქვეყანაში ძალაუფლება ეკუთვნის მუშათა კლასსა და გლეხობას, აღიარებს ეროვნებათა გარანტირებულ თანასწორ უფლებებსა და თავისუფლებებს, გარანტირებულია მოქალაქისათვის აღიარებული დემოკრატიული უფლებები"[28].

ასეთი ოპტიმისტური განწყობილებისათვის, რა თქმა უნდა, საფუძველი არ არსებობდა და ასეთი შეფასებები მთლიანად მიეკუთვნება კომუნისტური დოგმატიკის არსენალს. ვ. მერკვილაძე ჩინებულად ამჩნევს, რომ საქართველოს საბჭოთა კონსტიტუციაში დაფიქსირებულია შენიშვნა: „კონსტიტუცია უცხადებდა სოლიდარობას სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს და გამოთქვამდა მზადყოფნას შესულიყო მათთან მჭიდრო პოლიტიკურ და ეკონომიკურ კავშირში, ასევე ერთიან საერთაშორისო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში, როგორც კი ამისათვის სათანადო პირობები შეიქმნებოდა"[29].

კონსტიტუციის თუნდაც ამ ამონარიდიდან კარგად ჩანს, რომ საქართველოს სუვერენიტეტი - ფიქცია იყო და სუვერენიტეტის დამცველ სახელმწიფოს ძირითად კანონში თავიდანვე ჩადებული იყო შესაძლებლობა მომავალში „როგორც კი ამისათვის სათანადო პირობები შეიქმნებოდა", საქართვე-

ლო რომელიმე „საერთაშორისო კავშირის“ ერთ-ერთ პროვინციად გადაქცეულიყო.

პროლეტარიატის დიქტატურის მთავარი და მუდმივი ფორმა საბჭოები იყო. 1905-1907 წლების რევოლუციის პირმშო ვ. ი. ლენინის მიერ გამოცხადდა პროლეტარიატის დიქტატურის მთავარ საშუალებად, უარყო რა პარლამენტარიზმი, რაც დაედო საფუძვლად დასავლეთ ევროპაში ბურჟუაზიული დემოკრატიის განვითარებას. საქართველოში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბჭოები დაგვიანებით, 1922 წლიდან შეიქმნა. ქართველი ისტორიკოსები ყურადღებას უთმობდნენ საბჭოების არჩევნებს, საბჭოების ორგანიზაციულ-პოლიტიკური განმტკიცების საკითხებს. მაგალითად, კ. შელია აღნიშნავდა, რომ „საბჭოების არჩევნები... საზეიმო განწყობილებაში ჩატარდა“[30]. ლ. თოიძემ სპეციალური მონოგრაფიული გამოკვლევა მიუძღვნა საქართველოში 1921-1925 წლებში საბჭოების შექმნისა და განმტკიცებისათვის ბრძოლას. ნაშრომში მას უამრავი ფაქტოლოგიური მასალა მოჰყავს, რომ დაამტკიცოს როგორი ენთუზიაზმით ირჩევდნენ საწარმოო-დაწესებულებების მშრომელები კომუნისტებს საბჭოებში. ავტორი ეხება საბჭოების ორგანიზაციის თავისებურებებს აფხაზეთში, აჭარასა და სამხრეთ ოსეთში. ლ. თოიძე ამტკიცებდა, რომ „ანტისაბჭოთა პარტიების ცდა - ჩაეფუშათ საბჭოების არჩევნები, მშრომელთა უდიდეს გულისწყრომას იწვევდა და იგი მენშევიკების, მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტების და მათი ამყოლთა სასტიკი დამარცხებით დამთავრდა". ავტორი იმასაც ამტკიცებდა, რომ „თბილისის საბჭოს არჩევნების შედეგებმა ცხადყო მშრომელთა მასებში კომუნისტური პარტიის გავლენის ზრდა, რაც განპირობებული იყო საბჭოთა ხელისუფლების მიერ 9 თვის მანძილზე გატარებული კულტურულ-სამეურნეო და პოლიტიკური ხასიათის ღონისძიებებით“[31].

უამრავი ფაქტოლოგიური მასალის საფუძველზე (მონოგრაფია 300 გვერდზე მეტია) ლ. თოიძე ასკვნის: „კომუნისტური პარტიის მიერ გატარებული სამეურნეო-ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად საქართველოს მუშათა კლასი და გლეხობა მჭიდროდ დაირაზმა საბჭოთა ხელისუფლების დროშის ქვეშ. უდიდესი რევოლუციური ტრადიციების მქონე საქართველოს პროლეტარიატი შეცდომაში ვერ შეიყვანა მტრების

ფარისევლურმა კამპანიამ და საბჭოების არჩევნების დროს, როგორც სხვა ღონისძიებების გატარებისას, მან მხარი დაუჭირა და წარმატება არგუნა კომუნისტურ პარტიას"[32].

თავისი შეხედულებები ლ. თოიძემ რადიკალურად შეცვალა საბჭოთა სისტემის აგონიისა და მისი დამხობის შემდეგ. თავის ბოლო პუბლიკაციებში ის უკვე კრიტიკულად უდგებოდა საბჭოების არჩევნების კომუნისტურ სისტემას და წერდა: „ბოლშევიკური არჩევნების სისტემა... დემოკრატიულობით არ გამოირჩეოდა. საარჩევნო უფლებათა ისეთი შეზღუდვები, რასაც საბჭოების არჩევნების ბოლშევიკური წესი ითვალისწინებდა, ერთობ არაპოპულარულს ხდიდა მას მოსახლეობაში"[33]. მიუხედავად ამისა, ავტორი იმასაც ადასტურებს, რომ „ანტისაბჭოთა პარტიების ცდა ჩაეფუშათ საბჭოების არჩევნები, უშედეგოდ დამთავრდა"[34]. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ, როგორც ჩანს, გამოიყენა ყველა არსებული რესურსი მშრომელების თავის პლატფორმაზე გადმოსაყვანად.

მიგვაჩნია, რომ საბჭოების საკითხი, როგორც ხელისუფლების განსაზღვრული ფორმის რაობის შესახებ, სპეციალური კვლევის საგანი უნდა გახდეს, რადგან აშკარაა, რეალური ძალაუფლება ხელისუფლების ამ ორგანოს კი არ ჰქონდა, არამედ კომუნისტურ პარტიას და მის ადგილობრივ ორგანიზაციებს, რომლებმაც ხელისუფლების ტოტალური უზურპაცია მოახდინეს, რომ საბჭოები ასრულებდენენ „მეხუთე ბორბალის" როლს ტოტალიტარულ სისტემაში, რომლის საფუძველი კომუნისტური პარტიის შეუზღუდავი დიქტატურა იყო. ამ კონტექსტში შეიძლება აღინიშნოს შემდეგიც: წინამდებარე გამოკვლევა ძირითადად საბჭოთა წლებში გამოქვეყნებული მონოგრაფიების, გამოკვლევების კრიტიკული გააზრების საფუძველზე დაიწერა. ეს ნაშრომები ცალსახად კომუნისტური პარტიის პანეგერიკს წარმოადგენენ და პარტიის მოღვაწეობის ნებისმიერი მიმართულება (მათ შესახებ საუბარი წინამდებარე გამოკვლევის სპეციალურ პარაგრაფებში გვექნება) გამორჩეულ მონონებას იმსახურებს. ამიტომაც ამ ეტაპზე საჭიროდ ჩანს კომუნისტური პარტიის ისტორიის ობიექტური შესწავლა და კრიტიკული გააზრება, რაც მომავლის საქმეა.

ასევე სპეციალურ შესწავლას მოითხოვს პროფკავშირული მოძრაობის თავისებურებანი საქართველოში 1921-1925 წლებში, რადგან საბჭოთა ისტორიკოსები პროფკავშირების მუშაობას ცალსახად დადებითად აფასებდნენ[35], თუმცა აშკარაა, რომ საბჭოთა პროფკავშირები რადიკალურად განსხვავდებოდნენ იმ პროფესიული გაერთიანებებისაგან, რომლებიც შეიქმნენ და განვითარდნენ დასავლეთ ევროპაში და ხელეწიფებოდათ ებრძოლათ მშრომელთა პროფესიული ინტერესების დასაცავად.

ყველაზე დიდ აზრთა სხვადასხვაობას ქართულ ისტორიოგრაფიაში იწვევს ანტისაბჭოთა პარტიებისა და ანტისაბჭოთა მოძრაობის შეფასება. საქართველოს ძალმომრეობით გასაბჭოებას საქართველოს პოლიტიკური პარტიების უმეტესობა უარყოფითად შეხვდა. გამონაკლისს წარმოადგენდა მემარცხენე სოციალ-ფედერალისტური პარტია, რომელმაც თავიდანვე კურსი აიღო კომუნისტებთან თანამშრომლობაზე.

ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია თავიდანვე კრიტიკულად აფასებდა არაკომუნისტური პარტიების მოღვაწეობას, მიაჩნდა ისინი კონტრრევოლუციური მოძრაობის მნიშვნელოვან რეზერვად. აკად. ი. კაჭარავა შენიშნავს: „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იარაღს არ ყრიან დამარცხებული კლასები და მათი პოლიტიკური პარტიები. ისინი აჩაღებენ კონტრრევოლუციურ... მუშაობას“[36]. გ. ჯანგველაძემ სპეციალურად შეისწავლა წვრილბურჟუაზიული პარტიების საქმიანობა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში და ხაზგასმით მიანიშნა: „საქართველოს მთავრობა ყოველგვარ პირობებს უქმნიდა წვრილბურჟუაზიულ პარტიებს... შემობრუნებულიყვნენ მშრომელი ხალხის მხარეზე, ზურგი ექციათ წარსულისათვის“[37].

ქართველი საბჭოთა ისტორიკოსები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ანტისაბჭოთა პარტიების დისკრედიტაციაში, მათ საქმიანობას მხოლოდ უარყოფითად აფასებდნენ, მიუთითებდნენ, რომ „მენშევიკებმა, მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტებმა, ეროვნულმა დემოკრატებმა ორ ფრონტზე დაუწყეს ბრძოლა საქართველოს მშრომელებს: ქვეყნის შიგნით ათასგვარ ჭორებს ავრცელებდნენ საბჭოთა ხელისუფლების მიზნებისა და ამოცანების შესახებ, ხოლო საზღვარგარეთ გაქ-

ცეულმა კონტრრევოლუციური პარტიების ნარჩენებმა ფართო ცილისმწამებლური აგიტაცია გააჩაღეს და ენერგიულად შეუდგნენ... თავიანთი ბატონობის აღდგენის მზაკვრული გეგმის განხორციელებას"[38].

ისტორიკოსები პოლიტიკურ ვითარებას ისე წარმოადგენდნენ, თითქოს საქართველოს მშრომელებმა ზურგი აქციეს ანტისაბჭოთა პარტიებს, რამაც გამოიწვია მათი დეზორგანიზაცია და თვითლიკვიდაცია[39]. "საქართველოს ისტორიის ნარკვევების" ავტორები ხაზგასმით მიუთითებდნენ: „მათი დაშლის პროცესი ჩქარი ტემპით განვითარდა 1923 წლიდან... მენშევიკური პარტიის რიგებიდან მასობრივად დაიწყო მუშებისა და გლეხობის გამოსვლა"[40].

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან უახლესი ქართული ისტორიოგრაფია ხელმეორედ მიუბრუნდა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში არაკომუნისტური პარტიების ადგილისა და როლის მნიშვნელობის გარკვევის საკითხს. გამოქვეყნდა რ. გრძელიძის, ო. ჯანელიძის, ნ. ჯორჯიკიას და სხვათა საყურადღებო მონოგრაფიები და გამოკვლევები. ისინი რადიკალურად გაემიჯნენ ანტისაბჭოთა პარტიების საქმიანობის შეფასებაში საბჭოთა ისტორიოგრაფიის დებულებებსა და დასკვნებს.

მაგალითად, ნ. ჯორჯიკია ამტკიცებს: „საქართველოში დარჩენილი პოლიტიკური ორგანიზაციები და ჯგუფები: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული, სოციალ-ფედერალისტური და სოციალ-რევოლუციონერთა პარტიები, დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატები - „სხიველები", მაშვრალთა კავშირი, დადგნენ რა შემდგომი არსებობის მეტად არახელსაყრელი პირობების პირისპირ, არ დაიშალნენ ორგანიზაციულად, არამედ შეუდგნენ საკუთარი ადგილის ძებნას ახალ ვითარებაში, საჯაროდ გამოხატეს საკუთარი დამოკიდებულება მომხდარი ცვლილებებისადმი. განსაზღვრეს შემდგომი მოქმედების გეზი"[41].

მეტად საყურადღებოდ გვეჩვენება ავტორის მტკიცება, რომ ანტისაბჭოთა პარტიების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, პროვოცირებული იყო „ამ ხელისუფლების პრაქტიკული საქმიანობით"[42]. მისაღებია მისი დასკვნაც: „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირ-

ველ ხუთწლედში აქ მოქმედი არაკომუნისტური პოლიტიკური პარტიები და ჯგუფების რეალური დადებითი შედეგი, ერთი შეხედვით, არ არის თვალში საცემი, რაც ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს იმდროინდელი პოლიტიკური სისტემის პირობებში"[43].

რ. გრძელიძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს არაკომუნისტური პარტიების „თვითლიკვიდაციის" საკითხს და მიანიშნებს, რომ ეს პროცესები „ხელისუფლების მიერ იყო ინსპირირებული"[44].

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მოღვაწეობის შეფასების სერიოზული განაცხადია ო. ჯანელიძის მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელშიც გარკვეული ყურადღება აქვს დათმობილი საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, თავიდანვე ეროვნულ პოზიციაზე მდგომი პარტიის მოღვაწეობას კომუნისტური ხელისუფლების მხრიდან სასტიკი რეპრესიების პირობებში. ავტორს მოჰყავს საინტერესო ინფორმაცია საგანგებო კომისიის აგენტურული ცნობებიდან, სადაც მითითებული იყო შემდეგი: „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია შედგება მემარჯვენე ქართული მიმდინარეობის წარმომადგენელთაგან და დგას მონარქიული კონტრრევოლუციის სამსახურში. პარტია ძალზე ძლიერია ინტელექტუალური ძალებით, მაგრამ ამჟამად დაქუცმაცებულია"[45].

საქართველოს პოლიტიკური პარტიები, რა თქმა უნდა, ვერ შეურიგდებოდნენ კომუნისტების მიერ ისტორიული ტერიტორიების გაჩუქებას, ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის იგნორირებას, ეროვნული სუვერენიტეტის შებღალვას, მართლმადიდებლური ქართული ეკლესიის დევნა-შევიწროებას და ანტისაბჭოთა ბრძოლის გზას დაადგებოდნენ. ფაქტობრივად, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე დაიწყო ლეგალური თუ არალეგალური ბრძოლა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად. ამ ისტორიული ფაქტის შესახებ ასევე რადიკალურად განსხვავებული შეხედულებებია ქართულ ისტორიოგრაფიაში. „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" ავტორები აცხადებენ: „ანტისაბჭოთა პარტიებმა და ინტელიგენციის ზოგიერთმა ფენამ, მიუხედავად აღნიშნული დათმობისა, საბჭოთა ხელისუფლე-

ბასთან თანამშრომლობის გზა უარყო და სააჯანყებო მუშაობა დაიწყო"[46].

„საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევების" ავტორები კი მიუთითებენ: „გლეხობის უკმაყოფილებით მაშინვე ისარგებლეს კონტრრევოლუციური პარტიების ნაშთებმა, რომლებმაც შეძლეს ქვეყნის ზოგიერთ რაიონში აეჯანყებინათ კულაკები"[47].

ამ შეხედულებებისაგან რადიკალურად განსხვავებულია აღნიშნულ პერიოდში ანტისაბჭოთა მოძრაობასთან დაკავშირებით თანამედროვე ქართველი ისტორიკოსების მოსაზრებები და დასკვნები. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ანტიბოლშევიკური ერთიანი ფრონტის შექმნის საკითხს. ო. ჯანელიძე გამოყოფს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის როლს ანტისაბჭოთა მოძრაობის ინტენსიფიკაციის საქმეში და წერს: „მენშევიკურმა მთავრობამ თავისი სოციალისტური კურსით ქვეყანა დაღუპვამდე მიიყვანა, ხოლო თვითონ თავს უცხოეთში გახიზვნით უშველა - მებრძოლი ქართველი ერის „პოლიტიკური და სამხედრო სარდლობა" ეროვნულ-დემოკრატებს უნდა ეკისრათ[48].

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გამოჩენილ როლზე ყურადღებას ამახვილებს გ. ციციშვილი, როდესაც მიანიშნებს, რომ „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ნაწილი რადიკალური არალეგალური მოძრაობის მნიშვნელოვან ძალად ჩამოყალიბდა. მეორე ნაწილმა... ექსტრემისტულ მიმდინარეობას დაუჭირა მხარი, მათგან იქმნებოდა პარტიზანული და მეამბოხური რაზმები"[49].

მეტად საყურადღებოდ გვეჩვენება ო. ჯანელიძის მოსაზრება ანტისაბჭოთა პარტიების ერთიანი ფრონტის წიაღში არსებული განხეთქილების შესაძლებლობაზე: „ამგვარი გაერთიანება არა მხოლოდ ანტიბოლშევიკური - ანტიმენშევიკურიც გამოდიოდა, რასაც ვერ დაუშვებდნენ ვერც საქართველოში დარჩენილი სოციალ-დემოკრატები და ვერც მათი ევროპაში ემიგრირებული ლიდერები. ისინი ესწრაფოდნენ ბოლშევიკებისაგან განთავისუფლებულ საქართველოშიც შეენარჩუნებინათ ძველი პოზიციები და სრული ძალაუფლება"[50]. ამ მოსაზრებას იზიარებს გ. ციციშვილიც - „მართალია, ეროვნული მოძრაობის საერთო სტრატეგიული მიზანი, ერთი-

ანი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და მისი სუვერენიტეტის შენარჩუნება იყო, მაგრამ ამ მიზნის მიღწევის გზებში ეროვნული მოძრაობის თითოეული მიმდინარეობა განსხვავებული მეთოდების უპირატესობას ხედავდა"[51]. ავტორის აზრით, ანტისაბჭოთა პარტიების შიგნით არსებული წინააღმდეგობები ქართველი ისტორიკოსების სპეციალური კვლევის საგანი არ გამხდარა, რასაც ჩვენც ვეთანხმებით.

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ჩინებულადაა შესწავლილი ანტისაბჭოთა მოძრაობის განვითარების ყველა ეტაპი. ახალი საარქივო და მემუარული მასალის გამოყენების საფუძველზე შეფასებულია „პარიტეტული კომიტეტის", „დამოუკიდებლობის კომიტეტის", სვანეთის, გურიის, კახეთის მთიანეთის, აჭარის ანტისაბჭოთა აჯანყებების მნიშვნელობა. თ. ენდელაძე გამოყოფს ეროვნულ-დემოკრატების - მუშნი და ოთარ დადიანების, აფხაზეთის ანტისაბჭოთა მოძრაობის წარმომადგენლების მიერ უკვე 1922 წლის ზაფხულში საყოველთაო აჯანყების მოწყობის მცდელობას, რაც ფაქტობრივად პირველი ცდა იყო [52].

სერიოზული ყურადღება დაეთმო, თუმცა მიგვაჩნია, რომ ზედმეტად გადაჭარბებული, თვალსაჩინო ქართველი საზოგადო მოღვაწეების მ. ჯავახიშვილის, კ. მისაბიშვილის, ნ. ხომერიკის, შ. ნუცუბიძის და სხვათა წინააღმდეგობრივი, ხშირ შემთხვევაში დღემდე გაურკვეველი პოზიციების, ქმედებების ანალიზსა და პოლემიკას, როგორც გაზეთების ფურცლებზე, ისე მონოგრაფიულ გამოკვლევებში.

ცხადია, რომ 1921-1923 წწ. ანტისაბჭოთა მოძრაობამ მოამზადა საფუძველი 1924 წლის აჯანყებისათვის, რის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია უდიდეს ყურადღებას უთმობს საქართველოს ემიგრაციის პოლიტიკურ მოღვაწეობას. უამრავი ფაქტოლოგიური მასალა, ახალი დოკუმენტური წყაროები იძლევა ჩინებულ საფუძველს ამ პრობლემის ყოველმხრივ შესასწავლად. ეს საკითხი ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის წინაშეც იდგა: ეხებოდნენ ქართული ემიგრაციის საქმიანობას დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და დედაქალაქებში, მათ აქტიურობას გენუის საერთაშორისო

კონფერენციასთან დაკავშირებით, საზღვარგარეთის ქვეყნების საელჩოებს აბრალებდნენ „კონტრრევოლუციური პარტიების" შეგულიანებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ამტკიცებდნენ: „ანტისაბჭოთა პარტიებმა გადაწყვიტეს საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავზე მოეხვიათ სამოქალაქო ომი და გამოეწვიათ უცხოელთა ინტერვენცია საქართველოში. მაგრამ... ინტერვენციის გამოწვევის ყველა ცდა სამარცხვინოდ იფუშებოდა"[53].

ამის საწინააღმდეგოდ, თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია დეტალურად სწავლობს საქართველოს ემიგრაციული მთავრობის და დამფუძნებელი კრების წევრთა პოლიტიკურ-ორგანიზაციულ საქმიანობას, დიპლომატიური მისიებისა და წარმომადგენლობების ღვაწლს ევროპაში, საქართველოს დემოკრატიული მთავრობის ყოველ ნაბიჯს, ყოველ განცხადებას პარიზში ჩასვლის შემდეგ[54].

თუმცა, ეს ავტორები ჩინებულად ამჩნევენ იმ პრობლემებსაც, რაც საქართველოს ემიგრაციას შეექმნა დასავლეთ ევროპაში. სამართლიანად მიუთითებენ: „საქართველოს მთავრობის ე. წ. სოციალისტური სოლიდარობის კურსი ფუჭი ნაყოფი გამოდგა ევროპასთან დამოკიდებულებაში"[55]. ასევე გასათვალისწინებელია შემდეგი მოსაზრებაც: „ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის წინააღმდეგობებმა ისე ღრმად გაიდგა ფესვები, რომ საერთაშორისო მასშტაბითაც კი შედეგი ვერ მოიტანა"[56]. სერიოზულ ყურადღებას უთმობენ ემიგრაციაში სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის არსებულ გადაულახავ წინააღმდეგობებს[57]. სამართლიანად მიუთითებს თ. ენდელაძე, რომ საქართველოს ძალოვანმა სტრუქტურებმა, საგანგებო კომისიის აგენტურამ მოახერხეს ქართული პოლიტიკური ემიგრაციის გათიშვა[58].

ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაზე ობიექტური ისტორიზმის პოზიციებიდან სამეცნიერო გამოკვლევები ბოლო წლებში შეიქმნა და, ალბათ, მომავალშიც არა ერთი დაიწერება, რადგან ყოველწლიურად ვლინდება ახალი საარქივო მასალა, საყურადღებო დოკუმენტები, საინტერესო მემუარები.

2. „ნაციონალ-უკლონიზმის“ პრობლემა

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ი. ბ. სტალინის მითითებით ლ. ბერიამ 1935 წელს წაიკითხა მოხსენება „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“. მოგვიანებით ლ. ბერიამ მას დაუმატა სპეციალური თავი –„ნაციონალ-უკლონიზმთან ბრძოლის ისტორიისათვის (1913-1924 წწ.). ავტორის აზრით „ნაციონალ-უკლონიზმის“ საფუძვლებს ბოლშევიზმის ისტორიაში უფრო ადრე უნდა ვეძებდეთ, ვიდრე ეს 1921-1924 წლებია“. ლ. ბერიას ამ წიგნში ჩამოყალიბებულია „ნაციონალ-უკლნიზმის“ – როგორც პოლიტიკური მოვლენისა და ისტორიული ფაქტის საკუთარი, იმჟამინდელი პარტიული, ოფიციალური პოზიცია:

„1. ნაციონალ-უკლონიზმი საქართველოს ბოლშევიკთა, კომპარტიის რიგებში წარმოადგენდა მემარჯვენე ოპორტუნისტულ მიმდინარეობას, რომელიც გამოხატავდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მენშევიკური ელემენტების ზემოქმედებას პარტიული ორგანიზაციის ცალკეულ ფენებზე. ნაციონალ-უკლონისტთა ოპოზიცია, დაადგა რა პარტიის წინააღმდეგ ბრძოლის გზას, ქართული მენშევიზმის პოზიციებზე დაქანდა.

2. ნაციონალ-უკლონიზმი წარმოადგენდა შემტევ შოვინიზმს, რომელიც ასახავდა ქართველი მენშევიკების და ნაციონალ-დემოკრატების დიდმპყრობელურ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს.

ნაციონალ-უკლონისტები დაადგნენ რა ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის გზას, გააფთრებით იბრძოდნენ ამიერკავკასიის ფედერაციისა და აფხაზეთის, აჭარისტანის, სამხრეთ-ოსების ავტონომიის წინააღმდეგ, ნაციონალურ უმცირესობათა ჩაგვრის სამუდამოდ განსამტკიცებლად საქართველოში.

3. ისინი აგრარულ-გლეხურ საკითხში ასახავდნენ ქართველ თავადაზნაურთა და კულაკთა ინტერესებს და მოთხოვნილებებს, იცავდნენ სოფლის განვითარების კაპიტალისტურ გზას.

4. ნაციონალ-უკლონისტებმა კონტრრევოლუციურ მენშევიზმთან ბრძოლის საკითხში აშკარად ლიბერალურ-შემრიგებლური პოზიცია დაიჭირეს.

5. ნაციონალ-უკლონიზმი თუ გაიმარჯვებდა, განამტკიცებდა ბატონყმობის ნაშთებს სოფლად, გაამაგრებდა კულაკების პოზიციებს, გადააქცევდა საქართველოსა და ამიერკავკასიას ეროვნებათა შორის შეხლა-შემოხლის ასპარეზად, ხელ-ფეხს გაუხსნიდა მენშევიკებს... და ამით გზას გაუკაფავდა იმპერიალისტურ ინტერვენციას და კაპიტალიზმის რესტავრაციას.

6. ნაციონალ-უკლონისტები თავიდანვე დაქანდნენ ტროცკისტულ-მენშევიკურ პოზიციაზე... გადაიქცნენ ფაშიზმის დაქირავებულ აგენტებად, ჯაშუშების, დივერსანტების... და ხალხის მტრების თავზეხელაღებულ ბანდად.

7. საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ, ლენინისა და სტალინის ნაციონალური პროგრამით შეიარაღებულმა, დაამარცხეს და გაანადგურეს ნაციონალ-უკლონისტები... შექმნეს და განამტკიცეს ამიერკავკასიის ფედერაცია"[59]. ეს არის მკვეთრად გამოხატული ოფიციალური პარტიული პოზიცია.

როცა ლ. ბერიას ნაშრომს ეს ქვეთავი დაემატა, ნაციონალ-უკლონისტების ლიდერების უმრავლესობა ცოცხალი აღარ იყო – ისინი შეეწირნენ 1936-1937 წლების მასობრივ რეპრესიებს. 1953 წელს დაამხეს ლ. ბერიაც, მაგრამ მის ნაშრომში ჩამოყალიბებული „ნაციონალ-უკლონიზმის" შეფასების ძირითადი დებულებები – თითქმის უცვლელი დარჩა. ამას ცხადყოფს აღნიშნული პრობლემის გარშემო საბჭოთა პერიოდში შექმნილი მდიდარი ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის კრიტიკული შეფასება. მაგალითად, უ. სიდამონიძე ჯერ კიდევ 1956 წელს აცხადებდა: „ქართველი ნაციონალ-უკლონისტები, რომლებიც ჩაბუდებულნი იყვნენ საქართველოს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში, ეწეოდნენ ლაგამამოუდებელ ანტიპარტიულ, ძირგამომთხრელ საქმიანობას იმისათვის, რომ თავის მხარეზე გადაეყვანათ პარტიული მასა ამიერკავკასიის ფედერაციის საწინააღმდეგოდ"[60].

კ. შელია მიუთითებდა: „ლენინური ნაციონალური პოლიტიკის გატარების წინააღმდეგ ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამეურნეო დაახლოების წინააღმდეგ გაილაშქრეს ქარ-

თველმა ნაციონალ-უკლონისტებმა"[61]. აკად. ი. კაჭარავა აღნიშნავდა: „ქართულ ნაციონალ-უკლონიზმს კვებავდა წვრილბურჟუაზიული სტიქია და ბურჟუაზიული ნაციონალიზმით მოწამლული ატმოსფერო..."[62] და ა. შ.

ამგვარად, ლ. ბერიას მიერ ჩამოყალიბებული შეხედულებები „ნაციონალ-უკლონიზმის" შესახებ ძირითადად განმსაზღვრელი იყო საბჭოთა პერიოდის ქართველი ისტორიკოსებისათვის. ისინი მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას ავლენდნენ „ნაციონალ-უკლონისტების" წინააღმდეგ.

ვინ იყვნენ ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტები? ფ. მახარაძე – პიროვნება, რომელიც ინტერნაციონალიზმის პოზიციებიდან მთელი სიცოცხლე ი. ჭავჭავაძის წინააღმდეგ იბრძოდა, ბ. მდივანი – ი. ბ. სტალინის პირადი მეგობარი ჯერ კიდევ ბაქოს პარტიული ორგანიზაციიდან, რომლის ინიციატივით ის დაინიშნა საქართველოს რევკომის თავმჯდომარედ, ს. ქავთარაძე – ი. ბ. სტალინის პირადი მეგობარი, რომლის ბინაზეც პეტერბურგში სტალინი არაერთხელ დამალულა, ი. ბ. სტალინის ცოლისძმა - ა. სვანიძე და სხვები, რომელთა უმრავლესობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ კანონგარეშე გამოაცხადა.

რა პირობები ასაზრდოებდა „ნაციონალ-უკლონიზმის" ჩამოყალიბებას საქართველოს კომპარტიის ზედა ფენებში? როგორც ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია მიუთითებდა, ამის მიზეზი იყო შემდეგი:

1. თავისი სოციალური შემადგენლობით საქართველოს კომპარტია არაერთგვაროვანი იყო. მის რიგებში ჭარბობდნენ არაპროლეტარული ფენების წარმომადგენლები, რაც პარტიას ერთგვარ წვრილბურჟუაზიულ დაღს ასვამდა;

2. საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში და მთელ ამიერკავკასიაში წარსულმა დაუტოვა ნაციონალიზმისა და შოვინიზმის მძიმე გადმონაშთები;

3. მეურნეობის ნგრევის პირობებში წვრილბურჟუაზიული სტიქიის საფრთხე საქართველოში სულ უფრო ძლიერდებოდა.

ყოველივე ეს ხელს უწყობდა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ზეგავლენის ზრდას, რომელსაც ასაზრდოებდა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში გააქტიურებული წვრილ-

ბურჟუაზიული გარემო. ეს იწვევდა ორჭოფობას პარტიის მერყევ წევრებს შორის და წარმოადგენდა შინაპარტიული უთანხმოების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს"[63].

„ნაციონალ-უკლონიზმის" ჩამოყალიბება საქართველოში გამოიწვია ამიერკავკასიის ფედერაციის იდეის რეალიზაციამ. ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ამ საკითხს გამორჩეული ყურადღება აქვს დათმობილი. სანამ ამის შესახებ მსჯელობას შევუდგებოდეთ, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამიერკავკასიის ერთიანი სახელმწიფო უკვე არსებობდა 1917-1918 წწ. რომელსაც თურქეთის აგრესიულმა შემოტევამ მოუღო ბოლო. ამრიგად, საქართველოს საზოგადოებრივი აზრისათვის ერთიანი კავკასიური პოლიტიკური და ეკონომიკური სივრცის მოწყობის იდეა უცხო არ უნდა ყოფილიყო და მის მშენებლობას ხომ დემოკრატიული საქართველოს მესვეურებიც აპირებდნენ კიდეც, მაგრამ ვერ მოახერხეს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ვ. ესაიაშვილმა გამორჩეული ყურადღება დაუთმო ამიერკავკასიის ფედერაციის იდეის წარმოშობის საკითხს. იგი წერდა: „თვით ცხოვრება, პრაქტიკა იძლეოდა საფუძველს ამიერკავკასიის ფედერაციული კავშირის იდეის წარმოშობისათვის... იდეის წამოყენებას გააჩნდა თეორიული საფუძველი... ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა ამიერკავკასიის ფედერაციის იდეა წამოაყენეს ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ამიერკავკასიაში"[64]. ვ. ესაიაშვილი ამიერკავკასიის ფედერაციის იდეის რეალიზაციის საქმეში გამორჩეულ მნიშვნელობას ვ. ი. ლენინს ანიჭებს. ავტორს მოჰყავს საკმაოდ მდიდარი საილუსტრაციო მასალა საკუთარი კონცეფციის გასამყარებლად. ამ საკითხზე ყურადღება სპეციალურად გავამახვილეთ იმის გამო, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოითქმება ახალი შეხედულება ვ. ესაიაშვილის მოსაზრებების კრიტიკის გარეშ (ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი).

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის ეკონომიკურ მიზეზებზე განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებს უ. სიდამონიძეც. იგი წერს: „მხოლოდ ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამეურნეო-ეკონომიკური და სამხედრო პოლიტიკური გაერთიანება, ეროვნული მშვიდობიანობის დამყარება აძლევდა ამიერკავკასიის ხალხებს შეენარჩუნებინათ და განემტკიცე-

ბინათ საბჭოთა ხელისუფლება ამიერკავკასიაში"[65]. ეკონომიკურ მიზეზებს მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევენ ამ საკითხზე მომუშავე სხვა ავტორებიც.

ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია ნაციონალ-უკლონისტების მთავარ შეცდომად თვლიდა ორ ანტიპარტიულ გადახრას ეროვნულ საკითხში: „ერთი მხრივ, ისინი წინააღმდეგნი იყვნენ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნისა და საქართველოს სსრ კავშირში ამ ფედერაციის მეშვეობით შესვლისა, ხოლო, მეორე მხრივ, ილაშქრებდნენ აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური უფლებების მინიჭების წინააღმდეგ"[66]. მაგრამ ამ კონფლიქტში მაინც მთავარი იყო გადაულახავი წინააღმდეგობა რკპ (ბ) ცკ კავბიუროს (შემდეგ სამხარეო კომიტეტის) ხელმძღვანელობასა და საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობას შორის. საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობის ყველა ღონისძიება: საფინანსო და აგრარული პოლიტიკა, სასაზღვრო კორდონების საკითხი, მეზობელ რესპუბლიკებთან საზღვრების მოწესრიგება და სხვა საკითხები ფასდებოდა როგორც გადახრა პარტიის ეროვნული პოლიტიკის გენერალური ხაზიდან.

ქართველი საბჭოთა ისტორიკოსები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა ერთადერთი სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილება იყო. ვ. ესაიაშვილი მიუთითებდა: „ჯერ ერთი – ეს გაერთიანება შეაერთებდა სამეურნეო ძალებსა და შესაძლებელს გახდიდა ამიერკავკასიის ბუნებრივი სიმდიდრეებისა და საწარმოო ძალების უფრო ეფექტურ გამოყენებას... მეორე – ეს გაერთიანება უფრო ეფექტურს გახდიდა მთელი მხარის მართვას და გააძლიერებდა მის თავდაცვისუნარიანობას. მესამე – ეს გაერთიანება უზრუნველყოფდა... ეროვნული შუღლისა და უნდობლობის სწრაფად აღმოფხვრას და განამტკიცებდა ეროვნულ სიმშვიდეს[67]. მსგავს შეხედულებებს ავითარებდნენ: ი. კაჭარავა[68], კ. შელია[69], უ. სიდამონიძე[70], კ. წერეთელი[71], ვ. მერკვილაძე[72], ფ. ლომაშვილი[73] და სხვ.

ქართველ საბჭოთა ისტორიკოსებს უამრავი ფაქტოლოგიური მასალა მოჰყავთ, როგორც რკპ(ბ) ცკ პლენუმების რეზოლუციებიდან და გადაწყვეტილებებიდან, ასევე საქართველოს კპ(ბ) ცკ შესაბამისი დადგენილებებიდან, პარტიისა და

მთავრობის ლიდერების წერილებიდან თუ დაშიფრული დეპეშებიდან იმის დასამტკიცებლად, რომ საქართველოში განხორციელებული კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკა გამორიცხავდა „ნაციონალ-უკლონისტების" მცდელობას მოეწყვიტათ საქართველო ამიერკავკასიის ძმური ოჯახიდან.

ყველაზე დიდ ყურადღებას აქცევდნენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის პროცესში ი. ბ. სტალინის „ავტონომიზაციის" პროექტთან დაკავშირებული პრობლემების ინტერპრეტაციას. ეს საკითხი საბჭოთა ისტორიოგრაფიის წინაშე საერთოდ არ იდგა სკკპ XX ყრილობამდე, მაგრამ ნ. ხრუშჩოვის მიერ დაწყებული ანტისტალინური მოძრაობის პერიოდში ეს საკითხი სამეცნიერო მსჯელობის საგანი გახდა.

როგორც ცნობილია, „დამოუკიდებელი" საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის პრინციპების განსაზღვრა დაევალა პარტიულ კომისიას, რომელსაც ვ. კუიბიშევი ხელმძღვანელობდა. ამ კომისიაში ი. ბ. სტალინი, ბ. მდივანი და სხვებიც შედიოდნენ. ი. სტალინმა კომისიას წარუდგინა ე. წ. "ავტონომიზაციის" პროექტი, „დამოუკიდებელი" საბჭოთა რესპუბლიკები რსფსრ-ს შემადგენლობაში შედიოდნენ ავტონომიის უფლებით. კომისიის სხდომაზე ამ პროექტს დაუპირისპირდა ბ. მდივანი, თუმცა ხმების უმრავლესობით მაინც მიიღეს ცალკეული შესწორების გათვალისწინებით. აღნიშნული პროექტი დაეგზავნათ ნაციონალური კომპარტიების ხელმძღვანელ ორგანოებს. მას ყველაზე დიდი წინააღმდეგობა საქართველოში შეხვდა. საქართველოს პარტიული ლიდერები გამოდიოდნენ არა მარტო „ავტონომიზაციის" ფორმით საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შესვლის წინააღმდეგ, არამედ მოითხოვდნენ „დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტის შენარჩუნებას"[7].

ასეთმა განცხადებამ კიდევ უფრო გაამძაფრა ურთიერთობა საქართველოს კომპარტიის ლიდერებსა და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობას შორის. საქმეს ვერ უშველა იმანაც, რომ ი. ბ. სტალინმა ლენინის მითითებით, ორ დღეში შეცვალა „ავტონომიზაციის" გეგმა და დათანხმდა „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის" შექმ-

ნის იდეას, რომელშიც ოთხი სუბიექტი შევიდოდა: რსფსრ, ამიერკავკასიის სფსრ, უკრაინა და ბელორუსია. ამ იდეის რეალიზაცია მიზნად დაისახა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის ოქტომბრის პლენუმმა. მისი გადაწყვეტილებით საქართველო კვლავ ამიერკავკასიის ფედერაციის საშუალებით შედიოდა საკავშირო სახელმწიფოს შემადგენლობაში, ხოლო ფედერაციიდან გამოსვლის უფლება მას არ ჰქონდა.

ამის შემდეგ ქართველი „ნაციონალ-უკლონისტები" კვლავ აგრძელებდნენ ბრძოლას, როგორც ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის, ისე რკპ(ბ) ცკ ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებების წინააღმდეგ, ცდილობდნენ უშუალოდ დაკავშირებოდნენ პარტიის ბელადს, აკრიტიკებდნენ ი. სტალინისა და ს. ორჯონიკიძის პოლიტიკას ამიერკავკასიის მიმართ და ცდილობდნენ ლ. ტროცკის, ნ. ბუხარინის და პარტიის სხვა ლიდერების მხარდაჭერის მოპოვებას. მაგრამ ვ. ი. ლენინისაგან 1922 წლის 21 ოქტომბერს მკაცრი წერილის მიღების შემდეგ საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა გადადგა. ეს უპრეცედენტო შემთხვევა იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიაში.

ამრიგად, ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფია 50-70-იან წლებში მეტ-ნაკლები სიზუსტით იმეორებდა იმ საისტორიო მოსაზრებებსა და დასკვნებს, რაც ჯერ კიდე 30-40-იან წლებში ჩამოყალიბდა ისტორიულ-პარტიულ აზროვნებაში საკვლევი პრობლემის გარშემო, რამაც ასახვა ჰპოვა ლ. ბერიას აღნიშნულ წიგნშიც. ისტორიკოსები ცდილობდნენ მხოლოდ ახალი ფაქტოლოგიით და არგუმენტებით მისი ცალკეული დებულებების განმტკიცებას. მათ ნაშრომებში ი. სტალინისა და ს. ორჯონიკიძის მიმართ გამოთქმული კრიტიკული შეხედულებები აიხსნებოდა პიროვნების კულტის განქიქების პერიოდში სტალინის მოღვაწეობის ზოგიერთი მხარის კრიტიკის რეგლამენტირებული ჩარჩოებით. ამ პრობლემების გაშუქების დროს ეს კრიტიკა, რა თქმა უნდა, ვ. ი. ლენინის როლზე და მის მოღვაწეობაზე არ ვრცელდებოდა.

1985 წელს შეიცვალა სკკპ ცკ ხელმძღვანელობა, დაიწყო ე. წ. „გარდაქმნა" და მ. გორბაჩოვის ახალი კურსი. „საჯაროობამ" განსაკუთრებით რელიეფურად წარმოაჩინა წარ-

სულის ისტორიული გამოცდილება, კვლავ დაიწყეს ი. ბ. სტალინის მოღვაწეობის კრიტიკა, საისტოროიო მეცნიერებაში უდიდესი ყურადღება მიექცა ისტორიის ე.წ. „თეთრი ლაქების" შესწავლას. საქართველოშიც გაძლიერდა ყურადღება ისეთი აქტუალური პრობლემებისადმი, როგორიცაა „რუსეთის მიერ საქართველოს ხელმეორედ ანექსია", „ნაციონალ-უკლონიზმი საქართველოში", „1924 წლის აჯანყება", „1937 წლის მასობრივი რეპრესიები" და ა. შ. ასეთ ვითარებაში მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში შედგა დისკუსია „ნაციონალ-უკლონიზმის" პრობლემებზე. დისკუსიაში მონაწილეობდნენ აკად. ი. კაჭარავა, პროფესორები ლ. თოიძე, გ. ჟვანია, კ. შელია, ს. ჩხარტიშვილი და სხვები. აშკარად გამოვლინდა, რომ კრემლის იმჟამინდელი ლიდერების სურვილი „სტალინიზმი" შეეცვალათ „ტროცკიზმით" - საქართველოშიც თავის მომხრეებს იკრებდა, თუმცა აკად. ი. კაჭარავას არცერთი შეხედულება, რასაც ამ პრობლემასთან დაკავშირებით ამტკიცებდა თავის გამოკვლევებში, არ შეუცვლია. დისკუსია საინტერესოდ ჩატარდა, გამოვლინდა აზრთა სხვადასხვაობა[75].

დისკუსიის შედეგები აისახა გ ჟვანიას მონოგრაფიაში „ეგრეთ წოდებული „ნაციონალ-უკლონიზმის" შესახებ". ნაშრომის ძირითადი კონცეფცია რადიკალურად განსხვავდებოდა იმისაგან, რასაც საბჭოთა პერიოდის ისტორიკოსები ამტკიცებდნენ „ნაციონალ-უკლონიზმის" შესახებ XX საუკუნის 30-70-იან წლებში. ავტორი აშკარად მიუთითებს, რომ „ნაციონალ-უკლონიზმში" ბრალდება კავბიუროს ხელმძღვანელობას იმისათვის დასჭირდა, რომ გაემართლებინა ამიერკავკასიის რესპუბლიკების გაერთიანების დროს დაშვებული საკუთარი შეცდომები"[76].

გ. ჟვანიასთვის ნათელია, რომ კავბიუროსა და საქართველოს ცენტრალურ კომიტეტს შორის დაპირისპირების მიზეზები შემდეგია:

1. კავბიურო ხელოვნურად აჩქარებდა თავის ღონისძიებათა განხორციელებას, ანგარიშს არ უწევდა იმას, თუ რამდენად იყვნენ მზად მშრომელები ამისათვის, სახავდა ისეთ ამოცანებს, რომელთა შესრულება წინასწარ იყო განწირული ჩასაფუშად.

2. კავბიურო ხშირად ქედმაღლურად უგულებელყოფდა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის აზრს და უხეშად ერეოდა მის საქმეებში.

3. კავბიურომ ბევრ შემთხვევაში დაივიწყა ლენინური რჩევები და მითითებანი, რომელიც გადმოცემულია ორჯონიკიძისადმი გამოგზავნილ მის პირველ წერილებში.

4. კავბიუროს ხელმძღვანელები უგულებელყოფდნენ ლენინის მითითებებს ეროვნული პოლიტიკის განხორციელებისას -„აუცილებელია განსაკუთრებული სიფრთხილე ეროვნული განსხვავების მიმართ“[77].

აშკარაა, რომ ავტორი ყოველმხრივ აკრიტიკებს კავბიუროს (ე.ი. ს. ორჯონიკიძეს), მაგრამ მისთვის ვ. ი. ლენინი კვლავ ეჭვმიუტანელი ავტორიტეტი და ერების ბედზე რუდუნებით დაფიქრებული სახელმწიფო მოღვაწეა. ნათელია, რომ ავტორი ცდილობს რადაც უნდა დაუჯდეს გადაარჩინოს ვ. ი. ლენინის ავტორიტეტი. ამიტომაც ყველა იმ ნაბიჯს, რასაც მისი წინამორბედი ისტორიკოსები „ნაციონალ-უკლონისტებს“ ნაკლად უთვლიდნენ, გ. ჟვანია – დადებითად აფასებს, აკრიტიკებს კავბიუროს გადაწყვეტილებებსა და მიუთითებს, რომ „საქართველოს კომპარტია პრინციპულად არ ეწინააღმდეგებოდა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნას, მაგრამ მოვლენების დაჩქარება დაუშვებლად მიაჩნდა“[78].

ჩვენთვის მეტად საყურადღებოა ავტორის შემდეგი შეხედულება:„სტალინის თეზისები „ავტონომიზაციის შესახებ“ ძირეულად ეწინააღმდეგებოდა პარტიის ეროვნული პოლიტიკის ძირითად პრინციპებს, რომლებიც მოითხოვდნენ რუსეთის ხალხთა თანასწორობას და სუვერენიტეტს... შეიძლება სინანულით აღინიშნოს, რომ ამ ლენინურ პრინციპებსა და სტალინის თეზისებს შორის არაფერია საერთო, ოდნავი სიტყვიერი დამთხვევაც კი“[79].

აშკარაა ისტორიკოს-პარტიელის მცდელობა კონიუნქტურული მოსაზრებით ჩრდილი მიაყენოს ი. ბ. სტალინის პოლიტიკას ამიერკავკასიაში და ამის ფონზე ყოველმხრივ გაამართლოს ვ. ი. ლენინის კონცეფცია. იმჟამად მსგავსი შეხედულებებით მოქმედებდნენ მ. გორბაჩოვის იდეოლოგიური სამსახურები, რომლებიც გულუბრყვილოდ ფიქრობდნენ, რომ სტალინისა და ბერიას „მხილებით“ შეძლებდნენ საბჭოთა

მრავალეროვანი სახელმწიფოს გადარჩენას. ეს მათ ვერ შეძლეს.

წიგნში გ. ჟვანია დიდ ყურადღებას უთმობს ა. კობახიძესა და ს. ორჯონიკიძეს შორის მომხდარ ინციდენტს, რაც ფიზიკური შეურაცხყოფით დამთავრდა და რასაც ვ. ი. ლენინის არაადექვატური რეაგირება მოჰყვა. ჩვენ კი ამას უბრალო გაუგებრობად და ამ ფაქტის იმჟამად ზედმეტ აჟიტირებად ვთვლით.

გ. ჟვანიას შეხედულებებთან დიდ მსგავსებას ავლენს ლ. თოიძის მოსაზრებები. ჩვენ შევეცდებით ლ თოიძის მიერ ჩამოყალიბებული ზოგიერთი კონცეფციის საკუთარ ინტერპრეტაციას. ავტორი ამტკიცებს, რომ „წლების მანძილზე ისტორიულ ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრება, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის იდეა ვ. ი. ლენინს ეკუთვნოდა, მცდარია და იგი ამიერკავკასიელ მოღვაწეებს ეკუთვნოდათ“[80]. მაგრამ, ჩვენი აზრით, ასეთი განცახადება ავტორისაგან მოითხოვდა ვ. ესაიაშვილის, ს. ხანმანდარიანის და ამ თემაზე მომუშავე სხვა ისტორიკოსების შეხედულებების გაკრიტიკებას, რომლებიც წლების განმავლობაში ამტკიცებდნენ - რომ „ლენინი იყო ამიერკავკასიის ფედერაციის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი“[81].

ჩვენთვის მისაღებია ლ. თოიძის ის შეხედულება, რომ „ამიერკავკასიის რესპუბლიკები ნამდვილად დამოუკიდებელი ქვეყნები რომ ყოფილიყვნენ, მაშინ მათი ფედერაციული გაერთიანება ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების წინაპირობადაც კი შეიძლება ქცეულიყო, მაგრამ 1921-1922 წწ. აერთიანებდნენ წითელი არმიის მიერ ოკუპირებულ და დამოუკიდებლობადაკარგულ საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს. ამ გაერთიანების დროს თითქმის ქრებოდა ან საგრძნობლად იზღუდებოდა ის ფორმალური დამოუკიდებლობაც კი, რაც მათ სიტყვიერად ჰქონდათ მინიჭებული“[82].

ანგარიშგასაწევია ავტორის ის მოსაზრებაც, რომლის მიხედვით ქართველი „ნაციონალ-უკლონისტები“ ოფიციალურ გამოსვლებსა და დოკუმენტებში არ ეწინააღმდეგებოდნენ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნას. ამასთან დაკავშირებით ლ. თოიძე შენიშნავს: „...ქართველი „ნაციონალ-უკლონისტები“ შეიძლება ტაქტიკური მოსაზრებით ერიდებოდნენ

სათანადო დოკუმენტების შექმნას, ფიქრობდნენ ამით თავიდან აეცილებინათ ბრალდება „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების ღალატში“[83].

ლ. თოიძე საგანგებოდ ჩერდება იმ ფაქტის კონსტატაციაზე, რომ ბ. მდივანმა პირადად შეატყობინა ი. ბ. სტალინს ამიერკავკასიის ფეედერაციის შექმნის მიზანშეუწონლობა საბჭოების არჩევნებამდე და მოითხოვა მისი განხორციელების ტემპების შენელება. ავტორი სამართლიანად შენიშნავს, რომ „როგორც ჩანს, ეს აზრი სტალინმა გაიზიარა და 27 ნოემბერს იგი უკვე ასეთივე რჩევას აძლევს ვ. ი. ლენინს და 29 ნოემბერს ბ. მდივანის ეს წინადადება გაზიარებულ იქნა რკპ (ბ) ცკ პოლიტბიუროშიც“[84].

ავტორი ასევე ამტკიცებს: „შეიძლება თავისუფლად ითქვას, რომ ამიერკავკასიის ფედერაცია მართლაც ზედმეტი რგოლი იყო საბჭოთა სახელმწიფოებრივ სისტემაში. ფედერაციას არ გადაუჭრია არც ერთი პრობლემა, რომელთა მოსაგვარებლად მას ქმნიდნენ“[85].

გარკვეულ კრიტიკულ დამოკიდებულებას იწვევს ლ. თოიძის შემდეგი შეხედულებაც: „ნაციონალ-უკლონისტთა“ საქმიანობაში უნდა გამოიკვეთოს ორი ძირითადი სტრატეგიული მიმართულება: პირველი – ბრძოლა ი. სტალინის „ავტონომიზაციის პროექტის“ წინააღმდეგ, ე. ი. ბრძოლა იმისათვის, რომ საბჭოთა რესპუბლიკები რუსეთის ფედერაციაში კი არ შესულიყვნენ, არამედ შეექმნათ ისეთი სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რომელშიც ყველა საბჭოთა რესპუბლიკას თანაბარი უფლებები ექნებოდა, საქართველო კი „შეინარჩუნებდა დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტს“. მეორე – ბრძოლა იმისათვის, რომ სსრ კავშირის შემადგენლობაში საქართველოს ჰქონოდა ისეთი სახელმწიფოებრივი სტატუსი, როგორიც ჰქონდა რუსეთის ფედერაციას, უკრაინას, ბელორუსიას და ა. შ. ეს ბრძოლა ფაქტობრივად მიმართული იყო ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის წინააღმდეგ, ამ ორი ეროვნული პრობლემის გადაჭრისათვის უკლონისტების მოღვაწეობა უთუოდ გამართლებული იყო“[86].

„ნაციონალ-უკლონისტების“ რეაბილიტაციისა და მათი გამართლების მცდელობაა მ. სამსონაძის შემდეგი მოსაზრებაც: „ცენტრის იმპერიული მიზნები აშკარა იყო. იგი ნაბიჯ-

ნაბიჯ ქართული სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მოსპობას ამზადებდა. ამის წინააღმდეგ გადაჭრით აღიმაღლა ხმა ბოლშევიკ ეროვნულ-პატრიოტთა ფრთამ, რომელიც ამ დროს ფორმალურად ხელისუფლების სათავეში იყო და რომელიც ისტორიაში „ნაციონალ-უკლონისტების" სახელით შევიდა. მათ თავდადებული ბრძოლა გააჩაღეს ეროვნული სუვერენიტეტის ყოველგვარი ხელყოფის წინააღმდეგ"[87]. ანალოგიურ შეხედულებას გამოთქვამენ: გ. ციციშვილი, ა. და პ. სურგულაძეები, ფ. ლომაშვილი[88] და სხვ.

20-იანი წლების დასაწყისში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებისადმი საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულების პრობლემა თანამედროვე ქართულმა ისტორიოგრაფიამ სპეციალური შესწავლის საგნად გაიხადა. შ. ვადაჭკორია მდიდარ ფაქტოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით უჩვენებს საქართველოს არაკომუნისტური პარტიების თვალსაჩინო წარმომადგენლების უაღრესად კრიტიკულ დამოკიდებულებას კომუნისტების მიერ იმ პერიოდში განხორციელებული პოლიტიკური აქტების მიმართ. ნაშრომში გამორჩეული ადგილი უკავია ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის პროცესისადმი საქართველოს იმჟამინდელი საზოგადოების სხვადასხვა ფენის დამოკიდებულების კრიტიკულ გააზრებას. ავტორი სამართლიანად მიუთითებს, რომ ქართველი კომუნისტები „წინასწარ საჯარო განხილვის გარეშე, ანტიქართული პოზიციებიდან თვითნებურად წყვეტდნენ სახელმწიფოებრივ საკითხებს"[89]. ავტორი ჩინებულად ხედავს, რომ ქართველი ნაციონალ-უკლონისტები „პრინციპში ამ გაერთიანების წინააღმდეგი არ იყვნენ". განსაკუთრებით საგულისხმოა ავტორის შემდეგი დასკვნაც: „ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ მაშინდელი ქართული პოლიტიკური აზრის წარმომადგენლები ფედერაციის საკითხებზე მსჯელობისას ზოგად თეორიულ სფეროს ვერ გასცდნენ. მათ ვერ შეძლეს საზოგადოებისათვის ეჩვენებინათ თუ რა პრინციპითა და სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი პოლიტიკური სტრუქტურებით უნდა აგებულიყო ამიერკავკასიის ფედერაცია, და რაც მთავარია, ამ ფედერაციაში გაერთიანებულ თითოეულ რესპუბლიკას სახელმწიფოებრიობის რა უფლებები უნდა მინიჭებოდა"[90].

1998 წელს გამოქვეყნდა ა. დაუშვილის გამოკვლევა, რომელშიც მოცემულია მცდელობა ახლებურად გაიაზროს „ნაციონალ-უკლონიზმის“ პრობლემა, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინს შორის დაპირისპირება 1922 წლის ბოლოს, ლ. ტროცკისა და ნ. კრუპსკაიას როლი ამ დაპირისპირებაში და სხვ. ავტორი საკითხის იურიდიულ ასპექტებზე ამახვილებს ყურადღებას და მიუთითებს რსფსრ პირველი კონსტიტუციის იმ ადგილზე, რომელიც იძლევა შესაძლებლობას „რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ რესპუბლიკაში მიიღონ ახალი წევრები“[91]. ავტორის აზრით, ეს აშკარად მიუთითებს, რომ უკვე 1918 წლის კონსტიტუციაში ჩადებული იყო მომავალში რსფსრ-ს შემადგენლობაში ახალი რესპუბლიკების შესვლისას მათი ავტონომიური მოწყობის იდეა. ა. დაუშვილი იმაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ საბჭოთა საქართველოს პირველი კონსტიტუციაც, რომელიც „ნაციონალ-უკლონისტების“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს მიიღეს, ადასტურებდა იმ გარემოებას, რომ „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა აცხადებს მზადყოფნას შევიდეს ერთიან საერთაშორისო სოციალისტურ რესპუბლიკაში, როგორც კი გაჩნდება პირობები მისი შექმნისათვის“[92].

ყურადსაღებია ისიც, რომ 1920-1921 წლების პერიოდში საბჭოთა რუსეთსა და ე.წ. „დამოუკიდებელ რესპუბლიკებს“ შორის გაფორმებული ყველა დიპლომატიური ხელშეკრულება თავისი შინაარსით ავტონომიურ დამოკიდებულებას გულისხმობდა მოსკოვსა და ადგილობრივ რესპუბლიკას შორის, რადგან სამხედრო საქმე, სახალხო მეურნეობის გაძღოლა და საგარეო ვაჭრობა, მომარაგების ორგანიზაციების ხელმძღვანელობა, რკინიგზები, წყლის ტრანსპორტის მართვა, ფინანსები, ფოსტა-ტელეგრაფი დაუქვემდებარეს ცენტრალურ ხელისუფლებას – მოსკოვს“[93].

აშკარაა, რომ ეს ურთიერთობა, რომელიც კიდევ უფრო გამძაფრებული და დეტერმინირებული იყო პარტიული ურთიერთობების იმპერიუმით, არავითარ ადგილს აღარ ტოვებდა „დამოუკიდებლობის ატრიბუტებისაგან“. გავიხსენოთ რკპ (ბ) VIII ყრილობის დადგენილება, რომ „რუსეთის კომუნისტური პარტიისა და მის ხელმძღვანელ დაწესებულებათა ყველა გადაწყვეტილება უსათუოდ სავალდებულოა პარტიის ყველა ნა-

წილისათვის, მიუხედავად მათი ნაციონალური შემადგენლობისა. **უკრაინელი, ლიტველი კომუნისტების ცენტრალური კომიტეტები სარგებლობენ პარტიის საოლქო კომიტეტის უფლებით** (ხაზგასმა ჩვენია – კ. ნ.) და სავსებით ემორჩილებიან კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს"[94]. ამრიგად, რა „დამოუკიდებლობის ატრიბუტებზე" შეიძლებოდა საუბარი იმ ვითარებაში, როცა მმართველი პარტია მთლიანად ემორჩილებოდა სხვა ქვეყნის პოლიტიკური პარტიის ცენტრალურ ორგანოს.

ა. დაუშვილი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას ი. ბ. სტალინის ე. წ. „ავტონომიზაციის პროექტზე" და სათანადოდ ადასტურებს, რომ ეს პროექტი მთლიანად შედგენილი იყო იმ ფუძემდებლური იურიდიული და დიპლომატიური პრინციპების გათვალისწინებით, რომელსაც აღიარებდნენ და ცხოვრებაში ატარებდნენ ვ. ი. ლენინი და მისი მომხრეები 1917-1922 წწ. ა. დაუშვილის აზრით 1922 წელს დაპირისპირებები ამ კონკრეტულ საკითხზე მხოლოდ იმ პოლიტიკური ბრძოლის გამოხატულებაა, რასაც ადგილი ჰქონდა კრემლის კულუარებში ვ. ი. ლენინის ცხოვრების ბოლო წლებში, როცა მისი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობები მკვეთრად გაუარესდა და ეს კი მის აზროვნებას, ორიენტაციას და პოლიტიკურ სიმპათიებსაც ასვამდა დაღს. სამართლიანად მიუთითებს ცნობილი ამერიკელი სოვეტოლოგი რ. პაიპსი, რომ: „ლენინის ბოლო ჩანაწერები გამოირჩევიან შინაგანი კავშირის არ- არსებობით, ლოგიკური თანამიმდევრობის, სიტყვების ლოგიკური აგებულების დარღვევით, განმეორებებით, რაც გონების აღრევის აშკარა სიმპტომებია"[95]. ცხადია, „გონებაარეული" ლენინისათვის ლოგიკური აზროვნება და რთულ პოლიტიკურ პერიპეტიებში გარკვევა იმ პერიოდში ძნელი იქნებოდა. ასევე გასათვალისწინებელია ცნობილი ქართველი რევოლუციონერის ვ. სტურუას ნიშანდობლივი გამოსვლაც რკპ (ბ) XII ყრილობის ერთ-ერთ სხდომაზე, როცა მან განაცხადა: „პროლეტარიატისათვის, თუ ჩვენ კ. მარქსის „კომუნისტური მანიფესტის" ერთგულნი ვრჩებით, საერთოდ არ არსებობს არავითარი სამშობლო"[96]. ასეთი იყო იმჟამად ჭეშმარიტ ბოლშევიკ-ლენინელთა კრედო.

ავტორებმა, რომლებიც „ნაციონალ-უკლონისტების“ გამართლებას ცდილობენ, ჩვენი აზრით პასუხი უნდა გასცენ რამდენიმე კითხვას:

1. რა ისეთ გამორჩეულ „დამოუკიდებლობის ატრიბუტებს“ ფლობდა საქართველო 1921-1922 წლების პერიოდში, რაც მან დაკარგა ამიერკავკასიაში შესვლის შემდეგ და შეაშფოთა ის ადამიანები, რომლებიც იარაღით ხელში ებრძოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას, ზარზეიმით შემოუძღვნენ რუსეთის წითელ არმიას და დამფუძნებელი კრების მიერ გამოცხადნენ კანონგარეშედ?

2. რატომ მოხდა, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის წინააღმდეგ განსაკუთრებით მკაცრად გაილაშქრა საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობამ, მაშინ როცა სომხეთის კომპარტიის ხელმძღვანელობა თავიდანვე თანაუგრძნობდა ამ პროექტს, მხარს უჭერდნენ ბელორუსები, უკრაინელები? მათ „დამოუკიდებლობის ატრიბუტების“ შენარჩუნება არ სურდათ?

3. დღევანდელი მსოფლიო პოლიტიკური განვითარების გათვალისწინებით აშკარაა, რომ განვითარებული ქვეყნები საოცრად ადვილად ელევიან „დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტს“, თუ კი ამას სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების ინტერესები მოითხოვს (მხედველობაში გვაქვს მაასტრიხტის პროექტი). რა თქმა უნდა, დასავლეთ ევროპის ინტეგრაცია მოხდა თანდათან, ეკონომიკური ინტეგრაციის კვალდაკვალ და საოცრად წარმატებული შედეგებით. ბოლშევიკური ინტეგრაცია შიშველ ძალასა და პოლიტიკურ ნებას ემყარებოდა, თუმცა საბოლოო შედეგი მაასტრიხტის პროექტის მსგავსი უნდა ყოფილიყო - საყოველთაო ინტერნაციონალიზაცია (გლობალიზაცია).

აშკარაა, რომ კითხვები კიდევ უფრო ბევრია, რაც ამ პრობლემაზე დამატებით მუშაობას მოითხოვს.

2004 წლის ზაფხულში ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო ექსპედიციამ მოსკოვის „რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში“ ბევრ საინტერესო დოკუმენტს მიაგნო, რომლებიც ახლებურად აშუქებენ ზემოთ აღნიშნულ პრობლემებს. ახლად გამოვლენილი მასალების სრუ-

ლი დამუშავება მომავლის საქმეა, მაგრამ ჩვენ ქვემოთ მოვიყვანთ ზოგიერთ, განსაკუთრებით მნიშვნელოვან მასალას, რაც ახალი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა. ნლების განმავლობაში რკპ(ბ) XII ყრილობის ეროვნებათა საკითხის სექციის სტენოგრამა გასაიდუმლოებული იყო. 1990 წელს ლ. თოიძემ გამოაქვეყნა ამ სექციის სხდომაზე ი. სტალინის სიტყვის ფრაგმენტი (ამის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი). არქივში ჩვენ მივაკვლიეთ ასევე ბ. მდივნის, ლ. ტროცკის, ფ. მახარაძის და რაც მთავარია ი. ბ. სტალინის სიტყვის სრულ ტექსტს, რაც მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საკვლევი პრობლემის ობიექტურად შესწავლის საქმეში.

სექციის ერთ-ერთ სხდომაზე მიმდინარეობდა დისკუსია მრავალეროვანი სახელმწიფოს პოლიტიკური მოწყობის საკითხზე - კონკრეტულად ი. სტალინის წინადადების გარშემო, რომელიც ითვალისწინებდა უზენაეს საბჭოსთან შექმნილიყო მეორე პალატა, სადაც თანაბარი რაოდენობით იქნებოდა წარმოდგენილი ყველა მოკავშირე რესპუბლიკა. კამათის დროს ბ. მდივანმა გამოთქვა საწინააღმდეგო მოსაზრება, გააკრიტიკა ეს ნოვაცია და მიიჩნია, რომ პროპორციული არჩევნებით დაკომპლექტებული ერთპალატიანი უზენაესი საბჭო სრულიად საკმარისი იქნებოდა. მას არ აშინებდა, რომ ამ საბჭოში უმრავლესობა „ველიკოროსებს" ექნებოდათ, რადგან აცხადებდა: „მე ვიცი, რომ ველიკოროსები ამ ცენტრალურ დაწესებულებაში იქნებიან უმრავლესობაში და მივესალმები ამას. მიმაჩნია, რომ ველიკოროსებმა, როგორც ყველაზე კულტურულმა ნაციამ, უნდა გვიხელმძღვანელოს"[97].

ბოლო ნლების პუბლიკაციებში ხაზგასმულია, რომ ქართველი „ნაციონალ-უკლონისტები" ვ. ი. ლენინის გარდა პოლიტბიუროს ზოგიერთი წევრის მხარდაჭერითაც სარგებლობდნენ[98] და მითითებულია ლ. ტროცკი, ნ. ბუხარინი, კ. რადეკი და სხვები.

ყველაზე დიდ აზრთა სხვადასხვაობას ლ. ტროცკის პოზიცია იწვევს. იქმნება ილუზია, რომ ის მხარს უჭერდა ქართველ „ნაციონალ-უკლონისტებს". მისი გამოსვლა რკპ(ბ) XII ყრილობის ეროვნული საკითხის სექციის სხდომაზე არ გვაძლევს ამ დასკვნის გაკეთების საფუძველს. თავის გამოსვლაში ის აღნიშნავდა: „ნ მარტს მივიღე ვ. ი. ლენინის წერილი, რომ-

ლის მიხედვითაც პარტიულ ყრილობაზე ბრძოლა უნდა მეწარმოებინა გადახრის (Уклон) წინააღმდეგ"[99]. ეს აშკარად მიანიშნებს იმას, რომ ის მოერიდა ი. სტალინთან აშკარად დაპირისპირებას და პირიქით, უკლონისტების წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ფერხულში ჩაება.

ჩვენი განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია სექციის სხდომაზე ი. ბ. სტალინის გამოსვლის იმ ნაწილმა, რომელიც ლ. თოიძემ არ გამოაქვეყნა. იმ ავტორების საპირისპიროდ, რომლებიც ცდილობენ სტალინი ამ პერიოდში „ველიკოდერჟავული" პოლიტიკის გამტარებლად წარმოადგინონ, ხოლო ლენინი – კი ეროვნული უმცირესობათა ინტერესების დამცველად, სტალინის ეს გამოსვლა რადიკალურად ცვლის ასეთ დამოკიდებულებას. ჩამოტანილი დოკუმენტური მასალა დამუშავების სტადიაშია და მას ექსპედიციის წევრები სათანადო კომენტარებით მალე გამოაქვეყნებენ.

ამრიგად, ქართულმა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ „ნაციონალ-უკლონიზმის" პრობლემა ცალსახად უარყოფითად შეაფასა. მათი ძირითადი მოსაზრებები ეფუძნებოდა ვ. ი. ლენინის, ი. ბ. სტალინის, ს. ორჯონიკიძისა და პარტიის ცენტრალური ორგანოების დადგენილებებსა და გადაწყვეტილებებს, ისინი ახალი არგუმენტების საფუძველზე ცდილობდნენ ამ მოსაზრებების განმტკიცებას და მათ პროპაგანდას, იყო მცდელობა სტალინისა და ორჯონიკიძის ზოგიერთი ქმედების კრიტიკული გააზრებისაც, თუმცა მხოლოდ ლენინის შეხედულებების უდავო ჭეშმარიტების აღიარების საფუძველზე.

საბჭოთა სისტემის დამხობის შემდეგ უახლესი პერიოდის ქართველი ისტორიკოსების უმრავლესობა რადიკალურად გაემიჯნა „ნაციონალ-უკლონიზმის" შეფასების ტრადიციულ გაგებას და სცადეს მათი რეაბილიტაცია. „ნაციონალ-უკლონისტები" გახდნენ „კომუნისტი პატრიოტები", თუმცა ამასთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრებებიც, რომ ეს იყო ბრძოლა ძალაუფლებისათვის პარტიის ლიდერებს შორის ვ. ი. ლენინის პოლიტიკური მემკვიდრის უფლების მოსაპოვებლად.

2004 წლის მოსკოვის სამეცნიერო ექსპედიციის შედეგებმა და რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში მიკვლეულმა დოკუმენტებმა

დაგვარწმუნა, რომ აღნიშნული სამეცნიერო პრობლემის სრულყოფილი ობიექტური შესწავლა დამატებით საკვლევაძიებო სამუშაოს ჩატარებას მოითხოვს.

3. ეროვნული საკითხი და საეროვნებათაშორისო ურთიერთობები

ეროვნული საკითხი და საეროვნებათაშორისო ურთიერთობის პრობლემა მარქსიზმის კლასიკოსების მიერ მეტად ორიგინალურად იყო გაგებული, რამდენადაც მიაჩნდათ, რომ პროლეტარიატის საერთაშორისო კავშირი მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში მთავარი და წამყვანია, ისინი ეროვნული საკითხის გადაწყვეტას მთლიანად პროლეტარიატის ამ ძირითად მსოფლიო-ისტორიული ამოცანის გადაწყვეტას უმორჩილებდნენ. სწორედ ამაზე მიუთითებს მათი საყოველთაოდ ცნობილი მოწოდებებიც: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა - შეერთდით!“ და „პროლეტარიატს არა აქვს სამშობლო!“

მარქსიზმის კლასიკოსების პრაქტიკული მოღვაწეობა პროლეტარიატის საერთაშორისო კავშირის განსამტკიცებლად, I და II ინტერნაციონალის საქმიანობა, სოციალ-დემოკრატიული პარტიების შექმნა დასავლეთ ევროპასა და რუსეთში, მათი პერმანენტული ბრძოლა პროლეტარიატის პოლიტიკური და სოციალური უფლებებისათვის, რაც განსაკუთრებით გაძლიერდა XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში, აშკარად მიუთითებდა იმ ამბიციურ გეგმებზე, რასაც მარქსიზმის იდეოლოგები მიზნად უსახავდნენ მებრძოლ პროლეტარიატს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეროვნულ საკითხში ინტერნაციონალისტური მსოფლმხედველობის მიუხედავად, კ. მარქსსა და ფ. ენგელსს ახასიათებდათ გარკვეული წინააღმდეგობა, რაც, საბოლოო ჯამში, სოციალ-დემოკრატიაში განხეთქილების საფუძველი გახდა. მაგალითად, კ. მარქსი აღნიშნავდა: „ჩვენ არავითარ შემთხვევაში არა ვართ მოწოდებულნი... შთავაგონოთ მათ, თითქოს ეროვნული დამოუკიდებლობა ინტერნაციონალური თვალსაზრისით იყოს მეტად მეორეხა-

რისხოვანი საქმე, მაშინ, როდესაც იგი პირიქით, ყოველგვარი ინტერნაციონალური თანამშრომლობის საფუძველია"[100].

მიუხედავად ამისა, არსებობს ფ. ენგელსის წერილი ე. ბერშტეინისადმი, სადაც ხაზგასმულია: „თუ ბალკანეთის სლავების მოძრაობა პროლეტარიატის ინტერესებთან კოლიზიაში აღმოჩნდება... მე ვიტყვი, შესდექით! - თქვენ შეგიძლიათ იმდენივე მოითმინოთ, რამდენსაც ევროპის პროლეტარიატი ითმენდა. როცა ის განთავისუფლდება, თქვენც თავისუფალი გახდებით"[101].

ასეთი, რადიკალურად განსხვავებული, ეროვნულ საკითხთან დაკავშირებული მოსაზრება, რა თქმა უნდა, გამოიწვევდა და გამოიწვია კიდეც სოციალ-დემოკრატიაში აზრთა სხვადასხვაობა. რუსეთის სინამდვილეში, რომელიც „ხალხთა საპყრობილეს" წარმოადგენდა, ეროვნულ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა: უძველესი ცივილიზაციის ერები, ცარიზმის დესპოტიის ქვეშ, განიცდიდნენ არნახულ ეროვნულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ჩაგვრას. ამიტომაც რუსეთის სოციალ-დემოკრატიას მასებზე თავისი გავლენა რომ არ დაეკარგა, ჭირდებოდა პროლეტარული პარტიისათვის შესაფერისი მარქსისტული ეროვნული პროგრამის შემუშავება.

მემარცხენე სოციალ-დემოკრატიის ლიდერმა ვ. ი. ლენინმა ამ საკითხის გადაწყვეტა დაავალა ი. ბ. სტალინს, რომელმაც თავის მხრივ, მასთან შეთანხმებით, პარტიას შესთავაზა კონცეფცია, რომლის მიხედვით რუსეთის მემარცხენე რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ეროვნული პროგრამა ითვალისწინებდა: „თვითგამორკვევის უფლებას, საოლქო ავტონომიას, მუშათა ინტერნაციონალისტურ შეკავშირებას, ნაციონალურ თანასწორუფლებიანობას ყველა მისი სახით (ენა, სკოლები და სხვ.) - როგორც აუცილებელი პუნქტი ნაციონალური საკითხის გადაწყვეტაში"[102].

მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები (გ. პლეხანოვი, ი. მარტოვი, ნ. ჟორდანია და სხვ.) არ იზიარებდნენ ამ თვალსაზრისს და ავსტრიელი სოციალ-დემოკრატების - ოტო ბაუერისა და კარლ რენერის „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის" იდეას უჭერდნენ მხარს, რაც გულისხმობდა არა საოლქო ავტონომიას, არამედ ერების ექსტერიტორიულ გაერთიანებას

მათი კულტურის, ენისა და ტრადიციების შენარჩუნება-განვითარების მიზნით. ქართველი მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები ამ პროგრამას რეალურად ახორციელებდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში.

საქართველოს ძალმომრეობითი გასაბჭოების შემდეგ, ახალ საბჭოთა ხელისუფლებას, სხვა პრობლემებთან ერთად, ეროვნული საკითხის ბოლშევიკურ-ლენინურ პლატფორმაზე გადაჭრაც მოუხდა. ამ დროს საქართველოში საეროვნებათაშორისო ურთიერთობის უარყოფითი ფონი იყო შექმნილი: სახეზე იყო საქართველო-სომხეთის სამხედრო კონფლიქტის დრამატული შედეგები, სისხლიანი დაპირისპირება აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, გართულებები სამხრეთ საქართველოსა და აჭარაში. ამ პრობლემების გადაწყვეტა მოხდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე, ქართველი ერის ეროვნული ინტერესების უგულებელყოფით: შეიქმნა ავტონომიური ერთეულები - აფხაზეთი, სამხრეთ-ოსეთი, აჭარა; განხორციელდა პირველი ღონისძიებები არაქართველი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. ამ რთულ საქმეში იყო როგორც მიღწევები, ისე ნაკლოვანებები და შეცდომებიც. ქართულმა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ თავისებურად ასახა ეს რთული და წინააღმდეგობრივი პროცესი.

ზოგიერთი ისტორიკოსი საერთოდ მოერიდა ამ თემაზე მსჯელობას თავის მონოგრაფიებსა თუ გამოკვლევებში[103]. ზოგი კი მხოლოდ დადებითად აფასებდა კომუნისტური პარტიის მიერ განხორციელებული ნაციონალური პოლიტიკის შედეგებს, განსაკუთრებით კი ავტონომიური ერთეულების შექმნას. მაგალითად, კ. შელია აღნიშნავდა: „დიდმნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც რევოლუციის გამარჯვებისთანავე წამოიჭრა საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, ეს იყო ეროვნული საკითხი. საქართველოს მთავრობამ საქართველოში მცხოვრებ ხალხებს შორის მტკიცე, ძმური კავშირი შექმნა. საჭირო იყო სომეხ, ოს, აფხაზ, აჭარელ და სხვ. ხალხთა ნდობის აღდგენა ქართველი ხალხისადმი, რასაც ძირი ჰქონდა გამოთხრილი ქართველი მენშევიკების ნაციონალური პოლიტიკის შედეგად“[104].

„საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევების" ავტორები მიუთითებენ, რომ: „საქართველოს კომუნისტური პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხის სწორ გადაწყვეტას"[105].

გამორჩეულ ყურადღებას იქცევდა აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრის პრობლემა, რასაც ძირითადად სოხუმის სამეცნიერო დაწესებულებებში ამუშავებდნენ. XX საუკუნის 60-80-იან წლებში გამოქვეყნდა არაერთი ნაშრომი, რომლის მიზანი იყო აფხაზეთის სახელმწიფო სტატუსის ფორმირებისა და განვითარების მეცნიერული ანალიზი. ამ ნაშრომებში აშკარად ვლინდება იმჟამინდელი ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი ორი ტენდენცია: 1. „აფხაზეთის დამოუკიდებლობის" გამორჩეული შეფასება, რაშიც შეუძლებელია არ დავინახოთ სეპარატისტული ქვეტექსტები და 2. აფხაზი და ქართველი ხალხის ისტორიული მეგობრობის დეკლარირებული აღიარება.

მაგალითად, მკვლევარი ბ. საღარია ამტკიცებს: „აფხაზეთში 1921-1922 წლებში სახელმწიფო მშენებლობის გამოცდილება მიუთითებს, რომ დამოუკიდებელი აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა იყო მნიშვნელოვანი და აუცილებელი ეტაპი აფხაზეთის ასსრ-ის განვითარებისათვის"[106]. ა. კუპრავას აზრით - აფხაზეთის დამოუკიდებლობის გამოცხადება რესპუბლიკის მშრომელებს შესაძლებლობას აძლევდა დაეძლიათ ის ნაციონალისტური წარმოდგენები, რაც დათესეს მენშევიკებმა და ნაციონალისტურმა პარტიებმა[107]. მკვლევარი ა. ხაშბა ქართველი და აფხაზი ხალხების „საუკუნეთა სიღრმეში დაკარგული ფესვების აღორძინებას" საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებულ ნაციონალურ პოლიტიკას უკავშირებდა[108].

ქართველი და აფხაზი ისტორიკოსების მიერ აფხაზეთის დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შესახებ მსჯელობა არ ითვალისწინებდა კითხვას: თუ რატომ უნდა ყოფილიყო საქართველოს ისტორიული ტერიტორია აფხაზეთი დამოუკიდებელი და სუვერენული, მაშინ როდესაც რუსეთის ფედერაციაში შემავალი მრავალმილიონიანი თათრეთი, ბაშკირეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი ავტონო-

მიური რესპუბლიკების სტატუსს სჯერდებოდნენ? ამ შეკითხვაზე ობიექტური პასუხის გაცემა მხოლოდ თანამედროვე ქართულმა ისტორიოგრაფიამ შეძლო.

აფხაზი და ქართველი ისტორიკოსები კი იმჟამად ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ აფხაზი და ოსი ხალხების ინტერესების შემლახავი, „გენოციდისა და ულმობელი ტერორის" განმახორციელებელი იყო დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლება. ეს თეზისი იმ პერიოდის ისტორიოგრაფიული კლიშე იყო, რომელსაც აფხაზების საამებლად ქედს უხრიდნენ ქართველი ისტორიკოსებიც. მაგალითად, ვ. ჯიქია ამტკიცებდა, რომ „აფხაზთა მეხსიერებაში წარუშლელი კვალი დატოვა იმ მხეცობამ, რაც მენშევიკურმა მთავრობამ ჩაიდინა ამ ხალხის წინააღმდეგ აჯანყების ჩაქრობის დროს... მენშევიკებმა დიდი ზიანი მიაყენეს ოსებს, აფხაზებს და საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ხალხებს, რომლებიც მუდმივი შიშისა და ტერორის ქვეშ დააყენეს... აუტანელ გაჭირვებაში მყოფი... უუფლებო ეროვნებანი უსამართლობის წინააღმდეგ აღდგნენ და იარაღს მოჰკიდეს ხელი, მენშევიკები სასტიკად გაუსწორდნენ მათ"[109]. ასეთი შეფასების ფონზე სრულიად ბუნებრივად გამოიყურება აფხაზი ისტორიკოსების ბ. საღარიას ის მოსაზრება, რომელიც აფხაზეთში არსებულ ნაციონალისტურ შუღლს მთლიანად უკავშირებდა მენშევიკების „ულიმღამო მმართველობას"[110].

მენშევიკების ეროვნული პოლიტიკის დაუფარავი კრიტიკით გამოირჩევიან ნაშრომები, რომლებიც „სამხრეთ ოსეთის" ავტონომიასთან დაკავშირებულ პრობლემებს განიხილავენ. მიუთითებენ, რომ „მენშევიკების ჯარის ნაწილები ცეცხლითა და მახვილით მოედვნენ მთელ სამხრეთ ოსეთს, უმოწყალოდ გაანადგურეს მოსახლეობა"[111]. უ. ბახტაძე დიდ ყურადღებას უთმობს მენშევიკების ბატონობის პერიოდში ოსური მოსახლეობის პრორუსულ გამოსვლებს, როდესაც ოსები მოითხოვდნენ თვითგამორკვევას და შემუშავებული ჰქონდათ კონსტიტუციაც[112].

ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ასევე მკაცრადაა შეფასებული დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა აჭარის მიმართ. ხაზგასმულია ის სისასტიკე, რასაც თითქოსდა განიცდიდა ადგილობრივი მოსახლეობა დე-

მოკრატიული რესპუბლიკის მმართველების მხრიდან. აღნიშნავდნენ, რომ „აჭარას ავტონომიის მაგივრად მიუსიეს ჟანდარმერიის ნაგაზები“[113]. მენშევიკების პოლიტიკას მკაცრად აფასებდნენ ბათუმელი ისტორიკოსებიც: გ. და მ. ჯიჯეიშვილები, ხ. ახვლედიანი და სხვ., რომლებიც აჭარის ავტონომიის შექმნის დეკრეტის კონსტატაციით კმაყოფილდებოდნენ და მხედველობიდან უშვებდნენ მასთან დაკავშირებულ უამრავ მნიშვნელოვან ფაქტსა და მოვლენას[114].

დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკის ხელაღებით კრიტიკა ქართველმა საბჭოთა ისტორიკოსებმა საქართველოს კომპარტიის ლიდერებისაგან ისნავლეს, რომლებიც მუდამ ხაზს უსვამდნენ მენშევიკების როლს ამიერკავკასიის ხალხებს შორის უნდობლობისა და დაპირისპირების გაღრმავების საქმეში. ს. ორჯონიკიძე, შ. ელიავა, მ. კახიანი, ფ. მახარაძე და სხვები ყოველთვის აღნიშნავდნენ დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლების („მენშევიკების“) მხრიდან საქართველოში არსებული ტრადიციული ტოლერანტული განწყობილებების შერყვნას. მაგალითად, ს. ორჯონიკიძე ამტკიცებდა: „მენშევიკების პერიოდში საქართველო განუწყვეტელ ეთნიკურ ომებში იყო“[115]. ასეთი შეფასება მიზნად ისახავდა ეროვნებათაშორის ურთიერთობაში არსებული ყველა პრობლემა, წარსულის ტრაგიკული მოვლენები გადაებრალებინათ წინა ხელისუფლებისათვის და ამ სფეროში განხორციელებული ყოველი წარმატებული ნაბიჯი საკუთარ აქტივში ჩაეწერათ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ახალი საბჭოთა ხელისუფლება საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული დაწინაურებისათვის სერიოზულ მუშაობას ეწეოდა, ზოგჯერ ეს ხდებოდა ქართველი ხალხის ინტერესების იგნორირების ხარჯზეც კი. ეს პოლიტიკა ითვალისწინებდა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების ჩაბმას ახალი საზოგადოების მშენებლობის პოლიტიკურ სქტრუქტურებში, ეკონომიკურ ცხოვრებაში. განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები: მოხდა მათ შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია და გატარდა პირველი ღონისძიებები მათი კულტურული დაწინაურებისათვის (ამის შესახებ

სპეციალურად შევჩერდებით ჩვენი ნაშრომის შესაბამის ადგილზე). ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებთან საბჭოთა ხელისუფლების მუშაობის დადებითი გამოცდილება მეცნიერულად შეისწავლა ა. ციციაშვილმა თავის სადისერტაციო ნაშრომში: „საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული დონის ამაღლებისათვის (1921-1929 წწ.)". ავტორი ამ საქმეში შემჩნეულ სიძნელეებსაც ხედავს. ა. ციციაშვილი ასკვნის: „საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობამ ეროვნულ უმცირესობებს შორის ერთხელ კიდევ დაასაბუთა, რომ სხვადასხვა ეროვნებების მშრომელთა მასების ინტერნაციონალური შემჭიდროების ამოცანის წარმატებით შესრულება შეუძლებელია ეროვნულ საკითხში სხვადასხვა გადახრების წინააღმდეგ ბრძოლის გარეშე. სახელმწიფოებრივ, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ეროვნული მომენტების როგორც უგულებელყოფა, ისე გაზვიადება ხელს უშლიდა მშრომელთა ინტერნაციონალურ ერთობას"[116].

კომუნისტური დოგმატიკით მრავალეროვანი სახელმწიფოს განვითარება, მისი მონოლითურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ინტერნაციონალურ-აღმზრდელობით მუშაობაზე, რაც ამ პარტიის არსებობის არცერთ ეტაპზე არ შეწყვეტილა, თუმცა სხვადასხვა ეფექტიანობით გამოირჩეოდა. ამ მუშაობის მთავარი მიზანი ეროვნული ფასეულობების უკანა პლანზე გადაწევა (იგნორირებაც კი) და პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესების პრიმატის აღიარებაა, პროლეტარიატის საერთაშორისო ერთიანობის გრძნობის ფორმირებაა. ამ საქმეში XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში გარკვეული წარმატებები მოიპოვეს. სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი იმ ინტერნაციონალისტურ ურთიერთობებს, რამაც თავისი გამოხატულება და ცხოველმყოფელობა მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე ჰპოვა. საქართველოს კომპარტიის ინტერნაციონალისტურ-აღმზრდელობითი მუშაობის შეფასება გადმოცემულია პროპაგანდისტულ ნაშრომში „ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მოღვაწეობა მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის" (რუსულ ენაზე). ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი ისტორიკოსების ეს პანეგერიკი ხოტბას ასხამდა კომუნისტური პარ-

ტიის ინტერნაციონალისტურ-აღმზრდელობით მუშაობას, კომუნისტური პარტიის მიერ გატარებულ „ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას“[117]. ასეთივე პროპაგანდისტული ხასიათისაა შ. ნოზაძის ნაშრომიც[118].

მაგრამ XX საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებში პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის მარქსისტულ-ლენინურ პრინციპებს სერიოზული გამოცდა მოუწყო მ. გორბაჩოვის „გარდაქმნამ“ და “ახლებურმა აზროვნებამ“. ამ პერიოდში რეამინირებულმა ანტისტალინურმა მოძრაობამ წაახალისა აფხაზი და ოსი სეპარატისტები და მათი იდეოლოგები, რომლებმაც 1989 წლის ლიხნის თავყრილობაზე ახალი იმპულსი მისცეს ანტიქართულ მოძრაობას, როცა მოითხოვეს საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვა, აფხაზეთის სტატუსის შეცვლა და ა. შ. ამის საპასუხოდ თბილისში დაიწყო მშვიდობიანი საპროტესტო აქციები, რაც 9 აპრილის დრამატული შედეგით დასრულდა. ამ ტრაგედიამ კიდევ უფრო გააძლიერა აფხაზი სეპარატისტების იდეოლოგების საქმიანობა. მაგალითად, ერთ-ერთი მათგანი ს. ლაკობა უკვე ამტკიცებდა, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობა შემთხვევითი მოვლენა კი არ იყო, არამედ ვ. ი. ლენინის გამიზნული „საჩუქარი“ ნ. ლაკობასა და ე. ეშბასადმი იმ დახმარებისათვის, რაც მათ კრემლს გაუწიეს ათა თურქთან მოლაპარაკების დროს, როცა წარმატებით გამოიყენეს თურქეთში მცხოვრები მუჰაჯირების მემკვიდრეების ზეგავლენა. ის იმასაც კი ამტკიცებდა, რომ „სტალინმა და მისმა გარემოცვამ გააკეთეს ყველაფერი იმისათვის, რომ აფხაზეთი ავტონომიის ფორმით შესულიყო საქართველოს შემადგენლობაში... ზემოდან განხორციელებული მასირებული ზეწოლისა და საფინანსო-ეკონომიკური ბლოკადის ორგანიზების შედეგად 1922 წლის თებერვალში განსაკუთრებული სამოკავშირეო ხელშეკრულებით აფხაზეთი შევიდა საქართველოს სსრ შემადგენლობაში... კრემლში სტალინის პოზიციების გამყარების კვალდაკვალ ხდებოდა აფხაზეთის სტატუსის შეუჩერებელი დაქვეითება“[119].

აფხაზ და ოს სეპარატისტებს და მათ იდეოლოგებს, საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს შენარჩუნების მომხრეებს, ყოველმხრივ უჭერდნენ მხარს მოსკოვის სპეცსამსახუ-

რები და კრემლის ერთგული, შოვინისტურად განწყობილი მეცნიერები. იდეოლოგიურმა დაპირისპირებამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო. სულ მალე დაიშალა საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფო - კომუნისტური პარტიის ეროვნულმა პოლიტიკამ კრახი განიცადა: ქვეყანა ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების ასპარეზად გადაიქცა.

XX საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი დადგა, კრემლის აშკარა თუ ფარულმა აგენტურამ კვლავ აამოქმედა სეპარატისტული მოძრაობა აფხაზეთსა და შიდა ქართლში. დაიწყო სისხლიანი დაპირისპირება, რის შედეგადაც გაჩნდა ათასობით ლტოლვილი, ხოლო საქართველომ დროებით დაკარგა პოლიტიკური და იურიდიული ზეგავლენა აღნიშნულ რეგიონებზე. ამ ვითარებამ ქართველი ისტორიკოსების წინაშე ახალი ამოცანები დასახა - სეპარატისტებისათვის კრემლიდან ნაკარნახევ იდეოლოგიურ დივერსიებს უნდა დაპირისპირებოდა არგუმენტირებული და ისტორიულად გამართლებული ახალი შეხედულებები. პირველ რიგში უდიდესი ყურადღება მიექცა საკითხის წყაროთმცოდნეობითი ბაზის გაფართოებას. გამოქვეყნდა არაერთი დოკუმენტური მასალა, რომელთა შორის ბევრი დოკუმენტი მრავალი წლის მანძილზე გასაიდუმლოებული იყო. დაიწყეს ადრეულ პერიოდებში კომუნისტების მიერ აკრძალული თემების დამუშავება. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა XX საუკუნის ისტორიული მოვლენების ახალი მეთოდოლოგიური პრინციპების საფუძველზე გააზრებას. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჯ. გამახარიასა და ბ. გოგიას მიერ რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ ნაშრომს: „აფხაზეთი - საქართველოს ისტორიული მხარე (ისტორიოგრაფია, დოკუმენტები და მასალები, კომენტარები), რომელშიც ჩვენთვის საინტერესო პერიოდის დოკუმენტები და მასალების კომენტარებიც არის[120].

აფხაზეთის, შიდა ქართლისა და აჭარის ავტონომიის შექმნის საკითხები ქართველი ისტორიკოსების გამორჩეული ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. გ. გასვიანის, ლ. თოიძის, შ. ვადაჭკორიას, შ. თეთვაძის, ა. სონღულაშვილის, ა. დაუშვილის, ა. მენთეშაშვილის, რ. გრძელიძისა და სხვების ნაშრომებში შესწავლილი და გაანალიზებულია არა მარტო ავტონო-

მიური რესპუბლიკებისა და ოლქის ჩამოყალიბების რთული და წინააღმდეგობრივი პროცესი, არამედ განხილულია საეროვნებათაშორისო ურთიერთობის ბევრი კარდინალური საკითხიც.

მაგალითად, რ. გრძელიძე უკვე მიუთითებდა, რომ „საქართველოს ავტონომიურ ერთეულებად დაყოფა საბჭოთა ხელისუფლების შორსგამიზნული ნაბიჯი იყო, რომელსაც ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე ხანგრძლივი მოქმედების ნაღმის როლი უნდა შეესრულებინა"[121].

განსაკუთრებით მრავალპროფილიანია აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით გ. გასვიანის გამოკვლევები. ის სწავლობს ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ისტორიულ ფესვებს, წარმოაჩენს მათ შორის უთანხმოების გენეზისს, დიდ ყურადღებას უთმობს საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს. ეს საკითხი განსაკუთრებით მასშტაბურადაა წარმოჩენილი 2004 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში - „აფხაზეთი XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნეში". ავტორი დამაჯერებლად მიუთითებს, რომ „ე. წ. აფხაზეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნა წინასწარ იყო შემზადებული რუსეთის ბოლშევიკებისა და მათი მომხრე ადგილობრივი სეპარატისტების მიერ პოპულარობის მოპოვების მიზნით. სინამდვილეში რუსი ბოლშევიკ-კომუნისტები და თვით მათი ბელადი ლენინი არასოდეს არ იყო... თანახმა რუსეთის იმპერიის დაშლა-დაქსაქსვის - ცალკეულ სახელმწიფოებად... მთავარი ისაა, რომ საბჭოთა რუსეთის ბოლშევიკურ-კომუნისტური პარტია და მისი ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებდა საქართველოს დასასუსტებლად... და დასაპყრობად"[122].

გ. გასვიანმა სპეციალურად შეისწავლა რუსეთის სამხედრო ატაშის, გენერალ პ. სიტინის ანტიქართული გეგმები, რომლებიც საქართველოსაგან აფხაზეთის მოწყვეტას და რუსეთთან მის შეერთებას ითვალისწინებდა. ნაშრომში ხაზგასმულია რუსეთის სპეცსამსახურების მცდელობა ამ მიზნის მისაღწევად ქართველებსა და აფხაზებს შორის გაეღვივებინათ შეურიგებელი შუღლი[123].

მკვლევარი შ. ვადაჭკორია მკვეთრად უარყოფითად აფასებს საქართველოს რეგიონებში ავტონომიური სტრუქტუ-

რების შექმნას და მიუთითებს: „ოციანი წლების საქართველოს ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხს უცხო ძალების ზემოქმედებიდან გამომდინარე, ხელოვნურად თავსმოხვეული შიდა სახელმწიფოებრივი პოლიტიკური ერთეულების შექმნის აუცილებლობის დრამა წარმოადგენდა. მაშინდელი საქართველოს ხელისუფლება არაეროვნული პოზიციებიდან მიუდგა ამ მეტად მნიშვნელოვან პრობლემას და მისი გადაჭრის მცდარი ნაბიჯი გადადგა"[124].

თანამედროვე ქართველი ისტორიკოსების გამორჩეულ ყურადღებას იქცევს ე.წ. „აფხაზეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის" სტატუსის საკითხი, რაც XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში ავტონომიით შეიცვალა. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ აფხაზეთის სეპარატიზმის იდეოლოგები ამ ფაქტს საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის მოლაპარაკების დროს ნ. ლაკობასა და ე. ეშბას „მითიურ" დახმარებას უკავშირებენ. აფხაზეთის ამ გამორჩეულ სტატუსს კი თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ასეთ შეფასებას აძლევს: „აფხაზეთი 1921 წლიდან არსებითად არცერთ სფეროში დამოუკიდებელი არ იყო. ის მოსკოვსა და ნაწილობრივ თბილისს ექვემდებარებოდა"[125]. საყურადღებოა ა. მენთეშაშვილის დაკვირვება ამასთან დაკავშირებით – „მიუხედავად აფხაზეთის დამოუკიდებლობის ფორმალური აღიარებისა, როგორც რესპუბლიკაში, ისე ცენტრში, ის მაინც განიხილებოდა როგორც საქართველოს ავტონომიური ნაწილი"[126]. ვინც იმჟამინდელ პოლიტიკურ კონიუნქტურას ღრმად იცნობს, ის ამ დასკვნას, რა თქმა უნდა, დაეთანხმება. აფხაზეთის დამოუკიდებლობის ბუტაფორულ ხასიათზე მიუთითებენ: ახალგაზრდა მკვლევარი გ. სურგულაძე[127], ა. დაუშვილი[128]. ეს არც არის გასაკვირი, რადგან თვით აფხაზი კომუნისტების ლიდერი ნ. ლაკობა საჯაროდ აღნიშნავდა: „ჩვენ ვამტკიცებდით, რომ ასეთი დამოუკიდებლობა საჭიროა საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად აფხაზეთში, მაგრამ ასეთი დამოუკიდებლობა საჭიროა მხოლოდ როგორც ფირნიში"[129].

ამ მოსაზრებას ჩვენც ვიზიარებთ, რადგან მიგვაჩნია, რომ საბჭოთა ტოტალიტარული სისტემა ყოველგვარ ფაქტობრივ დამოუკიდებლობას გამორიცხავდა, ხოლო ერთადერთი ნამდვილი და შეუზღუდავი პარტიული ხელისუფლება

თავისი წესდებით, დაწერილი თუ დაუწერელი კანონებით ისე ადუღაბებდა მრავალმილიონიან სახელმწიფოს, რომ მასში შემავალი ქვეყნების სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობებისაგან არაფერი რჩებოდა.

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ასევე გამორჩეულ ყურადღებას უთმობს შიდა ქართლში ოსური ავტონომიის შექმნის პრობლემას. როგორც აღვნიშნეთ, ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია ცალსახად დადებითად აფასებდა ამ ისტორიულ ფაქტს. ამჟამად შეფასებები რადიკალურად განსხვავებულია. ლ. თოიძის აზრით: „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შეიქმნა არაკანონიერ საფუძველზე, ხელოვნურად, ამ რეგიონში მცხოვრები მკვიდრი ქართველი მოსახლეობის ნების უგულებელყოფით, სრულიად საქართველოს ინტერესების საზიანოდ"[130].

ფ. ლომაშვილის მტკიცებით: „სამხრეთ ოსეთის" ავტონომიური ოლქის შექმნამ სამაჩაბლოს ქართული მოსახლეობის... უკმაყოფილება გამოიწვია". შიდა ქართლის ქართული მოსახლეობის უკმაყოფილებას უკანონო „სამხრეთ ოსეთის ავტონომიის" შექმნასთან დაკავშირებით, ახალ დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით, ადასტურებს ლ. თოიძეც.

ბოლო წლებამდე თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია სპეციალურად არ განიხილავდა აჭარის ავტონომიის შექმნის საკითხს. ამჟამად ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს ორი, დიამეტრალურად განსხვავებული მოსაზრება: „აჭარის ავტონომიის იდეა შეიძლებოდა ჩასახულიყო და ჩაისახა კიდეც ქართველი ხალხის, პირველ რიგში აჭარის მკვიდრი მოსახლეობის არაკეთილმოსურნეთა თეორიულ სამზარეულოში"[131] და მეორე: „მ. აბაშიძეს და პატრიოტებს სხვა არჩევანი არა ჰქონდათ. მათ უნდა დაეცვათ ავტონომიის იდეა. ეს იყო ერთადერთი გამოსავალი. დიდი მამულიშვილი კარგად ხედავდა, რომ ეს იქნებოდა აჭარის დედა-სამშობლოსთან დაბრუნების ყველაზე რეალური გზა"[132].

2000 წელს ბათუმში დაიბეჭდა უ. ოქროპირიძის ნაშრომი „აჭარის ავტონომიის შექმნის საკითხისათვის", რამაც ისტორიკოსთა მკვეთრად კრიტიკული დამოკიდებულება გამოიწვია. ავტორმა ადგილობრივი ხელისუფლების მცდელობას - მიეღწია რეგიონის უფლებების ზედმეტად გაფართოებისათ-

ვის თავისებური იდეოლოგიური და ფსევდომეცნიერული „დასაბუთებები“ მოუძებნა. ნაშრომთან დაკავშირებით სრულიად სამართლიანად მიუთითებდა შ. ვადაჭკორია, რომ უ. ოქროპირიძის მცდელობა დაესაბუთებინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის დაკანონება დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუციით, ჭეშმარიტებას არ შეეფერებოდა და აღნიშნავდა, რომ უ. ოქროპირიძის მიერ „სამუსლიმანო საქართველოს“ აჭარად გამოცხადება, ხოლო ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსად გასაღება ჭეშმარიტების გაყალბებას წარმოადგენს“[133].

საბჭოთა სინამდვილეში აჭარის ავტონომიის ფორმირების საკითხს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ა. დაუშვილმა, რომელმაც შეისწავლა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სამუსლიმანო ავტონომიის შექმნის, ამ საქმეში ი. ბ. სტალინის როლი. ავტორმა შეაჯერა აჭარის მეჯლისის მიერ წარმოდგენილი მემორანდუმი და საქართველოს რევკომის 1921 წლის №54-ე დეკრეტი „აჭარის საბჭოთა სოციალისტური ავტონომიური რესპუბლიკის შექმნის შესახებ“ და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „აჭარის ავტონომიის შექმნა იყო კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში რეალიზებული გარდამავალი მოდელი, რამაც თავისი ისტორიული მისია შეასრულა. საბჭოთა ტოტალიტარულმა სისტემამ მთლიანად უზრუნველყო იმ ადგილობრივი რელიგიური თუ საყოფაცხოვრებო თავისებურებების ნიველირება, რამაც გარკვეული საფუძველი შეუქმნა აჭარის ავტონომიის აუცილებლობას“ [134].

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია უდიდეს ყურადღებას უთმობს 1921-1925 წლებში საეროვნებათაშორისო და ეროვნული ურთიერთობების საკითხებს. განსაკუთრებით იკვლევენ იმ პრობლემებს, რაც საბჭოთა ხელისუფლების წლებში აკრძალული იყო. მაგალითად, ა. სონღულაშვილმა გამოიკვლია საქართველოში XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში ეთნოკონფლიქტების გამომწვევი მიზეზები, აჩვენა ქართულ-ოსური, ქართულ-აზერბაიჯანული, ქართულ-ქისტური, ქართულ-სომხური დაპირისპირების პოლიტიკური თუ საყოფაცხოვრებო პირობები. სამართლიანად შენიშნავს ავტორი, რომ საბჭოური ისტორიოგრაფია დოკუმენტური წყა-

როების იგნორირებით საქმეს ისე წარმოადგენდა, თითქოს მხოლოდ ჰარმონია სუფევდა ეროვნულ ურთიერთობაში კომუნისტური რეჟიმის პერიოდში. აღნიშნული საკითხი საქართველოს უახლესი ისტორიის „თეთრ ლაქას" განეკუთვნება და აუცილებლად საჭიროებს სიღრმისეულ კვლევას"[135]. ჩვენც ვეთანხმებით ავტორის ამ მოსაზრებას.

მკვლევარმა გ. სურგულაძემ შეისწავლა საეროვნებათაშორისო ურთიერთობების თავისებურებანი აფხაზეთში, მესხეთ-ჯავახეთსა და შიდა ქართლში. ის ყურადღებას უთმობს იმ გამორჩეულ პოლიტიკას, რომლის განხორციელება დაიწყო 1925 წელს მესხეთ-ჯავახეთში. ავტორს მხედველობაში აქვს საქ. კპ(ბ) ცკ-ის დადგენილება, რომლის მიხედვით „მხარის პარტიული ხელმძღვანელი - მდივანი აუცილებლად ქართული ენის მცოდნე უნდა ყოფილიყო. მას უნდა ჰყოლოდა ორი თანაშემწე: სომეხი და თურქი"[136]. მაგრამ ავტორი მიუთითებს, რომ „ნებისმიერ ვითარებაში, ნებისმიერ საზოგადოებაში საეროვნებათაშორისო ურთიერთობის ჰარმონიზაცია მხოლოდ თანმიმდევრული დემოკრატიის, მოსახლეობის კულტურული დონის პერმანენტული ამაღლების, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პროფილის რადიკალური გაჯანსაღების გზით მიიღწევა"[137].

ქართველი ისტორიკოსები სპეციალურად სწავლობენ საქართველოს მრავალეროვანი მოსახლეობის ცალკეული წარმომადგენლების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების პრობლემებს. დამუშავებულია გერმანელების[138], ბერძნების[139], აისორების[140], ქურთების[141], ებრაელების[142], ოსების[143], კაზაკების[144] განვითარების სხვადასხვა ასპექტი საბჭოთა ხელისუფლების წლებში, მათ შორის აღნიშნული ნაშრომები შეიცავენ ინფორმაციას ჩვენთვის საინტერესო პერიოდზეც.

ეროვნული და საეროვნებათაშორისო ურთიერთობის საკითხებზე 1921-1923 წლებში ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების ეტაპების წარმატებული ცდაა შ. ვადაჭკორიას გამოკვლევა „ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში". ნაშრომში განხილულია ქართველი სოციალ-ფედერალისტების: თ. ღლონტის, კ. გამსახურდიას, ვ. კოტეტიშვილის და სხვათა პუბლიცისტუ-

რი წერილები აფხაზეთის, ოსეთის, აჭარის ავტონომიების შექმნის საკითხთან, ისტორიული ტერიტორიების გასხვისებასთან დაკავშირებით და ა. შ. ავტორი სამართლიანად მიუთითებს, რომ ისინი „გარკვეულწილად სოციალისტური იდეოლოგიის ზეგავლენას განიცდიდნენ, რის გამოც ხშირ შემთხვევაში ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებსა და დასკვნებს იძლეოდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მთავარ ამოცანად საქართველოს სუვერენიტეტის შენარჩუნებისათვის ბრძოლას მიიჩნევდნენ"[145].

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ეროვნული პოზიცია და დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ობიექტურად არის შეფასებული ო. ჯანელიძის მონოგრაფიაში[146].

საქართველოს სამრეწველო საწარმოებში ჩვენთვის საინტერესო პერიოდში საეროვნებათაშორისო ურთიერთობების თავისებურება სპეციალურად შეისწავლა ა. დაუშვილმა. მონოგრაფიაში განსაზღვრულია შრომითი კოლექტივების ეროვნული შემადგენლობა და დინამიკა, ენობრივი სიტუაცია კოლექტივში. შრომითი თანამშრომლობის ინტერნაციონალური ხასიათი, ეროვნებათაშორისი კონფლიქტების გენეზისი. ჩვენ ვიზიარებთ ავტორის მოსაზრებას, რომ შრომით კოლექტივში ეთნიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზი იყო „მიკროკოლექტივში ტრადიციული ეროვნებათაშორისი ერთიერთობის დამკვიდრებული ბალანსის დარღვევა, ახალი ეთნიკური ჯგუფის გაძლიერება"[147].

ჩვენი აზრით გარკვეულ ინტერესს იწვევს მკვლევარ ა. დაუშვილის მიერ შემჩნეული საინტერესო დაპირისპირება საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგებში ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით. იგი წერს: „საქართველოს კომუნისტურ პარტიაში მთელი ოციანი წლების განმავლობაში ორი დაპირისპირებული მიმდინარეობა არსებობდა: „კომპრომისული" და „სამართლიანი". ეროვნულ უმცირესობებთან, განსაკუთრებით აფხაზებთან დამოკიდებულებაში „კომპრომისული" მიმართულების მიმდევრები (გ. სტურუა, ა. გეგეჭკორი და სხვ.) ითხოვდნენ დათმობებს, გარკვეულ პრივილეგიებს. „სამართლიანი" მიმართულების წარმომადგენლები (ა. ურუშაძე, თ. ულენტი, ვ. ბახტაძე და სხვ.) მოითხოვდნენ სამართ-

ლიან დამოკიდებულებას საქართველოში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენლებისადმი. წინააღმდეგი იყვნენ უპრინციპო კომპრომისების... საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობა (მ. კახიანი, ს. მამულია, ლ. ღოღობერიძე და სხვ.) ყოველთვის ვერ ახერხებდა სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას და იხრებოდა „კომპრომისული" მიმართულებისაკენ"[148]. საქართველოს მმართველი პარტიის მხრიდან ეროვნული და საეროვნებათაშორისო ურთიერთობის საკითხებისადმი ასეთმა ორჭოფულმა დამოკიდებულებამ გამოიწვია კრიზისული ვითარება, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა XX საუკუნის 20-იანი წლების დასასრულს.

ამრიგად, ქართულ ისტორიოგრაფიაში ეროვნული და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების პრობლემები თავიდანვე ინტენსიურად მუშავდებოდა, თუმცა კომუნისტური იდეოლოგიური მარწუხები საქართველოს ისტორიკოსებს აიძულებდა ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ მოწყობასთან და ავტონომიური ერთეულების შექმნასთან დაკავშირებით მმართველი პარტიის მიერ განხორციელებული ყველა ღონისძიება ცალსახად დადებითად შეეფასებინათ. ეს, გარკვეულწილად, ხელს უწყობდა ადგილობრივი ფარული სეპარატიზმის იდეოლოგებს წამოეყენებინათ და „დაესაბუთებინათ" უკანონო პრეტენზიები საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისათვის და გაემართლებინათ სახელმწიფოებრივი მოწყობის ის პრაქტიკა, რაც ხშირ შემთხვევაში ქართველი ერის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ იყო მიმართული. აფხაზი და ოსი ისტორიკოსების ნაშრომებში ეს ტენდენცია განსაკუთრებით გაძლიერდა მ. გორბაჩოვის მმართველობის ხანაში.

თანამედროვე ქართულმა ისტორიოგრაფიამ დაძლია საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი ცალმხრივობა ეროვნული და საეროვნებათაშორისო ურთიერთობების პრობლემების კვლევის საქმეში და ობიექტური ანალიზის საფუძველზე ჩამოაყალიბა საქართველოში 1921-1925 წლებში მიმდინარე საეროვნებათაშორისო ურთიერთობის თავისებურებანი, რითიც შეიქმნა გარკვეული იდეოლოგიური საფუძველი ეთნოკონფლიქტების სამართლიანი მოწესრიგებისათვის.

4. 1924 წლის აგვისტოს აჯანყება და მისი შეფასება ქართულ ისტორიოგრაფიაში

ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში უცხოელი დამპყრობლების ლაგამა-მოუდებელი ჩაგვრის წინააღმდეგ გმირული, უკომპრომისო ბრძოლების არაერთი ფაქტია ცნობილი. ამ ჩამონათვალში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი საბჭოთა რუსეთის ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართულ 1924 წლის აგვისტოს აჯანყებას უკავია. მასთან დაკავშირებით კი ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული შეხედულებებია გამოთქმული. აჯანყების მიზეზები, განვითარების თავისებურება, მასში მონაწილე პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დამოკიდებულება, აქტიურ მონაწილეთა შესახებ ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი შეფასებები აშკარად მიგვანიშნებენ, რომ ეს ისტორიული ფაქტი მომავალშიც სამეცნიერო კვლევა-ძიების ამოუწურავი თემა იქნება.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ თემას პირველად შეეხო კ. შელია თავის მონოგრაფიაში. ავტორი აღნიშნული ისტორიული ფაქტის შემდგომ შეფასებას იძლევა: „გახრწნილი მენშევიკური პარტიის ნაშთები საზღვარგარეთ ინგლისისა და საფრანგეთის ხელშეწყობითა და დახმარებით ამზადებდნენ შეიარაღებულ გამოსვლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, გამოსვლების მომზადებას ხელმძღვანელობდნენ თავადაზნაურები, სისხლის სამართლის დამნაშავენი და სხვა ბანდიტები, ე. წ. ნაციონალ-დემოკრატების, სოციალ-ფედერალისტების მონაწილეობით მენშევიკების საერთო ხელმძღვანელობით“[149].

აკად. ი. კაჭარავა არ არღვევს საბჭოთა ტრადიციას და აღნიშნავს: „საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ თითქმის ხელუხლებელი დარჩა კონტრრევოლუციის რეზერვები. რევოლუციურმა ხელისუფლებამ ამნისტირებულად გამოაცხადა ყველა ანტისაბჭოთა პარტია. მათ შორის მარტო მენშევიკები 80 ათასამდე წევრს ითვლიდნენ თავიანთ რიგებში. ასევე მრავალრიცხოვანი იყო რეაქციული ბურჟუაზიისა და თავადაზნაურობის პოლიტიკური პარტია - ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, სოციალისტ-ფედე-

რალისტები, სოციალ-რევოლუციონერები და სხვ. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იარაღით გამოვიდნენ მეფის ყოფილი ოფიცრები, კულაკები, ვაჭრები, ხუცები და სხვ."[150].

განმაზოგადებელი ნაშრომის - „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევების" ავტორები ასევე ხაზგასმით მიუთითებენ: „კაპიტალისტური ელემენტების გამოცოცხლებამ ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში საბჭოთა ხელისუფლების მტრებს კაპიტალიზმის რესტავრაციის იმედი ჩაუსახა. კულაკები და ნეპმანები, რომლებსაც მენშევიკები და სხვა კონტრრევოლუციური ელემენტები აქეზებდნენ, გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ საბჭოთა მთავრობის პოლიტიკურ და სამეურნეო ღონისძიებებს... კონტრრევოლუციურ ბრძოლას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ხელმძღვანელობდნენ ქართველ მენშევიკთა, ნაციონალ-დემოკრატთა, სოციალ-ფედერალისტთა მეთაურები, რომლებმმაც საზღვარგარეთ შეაფარეს თავი და იქ შექმნეს ეგრეთ წოდებული „ჟორდანიას ეროვნული მთავრობა", სარგებლობდნენ რა ინგლის-ამერიკელ-ფრანგ იმპერიალისტთა და მეორე ინტერნაციონალის ლიდერების მუდმივი მხარდაჭერით და დახმარებით, მათ გააააქტიურეს კონტრრევოლუციური იატაკქვეშა საქმიანობა საქართველოში და ამზადებდნენ აშკარა გამოსვლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ"[151].

ზემოთ მოყვანილი შეფასებებიდან ნათლად ჩანს, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის 1924 წლის აჯანყების წინაპირობად შეიძლება განისაზღვროს შემდეგი ფაქტორები: 1. საქართველოში ძლიერი კონტრრევოლუციური რეზერვის არსებობა (ამგვარი შეხედულება კი, ჩვენი აზრით გულისხმობს, რომ მისი ავტორები ნაკლად უთვლიან საქართველოს ხელისუფლებას ასეთი „რეზერვის" არსებობას 1924 წლისათვის); 2. აჯანყების მამოძრავებელ ძალებად „თავადაზნაურობის, სისხლის სამართლის დამნაშავეთა, კლერიკალებისა და სხვა ბანდიტების" წარმოჩენა, 3. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად ბურჟუაზიული ფენების გააქტიურება, რომელთაც გაუჩნდათ საკუთარი პრივილეგიების დაბრუნების იმედი; 4. უცხო კაპიტალისტური ქვეყნების დახმარება.

ასეთი შეხედულებები მთლიანად შეესაბამებოდა ისტორიული ფაქტის მიმართ კლასობრივ, მარქსისტულ-ლენინურ პრინციპებს და ისინი დიდი ხნის განმავლობაში მთლიანად განსაზღვრავდნენ ამ ისტორიული ფაქტის ისტორიოგრაფიულ შეფასებას.

ჩვენ, გასაგები მიზეზების გამო, ვერ შევუდგებით ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მოცემული 1924 წლის აჯანყების ყველა დეტალის დაწვრილებით კრიტიკულ ანალიზს, გამოვყოფთ მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვან პრობლემას. აკად. ი. კაჭარავა მიუთითებს ერთ საყურადღებო მომენტზე: „1924 წლის დასაწყისში საზღვარგარეთიდან ჩამოვიდა ვ. ნოდია „საზღვარგარეთული ბიუროს" პასუხით, რომ საერთაშორისო მდგომარეობა ხელს უწყობს გამოსვლას და ინგლისი და საფრანგეთი თავის მხრივ გვპირდებიან დახმარებას აჯანყების შემთხვევაშიო"[152].

კ. შელია აღნიშნავს: რომ „მენშევიკური ავანტიურა მოწყობილ იქნა ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტების მითითების თანახმად, მათი ფულითა და გეგმებით"[153]. ამ აზრს ეთანხმებიან „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევების", „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" შესაბამისი ტომის ავტორებიც[154].

მიგვაჩნია, რომ ეს შეხედულება არ შეესაბამება ჭეშმარიტებას, რადგან ჩვენ მოვიპოვეთ ახალი მასალა როგორც მოსკოვის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, ისე საქართველოს პრეზიდენტის არქივში, რომელიც ამ ფაქტს არ ადასტურებენ და ამის შესახებ გვექნება სპეციალური მსჯელობა ამ პარაგრაფის შესაბამის ადგილზე.

ქართველი მეცნიერები აჯანყების პროცესში ყურადღებას აქცევდნენ და წინა პლანზე სწევდნენ იმ ღონისძიებებს, რასაც, მათი მტკიცებით, ადგილი ჰქონდა აჯანყებულთა მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე: მიწაზე თავადაზნაურულ-მემამულური კერძო საკუთრების აღდგენა, სოციალისტური რევოლუციის ყველა მონაპოვრის ლიკვიდაცია, რის გამოც, როგორც საბჭოთა ისტორიკოსები ამტკიცებდნენ, გლეხობამ აჯანყებულებს ზურგი შეაქცია და მტრულად განეწყო"[155].

ასევე ხაზგასმით არის მითითებული, რომ „მენშევიკებს არ ჰქონდათ არავითარი ნიადაგი და დასაყრდენი არც მუშათა კლასში"[156]. როგორც უახლესი გამოკვლევები მიუთითებენ, ეს ასე არ იყო.

საერთოდ, აჯანყებულები ვარაუდობდნენ, რომ მთელი ამიერკავკასია და ჩრ. კავკასია მხარს დაუჭერდა მათ ანტისაბჭოთა გამოსვლას. ამას ითვალისწინებდა ნ. ჟორდანიას სპეციალური დირექტივაც (დღეს არიან ისტორიკოსები, რომლებიც ამ „დირექტივას" ნაყალბევად თვლიან), რომელიც მან 1924 წლის ზაფხულში გამოუგზავნა „პარიტეტული კომიტეტის" ხელმძღვანელობას. ის რომ ამ დირექტივას განხორციელება არ მოჰყვა, საბჭოთა ისტორიოგრაფია საბჭოთა სისტემის სიმტკიცის დასადასტურებლად იყენებდა[157].

1924 წლის აჯანყებისადმი მიძღვნილი საბჭოთა ისტორიკოსების ნაშრომებში ხაზგასმულია შეიარაღებული გამოსვლების ლიკვიდაციის საქმეში საქართველოს საგანგებო კომისიის აგენტურისა და ორგანიზაციების გამორჩეული როლი, მაგრამ ბოლო დრომდე არცერთი ეს ისტორიკოსი არ სვამდა საკითხს - ხომ არ იყო ეს აჯანყება, გარკვეულწილად, პროვოცირებული საბჭოთა სპეცსამსახურებისა და სახელმწიფო სტრუქტურების მიერ. ჩვენ მივაკვლიეთ ახალ მასალას, რომელიც გვაძლევს ამასთან დაკავშირებით ვარაუდის გამოთქმის უფლებას.

როგორც აღნიშნავდნენ: "საქართველოს მშრომელებმა კომუნისტების მეთაურობით და წითელი არმიის ქართული ნაწილების დახმარებით სამ დღეში მოსპეს ანტისაბჭოთა აჯანყება"[158]. ამ აზრს იზიარებს ყველა ის საბჭოთა ისტორიკოსი, ვინც კი ამ თემას შეეხო.

აკად. ი. კაჭარავა გამორჩეულ ყურადღებას აქცევს აჯანყებაში გლეხობის მონაწილეობის საკითხს. სხვებისგან განსხვავებით ის აყალიბებს საკუთარ კონცეფციას და წინ წევს იმ შეცდომებს, რომლებიც დაუშვეს პარტიული პოლიტიკის გატარების დროს: 1. სოფლად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სისუსტე საქართველოს სოფლის პარტიულ ორგანიზაციებში, სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, 6 ათასი კომუნისტი ირიცხებოდა, მაშინ როდესაც მარტო გურიის მენშევიკური ორგანიზაცია 8-10 ათასამდე წევრს ითვლიდა;

2. სოფლად სუსტი იყო საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები. ნაკლებად იყო უპარტიო გლეხობა ჩაბმული საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში. კომუნისტებმა ვერ შეძლეს გლეხობისადმი მიდგომა, რის გამოც შექმნეს ურთიერთუნდობლობის ატმოსფერო. საბჭოთა რუსეთის გამოცდილების შაბლონურად გადმოღებამ საქართველოში უარყოფითი შედეგები მოგვცა, გლეხობა და ხელისუფლება უფრო დაშორდნენ ერთმანეთს"[159].

ი. კაჭარავას ეს შეხედულება, გარკვეულწილად, წინააღმდეგობაშია ქართველ ისტორიკოს-აგრარიკოსთა მტკიცებულებებთან, რომ 1923 წლიდან საქართველოს სოფელში ხდება აგრარული რევოლუციის ფორსირება, რამაც ქართული სოფელი „საშუალო" გახადა[160]. ისმის კითხვა - მაშინ რატომ აჯანყდა გლეხობა იმ ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელმაც ის „საშუალო" გახადა და შედარებით გააუმჯობესა მისი მატერიალური ცხოვრების პირობები? ჩვენი ვარაუდით ამის მიზეზი, პირველ რიგში, უნდა იყოს ეროვნული თავისუფლებისადმი ქართველი გლეხის ბუნებრივი ლტოლვა.

ვეთანხმებით გამოთქმულ მოსაზრებას, რომ აჯანყების ტრაგიკულმა შედეგებმა გამოიწვია ინტელიგენციის დიდი ნაწილის ხელისუფლებისადმი ლოიალური დამოკიდებულება. კეთდებოდა საჯარო განცხადებები, საქართველოს სამოციქულო ეკლესიამაც 1924 წლის აჯანყების შემდეგ კომუნისტური რეჟიმის მიმართ თავისი ლოიალობა გამოხატა. ისტორიული ორთაბრძოლის ამ ეტაპზე კომუნისტურმა რეჟიმმა გაიმარჯვა.

1924 წლის აჯანყების შესახებ ზემოთ აღწერილი ვერსია ათეული წლების განმავლობაში გაბატონებული იყო ქართულ ოფიციალურ ისტორიოგრაფიაში, თუმცა იყო ცნობები, რომ დასავლეთში ემიგრანტულ საისტორიო მეცნიერებასა თუ მემუარისტიკაში არსებობდა საინტერესო ლიტერატურა აღნიშნული ისტორიული მოვლენების შესახებ. XX საუკუნის 80-იანი წლების დასასრულს, გარდაქმნისა და საჯაროობის პირობებში გამოქვეყნდა პირველი საგაზეთო პუბლიკაციები: გ. ციციშვილის, ა. მენთეშაშვილის, ა. მუჯირის, რ. გრძელიძისა და სხვების, რომლებშიც მოცემული იყო საკვლევი თემის ახლებური გაშუქება. 1998 წელს ო. ჯანელიძემ საისტორიო საზო-

გადოებას გააცნო 1924 წლის აჯანყების ახალი დოკუმეტები, იმავე წელს ნ. კირთაძემ გამოაქვეყნა დოკუმენტების კრებული „კაენ, სად არის ძმა შენი?!" და „რა მოხდა?!", რომელშიც თავი მოუყარა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივში დავანებულ უამრავ ფაქტოლოგიურ მასალას[161]. გამოქვეყნდა აჯანყების აქტიური მონაწილეების ს. ზალდასტანიშვილის და სხვების მემუარები, რომლებმაც შექმნეს ახალი წყაროთმცოდნეობითი საფუძველი 1924 წლის აჯანყების ყოველმხრივ ობიექტური შესწავლისათვის[162].

უკვე XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ქართველმა ისტორიკოსებმა გამორჩეული ყურადღება დაუთმეს 1924 წლის აჯანყების პირობების, მისი მამოძრავებელი ძალების, დამარცხების გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების ობიექტურად კვლევას. აშკარად შეიმჩნევა, რომ ზედმეტად ეიფორიული განწყობილებები შეიცვალა უფრო კრიტიკული, გაწონასწორებული შეხედულებებით აჯანყების - როგორც ისტორიული ფაქტის მიმართ. ბოლო წლებში დაგროვდა უამრავი ფაქტოლოგიური მასალა, რამაც ქართველ ისტორიკოსებს ორიგინალური, ხშირ შემთხვევაში სენსაციური განცხადებების გაკეთების შესაძლებლობა მისცა.

რა თქმა უნდა, პირველ რიგში, რადიკალურად შეიცვალა აჯანყების გამომწვევი მიზეზების ისტორიოგრაფიული შეფასება. მაგალითად, ვ. ბენიძის მიხედვით: „1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს გასაბჭოებაში წითელი არმიის ჩარევა, ეროვნული სახელმწიფოებრიობის მოშლა და ცენტრალიზაციის პროცესი. ე. წ. „კლასობრივი მტრების" განუკითხავი დევნა, მთავრობის არასწორი სამეურნეო პოლიტიკა და ოპოზიციური პარტიების აღნიშნულ ფაქტებზე აგებული დაჟინებითი პროპაგანდა დემოკრატიულ ხელისუფლების აღდგენის აუცილებლობის შესახებ, გახდა აჯანყების ძირითადი მიზეზი"[163].

რ. გრძელიძე კი ხაზგასმით მიუთითებდა: „1924 წლის აჯანყების უმთავრესი მიზეზი და მიზანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა და მისი აღდგენა. ამაშია ამ ისტორიული ფაქტის მიზან-შედეგობითი კავშირი, თავისუფლებისათვის ქართველი ხალხის თავგანნირული ბრძოლის ტრაგიზმი და ბედუკუღმართობა"[164]. აჯანყების მიზეზების შესა-

ხებ ასეთი შეხედულებები დამახასიათებელია ა. და პ. სურგულაძეების, ფ. ლომაშვილის, ნ. კირთაძის, გ. ციციშვილისა და სხვების მონოგრაფიებისა და გამოკვლევებისათვის.

რადიკალურად განსხვავებულია თანამედროვე ქართველი ისტორიკოსების დამოკიდებულება აჯანყების მამოძრავებელი ძალებისადმიც. რ. გრძელიძის აზრით: „ამ აჯანყებაში ქართველი ხალხი მონაწილეობდა განურჩევლად წოდებისა, პარტიულობისა და რწმენისა, მის ბირთვს შეადგენდა ინტელიგენცია, გლეხობა, ყველა ფენის ახალგაზრდობა"[165].

აჯანყების საერთო სახალხო ხასიათზე მიუთითებს ნ. კირთაძეც: „აჯანყებაში მონაწილეობდნენ ყველა კლასისა და ფენის სხვადასხვა პოლიტიკური რწმენისა და მიმართულების ადამიანი... და ეს იყო ჭეშმარიტად სახალხო აჯანყება ეროვნული თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის"[166].

ჩვენ არ შევუდგებით 1924 წლის აჯანყების ცალკეული პერიპეტიების შესახებ თანამედროვე ქართველი ისტორიკოსების მიერ გამოთქმული ყველა შეხედულებისა თუ ახლად გამოვლენილი საისტორიო ფაქტების კომენტირებას, გამოვყოფთ მნიშვნელოვან პრობლემებს: აჯანყების მომზადებისა და რეალიზაციის პროცესში დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა დახმარების საკითხს, აჯანყების ხელმძღვანელი ბირთვის ერთიანობის პრობლემას, აჯანყების პროვოცირების შესაძლებლობას, მისი დამარცხების მიზეზებს და შედეგებს, როგორც საბჭოთა რეჟიმისათვის, ისე საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის.

2004 წელს აჯანყების 80 წლისთავის საიუბილეო დღეებში გამოქვეყნდა გ. ციციშვილის მცირე ზომის, მაგრამ მეტად საყურადღებო გამოკვლევა, რომელშიც ჩამოყალიბებულია საინტერესო და, ხშირ შემთხვევაში, გასაზიარებელი მოსაზრებები სწორედ ზემოთ აღნიშნული პრობლემატიკის გარშემო.

რაც შეეხება აჯანყებულებისადმი ევროპული სახელმწიფოების მხრიდან დახმარების პრობლემას, ქართველ ისტორიკოსებს შემჩნეული აქვთ, რომ უკვე 1922 წლიდან ემიგრანტული მთავრობის წარმომადგენლები საქართველოში თავის მომხრეებს აიმედებდნენ, რომ აჯანყების შემთხვევაში ევრო-

პა მათ აუცილებლად დაუჭერდა მხარს, როგორც მორალურად, ისე მატერიალურად[167]. როგორც სამართლიანად აღნიშნავს გ. ციციშვილი, აჯანყების წარუმატებლობა გარკვეულწილად განაპირობა: „აჯანყების დროს ხელმძღვანელობის მხრივ უსაფუძვლო წაქეზებამ... ეს ყველაფერი მოწყობილია ევროპიდანო... ნოე ჟორდანია საზღვარგარეთულ ჯარებთან ერთად ჩამოვა... ინგლისის დესანტი უკვე მოადგა ანაკლიასო" და სხვ.[168]

მ. სამსონაძეც მიუთითებს, რომ „აჯანყებულები თავის პოლიტიკას უცხოეთზე აგებდნენ, აჯანყების ადგილობრივ თუ საზღვარგარეთულ მოთავეებს კარგად ესმოდათ, რომ საკუთარი ძალებით საქართველო რუსეთის უღელს ვერ გადაგდებდა, ამიტომ საჭიროდ თვლიდნენ აჯანყების თვით ფაქტის დაფიქსირებას, რათა ევროპის ყურადღება მიეპყროთ და დახმარების იმედი გასჩენოდათ"[169]. ქვემოთ დავინახავთ, რომ ასეთი ოპტიმისტური დამოკიდებულებისათვის თავიდანვე არ არსებობდა არავითარი რეალური საფუძველი.

ნებისმიერი აჯანყების წარმატება დამოკიდებულია მისი ხელმძღვანელი ბირთვის მონოლითურობასა და მიზანმიმართულ მუშაობაზე. ამ მხრივ როგორც ქართული საბჭოთა, ისე თანამედროვე ისტორიოგრაფია ერთ აზრზეა - ვერ მოხერხდა აჯანყების ხელმძღვანელთა, მასში მონაწილე პარტიების ინტერესთა თანხვედრა, მათი მონოლითურობა. სამართლიანადაა შენიშნული, რომ „მაშინაც საქართველოს, თავისუფლებისათვის საბრძოლო ჟინით გზნებამორეულს და ... ბრძოლის ზღურბლზეც ფეხშედგმულს, ყველაზე დიდი, საბედისწერო სენი ჭირდა: სენი შინაგანი დაქსაქსულობისა, შინაგანი დაპირისპირებისა, ანუ „შინაპარტიულობისა" თუ "შინაკლანურობისა"[170]. მსგავსი შეხედულება გამოთქმული აქვს რ. გრძელიძესაც ჩვენს მიერ ციტირებულ მის ნაშრომში.

მეტად საყურადღებოდ გვეჩვენება გ. ციციშვილის მიერ თავის გამოკვლევაში მოყვანილი სახელმწიფო უშიშროების ყოფილი აგენტის, ბერად აღკვეცილი მანუჩარ შელიას აღსარება, რომ „ეროვნული მოძრაობის ორგანიზატორთა ცენტრში ჩეკას აგენტი უფრო მეტი ჰყავდა, ვიდრე ჭეშმარიტი პატრიოტი"[171]. მართალია, მონოგრაფიის ავტორი ცდილობს გაემიჯნოს ასეთ შეხედულებას, მაგრამ ამ კონტექსტში ამ მო-

საზრების მოყვანა მიუთითებს, რომ გ. ციციშვილი მ. შელიას აღსარებაში სიმართლის ელემენტებს ხედავს.

ამ ნაშრომში ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო აჯანყების შესაძლო პროვოცირების საკითხმა. გ. ციციშვილი დაბეჯითებით აცხადებს, რომ „1924 წლის აჯანყება ჩეკას ორგანოების მიერ იყო პროვოცირებული და მასშტაბურად დარეგულირებულ-შეზღუდულიც"[172]. ავტორი ამტკიცებს: „საბჭოთა სახელმწიფო უშიშროებამ იმისათვის იზრუნა, რომ საქართველოში უთუოდ მომხდარიყო აჯანყება. მაგრამ შეზღუდული მასშტაბის გამოსვლები, რომლებიც ანტისაბჭოთა ქართული ოპოზიციის მიმართ ჩეკისტური ანგარიშსწორების იდეური გამართლების შესაძლებლობას შექმნიდა და ჩვენში ტოტალიტარული რეჟიმის დამყარებისათვის პოხიერ ნიადაგს მოამზადებდა"[173].

გ. ციციშვილი გვთავაზობს საყურადღებო დასკვნას: „სამწუხაროდ არა მარტო ფართო მკითხველისათვის, არამედ ისტორიკოსებისათვის და მკვლევარ-სპეციალისტებისათვისაც კი... დაუჯერებელია, რომ... 1924 წ. აჯანყება ერთი მხრივ, ხელისუფლების, მეორე მხრივ, საზღვარგარეთული ცენტრის, ხოლო მესამე მხრივ, ადგილობრივი ექსტრემისტული ავანტიურისტი ლიდერების მიერ იყო პროვოცირებული"[174]. გ. ციციშვილის ეს მოსაზრება შეგვიძლია გავამყაროთ ჩვენს მიერ აღმოჩენილი დოკუმენტით, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

აჯანყების დროს რეგიონების დამოკიდებულება აჯანყებულთა მიმართ - ერთგვაროვანი არ იყო - აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი მთლიანად გაემიჯნა აჯანყებას. უფრო მეტი, აფხაზების შეიარაღებული რაზმები სამეგრელოს რეგიონში მონაწილეობდნენ აჯანყების შედეგების ლიკვიდაციაში. აჭარაში ანტისაბჭოთა მოძრაობის შესახებ მდიდარი ინფორმაციის შემცველია ო. გოგოლიშვილის და ი. მანველიძის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომები, თუმცა ისინიც აღიარებენ, რომ 1924 წლის აჯანყება აჭარაში არ განხორციელებულა, რის მიზეზადაც ასახელებენ საბჭოთა სადამსჯელო ორგანოების მიერ აჯანყებამდე შეთქმულთა გაუვნებელყოფას, აჭარის გავლენიანი და ეროვნულ პოზიციაზე მდგომი აღა-ბეგების ჯერ კიდევ 1923 წლის დასაწყისში დაპატიმრებასა და იზოლაციას,

აჭარის გლეხობის ძირითადი მასის ეროვნულ საკითხებში გაუთვითცნობიერებლობას, ბოლშევიკების პარტიული და საბჭოთა აპარატის მიზანმიმართულ პროპაგანდისტულ მუშაობას[175].

1924 წლის აჯანყება დამარცხდა. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია განსაკუთრებით გამოყოფს აჯანყების ჰეროიკულ მომენტებს, მამულიშვილთა თავგანწირვას და იმ სასტიკ რეპრესიებს, რაც საბჭოთა რეჟიმმა აჯანყებულ რეგიონებს თავს დაატეხა.

აჯანყების შეფასებაც რადიკალურად განსხვავებულია საბჭოთა ისტორიკოსების შეფასებებისაგან: ფ. ლომაშვილი აღნიშნავს: „ამ ჭეშმარიტად სახალხო აჯანყებას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. მან ნათელყო, რომ ქართველი ხალხი თავისი ეროვნული სახელმწიფოებრიობის დაკარგვას არასოდეს არ შეურიგდებოდა და თავისუფლებისათვის თავგანწირვით იბრძოლებდა“[176]. მსგავსი შეხედულებები აქვს რ. გრძელიძეს, ვ. ბენიძეს, ნ. კირთაძეს და სხვ.

რადიკალურად განსხვავებულია გ. ციციშვილის შეფასება. იგი წერს: „1924 წლის აჯანყებამ დიდი უბედურების გარდა რაიმე რეალური დადებითი შედეგები ქართველ ხალხს ვერ მოუტანა“[177].

ასეთი ორი ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრება თავიდანვე დაებედა 1924 წლის აჯანყებას. ნოე ჟორდანია ასე აფასებდა ამ აჯანყების ისტორიულ მნიშვნელობას: „აგვისტოს აჯანყებას ქონდა დიდი დადებითი შედეგები. შიგნით მან გააერთიანა მთელი ერი. ამოთხარა ორმო ჩვენს და მტერს შორის. გარეთ მან დასვა ჩვენი საკითხი პრაქტიკული პოლიტიკის დღის წესრიგში. იგი უდიდესი მოვლენაა... ჩვენს ახალ ისტორიაში ის იჭერს ცენტრალურ ადგილს და მის ირგვლივ იკრიბება ყველა სასიცოცხლო ძალა“[178].

აი, როგორ აფასებს აჯანყებას ცნობილი ეროვნულ-დემოკრატი გრ. ვეშაპელი: „ყოფილი მინისტრები ხედავენ, რომ საქართველო შეურიგდა საბჭოთა რეჟიმს, რომ იქ სიწყნარეა, რომ ასეთი „დემონსტრაციებით“ ისინი დაკარგულ ძალაუფლებას ვეღარ დაიბრუნებენ, მაგრამ განა ისინი რაიმე საშუალებას დაზოგავენ, რომ ის „უკანასკნელი წყალობა“ ქართველი მშრომელი ხალხის მტრებისა არ დაკარგონ, თუგინდ ამას

მათი სრული მორალური დაცემა მოჰყვეს შედეგად. ორი წლის წინათ ასეთი საშუალება „ანტისაბჭოთა აჯანყება " იყო"[179].

ასეთი მკვეთრი შეფასებები აშკარად მიგვანიშნებენ, რომ აღნიშნული პრობლემა კიდევ დიდხანს იქნება ქართველი ისტორიკოსების ყურადღების ცენტრში და ყოველ ახალ უცნობ დოკუმენტს შეეძლება ნათელი მოფინოს ამ დრამატული მოვლენის სხვადასხვა ასპექტს.

2004 წლის ზაფხულში ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო ექსპედიცია მუშაობდა მოსკოვის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში. აქ ახლად გასხნილ ლ. ტროცკის ფონდში ჩვენ მივაკვლიეთ მის მიერ დაწერილ წერილს - „ქართველი მენშევიკების შესახებ" . აღნიშნული ნერილი კომენტარებით უკვე გამოვაქვეყნეთ[180]. ლ. ტროცკის ეს წერილი შეიცავს რამდენიმე საინტერესო ინფორმაციას, რომელიც 1924 წლის აჯანყების რიგი საკითხის ახლებურად გააზრების საშუალებას იძლევა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გვეჩვენება ლ. ტროცკის მიერ მოყვანილი ერთი ფაქტი, „რომ მენავთობეები, განსაკუთრებით დიდი ბრიტანეთის სანავთობე ფირმა „შელი" აპირებდა დაეფინანსებინა მენშევიკური რევოლუცია, რომელიც ბათუმის ჭიშკრის გავლით გაუხსნიდა მათ გზას ბაქოსკენ"[181].

როგორც ცნობილია, კომპანია „როიალ დაჩ-შელი" შეიქმნა 1907 წელს[182]. ეს ის პერიოდია, როდესაც ბაქოს ნავთობის საბადოები გადანაწილებულია უცხოელ და რუს კაპიტალისტებს შორის. როგორც აღნიშნულია ისტორიოგრაფიაში: „ბაქოს ნავთობის მრეწველობაში თავის კაპიტალს აბანდებდნენ მსოფლიოს საფინანსო ოლიგარქები: ნობელი, როტშილდი, მანთაშევი, ღუკასოვი და სხვები"[183]. ამ ჩამონათვალში არ ფიგურირებს კომპანია „როიალ დაჩ-შელი", რაც წარმოშობს აზრს, რომ მას არავითარი ძველი ეკონომიკური ინტერესი არ უნდა ჰქონოდა ბაქოს ნავთობსაბადოს მიმართ. მაგრამ ირკვევა, რომ ამ კომპანიას აკონტროლებდა როტშილდების საბანკო საგვარეულო, რომელსაც (ეს კი კარგად არის ცნობილი ქართულ ისტორიოგრაფიაში) თავისი ინტერესები ჰქონდა როგორც ბაქოში, ისე ბათუმშიც. XIX საუკუნის დასაწყისში ამ

საგვარეულომ მრავალმილიონიანი კაპიტალი ჩადო ბაქოსა და ბათუმის სამრეწველო სანარმოების მნიშვნელოვან ნაწილში, ამიტომ შესაძლებელია, რომ ლ. ტროცკის ინფორმაცია „ფირმა „შელი"აპირებდა დაეფინანსებინა მენშევიკური რევოლუცია, რომელიც ბათუმის გავლით გაუხსნიდა მათ გზას ბაქოსკენ", მივიჩნიოთ სრულიად მართებულად. სრულიად ბუნებრივია, რომ როტშილდების საბანკო საგვარეულო ყოველნაირად შეეცდებოდა უკან დაებრუნებინა ბაქოსა და ბათუმში დაბანდებული მილიონები და თავისი ეკონომიკური ზეგავლენა ენერგორესურსებით განსაკუთრებულად მდიდარ რეგიონზე. თუმცა ამ მიმართულებით დამატებითი კვლევა გადაუდებელ ამოცანად გვესახება. განსაკუთრებით „როიალ დაჩ-შელის" საარქივო დოკუმენტების დეტალური გაცნობა, რაც საბოლოოდ დაადასტურებს ლ. ტროცკის ინფორმაციას და ჩვენი ვარაუდის მეცნიერულ სიზუსტეს.

რა თქმა უნდა, ბაქოს ნავთობის საბადოებით მსოფლიოს ფინანსური წრეების დაინტერესება სრულიად გასაგებია – XX ს-ის დასაწყისში ბაქო იძლეოდა მსოფლიო ნავთობის მოპოვების დაახლოებით 50%. ეს ჩინებულად იცოდა ბოლშევიკური რუსეთის ხელისუფლებამაც. ჯერ კიდევ 1918 წ. ცნობილი რევოლუციონერი ს. შაუმიანი ლენინს სწერდა: „ბაქოს ჩამოცილება რუსეთისაგან! – ეს ნიშნავს მას მიაყენო ყველაზე დიდი დარტყმა. თუ ჩვენ ვლაპარაკობთ რუსეთის დამოუკიდებლობაზე, ხოლო საკუთარი სურვილით ნავთობის წყაროს გადავცემთ ინგლისელებს, განა ამით ჩვენ არ დავუშვებთ უდიდეს დანაშაულს რუსეთის რევოლუციის წინაშე?"[184].

თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვ. ი. ლენინი ამიერკავკასიის ეკონომიკურ შესაძლებლობებს, კარგად ჩანს 1921 წ. 14 აპრილის ცნობილი წერილიდან: „ეკონომიკურად რუსეთი მოწყვეტილი იყო, ახლაც მოწყვეტილი რჩება მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნებიდან, კავკასიას შეუძლია უფრო სწრაფად და უფრო ადვილად მოაგვაროს „თანაცხოვრება" და საქონელგაცვლა კაპიტალისტურ დასავლეთთან... ნავთი, მარგანეცი, სპილენძი – ასეთია უმდიდრეს სამთამადნო სიმდიდრეთა არასრული სია. არის შესაძლებლობა, რომ ფართოდ გაიშალოს კონცესიების პოლიტიკა და საქონელგაცვლა საზღვარგარეთთან"[185]. აქედან გამომდინარე შეგვიძლია თამამად

განვაცხადოთ, რომ მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ფინანსური ოლიგარქების დაინტერესება ამიერკავკასიისადმი, როგორც XX ს-ის 20-იანი წლების დასაწყისში, ისე დღესაც განპირობებული იყო და არის ამ რეგიონის მდიდარ ენერგომატარებლებზე და ენერგორესურსებზე ეკონომიკური კონტროლის დაწესებით.

საკითხი იმის შესახებ, რომ „მენშევიკური რევოლუცია" შეიძლება დაფინანსებულიყო მხოლოდ კერძო სტრუქტურებით, უეჭველი ჩანს თუ გავითვალისწინებთ შემდეგ გარემოებას: დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ოფიციალური სტრუქტურები მატერიალურ და სამხედრო დახმარებას ქართველ აჯანყებულებს ვერ გაუწევდნენ, თუმცა ამ უკანასკნელთ ამის იმედი ჰქონდათ. გენერალ მაზნიაშვილის მოხსენებაში, რომელიც მან პარიზში 1925 წ. 10 ოქტომბერს წაიკითხა (ეს მოხსენება საბჭოთა აგენტურამ მოიპოვა და იგი ინახება საქართველოს პრეზიდენტის არქივში)[186], ამის შესახებ ხაზგასმით არის აღნიშნული.

ამ მოხსენებაში ჩვენი ყურადღება მიიპყრო შემდეგმა ფაქტმა: „მთავრობის წევრების დავალებით მოვინახულე საფრანგეთის სამხედრო სამინისტროს II განყოფილების პოლკოვნიკი ფურნიე და გავაცანი მას მთავრობის ინფორმაცია საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ. პოლკოვნიკმა მიმითითა რუკაზე და მითხრა: აი, კოლოსალური რუსეთი და თქვენი პატარა საქართველო – შეგიძლიათ კი თქვენ მცირე შესაძლებლობებით დაამარცხოთ იგი? თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებისა და საფრანგეთის საშინაო ვითარებიდან გამომდინარე ჩვენი მხრიდან არავითარი დახმარების იმედი არ უნდა იქონიოთ"[187].

ამ კონტექსტში ასევე საინტერესოა 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შემდგომ სოციალ-ფედერალისტ დადიანის დაკითხვისას აღნიშნული ერთი გარემოებაც. იგი მიუთითებს: „ევროპის შეიარაღებული ინტერვენცია დამსწრეთაგან (იგულისხმება „პარიტეტული კომიტეტის" ერთ-ერთი სხდომა – კ. ნ.) არავის სწამდა. ვამტკიცებდი, არათუ ომს საქართველოს გულისათვის არც ინგლისი და არც საფრანგეთი არ წამოიწყებს, არამედ შეუძლებელია ომი მეთქი. ევროპისათვის ომი მიუღებელია არა იმიტომ, რომ სსრ კავშირი უძლეველი სამხედრო

ძალაა, არამედ იმიტომ, რომ თვით ძალთა თანაფარდობა ევროპაში, მუშათა კლასის მდგომარეობა და პროლეტარიატის შესაძლო ჩარევა ომს შეუძლებელს ხდის ბურჟუაზიული მთავრობებისათვის. ევროპა გრძნობს, რომ მომავალი ომი შეიძლება სამოქალაქო ომად გადაიქცეს, მით უფრო რომ იმპერიალიზმი, ყოველ შემთხვევაში მალე, ვერ გაბედავს ომს. ამ ხნის მანძილზე კი სსრ კავშირი თანდათანობით მძლავრი ძალა გახდება... ევროპის მხრივ რეალურ დახმარებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. მით უფრო არ შეიძლებოდა მე-2 ინტერნაციონალის იმედით ყოფნა, რადგან მას არავითარი რეალური შესაძლებლობა არა აქვს. საქართველოს საკითხი მათ შეუძლიათ გამოიყენონ მხოლოდ იმისათვის, რომ თავიანთ ქვეყნებში პროპაგანდა გასწიონ ბოლშევიზმის წინააღმდეგ. ამაზე იმედის დამყარება არ შეიძლება"[188].

ყოველივე ზემოთქმული გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ დაინტერესებული კერძო სტრუქტურები („როიალ დაჩ შელი") შეეცდებოდნენ დაეფინანსებინათ ანტიკომუნისტური აჯანყება საქართველოში.

ლ. ტროცკის წერილში სხვა საკითხებთან ერთად ჩვენი ყურადღება ასევე მიიქცია ცნობამ, რომ „უკვე აჯანყებამდე კვირეებისა და თვეების წინ ვილებდით ინფორმაციას"... ეს ცნობა საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ და ჰიპოთეზის სახით გამოვთქვათ მოსაზრება, რომ 1924 წ. აჯანყება გარკვეულწილად ინსპირირებული იყო როგორც საბჭოთა სახელმწიფოს, ისე მისი სპეცსამსახურების მიერ, რადგან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე მენშევიკური ზეგავლენის განეიტრალება ახალი ხელისუფლების სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა. ამის დასამტკიცებლად არაერთი არგუმენტი არსებობს. ჯერ კიდევ თბილისის ბოლშევიკების I პარტიულ კონფერენციაზე დელეგატებმა აღნიშნეს: „მენშევიკებს უკავიათ ყველა თანამდებობა, ხელმძღვანელობენ გემის მთელ მექანიზმს. მარტო საჭით წინ ვერ წავალთ"[189]. „ჩეკას"აგენტურული ცნობით 1921 წ. ზაფხულში საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება საბჭოთა რეჟიმისადმი „გულგრილი და განუსაზღვრელია. მსხვილი ბურჟუაზია მენშევიკურად განწყობილ ინტელიგენციასთან ერთად კონტრრევოლუციურად არის განმსჭვალული"[190]. იგივე აგენტურული ცნო-

ბებით: „მენშევიკები აძლიერებენ და კიდევაც გააძლიერებენ მუშაობას“[191]. ამიერკავკასიის „ჩეკა” მიუთითებდა: „არის სახელმწიფო ორგანოები და მნიშვნელოვანი სტრუქტურები, რომლებიც მთლიანად მენშევიკების ხელშია“[192]. ასევე აღნიშნავენ, რომ მენშევიკების დიდი პროცენტია მუშათა შორის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ეტაპზე კომუნისტურმა რეჟიმმა ვერ მოხსნა სოციალური დაძაბულობა როგორც დედაქალაქში, ისე პროვინციებში. იგივე აგენტურული ცნობებით „ტყიბულში არ აუღიათ სამი თვის ხელფასი, ფოთში შიმშილობენ, თბილისის არსენალის მუშაკთა შორის მღელვარებაა“. „რკინიგზაზე მოსამსახურეთა უმრავლესობა მენშევიკია” და ა. შ.[193].

მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ პირველ წლებში ბოლშევიკურ ხელისუფლებას არ ჰქონდა მტკიცე სოციალური დასაყრდენი. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება დაემთხვა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციას, რომელიც გულისხმობდა კერძო ინიციატივისა და სასაქონლო ფულადი ურთიერთობების განვითარებას. ეს ხელს უწყობდა ქონებრივი დიფერენციაციის გაძლიერებას, სოციალური ურთიერთობის დაძაბულობას. აი, რას წერდა საქართველოს კომპარტიის ცკ-ს საქართველოს „ჩეკა”მუშათა გუნებაგანწყობილების შესახებ 1922 წელს: „...მუშათა განწყობილებაზე განსაკუთრებით მძიმედ მოქმედებს მკვეთრად თვალში საცემი შედეგები ახალი ეკონომიკური პოლიტიკისა და ბურჟუაზიის ზღაპრული სიმდიდრე. როგორც აღინიშნა, მუშების ნაწილი ხანგრძლივად არ იღებს ხელფასს და ულუფას, მაშინ როცა ადგილობრივი ბურჟუაზია კაფე-რესტორნებში ფანტავს უზარმაზარ თანხებს“[194].

ასეთ ვითარებაში საბჭოთა ხელისუფლების ამოცანას შეადგენდა მენშევიზმის გავლენის ამოძირკვა, რაც საკმაო პრობლემას წარმოადგენდა, ამასთან სოციალურად გატანჯული მოსახლეობის ყურადღების გადატანა „კონტრრევოლუციურ აჯანყებაზე”, რომლის ლიკვიდაცია ფართოდ გაუხსნიდა გზას რეპრესიული პოლიტიკის გატარებას, გამოავლენდა ეროვნული მოძრაობის ყველა ცენტრს და ყველა ლიდერს, გამოააშკარავებდა მოკავშირეებსა და მათთან დაკავ-

შირების საშუალებებს, რაც საბოლოოდ განამტკიცებდა საბ-ჭოთა ტოტალიტარულ სისტემას.

ამ შეხედულებას აძლიერებს სხვა არგუმენტებიც. იგივე გენერალ მაზნიაშვილის მოხსენება, რომელშიც ხაზგასმითაა მითითებული, რომ „აჯანყება არა მარტო ჩემთვის, არამედ ემიგრანტებისა და პასუხისმგებელი პოლიტიკური მოღვაწეებისათვის იყო სრულიად მოულოდნელი"[195].

ანგარიშგასაწევია ემიგრანტი ს. ზალდასტანიშვილის მოგონება „ჩეკას" მიერ დაპატიმრებული ვ. ჯუღელის დაკითხვასთან დაკავშირებით. ვ. ჯუღელი მენშევიკების ცენტრალურ კომიტეტს ციხიდან აცნობებდა: „აჯანყებაზე ხელი აიღეთ, აქ ყველაფერი იციან, ვიღაცამ გაგვცა - ჩვენ შორის მოღალატენი ყოფილან"[196].

საყოველთაოდ ცნობილია, რომ უშიშროების სამსახურები აგენტურის შეგზავნას მოწინააღმდეგის ბანაკში პროვოკაციის მიზნით ფარული ქსელის გამოსააშკარავებლად ან რომელიმე პოლიტიკური აქციის დროზე ადრე, მისთვის სასარგებლო პერიოდში დასაწყებად, აქტიურად იყენებდნენ. საქართველოში ამის არაერთი დამადასტურებული ფაქტი გვაქვს. მაგალითად გამოდგება 1925 წ. სამეგრელოს ავტონომიზაციის მომხრეთა ფარული ჯგუფის გამოვლენა, სადაც ლ. ბერიამ აგენტი შეაგზავნა, რომელმაც სრული ინფორმაცია მიაწოდა მას მათი საქმიანობის შესახებ[197].

ის, რომ საბჭოთა ხელისუფლება და „ჩეკა" გაცილებით ორგანიზებული და დახვეწილად მომზადებული იყო 1924 წ. აჯანყებისათვის სათანადოდ შემჩნეულია ქართულ ისტორიოგრაფიაში[198] და ვარაუდი იმისა, რომ 1924 წლის აგვისტოს აჯანყება ინსპირირებული შეიძლება ყოფილიყო საბჭოთა სპეცსამსახურების ორგანოების მიერ, სამუშაო ჰიპოთეზად მისაღებად მიგვაჩნია, რადგან ვინც იცის საქართველოს უახლესი ისტორია, ის მიხვდება, რომ 1924 წლის აჯანყებამ საბ-ჭოთა ხელისუფლების ყველა მოლოდინი გაამართლა და სერიოზულად დააზარალა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც დიდი ხნის მანძილზე წელში ვეღარ გაიმართა. ამ მხრივ ჩვენი მოსაზრება ავსებს გ. ციციშვილის შეხედულებებს, რომლის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

თავი III
საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები

1. ახალი ეკონომიკური პოლიტიკა

1921 წლის დამდეგს რუსეთის კომუნისტური პარტიის ლიდერებისათვის აშკარა გახდა, რომ „სამხედრო კომუნიზმის", ანუ რუსეთის გლეხობის ლაგამამოუდებელი ყვლეფის პოლიტიკა, რომელმაც კომუნისტურ პარტიას გამარჯვება მოუტანა სამოქალაქო ომსა და კაპიტალისტური ქვეყნების ინტერვენციაზე, საბოლოოდ შევიდა ჩიხში. ამერიკელი პოლიტოლოგი რ. პაიპსი სამართლიანად მიუთითებს: „ვ. ი. ლენინი დარწმუნდა, რომ კომუნიზმის აშენების ექსპერიმენტი ისეთ ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორიც რუსეთი იყო, ნაადრევი აღმოჩნდა. საჭირო გახდა მისი გადატანა დროთა სიღრმეში"[1].

ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოსავალი მალე მოიძებნა. ეს იყო იძულებითი, მაგრამ აუცილებელი ნაბიჯი. ვ. ი. ლენინმა დასახა ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადასვლის ამოცანა. როგორც კომუნისტური პარტიის იდეოლოგები მიუთითებდნენ: „ახალი ეკონომიკური პოლიტიკის მიზანი იყო გლეხთა მასების ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობაში, რისთვისაც უნდა გამოეყენებინათ გლეხებისათვის ნაცნობი და მისაღები მეთოდები. მიწის წვრილ მესაკუთრეს, სანამ ის ასეთად რჩებოდა, უნდა გააჩნდეს სტიმული, რაც შეესაბამება მის ეკონომიკურ ბაზას, ანუ წვრილ დამოუკიდებელ მეურნეობას"[2].

ოფიციალური საბჭოთა ისტორიოგრაფიის მოსაზრებით, ახალი ეკონომიკური პოლიტიკა ითვალისწინებდა მრავალწყობიანი ეკონომიკისა და წვრილი წარმოების ეტაპობრივ გადასვლას მეურნეობრიობის სოციალისტურ ფორმებზე. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ამოცანა იყო სოციალისტური მიზანდასახულობების განხოციელებისათვის ბრძოლაში პროლეტარიატსა და გლეხობას შორის კავშირის განმტკიცება[3]. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის ასეთი ინტერპრეტაცია ათეული წლების განმავლობაში ეჭვმიუტანელ ჭეშმარიტებად ცხადდებოდა.

ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია „ნეპთან“ დაკავშირებით მთლიანად იზიარებდა კომუნისტური პარტიის იდეოლოგიურ სამსახურებსა და მოსკოვის სამეცნიერო ცენტრებში ჩამოყალიბებულ დებულებებსა და დასკვნებს. მაგალითად, აკად. ი. კაჭარავას აზრით: „ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადასვლას მოჰყვა დადებითი შედეგები... უნდა აღინიშნოს მუშათა კლასისა და გლეხობის პოლიტიკური კავშირის... შემდგომი განმტკიცება ახალ ეკონომიკურ საფუძველზე“[4].

კ. წერეთლის შეხედულებით ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადასვლა მიზნად ისახავდა ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციას და ხალხთა შორის თანასწორობის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენდა[5].

ახალი ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა სავაჭრო ურთიერთობების განვითარება იყო. ვაჭრობა კომუნისტური საზოგადოებისათვის, თეორიაში, დაუშვებელი ეკონომიკური კატეგორია იყო. „სამხედრო კომუნიზმის“ პერიოდში განაწილება ფართოდ გამოიყენებოდა ეკონომიკურ ურთიერთობებში, მაგრამ მან სასურველი შედეგი არ მოიტანა. ეს ჩინებულად შეამჩნიეს ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაშიც. ახალ თვისებრივ ვითარებაში საქართველოში ვაჭრობის როლის ინტენსიფიკაციასთან დაკავშირებით ვ. ესაიაშვილი შემდეგ კონცეფციას აყენებდა: „საქართველოს კომუნისტების წინაშე ახალი ეკონომიკური პოლიტიკით ნაგულისხმევი თავისუფალი ვაჭრობის დაშვების საკითხი იდგა არა როგორც ვაჭრობის დარგში არსებული პოლიტიკის შეცვლა, არამედ საქმე ეხებოდა იმას, რომ არ აკრძალულიყო არსებული თავისუფალი ვაჭრობა და იგი ძალაში დარჩენილიყო ახალი ეკონომიკური პოლიტიკის გათვალისწინებულ ჩარჩოებსა და ფარგლებში, გაჩაღებულიყო ვაჭრობა უცხოეთის ქვეყნებთან, მოზიდული ყოფილიყო მათი კაპიტალი ეკონომიკური ცხოვრების გამოსაცოცხლებლად“[6].

ახალი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში გამორჩეოდა გარკვეული მახასიათებლებით. პირველ რიგში ეს ეხება ელექტროენერგეტიკის განვითარებას. 1922 წ. 10 ოქტომბერს ზემო ავჭალაში ხალხმრავალმა შაბათობამ საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ელექტროენერგეტიკის ფლაგმანის-ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლო-

ბას, რამაც ხუთი წელი გასტანა. ეს საკითხი დამუშავებულია ნ. ჩაფიძის მონოგრაფიაში[7], ლ. ნანიკაშვილის, ალ. დაუშვილისა და მ. ხარბედიას ერთობლივ გამოკვლევაში[8]. ავტორები დაბეჯითებით მიუთითებენ ზაჰესის მშენებლობის უდიდეს ეკონომიკურ და პოლიტიკურ მნიშვნელობაზე. მართალია, ზაჰესი ექსპლოატაციაში გაუშვეს მხოლოდ 1927 წელს, რაც ჩვენი საკვლევი პერიოდის ჩარჩოებში უკვე აღარ თავსდება, მაგრამ შრომითი ენთუზიაზმი და უშუალოდ მშენებლობის უდიდესი მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკის განვითარების საქმეში 1922-1925 წლებში, უდავოდ, აშკარა იყო.

ახალი ეკონომიკური პოლიტიკით ნასულდგმულები მეორე მნიშვნელოვანი საკითხი იყო საირიგაციო სამუშაოების დაწყება როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. ამ პრობლემას სპეციალური გამოკვლევები მიუძღვნეს: გ. ჩხეიძემ[9], ო. ჩიქოვანმა[10] და სხვ. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გვეჩვენება კოლხეთის ჭაობიანი დაბლობის ამოშრობის დაწყება. ეს ამოცანა ადრეც არაერთხელ დამდგარა რუსეთის კოლონიალური ხელისუფლების წინაშე, თუმცა ძვირადღირებული პროექტი მუდამ განუხორციელებელი რჩებოდა. მკვლევარი ო. ჩიქოვანი კოლხეთის დაბლობის ამოშრობას მჭიდროდ უკავშირებს ფოთის წყალდამცავი ნაგებობების მშენებლობასაც, რაც სწორედ იმ პერიოდში დაიწყო[11].

საირიგაციო სამუშაოებზე მშრომელთა მასობრივი ენთუზიაზმის გამოვლენაზე ყურადღებას ამახვილებს ვ. ესაიაშვილიც. იგი აღნიშნავს: „ქართველი გლეხობა დიდი კმაყოფილებით გამოეხმაურა საირიგაციო მშენებლობას. თავისი გამწევი ძალით, ურმებით, სამუშაო იარაღით აქტიურად მონაწილეობდა არხების მშენებლობაში“[12]. 1922-1925 წლებში საქართველოს სამინათმოქმედო რაიონებში მელიორაციული არხები, ქართველი ისტორიკოსების მტკიცებით, გაშენდა 145 ვერსზე, რითიც მოირწყა 46 500 ვერსი ურწყავი მიწა[13].

მელიორაციამ ხელი შეუწყო საქართველოსათვის მეტად მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო დარგის - მეხილეობის განვითარებას. საქართველოს ამ ტრადიციული დარგის განვითარების თავისებურებაზე სპეციალური მონოგრაფია გამოაქვეყნა დ. პავლიაშვილმა, რომელშიც ყურადღება ეთმობა 1921-1925 წლებში მეხილეობის განვითარების მახასიათებ-

ლებსაც[14]. საკვლევ პერიოდში საქართველოში ჩაის კულტურის განვითარების საკითხები შეისწავლა ა. ბრეგვაძემ თავის მონოგრაფიულ გამოკვლევაში „ჩაის მრეწველობის განვითარება საბჭოთა საქართველოში“[15].

საქართველოს სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგის მანქანათმშენებლობის განვითარების თავისებურებებზე 1921-1925 წლებში სპეციალურად ჩერდება ა. კოჭლავაშვილი, რომელიც მიუთითებს: „უმოკლეს დროში აღდგენილი ლითონდასამუშავებელი მრეწველობა ფართოდ მონაწილეობდა სახალხო მეურნეობის აღდგენაში. ლითონურ ნაწარმზე მოთხოვნილების მრავალფეროვნებამ განაპირობა ამ დარგის ფართო უნივერსალობა. ამავე გარემოებამ გამოიწვია საწარმოთა ნაწილობრივი რეკონსტრუქციის, სპეციალიზაციისა და კოოპერირების ელემენტების ჩასახვა და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ახალი სამრეწველო დარგის - მანქანათმშენებლობის ზრდა კვალიფიციურ მანქანათა წარმოებისაკენ“[16].

ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში, 1921-1925 წლებში საქართველოს დიდ ქალაქებთან ხდება საგარეუბნო ზონების ფორმირება, რასაც ჰქონდა როგორც დიდი ეკონომიკური, ისე სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა. ქართულ ისტორიოგრაფიაში ყოველმხრივ არის შესწავლილი ასეთი საგარეუბნო ზონების განვითარების თავისებურებები და მახასიათებლები. ა. სონღულაშვილმა ორი მონოგრაფიული გამოკვლევა მიუძღვნა საგარეუბნო ზონების ფორმირებისა და განვითარების საკითხებს და დაამტკიცა მათი დიდი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა[17].

ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგების ზეგავლენას საქართველოს სოციალურ კლასებსა და ჯგუფებზე ჩვენ განსაკუთრებით შევეხებით ამ თავის სპეციალურ პარაგრაფებში, ახლა კი გვსურს ვაჩვენოთ ის დამოკიდებულება, რასაც ავლენდნენ ქართველი ისტორიკოსები ახალი ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის შედეგებთან დაკავშირებით. მაგალითად, კ. შელია ამტკიცებს, რომ ახალი ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველზე სსრ კავშირის, მათ შორის საქართველოს სახალხო მეურნეობა აღდგა შედარებით მოკლე ვადაში. იგი იმასაც აღნიშნავს, რომ „საბჭოთა წყობილებამ უზრუნველყო საქართველოს მრეწველობის ომისწინა დონის აღდგე-

ნის ინტენსიური პროცესი, რაც 1925 წლის დამლევისათვის ძირითადად დამთავრდა კიდეც"[18]. ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, რომ დასავლელევროპელ მეცნიერთა გაანგარიშებით ასეთი ოპტიმისტური განცხადებისათვის საფუძველი არ არსებობს.

კ. შელიას ზემოთ გამოთქმული მოსაზრებები მთლიანად ეთანხმება „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის" ავტორების კონცეფციას, რომელთა მტკიცებით: „ახალი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისას პარტიამ მიაგნო მუშებისა და გლეხობის, სოციალისტური მრეწველობისა და წვრილი გლეხური მეურნეობების დამაკავშირებელ სწორ ფორმებსა და მეთოდებს"[19].

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია „ნეპის" ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პრობლემებით თითქმის არ არის დაკავებული. ცალკეულ მეცნიერთა გამონათქვამები „ნეპის" სოციალურ-ეკონომიკური ბუნების, მისი განვითარების თავისებურებების შესახებ დეტალურ კვლევას კი არ ეფუძნება, არამედ ინტუიციურ აზროვნებას. მაგალითად, ფ. ლომაშვილი თვლის, რომ „ახალი ეკონომიკური პოლიტიკა სამხედრო კომუნიზმთან შედარებით უფრო მოქნილი იყო, მაგრამ ისიც სოციალიზმზე არასწორ შეხედულებას ემყარებოდა... მას უნდა უზრუნველეყო მთელი სახალხო მეურნეობის სრული გასახელმწიფოებრიობის საფუძვლების თანდათან მომზადება"[20].

მ. ნათმელაძის აზრით კი საქართველოში „ახალი ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენდა სამრეწველო საწარმოთა გადაყვანა სამეურნეო ანგარიშზე"[21].

ახალ ეკონომიკურ პოლიტიკასთან დაკავშირებით საინტერესო და ორიგინალური მოსაზრება აქვს ახალგაზრდა მკვლევარ მ. ჯაფარიძეს. საქართველოს სპირტიანი და ალკოჰოლური საწარმოების მასალების დეტალური შესწავლის საფუძველზე მრეწველობაში 1921-1925 წლების მონაკვეთს ის „აღდგენით პერიოდს" კი არ უწოდებს, არამედ „გარდამავალს", რომლის მახასიათებლები, მისი აზრით, არის: 1. საწარმოთა არასტაბილური, წყვეტილი მუშაობა; 2. ტექნოლოგიური პროცესების გაუმართაობა, სანედლეულო ბაზის ნაკლე-

ბობა, შეფერხებები ნედლეულით უზრუნველყოფაში; 3. კერძო კაპიტალის აქტივობა[22].

როგორც ქართული საბჭოთა, ისე თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ახალი ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციისა და მისი შედეგების ანალიზის დროს არ გამოირჩევა კრიტიკული დამოკიდებულებით. საბჭოთა სისტემის აგონიის პირობებში (1985-1990 წწ.) კი რუსულ ისტორიოგრაფიასა და პუბლიცისტიკაში გამორჩეულ ყურადღებას უთმობდნენ „ნეპის" შეწყვეტის საქმეში ი. სტალინის განმსაზღვრელ როლს, საუბრობდნენ ნ. ბუხარინის „ალტერნატივაზე" - რომლის რეალიზაცია შექმნიდა რადიკალურად განსხვავებულ სოციალურ-ეკონომიკურ საფუძველს საბჭოთა სოფელში და რაც კიდევ უფრო დადებითად იმოქმედებდა ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, ვიდრე ეს მოხდა სოფლის ძალმომრეობითი კოლექტივიზაციის პირობებში (მხედველობაში გვაქვს დ. ვოლკოგონოვის, ო. ლაცისისა და სხვების პუბლიკაციები).

ბოლო წლებში რუსული ისტორიოგრაფია სერიოზულად დაინტერესდა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემებით და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია ამ ურთულესი საკითხის მეცნიერული კვლევის საქმეში: გამოქვეყნდა არა ერთი მონოგრაფია და სტატიების კრებული[23].

ამ გამოკვლევების ავტორები გამორჩეულ ყურადღებას უთმობენ „ნეპის" წინააღმდეგობრივი ხასიათის დასაბუთებას. ეს სრულიად ბუნებრივია და ამის დანახვა შეეძლოთ საბჭოთა ისტორიკოსებსაც. შეიძლება აღინიშნოს, რომ თვით „ნეპის" იდეის ავტორს, ვ. ი. ლენინს არ ჰქონდა ბოლომდე გარკვეული „ნეპის" არსი. ამას გვაფიქრებინებს მისი ორაზროვანი გამონათქვამები. მაგალითად, კითხვაზე - როდემდე გაგრძელდებოდა ახალი ეკონომიკური პოლიტიკა? ლენინი პასუხობდა - „დიდ ხანს"[24], ხოლო 1922 წ. მარტში, სრულიად რუსეთის მელითონეთა ყრილობის კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე პარტიის ბელადი უკვე აღნიშნავდა შემდეგს: „შეგვიძლია მტკიცედ განვაცხადოთ, რომ უკანდახევა, რომელიც ჩვენ დავიწყეთ, შეგვიძლია შევაჩეროთ, არ უარვყოფ, რომ ეკონომიკური პოლიტიკა იყო უკან დახევა, ჩვენ შორს წავედით. ის მიზანი, რომელიც დასახული ჰქონდა უკან დახევას, მიღწეუ-

ლია... პარტიის სახელით უნდა განვაცხადო - კმარა! ახლა სხვა მიზანი ისახება - ძალთა გადაჯგუფება"[25].

ასეთი წინააღმდეგობრივი გამონათქვამები, რა თქმა უნდა, აზრთა სხვადასხვაობას გამოიწვევდა და გამოიწვია კიდეც რუსეთის თანამედროვე ისტორიკოსებს შორის. მაგალითად, ვ. დიმიტრენკოს აზით: „ნეპმა" იმედები მთლიანად ვერ გაამართლა. ბუნებაში არ არსებობდა „ნეპი", ის არ იყო გამოკვეთილი, სისტემური, მთლიანი და სრულყოფილი... „ნეპის" დასრულების შემდეგ უნდა მიგვეღო სუფთა სოციალისტური საზოგადოება. ეს იყო „ნეპის" მყარი შემაფერხებელი. იგი თავიდანვე კასტრირებული იყო"[26].

ასეთივე კრიტიკული გამონათქვამებით ხასიათდება დასავლელევროპელი სოვეტოლოგების შეფასებებიც. ინგლისელი პროფესორი რ. დევისი ხაზგასმით მიუთითებს, რომ „ნეპის" პერიოდში დასავლეთის ეკონომიკური სისტემის ელემენტებს უხამებდნენ საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პოლიტიკურ სისტემას", რასაც არ შეიძლება დადებითი შედეგები მოეტანა[27]. „ნეპის" შეწყვეტის ობიექტურ ფაქტორებს ნამოსწევს წინ ფრანგი სოვეტოლოგი ნ. ვერტი თავის პოპულარულ გამოკვლევაში „საბჭოთა სახელმწიფოს ისტორია"[28]. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა დასავლელი სოვეტოლოგების ის დასკვნა, რომ „ვერც სოფლის მეურნეობამ და ვერც მრეწველობამ 1927 წლამდე ვერ მიაღწია ომამდელ დონეს და რომ აღდგენითი პერიოდი 1927 წლის შემდგომაც გრძელდებოდა"[29]. ამ დასკვნიდან გამომდინარე, ახალგაზრდა მკვლევრის მ. ჯაფარიძის მოსაზრება მისაღებად გვესახება.

ანგარიშგასაწევია ის თვალსაზრისიც, რომ „ნეპის" პერიოდში „არავითარი ხელშესახები ცვლილება არ მომხდარა პოლიტიკურ სისტემაში"[30]. რუსი ავტორები ერთხმად ამტკიცებენ, რომ 1925 წლისათვის „ნეპმა" თავისი შესაძლებლობა მთლიანად ამოწურა[31]. ყურადსაღებია გ. დეგტიაროვის მოსაზრება, რომ „ნეპის" პერიოდში განხორციელებულმა რეფორმებმა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას ხელი ვერ შეუწყო[32].

თანამედროვე რუსული ისტორიოგრაფიის მიერ ახალი ეკონომიკური პოლიტიკის როგორც ფინანსური და ეკონომიკური, ისე პოლიტიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური და სხვა ასპექტების დეტალური გამოკვლევები გვარწმუნებენ,

რომ საჭიროა 1921-1925 წლებში საქართველოში „ნეპის“ რეალიზაციის პოლიტიკის ახლებური, ადრინდელთან რადიკალურად განსხვავებული, პოზიციებიდან კვლევა.

რუსი და დასავლელევროპელი ისტორიკოსების ბოლო წლების გამოკვლევებზე დაყრდნობით შეიძლება ჰიპოთეზური მოსაზრება გამოითქვას, რომ 1925 წელს საქართველოშიც არ დასრულებულა აღდგენითი პერიოდი, რომ „ნეპმა“ ვერ უზრუნველყო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დინამიური განვითარება. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ახალ ეკონომიკურ პოლიტიკასთან დაკავშირებულ ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ მომავალში ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად.

2. საქართველოს ინტელიგენციისა და საბჭოთა სახელმწიფოს ურთიერთობის პრობლემა ქართულ ისტორიოგრაფიაში

ათეული წლების განმავლობაში საისტორიო მეცნიერებაში ერთხმად იყო აღიარებული, რომ „ბურჟუაზიული ინტელიგენციის ზოგიერთმა წარმომადგენელმა შეიცნო ისტორიული განვითარების კანონზომიერება, რომელსაც საზოგადოება მიჰყავს ბურჟუაზიული წყობილების სოციალისტურით შეცვლისაკენ, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის ლიკვიდაციის, საყოველთაო მშვიდობიანობის, თანასწორობისა და თავისუფლების დამკვიდრებისაკენ, ჰარმონიული საზოგადოებრივი წყობილებისათვის... რომ ბურჟუაზიული ინტელიგენციის ამ ნაწილის ზოგიერთმა წარმომადგენელმა შეძლო გამოეჩინა ჭეშმარიტად დიდი მოქალაქეობრივი გამბედაობა და გაწყვიტა კავშირი საკუთარ კლასთან, გაბედულად და მტკიცედ დადგა მოწინააღმდეგე კლასის კლასობრივ თვალსაზრისზე“[33].

მარქსიზმის თეორიის ფუძემდებლები ინტელიგენციის წარმომადგენლები იყვნენ, რომლებმაც, როგორც ეს დიდი ხნის განმავლობაში იყო მიჩნეული, თანადროული საზოგადოებრივი მეცნიერებების მიღწევების გათვალისწინების საფუძ-

ველზე დაინახეს მომავალი კომუნისტური საზოგადოების კონტურები და პროლეტარიატს მისცეს იარაღი ამ იდეალური საზოგადოების დასამყარებლად - ეს იყო მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურაზე.

ყველა ქვეყანასა და ყველა ხალხში მარქსიზმის გავრცელება ინტელიგენციის გარკვეული ჯგუფის სულიერ მოთხოვნილებად და პრაქტიკული საქმიანობის მიზნად გადაიქცა, მაგრამ მათ გვერდით მუდამ იყვნენ ინტელიგენციის სხვა ჯგუფებიც, რომელთათვის მიუღებელი იყო მარქსიზმის როგორც თეორია, ისე პრაქტიკა.

ვ. ი. ლენინი, ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე, ინტელიგენციასთან დამოკიდებულების კლასობრივ მიდგომას აღიარებდა, როცა ხაზგასმით მიუთითებდა: „ინტელიგენციას სწორედ იმიტომ უწოდებენ ინტელიგენციას, რომ ყველაზე უფრო შეგნებულად, შემართებით და სიზუსტით ასახავს და გამოხატავს კლასობრივი ინტერესების განვითარებას და საზოგადოებაში პოლიტიკური ჯგუფების შეხედულებებს"[34]. ვ. ლენინმა სცადა გაეკრიტიკებინა ბურჟუაზიული და ფსევდო- მარქსისტული მითი ინტელიგენციის „ზეკლასობრიობის", საზოგადოების მებრძოლი კლასებისაგან მისი „დამოუკიდებლობის" შესახებ, შეეცადა მკვეთრად და განსაზღვრულად ეჩვენებინა, რომ ინტელიგენცია არ არის არავითარი **დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალა** (ხაზგასმა ჩვენია - კ. ნ.) და თუ „არ ამოუდგა კლასს, ის ხდება ნული"[35]. ეს შეხედულება, რომელიც კაპიტალიზმის განვითარების გარკვეულ ეტაპებს ასახავს, დროით შეზღუდული აღმოჩნდა. პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში, როცა პროლეტარიატი, როგორც კლასი, სრულიად გაქრა, აღარ არსებობს გლეხობა, ინტელიგენციამ შეიძინა დამოუკიდებელი პოლიტიკური სახე და პოლიტიკური ნება, ამიტომაც არის, რომ სხვადასხვა ქვეყანაში რადიკალური მოძრაობის წამმართველი სწორედ ინტელიგენციის წარმომადგენლები არიან.

ინტელიგენციას, როგორც სოციალურ ფენას, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები სამ ჯგუფად ყოფდნენ. მაგალითად, ვ. ი. ლენინი ძველ ინტელიგენციაში განარჩევდა შემდეგ დაჯგუფებას: ზედა ფენას, რომელსაც რევოლუციამდე ძლიერ მაღალ ხელფასს უხდიდნენ, საშუალო ფენას, რომელ-

საც შედარებით ნაკლებს უხდიდნენ და ქვედა ფენას, რომელიც ყველაზე მრავალრიცხოვანი და დაბალი კვალიფიკაციისა იყო და ძლიერ მცირე ხელფასსაც იღებდა[36].

ლ. ტროცკის თვალსაზრისით ინტელიგენციის რევოლუციისაკენ მიმართული რამდენიმე გზა არსებობს: არიან მოგლეხო ინტელიგენტები, ჭირვეული თანამგზავრები, უმაღლესი „მუსიკის" მაძიებელი ობიექტური მისტიკოსები, რაციონალისტებისა და ეკლექტიკოსების და სხვ. მიმდინარეობები[37].

ი. ბ. სტალინი ინტელიგენციაში, ლენინის მსგავსად, სამ ჯგუფს გამოყოფდა: 1. კვალიფიცირებული ნაწილი, რომელმაც ომი გამოუცხადა საბჭოთა ხელისუფლებას; 2. საშუალო ფენა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებისადმი იცავდა ნეიტრალიტეტს და მიმართავდა ლავირებას. 3. მასობრივი ნაწილი - საბჭოთა ხელისუფლების მხარდამჭერი. როგორც მკვლევარი ი. ვ. კუპცოვა მიუთითებს, ი. ბ. სტალინის აღნიშნული კლასიფიკაცია XX საუკუნის 50-იანი წლების შუა ხანებამდე ბატონობდა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში[38].

ასეთი კლასიფიკაცია, გარკვეულწილად, ისტორიულ სინამდვილეს შეესაბამება, რადგან როგორც ამ პრობლემის თანამედროვე რუსი მკვლევარი ი. კუპცოვა მიუთითებს, რევოლუციამდე რუსეთის ინტელიგენციაში შეძლებული ფენა 5-15 პროცენტს შორის მერყეობდა. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ რევოლუციამდელ რუსეთში ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი, მართლაც, მძიმე სოციალურ პირობებში ცხოვრობდა, რაც აპირობებდა ინტელიგენციის ამ ნაწილის არსებული რეალობის წინააღმდეგ განსაკუთრებულ რადიკალიზმს. მსგავსი ვითარება იყო საქართველოშიც.

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მეცნიერთა ერთი ჯგუფი ინტელიგენციას განმარტავდა როგორც გონებრივი შრომის მუშაკებისაგან შემდგარ საზოგადოებრივ ფენას, ავტორთა მეორე ჯგუფი კი ინტელიგენციას მიაკუთვნებს არა საერთოდ გონებრივი შრომის მუშაკებს, არამედ მხოლოდ მათ, ვინც „გონებრივი შრომით დაკავებულია პროფესიონალურად, რომელთათვის გონებრივი შრომა არსებობის წყაროს წარმოადგენს"[39].

არის შეხედულება, რომელიც ინტელიგენტის ცნებაში აერთიანებს სახელმწიფოს ადმინისტრაციული აპარატის

მთელ შემადგენლობას[40], რაც შესაძლებელია მისაღები იყოს განვითარებული, პოსტინდუსტრიული საზოგადოებისათვის, მაგრამ ამ შეხედულებას ვერ გავავრცელებთ ჩვენთვის საინტერესო - 1921-1925 წლებზე, როცა საბჭოთა სახელმწიფო აპარატის დაკომპლექტება ძირითადად სწორედ პროლეტარული ფენებიდან გამოსული ადამიანებით მოხდა.

ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია უკვე 50-იანი წლებიდან ეხება ინტელიგენციისა და საბჭოთა სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულების საკითხს. მაგალითად, აკად. ი. კაჭარავა მიუთითებდა: „1921-1925 წლების მანძილზე წარმატებით დამთავრდა სახალხო მეურნეობის აღდგენა, მოხდა ანტისაბჭოთა ფრონტის ლიკვიდაცია, გაუმჯობესდა მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები. ყოველივე ამან, როგორც მოსალოდნელი იყო, მრავალრიცხოვან ქართველ ინტელიგენციაში გამოიწვია არსებითი ხასიათის გარდატეხა"[41].

ამ დასკვნას შეიძლება ნაწილობრივ დავეთანხმოთ, რადგან 1924 წლის აჯანყების შემდეგ ქართველი ინტელიგენცია, მართლაც, შეიცვალა და ამის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. მაგრამ 1921-1923 წლებში საქართველოს ინტელიგენციის დამოკიდებულება საბჭოთა რეჟიმისადმი არაერთგვაროვანი იყო და ამ საკითხის შესწავლა სპეციალურად არცერთ ქართველ ისტორიკოსს არ უცდია. მიუთითებდნენ ინტელიგენციის მხოლოდ გარკვეული - „აკადემიური ნაწილის" კრიტიკულ დამოკიდებულებაზე საბჭოთა ხელისუფლებისადმი. მაგალითად, წერდნენ: „დამარცხებული კლასებისა და ბურჟუაზიული ნაციონალიზმის მედროშედ საქართველოში გამოდიოდა „აკადემიური ასოციაცია", რომელიც ცხარედ მისტიროდა დემოკრატიულ და დამოუკიდებელ საქართველოს"[42].

მკვლევარი დ. სტურუა აღნიშნავს: „მენშევიკებმა შეძლეს დაეთესათ ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილში ბუტაფორული „დამოუკიდებლობის თესლი", რომელიც ჩინებულად გაღვივდა ანტისაბჭოთა პროპაგანდის წიაღში და რომელმაც ნაციონალისტური ყლორტები გამოიღო. ინტელიგენციის ნანილი გაემიჯნა საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობის მაგისტრალურ ხაზს, დაუპირისპირდა იმ გარდაქ-

მნებს, რომელიც საქართველოში განვითარდა 1921 წლის თებერვლის შემდეგ"[43].

როგორი იყო ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ წარმოჩენილი ინტელიგენციისა და საბჭოთა სახელმწიფოს შორის არსებული ურთიერთ- დამოკიდებულება ოკუპაციის შემდეგ პირველ წლებში?

მკვლევარი ვ. სულაძე აყალიბებს საყურადღებო კონცეფციას ქართული ინტელიგენციის საბჭოთა ხელისუფლებისადმი დამოკიდებულების შესახებ:

1. რევოლუციური ინტელიგენცია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პერიოდისათვის გაცილებით უფრო მცირერიცხოვანი იყო, ვიდრე რუსეთში. საქართველოში მცირერიცხოვან რევოლუციურ ინტელიგენციას არ შეეძლო სერიოზული ზეგავლენა მოეხდინა ძველ ინტელიგენციაზე... ხოლო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ წარმოადგენდა პარტიის ერთადერთ საიმედო დასაყრდენ კულტურულ ძალას.

2. საქართველოს ინტელიგენციის დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ ზოგადი განათლების ადამიანები, რომლებიც პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებამდე ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ, ხოლო რევოლუციის გამარჯვების შემდეგ გაბატონებული მდგომარეობის დაკარგვით განაწყენებულ ინტელიგენციას არ სურდა საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობა.

3. საქართველო წვრილბურჟუაზიულ ქვეყანას წარმოადგენდა, ამიტომ მისი ინტელიგენციაც თავისი ბუნებით და სოციალური შემადგენლობით წვრილბურჟუაზიული იყო. იგი ზუსტად გამოხატავდა თავისი კლასის ფსიქიკას. ასეთი ინტელიგენცია პოლიტიკურად ბეცი და შორსმჭვრეტელობას მოკლებულია. პატარა ერების ასეთი ინტელიგენცია ყოველთვის ბურჟუაზიული ნაციონალიზმის თავდადებული მედროშეა. ასე იყო საქართველოშიც. ამიტომ ძველი... ინტელიგენციის საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე გადმოსვლის საქმე, განსხვავებით რუსეთისაგან, ნაციონალური მომენტით იყო გართულებული.

4. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტისათვის, რუსეთისაგან განსხვავებით, ინტელიგენცია

პოლიტიკურად ჩამოყალიბებულ სოციალურ ძალას წარმოადგენდა. ამიტომაც მათზე ზემოქმედება გამარჯვებული პროლეტარიატისათვის დიდ სიძნელეს წარმოადგენდა.

5. საქართველოს ინტელიგენციის ერთი ნაწილი თავადაზნაურთა წრიდან იყო გამოსული. იშვიათად შეხვდებით ამ წრიდან ისეთ ქართველ ინტელიგენტს, რომლისთვისაც საბჭოთა ხელისუფლებას არ ჩამოერთვას მიწა და არ გადაეცეს იგი გლეხობისათვის, ამიტომ ინტელიგენციის ეს ნაწილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი სიძულვილით იყო გნმსჭვალული. კომპარტია... ულმობლად ებრძოდა ამ ჯგუფს"[44].

ვერ დავეთანხმებით ავტორს, რომ ქართველი ინტელიგენცია „პოლიტიკურად ბეცი და შორსმჭვრეტელობას მოკლებული" იყო. ჩვენ გვაქვს არა ერთი საინტერესო ფაქტი გასაბჭოების პირველ წლებში ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლების პოლიტიკური სიფხიზლისა და პატრიოტული შემართების. მაგალითად მოვიყვანთ კ. გამსახურდიას „ღია წერილს ულიანოვ-ლენინისადმი", რაც 1921 წლის მაისში დაიბეჭდა. მასში სახელოვანი მწერალი მიუთითებს: „... დღეს, სულ ორიოდე თვეც არ გასულა და წითელმა რუსეთმა მოსპო ჩვენში ისეთი მთავარი ატრიბუტები სახელმწიფოებრიობისა, როგორიცაა საზღვრები და ვინ არ იცის, რომ ქართული ენა საქართველოში პრაქტიკულად სახელმწიფო ენა აღარ არის... ერთადერთი გარანტი ჩვენი დამოუკიდებლობისა ეს იყო, არის და იქნება თვით ქართველი ხალხის შეგნება, რადგან ყოველივე განთავისუფლების დედაბოძი თვით თავისუფლების შეგნებაა. ეს შეგნება არ აკლია ქართველ ხალხს"[45].

ასევე საყურადღებოა საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრის ა. ჭიაბრიშვილის მიერ 1923 წელს, პოლიტიკური პატიმრობიდან, ლ. ტროცკისადმი გაგზავნილი წერილების სერია, რაც ჩვენ 2004 წლის მოსკოვში სამეცნიერო ექსპედიციის დროს აღმოვაჩინეთ ტროცკის გასაიდუმლოებულ არქივში. ა. ჭიაბრიშვილი თავის ყოფილ პარტიულ კოლეგას მკაცრად მიუთითებს: „ქართველებს დევნიან სამსახურიდან და ფორმალურად დატოვებული სახელმწიფო ენა ფაქტობრივად დევნილია ყველა ორგანიზაციიდან"[46].

ბოლო წლებში ქართულ ისტორიოგრაფიაში ყურადღება მიაქციეს 20-იანი წლების დასაწყისში ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლების კრიტიკულ დამოკიდებულებას საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. მაგალითად, აჭარის ავტონომიის შექმნის დროს აჭარის ადგილობრივი ხელმძღვანელების წრეგადასული პრეტენზიების[47], სამეგრელოში დეცენტრალიზაციის უკანონო პროცესების სულისჩამდგემელთა[48] წინააღმდეგ თვალსაჩინო ქართველმა მოღვაწეებმა: კ. გამსახურდიამ, ვ. კოტეტიშვილმა, თ. ღლონტმა, დ. თოფურიძემ და სხვებმა ხმა აღიმაღლეს და გარკვეული ზეგავლენაც მოახდინეს მოვლენათა განვითარებაზე.

ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია კი ცდილობდა შეენიღბა ეს წინააღმდეგობა და დაპირისპირება, რაც ბოლშევიკური რეჟიმის პირველ ხანებში ძალუმად იგრძნობოდა. მკლევარი შ. ლომიძე თავის მონოგრაფიაში საბჭოთა სახელმწიფოსა და ინტელიგენციის ურთიერთობას ისე აყალიბებს, რომ იქმნება ჰარმონიული თანამშრომლობის ილუზია[49], რაც სინამდვილეს არ შეეფერება, რადგან საქართველოს არქივსაცავებში ჩვენ მივაკვლიეთ საინტერესო დოკუმენტს, რომელიც ასახავს თბილისის სახაზინო ოპერის თეატრის კოლექტივის დამოკიდებულებას საბჭოთა რეჟიმისადმი საბჭოთა ოკუპაციის პირველ თვეებში: „ოპერა მთლიანად განწყობილია რეაქციულად, არავითარ ინტერესს არ ავლენს ახალი სახელმწიფოს წესწყობილების მიმართ. არავითარი ინტერესი გარდა ჭორებისა, ინტრიგისა და ფლირტაობისა. ავრცელებენ ბოროტ ჭორებს საბჭოთა ხელისუფლებაზე. არ აკმაყოფილებთ ულუფა, ხელფასი და ა. შ. მომხმარებლური განწყობილებაა, კომუნისტები არ არიან. რამდენჯერმე დაინიშნა კრება, 400 კაციდან მოვიდა 15-20. საკითხი იყო „კომუნიზმის ანბანის წაკითხვა". მომხსენებელმა ირონიულად გამოხატა დამოკიდებულება, ხოლო თეატრის დირექტორს უთქვამს: „ბოლშევიკები - თავაღებულთა ბრბოა, რომლებშიც არ არის წესრიგი. კომუნისტები ვერავითარ წესრიგს ვერ შექმნიან - ესენი არიან გაცოფებული კაცები. დაე თვით შექმნან კულტურული მუშაობა, ხოლო ჩვენ მათ დახმარებას არ გავუწევთ. ენევიან საბოტაჟს და კონტრრევოლუციურად არიან განწყობილნი"[50]. საქართვე-

ლოს „ჩეკას" ეს აგენტურული ცნობა ჩინებულად ასახავს იმ-ჟამინდელი ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილის განწყობილებას. ამის მსგავსი მაგალითი ძალიან ბევრია, რაც მთლიანად იყო „მხედველობიდან გამორჩენილი" და დღეს სპეციალურ შესწავლას საჭიროებს.

ასევე სპეციალურ კვლევას მოითხოვს საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ქართველი მამულიშვილების საპროტესტო მოძრაობა, მათი მცდელობა დაეცვათ ქართველი ერის ეროვნული ინტერესები ძალმომრეობითი ხელყოფისაგან, ამასთან დაკავშირებული უამრავი საარქივო მასალა საქართველოს პრეზიდენტის არქივში ჯერ კიდევ ელოდება ობიექტური მკვლევრის ხელს.

ამასთან, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიას საერთოდ მხედველობიდან გამორჩა საკვლევ პერიოდში ინტელიგენციის სოციალური ინფრასტრუქტურა, მისი ეროვნული შემადგენლობა და დინამიკა, საქართველოს ინტელიგენციის ეთნიკური ჯგუფების დამოკიდებულება ტოტალიტარულ სახელმწიფოსთან, რაც, რა თქმა უნდა, ერთგვაროვანი არ იქნებოდა. ჩვენ მივაკვლიეთ გარკვეულ ცნობებს საქართველოს ინტელიგენციის ზოგიერთი პროფესიული ჯგუფის ეროვნულ შემადგენლობაზე. მაგალითად, 1928 წელს საქართველოს საამშენებლო კავშირის შემადგენლობაში გაერთიანებული იყო 43 ქართველი, 52 რუსი, 38 სომეხი, 4 პოლონელი, 5 გერმანელი, 1 ოსი, 1 ფრანგი, 1 ებრაელი, 1 ჩეხი, 1 უკრაინელი, 1 ბერძენი ინჟინერი [51].

თბილისის სახელმწიფო ოპერის თეატრის ეროვნული შემადგენლობა იმავე წელს ასეთი იყო: „ქართველი - 70, სომეხი - 66, რუსი - 78, უკრაინელი - 5, ებრაელი - 79, თბილისის კონსერვატორიაში მუშაობდა 19 ქართველი, 3 სომეხი, 11 რუსი, 7 ებრაელი და სხვა დანარჩენი - 4[52].

წარმოდგენილი მასალა, რა თქმა უნდა, სცილდება ჩვენი საკვლევი თემის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს, მაგრამ გარკვეულ წარმოდგენას ქმნის საქართველოს ინტელიგენციის პროფესიული ჯგუფების ეთნიკურ შემადგენლობაზე. ეს საკითხი მომავალში სპეციალური შესწავლის საგანი უნდა გახდეს.

XX საუკუნის 70-იან წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგი-

ისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უახლესი ისტორიის განყოფილებამ გამოაქვეყნა „სოციალისტური კულტურისა და ინტელიგენციის ისტორიის ნარკვევების“ რამდენიმე ტომი[53], რომელშიც განხილულია ქართული საბჭოთა ინტელიგენციის ფორმირებისა და განვითარების საკითხები. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული კრებულების მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ კომპლექსურად არ არის შესწავლილი განსაზღვრულ ქრონოლოგიურ პერიოდში ინტელიგენციის ფორმირების საკითხი. ამ კრებულებში სხვადასხვა ავტორის მიერ წარმოდგენილია რადიკალურად განსხვავებული სტატიები: სამეცნიერო პედაგოგიური კადრების მომზადება 1921-1932 წწ. ქართველი ინტელიგენცია დიდი სამამულო ომის პერიოდში, კულტურული რევოლუციის განხორციელების ზოგიერთი საკითხი, დაწინაურება როგორც ახალი ინტელიგენციის შექმნის მეთოდი, საქართველოს ინტელიგენციის შემადგენლობის პრობლემა 50-იანი წლების დასასრულს და სხვ. მაგრამ, ჩვენი აზრით აჯობებდა შესწავლილიყო საქართველოს ინტელიგენციის განვითარების თავისებურებანი: მისი რაოდენობა და დინამიკა, შიდასოციალური სტრუქტურა, ეროვნული შემადგენლობა და ა. შ.

შეიძლება კონსტატაცია გაუკეთდეს იმ აზრს, ჩვენთვის საინტერესო პერიოდში (1921-1925 წწ.) საქართველოში ინტელიგენციის ფორმირებისა და განვითარების ერთიანი კომპლექსური შესწავლა მომავლის საქმეა. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ისეთ განმაზოგადებელ ნაშრომებში, როგორიცაა „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები“ (თბ., 1971) და „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. VII (თბ., 1976) საქართველოს ინტელიგენციას არ აქვს მიძღვნილი არც სპეციალურად თავი და არც პარაგრაფი.

ქართული ისტორიოგრაფიის მიერ შესწავლილ პრობლემებს შორის ჩვენ წამოვწევთ რამდენიმეს: ეს არის სოციალისტური ინტელიგენციის ფორმირების, ანუ „წითელი პროფესურის“ შექმნის საკითხი. მკვლევარი ვ. სულაძე აღნიშნავს, რომ „საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ დროის მცირე მონაკვეთში უზრუნველყო ახალი პროლეტარული სახელმწიფო აპარატის შექმნის რთული ამოცანის გადაწყვეტა. 1923 წლიდან დაიწყო მუშაობა 26 კომისრის სახელობის ამიერკავკასი-

ის კომუნისტურმა უნივერსიტეტმა, რომლის მიზანს შეადგენდა მარქსისტულად განათლებული სპეციალისტების აღზრდა ყველა დარგისათვის"[54].

„წითელი პროფესორების" აღზრდას ითვალისწინებდა მუშფაკების ქსელიც, რასაც სპეციალურად ქვემოთ შევეხებით. ჩვენ არ ვიზიარებთ ბოლო წლებში საქართველოს მასმედიაში გავრცელებულ რადიკალურად კრიტიკულ შეხედულებას „წითელი პროფესურის" წარმომადგენლების მიმართ, ამ სისტემაში ბევრი ღირსეული მეცნიერი აღიზარდა.

ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ნაკლი ინტელიგენციის პრობლემის კვლევისას ისიც იყო, რომ ინტელიგენციის კატეგორიაში უაპელაციოდ გააერთიანა საბჭოთა დაწესებულებებში მომუშავე ადამიანები. ისტორიკოსები მიუთითებდნენ: „სახელმწიფო აპარატში სამუშაოდ წასული ათიათასობით მუშა საბჭოთა ინტელიგენციის პირველ რაზმებს შეადგენდა. ისინი სხვადასხვა სახის წრეებსა და კურსებზე იღებდნენ ცოდნას, იმაღლებდნენ კულტურულ დონეს და იქცეოდნენ ახალი ეპოქის ინტელიგენტებად"[55]. ამ შეხედულების არაკომპეტენტურობა დღეს აშკარაა.

საქართველოს ინტელიგენციის სოციალური ინფრასტრუქტურიდან ყველაზე მეტი მასწავლებლებზეა დანერილი. ხაზგასმით მიუთითებდნენ. რომ „საბჭოთა ხელისუფლება ყველანაირ პირობას უქმნიდა მასწავლებლებს უკეთესი მუშაობისათვის"[56].

მაგრამ, კონკრეტულად რა პირობებს უქმნიდა სახელმწიფო მასწავლებლებს, და საერთოდ, მასწავლებლების სოციალური ფენის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა, საყოფაცხოვრებო პირობები, დამოკიდებულება ახალ რეჟიმთან - კომპლექსურად შესწავლილი მაინც არ არის, უფრო ხშირად, ზოგადად მიუთითებენ, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში „მასწავლებელთა დიდი ნაწილი, დაშინებული ბურჟუაზიული პროპაგანდის წყალობით, განზე იდგა და არ ენდობოდა ბოლშევიზმს"[57].

მიგვაჩნია, რომ საბჭოთა ისტორიკოსები გაურბოდნენ კითხვაზე პასუხს - თუ რატომ იდგა ინტელიგენციის ეს ფენა აშკარად ანტიკომუნისტურ პლატფორმაზე.

ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია საერთოდ არ ეხებოდა ემიგრაციაში წასული ქართველი ინტელიგენციის მოღვაწეობას, აკრძალული იყო მსჯელობა მ. წერეთლის, გრ. რობაქიძის, ირ. წერეთლის და სხვების შესახებ. ამ ვაკუუმს ავსებდნენ საზღვარგარეთ მოღვაწე, შედარებით „უმტკივნეულო" პროფესიის მქონე ქართველი მამულიშვილების შესახებ გამოკვლევებით. ამ მხრივ საყურადღებოა ა. ცამციშვილის გამოკვლევა „ბუდემოშლილნი", რომელშიც აღწერილია XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის იმ ქართველ მოცეკვავე ქალების შესახებ, რომლებიც სხვადასხვა დროს (ძირითადად საბჭოთა ხელისუფლებამდე) გაიხიზნენ საზღვარგარეთ[58].

ა. ცამციშვილს ეკუთვნის, აგრეთვე, საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი მუსიკოსის ერ. ჯაბადარის შესახებ მონოგრაფიული გამოკვლევა[59].

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამხობის შემდეგ შეიქმნა ხელსაყრელი პირობები ინტელიგენციის პრობლემებზე ობიექტური მუშაობისათვის. უკვე არის პირველი შედეგებიც. ჩვენთვის საინტერესო პერიოდზე საქართველოს ინტელიგენციასთან დაკავშირებით მეტად საყურადღებო მოსაზრებას აყენებს ა. სონღულაშვილი. ჩვენ ვიზიარებთ მის შეხედულებას, რომ „ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ძირითადი ზეწოლა ინტელიგენციისაკენ მიმართა, რათა ნიადაგი გამოეცალა ეროვნული თვითშეგნების ციტადელისათვის... ხელისუფლება ცბიერი ტაქტიკური მიდგომით ცდილობდა გამოეყენებინა ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება ინტელიგენციის საკუთარ პოზიციებზე გადმოსაბირებლად[60].

ა. სონღულაშვილი სამართლიანად მიუთითებს, რომ „საბჭოთა სახელმწიფოს ერთგული გულშემატკივრები ინტელიგენციის მნიშვნელოვან ნაწილში არ ჰყავდა. ისინი ვერ იტანდნენ ამ ხელისუფლებას, რომელიც პიროვნების ინდივიდუალიზმს ახშობდა, ხოლო გაბატონებული ხელისუფლება კი ასევე პასუხობდა მათ... სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური დაკვეთის შესრულებისათვის ბრძოლის პროცესში ფართო პროპაგანდა ეწეოდა საბჭოთა „უფროსი ძმის" - დიდი რუსი ხალხის ღირებულებათა განსაკუთრებულობის წარმოჩენას.

ზოგადადამიანური ღირებულებების რუსული კუთხით ნარმოჩენის სახელმწიფოებრივმა ტენდენციამ იმდენად დაჩრდილა ეროვნული, ქართული ღირებულებები, რომ ხალხში ერთგვარი არასრულფასოვნების კომპლექსი ჩამოყალიბდა"[61].

მიუხედავად რადიკალური ცვლილებებისა, რაც ბოლო წლებში მოხდა, ქართველი ისტორიკოსები დღეს ნაკლებად მუშაობენ ჩვენთვის საინტერესო პერიოდში საქართველოს ინტელიგენციის ისტორიის პრობლემებზე. უფრო შეიმჩნევა ქართული ემიგრანტული ინტელიგენციის წარმომადგენლების მიმართ ინტერესის გაძლიერება - ეს ბუნებრივიცაა, ათწლეულების განმავლობაში მათ შესახებ საქართველოს საზოგადოებრიობამ არაფერი იცოდა. ამ საქმეში გარკვეული დამსახურება გ. შარაძესაც მიუძღვის. XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან ის აქვეყნებს კრებულებს, რომლებშიც აცნობს მკითხველს საზღვარგარეთ მოღვაწე პოლიტიკოსებს: ნ. ჟორდანიას, კ. ჩხეიძეს, ნ. რამიშვილს და სხვ.; მწერლებს: გრ. რობაქიძეს, შ. ამირეჯიბს, გ. გამყრელიძეს და სხვ; მეცნიერებს: მ. წერეთელს, ზ. ავალიშვილს და სხვ. ხელოვნების წარმომადგენლებს: ფ. ვარლამიშვილს, ივ. ენუქიძეს და სხვ. [62]

გარკვეულ ინტერესს იწვევს ისტორიკოს რ. დაუშვილის ნაშრომი „ქართველი მრეწველები და გამომგონებლები ამერიკაში". აქ განხილულია 1921 წლის შემდეგ ამერიკაში საცხოვრებლად გადახვეწილი მამულიშვილების - ცნობილი პარფიუმერიის ფირმის, „პრინცი მაჩაბელის" დამფუძნებლის - გიორგი მაჩაბლის, ცნობილი მოცეკვავის თამარ თუმანიშვილისა და სხვათა შრომითი საქმიანობა ამერიკის მიწაზე[63]. მიგვაჩნია, რომ ამგვარი ნაშრომები მხოლოდ საწყისი მასალაა მომავალი განმაზოგადებელი კვლევებისათვის.

აქვე გვსურს ხაზი გავუსვათ, რომ ზოგიერთი მკვლევრის მცდელობა - საზღვარგარეთ, ემიგრაციაში მცხოვრებ თანამემამულეთა შორის მიმდინარე შემოქმედებითი პროცესები ნარმოადგინონ ქართული კულტურის განვითარების მაგისტრალურ ხაზად და ტონის მიმცემად - დაუშვებელია. მიუხედავად ბოლშევიკური დიქტატურისა, ქართული ნაციონალური კულტურა ვითარდებოდა და ღრმავდებოდა მხოლოდ და მხოლოდ იქ - სადაც მისი მატარებელი ხალხის ძირითადი მასა ცხოვრობდა - საქართველოში. საზღვარგარეთ მიმდინა-

რე კულტურული პროცესები - მხოლოდ დამატებითი კულტურული იმპულსებია იმ ძალუმი დინების, რასაც ქართული კულტურის განვითარების მაგისტრალური ხაზი ჰქვია.

აღსანიშნავია, რომ უკვე იქმნება განმაზოგადებელი ნაშრომებიც, რომლებიც ასახავენ ქართულ ემიგრაციაში მიმდინარე კულტუროლოგიურ პრობლემებს. ამ მხრივ საყურადღებოა გ. შარაძის „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია", ნაშრომს მდიდარი წყაროთმცოდნეობითი ბაზა აქვს. ავტორი სწავლობს ემიგრანტულ ჟურნალ-გაზეთებს: „თავისუფალი საქართველო", „სამშობლოსათვის", „სახალხო საქმე", „თეთრი გიორგი" და სხვ.[64] ნაშრომში ქართული ემიგრანტული ჟურნალ-გაზეთებიდან ვრცელი ამონარიდების მოყვანით ავტორი ნაშრომის წყაროთმცოდნეობით ღირებულებას უფრო ზრდის.

ქართული ემიგრაციის პირველი ტალღის ეროვნულ-პატრიოტულ და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას გერმანიაში ეხება ე. ანთია თავის საკანდიდატო დისერტაციაში. ავტორის მიხედვით 1921 წელს საზღვარგარეთ 200 ქართველი სწავლობდა[65]. ნაშრომში შესწავლილია ივანე და ალექსანდრე ნიკურაძეების, კიტა ჩხენკელის, მ. ახმეტელისა და სხვათა ბიოგრაფიები. პირადი წერილებითა და ბიოგრაფიული დეტალებით გაჯერებული ნაშრომი ადამიანების დრამატულ ბედზე უფრო მეტ ინფორმაციას იძლევა, ვიდრე ინტელიგენციის ამ კონკრეტული ფენის შესახებ განმაზოგადებელ ცოდნას.

ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ საერთოდ უყურადღებოდ იყო დატოვებული რუსული „სმენა ვეხური" მოძრაობის ქართული პარალელები. აღსანიშნავია, რომ გ. შარაძის მონოგრაფია იძლევა გარკვეულ მასალას ამ პრობლემის შესწავლის დასაწყებად. აქ არის ინფორმაცია ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეზე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო წარმომადგენელზე გრ. ვეშაპელზე, რომელიც 1926 წელს მოკლეს პარიზში. ის გმობდა 1924 წლის აჯანყებას, აკრიტიკებდა ქართველი მენშევიკების ლიდერებს[66].

საერთოდ, ინტელიგენციისა და საბჭოთა ხელისუფლების ურთიერთ დამოკიდებულების საკითხი თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში გამორჩეულ ინტერესს იწვევს. უკვე გამოქვეყნდა რამდენიმე ნაშრომი, რომლებმაც მნვავე

პოლემიკა გამოიწვიეს საზოგადოებაში. საქმე ეხება ცნობილი ქართველი ბელეტრისტისა და საზოგადო მოღვაწის მიხ. ჯავახიშვილის ურთიერთობას საბჭოთა რეჟიმთან [67].

სამეცნიერო დისკუსიის დროს გ. ციციშვილმა გამორჩეულად წამოწია წინ ე.წ. „წაწოლის პოლიტიკა" - როგორც ქართველი ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენლის ტოტალიტარულ რეჟიმთან ურთიერთობის ტაქტიკა (იგულისხმება მიხ. ჯავახიშვილი, შ. ნუცუბიძე და სხვ.). ავტორი მათ ქმედებას კომპრომისულს უწოდებს და აკრიტიკებს იმათ, ვინც კომფორმიზმში ურევს გონიერ კომპრომისს[68]. ამ შეხედულებას გ. ციციშვილი იცავს თავის სხვა ნაშრომებშიც.

ვერ დავეთანხმებით გ. ციციშვილს, რომ კომპრომისი, რაზეც ის ყურადღებას ამახვილებს, საერთოდ შედგა საქართველოს ინტელიგენციის ამ ნაწილსა და ტოტალიტარულ რეჟიმს შორის: კომპრომისი ხომ ორმხრივ შემხვედრ მოძრაობას, დათმობას გულისხმობს. ავტორი კი არ ასახელებს თუ რა სახის დათმობაზე წავიდა ტოტალიტარული სახელმწიფო საქართველოს ინტელიგენციის გამორჩეულ წარმომადგენლებთან. არ უნდა დავივიწყოთ, რომ კომუნისტური პარტიის მეორე პროგრამა ხაზგასმით მიუთითებდა: „პარტიამ... უნდა გააატაროს თავისი წინანდელი ხაზი... ოდნავ პოლიტიკურ დათმობაზეც არ უნდა წავიდეს ხსენებულ ბურჟუაზიული ფენის მიმართ და ულმობლად დათრგუნოს მისი ყოველგვარი კონტრრევოლუციური ზრახვები"[69].

ამ კონტექსტში გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მეტად ანგაჟირებულ თეზისს - ვ. ი. ლენინი ურჩევდა ქართველ კომუნისტებს გამოეჩინათ ინტელიგენციის მიმართ „მეტი სიფრთხილე, მეტი სირბილე და მეტი დათმობა[70]. საბჭოთა საზოგადოების ისტორიის ჩინებული მცოდნე აკად. ი. კაჭარავა ამ თეზისის დასადასტურებლად ერთ ფაქტსაც კი ვერ იშველიებს და კმაყოფილდება იმის კონსტატაციით, რომ „ინტელიგენციისადმი დამთმობლობის პოლიტიკა არ ნიშნავდა თვალის დახუჭვას ინტელიგენციის კონტრრევოლუციური გამოსვლების წინაშე, ნაციონალისტური გამოსვლების წინაშე, და ამიტომაც საქართველოს კომუნისტური პარტია თანმიმდევრულად იბრძოდა ყოველგვარი ანტისაბჭოურობის წინააღმდეგ"[71].

ჩვენ არ გვგონია არსებობდეს არგუმენტი გ. ციციშვილის ზემოთ მოყვანილი შეხედულების დასამტკიცებლად. ინტელიგენციის ამ ჯგუფის წარმომადგენელთა კომპრომისი კი სახეზეა, რაც ჩვენი აზრით კომფორმიზმია.

ბოლო წლებში გამოქვეყნდა რამდენიმე სერიოზული გამოკვლევა ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლების შესახებ. აღსანიშნავია ო. ჯანელიძის „სპირიდონ კედია - პოლიტიკური პორტრეტი". მონოგრაფიაში ავტორს მოჰყავს ს. კედიას მიერ 1921 წლის 25 თებერვლის საყურადღებო შეფასება: „სიცოცხლის ძარღვი გადაუჭრეს მთელ საქართველოს, გულები შედგნენ. სამარის სიჩუმე დამყარდა. ქართველები ლანდებად გადაიქცნენ. ხანდახან გაისმოდა თითქოს საიქიოდან მოსული და შორს მგზავრობით დაღლილი ხმა მათი"[72].

1999 წელს გამოქვეყნდა ვ. გურულის „ნოე ჟორდანია - პოლიტიკური პორტრეტი", რომელშიც პირველად დეტალურად არის გადმოცემული თვალსაჩინო ქართველი სოციალ-დემოკრატის მრავალმხრივ ნაყოფიერი მოღვაწეობა. გამოკვლევა ემყარება სხვადასხვა არქივში ავტორის მიერ მოძიებულ დოკუმენტებსა და მასალებს [73].

ზემოთ თქმულიდან აშკარაა, რომ 1921-1925 წლების საქართველოს ინტელიგენციის სრული სოციალური პორტრეტი შესასწავლია. ინტელიგენცია ჰყავდა საქართველოში მოღვაწე ყველა პოლიტიკურ პარტიას. საქართველოს კომპარტიის ცნობილი ლიდერები: ალ. სვანიძე (იენის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, თვალსაჩინო ორიენტალისტი), მ. ტოროშელიძე (ჟენევის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული), მ. ორახელაშვილი (პეტერბურგის სამხედრო სამედიცინო აკადემიის კურსდამთავრებული) და სხვები; სოციალ-ფედერალისტურ პარტიას: კ. გამსახურდია, ვ. კოტეტიშვილი და სხვები; ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას: ე. თაყაიშვილი, ს. კედია, მ. ჯავახიშვილი და სხვები, უამრავ უპარტიო და არაქართველ ინტელიგენტთან ერთად ქმნიდნენ ერთიან სოციალურ ფენას, რომლის ისტორიული განვითარების თავისებურებები 1921-1925 წლებში გადაუდებელ შესწავლას მოითხოვს.

3. მუშები და მუშათა საკითხი

მუშათა კლასი საბჭოთა სისტემის საფუძველთა-საფუძველი იყო. კომუნისტური პარტია მუდამ აცხადებდა, რომ მისი მთავარი ამოცანაა არა მარტო პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობა, არამედ მისთვის შრომისა და დასვენების ოპტიმალური გარემოს შექმნა, ყოველი ინდივიდისათვის პიროვნული განვითარების ჰარმონიული პირობების უზრუნველყოფა. ამიტომაც საბჭოთა ისტორიოგრაფიის მთავარ ამოცანად დაისახა მუშათა კლასის ისტორიის შესწავლა კომუნისტური იდეოლოგიის ძირითადი მოთხოვნებისა და მსოფლმხედველობითი კანონების გათვალისწინების შესაბამისად. როგორც მიუთითებენ, საბჭოთა ისტორიოგრაფია მუშათა კლასის ისტორიას სწავლობდა ორი მთავარი ასპექტით: ერთი მხრივ, თვით მუშათა კლასის სოციალური ბუნების ცვლილების ასპექტით, რაც გულისხმობდა მუშათა კლასის რაოდენობრივი და თვისებრივი (პროფესიულ, კვალიფიკაციურ, ასაკობრივ, ეროვნულ და ა. შ.) შემადგენლობის ცვლილებების, კულტურულ-ტექნიკური დონის, საწარმოო საქმიანობისადმი და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების საკითხების კვლევას; მეორე მხრივ, მუშათა კლასის ისტორია შეისწავლებოდა სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე მუშათა კლასის გარდამქმნელი და ხელმძღვანელი როლის განზოგადების ასპექტით[74].

საბჭოთა ისტორიოგრაფიამ, შეიძლება ითქვას, ეს ამოცანა ძირითადად წარმატებით შეასრულა.

უკვე XX ს. 50-იან წლებში, განმაზოგადებელ ნაშრომებსა თუ ცალკეულ მონოგრაფიაში, გვაქვს საინტერესო მოსაზრებები1921-1925 წლების პერიოდში საქართველოს საზოგადოებრივ სტრუქტურებში მუშათა კლასის ადგილისა და როლის, მათი პოლიტიკური თუ ეკონომიკური მნიშვნელობის შესახებ. აკად. ი. კაჭარავა თავის მონოგრაფიაში, რომელშიც ძირითადად სახალხო მეურნეობის, მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარების თავისებურებებზეა ყურადღება გამახვილებული, ეხება მუშათა კლასის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ზოგიერთ საკითხს: მუშათა ხელფასის საკითხს 1923-1924 წლებში, სამრეწველო საწარმოებში შრომის

ნაყოფიერების დონეს და ა. შ. კვლევის შედეგად ის მიუთითებს, რომ აღნიშნულ პერიოდში „ხელფასის დონე უფრო მაღალი იყო, ვიდრე შრომის ნაყოფიერების დონე“[75].

მუშათა კლასის აღწარმოების პრობლემებს, ეკონომიკური მეცნიერების თვალსაზრისით, ეხება აკად. ა. გუნია მონოგრაფიაში „მუშაძალის აღწარმოება საქართველოს სსრ მრეწველობაში“, სადაც ავტორი იხილავს მუშაძალის აღწარმოების პრობლემას საბჭოთა ეკონომიკის მრავალწყობიანობის ლიკვიდაციის პერიოდში, არკვევს მუშაძალის სტრუქტურულ ცვლილებებს, აყალიბებს წინააღმდეგობრივ მომენტებს, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო პერიოდზე - 1921-1925 წლებზე შედარებით მცირე ინფორმაცია აქვს[76].

საქართველოს მუშათა კლასის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები მაქსიმალურად, სრულად და კომპლექსურად შეისწავლა პროფ. მ. ნათმელაძემ მუშათა კლასის ისტორიისადმი მიძღვნილ თავის მრავალრიცხოვან პუბლიკაციებში. მუშათა პრობლემებს, განსაკუთრებით კი მუშათა დეკლასირების, მათი კონსოლიდაციისა და განვითარების საკითხებს ის შეეხო ჯერ კიდევ 1965 წელს ნაშრომში - „საქართველოს მუშათა კლასის კონსოლიდაცია“[77], მაგრამ საქართველოს მუშათა კლასის იმანენტური ბუნების განსაზღვრა მან მიზნად დაისახა თავის სამტომეულ ნაშრომში - „საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასის ისტორია“[78].

მუშათა კლასის ისტორიის შესწავლა უნდა დაიწყოს იმ ვითარების ობიექტური შეფასებით, რომელშიც აღმოჩნდა საქართველოს მრავალეროვანი მუშათა კლასი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტში. ქართულ ისტორიოგრაფიაში სამართლიანად არის მითითებული, რომ „მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა არ შეიძლება ერთბაშად შეცვლილიყო. ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადასვლისას ზოგიერთი სიძნელე კიდევ უფრო გაღრმავდა, აუცილებელი სამრეწველო საქონლის უკმარისობის, ქალაქსა და სოფელს შორის არაეკვივალენტური საქონელგაცვლის გამო იზრდებოდა უკმაყოფილება გლეხობასა და მუშათა კლასის ერთ ნაწილში. იქმნებოდა საფრთხე მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის დაშლის“[79]. ეს დასკვნა სწორია, მაგრამ იმ წლებში არსებული პოლიტიკური ვითარება ისტორიკოსს არ აძლევდა საშუალებას

კონკრეტული მაგალითებით (რაც, როგორც დღეს ჩანს, საკმაოდ ბევრია) გაემყარებინა ეს სამართლიანი შეხედულება.

იმასაც მიუთითებდნენ, რომ „მუშათა კლასის რიცხობრივი ზრდა საქართველოში, ისევე როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირში, არ დაწყებულა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე, პირიქით, 1921-1923 წლებში ადგილი ჰქონდა მუშათა რიცხვის შემცირებას რესპუბლიკის მრეწველობის ზოგიერთ დარგში"[80].

საქართველოს მუშათა კლასის დეკლასირების პროცესი, რაც დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს არსებობის ბოლო წლებში დაიწყო და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგაც გრძელდებოდა, არ შეიძლება უცვლელი დარჩენილიყო: 1. იზღუდებოდა კომუნისტური რეჟიმის სოციალური დასაყრდენი; 2. იქმნებოდა სოციალური ამბოხების რეალური საფრთხე, რაც მართლაც შესამჩნევი იყო 20-იანი წლების დასაწყისში და რაზეც თვალს ხუჭავდა საბჭოთა ისტორიოგრაფია. მხოლოდ სოციალისტური სისტემის დამხობის შემდეგ შეიქმნა რეალური შესაძლებლობა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში სოციალური პროტესტის ფორმების მეცნიერული შესწავლისათვის.

მუშათა კონსოლიდაციისა და განუხრელი რიცხობრივი ზრდის მიზნით საბჭოთა ხელისუფლებამ გასაბჭოების პირველსავე წლებში განახორციელა რადიკალური ზომები: დაიწყო ზაჰესის მშენებლობა, ქუთაისში მიმდინარეობდა ლენინის მიერ ნაჩუქარი, ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს რიგიდან ევაკუირებული, მაუდის ფაბრიკის მონტაჟი, ოზურგეთსა და თბილისში მიმდინარეობდა აბრეშუმსახვევსაძახავი ფაბრიკების მშენებლობა. თუმცა, როგორც აკად. ა. გუნია სამართლიანად მიუთითებს, 1923-1924 წლებში ხელისუფლების მიერ დასახული იყო სამეურნეო- აღმშენებლობითი ამოცანები, მაგრამ ისინი არ იყო სათანადოდ ნათელი და კონკრეტული, ძირითადი ყურადღება ექცეოდა მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას[81].

ახალმა საწარმოო სიმძლავრეებმა მოითხოვა ახალი საწარმოო კადრები, პირველ რიგში მუშახელი, რამაც შეაჩერა მუშათა დეკლასირების პროცესი, ქართულ ისტორიოგრაფიაში მითითებულია, რომ „სახალხო მეურნეობის აღდგენა-განვითა-

რების პროცესს თან სდევდა, პირველ რიგში, მუშათა რაოდენობრივი ზრდა. საქართველოს სახალხო მეურნეობაში დასაქმებული მუშახელის რაოდენობა 1923-1924 სამეურნეო წელს შეადგენდა 73900, 1924-1925 წლებში - 90800, ხოლო 1925-1926 წლებში კიდევ უფრო გაიზარდა და შეადგინა 116700[82].

ისტორიოგრაფიაში გარკვეულ ყურადღებას უთმობენ მუშათა შევსების წყაროების საკითხსაც, ძირითად წყაროს, რა თქმა უნდა, წარმოადგენდა გლეხობა, რაც განაპირობა სოფლად შექმნილმა სიძნელეებმა, კერძოდ, 1923 წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ფასების დაცემამ. ამან წარმოშვა სტიმული იმისათვის, რომ სამუშაო ძალა სოფლის მეურნეობიდან მრეწველობაში დაძრულიყო[83].

მუშახელის შევსების მნიშვნელოვანი წყარო იყო, აგრეთვე, იმიგრაცია, რასაც იწვევდა მოკავშირე რესპუბლიკებში შექმნილი მძიმე სოციალური ვითარება. ეს საკითხიც სათანადოდ არის შესწავლილი ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. მითითებულია, რომ „მარტო თბილისში 1921-1923 წწ. საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსულთა პროცენტი შეადგენდა 68,9%, რუსეთიდან - 4, 2%, აზერბაიჯანიდან 2,1%, დანარჩენი რესპუბლიკებიდან კი - 1,4%[84].

ყურადღებას ამახვილებენ იმ საკითხზეც, რომ 20-იანი წლების დასაწყისში მუშათა კლასის შევსება ხდებოდა ძველი გაბატონებული კლასის წარმომადგენლების რიგებიდანაც[85].

მეცნიერთა ინტერესს იწვევდა 20-იანი წლების დასაწყისში მუშათა კლასის ეროვნული შემადგენლობა, რაც საქართველოს მოსახლეობის მრავალეროვანი სტრუქტურიდან გამომდინარე, გარკვეულ თავისებურებებს ავლენს. ჩვენთვის საინტერესო პერიოდზე ერთიანი შემაჯამებელი ცნობა მუშათა ნაციონალური რაზმების შესახებ არ არის: აკად. ა. გუნია იმოწმებს თბილისის პროფკავშირული ორგანიზაციების მონაცემებს და იძლევა 20-იანი წლების დასაწყისში მუშათა ნაციონალური ჯგუფების შემადგენლობას ქ. თბილისის სამრეწველო საწარმოთა მიხედვით. ამ მონაცემებით, თბილისში მუშათა შორის ქართველი იყო - 36,8%, სომეხი - 32,7%, რუსი - 18,9%, სხვა დანარჩენი - 11,6%[86].

ა. დაუშვილი გვთავაზობს საქართველოს სამრეწველო კოლექტივების ეროვნულ შემადგენლობას ჩვენთვის საინტე-

რესო პერიოდში. მისი მიხედვით, თბილისის ადელხანოვის საა-ქციო საზოგადოების ქარხნებში საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ქართველები შეადგენდნენ - 27,8%, რუსები - 7,7%, მუსლიმანები - 0,8%, სომხები- 62%, სხვა დანარჩენი ეროვნება - 1,5%. მრავალეროვანი იყო საქართველოს უდიდესი სამრეწველო კოლექტივი - თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები, აქ ქართველი იყო - 57,7%, რუსი - 26,7%, სომეხი - 9,9%, მუსლიმანი - 0,6%, სხვა დანარჩენი ეროვნების წარმომადგენელი - 5,6%, 1924 წელს ჩათახის ქარხანაში დასაქმებული იყო 21 ქართველი, 34 სომეხი, 13 რუსი, 5 უკრაინელი, 2 აზერბაიჯანელი, 1 გერმანელი [87].

მ. ნათმელაძის მიხედვით რესპუბლიკის წარმოება-დაწესებულებებში ჩაბმული ქართველები 1921 წელს შეადგენდნენ საერთო რაოდენობის 34%, 1924 წელს - 57%, 1925 წელს - 58,6% [88].

როგორი იყო მუშის შრომის ხასიათი სამრეწველო საწარმოებში საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში? მკვლევარი ს. ჩხარტიშვილი ამ კითხვაზე ასეთ პასუხს იძლევა - „რევოლუციამ წარმოშვა ახალი, უფრო მაღალი საზოგადოებრივი ურთიერთობა, საზოგადოებრივი დისციპლინა, შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულება, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების გამომუშავება“[89]. რა თქმა უნდა, ეს შეხედულება კომუნისტური იდეოლოგიით ნაკარნახევი საისტორიო კლიშეა, რადგან უამრავი ფაქტი არსებობს 20-იანი წლების დასაწყისში საქართველოს ფაბრიკა-ქარხნებში მასობრივი უდისციპლინობის, შრომისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების, მუშათა გაფიცვებისაც კი. კომუნისტურ რეჟიმს უდიდესი ძალისხმევა, ხშირად რეპრესიული ზომების გამოყენებაც სჭირდებოდა საქართველოს საწარმოებში წესრიგისა და დისციპლინის დასამყარებლად.

შრომის ახალი, სოციალისტური ფორმების ძიებისას ვ. ი. ლენინმა გამორჩეული მნიშვნელობა მიანიჭა კომუნისტურ შაბათობებს, რასაც მან „დიადი თაოსნობა“ უწოდა. საზოგადოებისათვის უანგაროდ გაწეული მუშაობის ეს ფორმა მომავალი კომუნისტური საზოგადოების არსებობის ქვაკუთხედად გამოცხადდა. ქართულ ისტორიოგრაფიაში მითითებულია, რომ 1921-1922 წლებში საქართველოში მოეწყო 660

შაბათობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 80 000 კაცმა[90]. უკვე იმ ხანებში აუნაზღაურებელი, უანგარო შრომის ამ სახეობით საბჭოთა რეჟიმი ცდილობდა ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას.

საბჭოთა ისტორიოგრაფია უდიდეს ყურადღებას უთმობდა წარმოების მართვაში მუშათა მონაწილეობის ფორმების თავისებურებების შესწავლას, მიაჩნდათ ის სოციალისტური დემოკრატიის გამოვლენის განსაკუთრებულ ფორმად, რაც უზრუნველყოფდა მუშათა როლის ზრდას საბჭოთა საზოგადოებაში.

დღეს ამ შეხედულებას ბევრი ისტორიკოსი აღარ ეთანხმება და თვლის, რომ ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში კომუნისტური პარტიის დიქტატურა მთლიანად გამორიცხავდა დემოკრატიულ უფლებებსა და თავისუფლებებს, „მუშათა წარმოების მართვაში მონაწილეობის ფორმები" ფიქცია და თვალისხვევა იყო. ასეთი დამოკიდებულება კი მოითხოვს ახალ მეთოდოლოგიურ საფუძველზე ამ პრობლემის შესწავლას, რადგან დოკუმენტურად დასტურდება, რომ საქართველოს უამრავ საწარმოში არსებობდა მუშათა კონტროლის სისტემა, დებდნენ და ამოწმებდნენ კოლექტიურ ხელშეკრულებებს, ფუნქციონირებდნენ საწარმოო თათბირები, მუშები აქტიურობდნენ, აყენებდნენ საინტერესო წინადადებებს და ა. შ.

საქართველოში წარმოების მართვაში მუშათა მონაწილეობის ერთ-ერთი პირველი ფორმა იყო წარმოებაზე მუშათა კონტროლი - „ისინი ნაციონალიზებულ საწარმოებში მტკიცე ბრძოლას აწარმოებდნენ ყოფილი მეპატრონეების და სხვა ანტისაზოგადოებრივი ელემენტების წინააღმდეგ"[91].

საყურადღებოა, რომ დაფიქსირებულია საქართველოს სამრეწველო საწარმოებში პოლიტიკურ კომისართა ინსტიტუტის არსებობაც. როგორც მიუთითებენ, „პოლიტიკურ კომისრებს ირჩევდნენ საფაბრიკო და საქარხნო კომიტეტები და ადგილკომები დაწესებულებებში კომუნისტური უჯრედების რეკომენდაციითა და ხელმძღვანელობით[92].

ქართულმა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო კოლექტიური ხელშეკრულებების ფუნქციონირების მექანიზმის, მისი შინაარსის რეალიზაციის თავისებურებების მეცნიერულ შესწავლას. მითითებულია,

რომ „კოლექტიური ხელშეკრულებანი არა მარტო ემყარებოდნენ ნორმალურ ურთიერთობას წარმოების ხელმძღვანელობასა და მომუშავეთა შორის, არამედ მათ აღმზრდელობითი მნიშვნელობაც ჰქონდათ, რადგან მათ შემუშავებასა და გაფართოებაში მუშა-მოსამსახურეთა ფართო მასები ებმებოდნენ"[93]. ამასთან ერთად აღნიშნულია, რომ „კოლექტიურ ხელშეკრულებებში ითვალისწინებდნენ ხელფასის, გამომუშავების ნორმების და მათი ანაზღაურების, მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, სამედიცინო დახმარების ორგანიზაციის საკითხებს და სხვ."[94].

შრომის დისციპლინა - საბჭოთა სისტემის აქილევსის ქუსლი იყო მთელი მისი არსებობის მანძილზე. შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხებს საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში გამოკვლევა მიუძღვნა ქ. თოფურიძემ, რომელმაც მიუთითა, რომ „აღდგენითი პერიოდის პირველ ხანებში შრომის დისციპლინის განმტკიცების ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდა ამხანაგური დისციპლინური სასამართლოების მოწყობა, სადაც მუშები თვითონ ჰკიცხავდნენ უდისციპლინოებს"[95].

ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა წარმოების მართვაში მუშათა მონაწილეობის კიდევ ერთ ფორმას - საწარმოო თათბირებს. ქ. თოფურიძე თვლის, რომ „საწარმოო თათბირების შედეგად გაიზარდა შრომისნაყოფიერება"[96]. ს. შარიქაძის აზრით, „საწარმოო თათბირები წარმოადგენდა რაციონალიზატორულ ლაბორატორიას და მუშათა მასების აღზრდის სერიოზულ სკოლას წარმოების მართვის საქმეში"[97].

როგორც დასტურდება, საქართველოში საწარმოო თათბირების ფუნქციონირება 1924 წლიდან დაიწყო. ისტორიოგრაფიაში ხაზგასმით არის მითითებული, რომ „თათბირებზე შეტანილი ზოგიერთი წინადადების მიუღებლობა მარტო ადმინისტრაციის არასათანადო ზრუნვით როდი აიხსნება, არამედ იმითაც, რომ ზოგიერთი წინადადების განხორციელებისათვის საჭირო პირობები არ არსებობდა, ანდა ისინი საერთოდ განუხორციელებელი ჩანდა, მათი ზოგადი ხასიათისა და საჭირო დასაბუთება-არგუმენტაციის უქონლობის გამო"[98].

საწარმოო თათბირების და მუშათა თვითმმართველობის სხვა ფორმების მნიშვნელობა ეროვნებათაშორისი ურთიერთობების განვითარების საქმეში შემჩნეული აქვს ა. დაუშვილს, რომელიც ასკვნის: „გასაბჭოების შემდგომ ხანაში, საქართველოს ფაბრიკა-ქარხნებში, წარმოებისა და საზოგადოების მართვის სისტემაში აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენლები. ადგილი არ ჰქონდა ეროვნული ნიშნის მიხედვით კადრების დევნას და დისკრიმინაციას"[99].

ჩვენთვის საინტერესო პერიოდში საქართველოს მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური მომზადების საკითხებს შეეხო ყველა ისტორიკოსი, ვინც მუშათა კლასის ისტორიის საკითხებზე ამახვილებდა ყურადღებას, მაგრამ სპეციალურად ამ პრობლემას სწავლობდა მ. კანტერე. უნდა აღინიშნოს, რომ 1921-1925 წლების პერიოდის შესწავლისას მკვლევარმა მთავარი ყურადღება დაუთმო წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის პრობლემას, რომელსაც ჩვენ სპეციალურ პარაგრაფში შევეხებით. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, თუ რა მუშაობა წარმოებდა მუშათა პროფესიული დაოსტატების მიზნით საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში. ამის შესახებ ავტორი შემდეგ ინფორმაციას იძლევა: „იხსნებოდა მოკლევადიანი საღამოს კურსები წარმოების სხვადასხვა დარგში, ყალიბდებოდა საქარხნო პროფესიული სასწავლებელი, იქმნებოდა სხვადასხვა პროფტექნიკური კურსები სამხედრო ნაწილებსა და ინვალიდებს შორისაც კი, ყალიბდებოდა სპეციალური კურსები ადმინისტრაციულ-ტექნიკური მუშაკების მოსამზადებლად, სპეციალური კურსები იქმნებოდა ოსტატების, შრომითი პროცესების ხელმძღვანელების, პრაქტიკოს-ტექნიკოსთა მოსამზადებლად. პირველი ასეთი კურსი 1921 წლის 10 სექტემბერს შეიქმნა მელითონეებისათვის"[100].

საქართველოს ისტორიკოსებს მხედველობიდან არ გამორჩენიათ ავტონომიურ რეგიონებში მუშათა სოციალური ფენის ფორმირებისა და განვითარების საკითხები, რაც მიზნად ისახავდა ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული შეხედულებებისა და კონცეფციების ადგილობრივი მაგალითებით გამდიდრებას. შესწავლილია აფხაზეთის

მუშათა კლასის[101], აჭარის[102], შიდა ქართლში მუშათა ადგილობრივი რაზმების ჩამოყალიბების[103] ისტორია.

ჩვენს მიერ განხილული ნაშრომები ადასტურებენ, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფიამ კომპლექსურად შეისნავლა მუშათა კლასის განვითარების კონკრეტულ-ისტორიული თავისებურებანი სოციალისტური მშენებლობის საწყის ეტაპზე. მაგრამ მხოლოდ სოციალისტური სისტემის დამხობის შემდეგ გახდა შესაძლებელი მკვლევარი ისტორიკოსის ყურადღების გამახვილება ისეთ საკითხებსა და პრობლემებზე, რომელთა შესახებ საბჭოთა ისტორიოგრაფია (გასაგები მიზეზების გამო) დუმილს ამჯობინებდა. მაგალითად, უკვე აღნიშნავენ, რომ „თბილისის ბევრ საწარმოში მდგომარეობა აუტანელი იყო. თბილისის აგურის №2 ქარხანაში საწარმოს პერსონალი მუშაობდა მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე, კვირა და უქმე დღეებშიც. მშრომელთა 90 პროცენტი მალარიით იყო ავად. მუშათა საცხოვრებელ ბინებში საშინელი ანტისანიტარია იყო გამეფებული. საქონელი და ადამიანი ერთ ჭერქვეშ ათენებდა. ხშირი იყო სიკვდილიანობის შემთხვევებიც"[104].

ასეთი მაგალითები კი ერთეულები არ ყოფილა.

ასევე, უკვე შესნავლილია სოციალური ბრძოლის ფორმები - მუშათა გაფიცვები XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოში. პირველი გაფიცვა წითელი არმიის საინტენდანტო სამსახურის სამკერვალო სახელოსნოში მოხდა 1922 წლის აგვისტო-სექტემბერში. გაფიცვის მიზეზი ეკონომიკური იყო. 1922 წელს დიდი გაფიცვა მოხდა ცხენისწყლის აუზში - საჭილაოს ტყის საჭრელ ქარხანაში. დაფიქსირებულია მუშათა დიდი გაფიცვა ტყიბულის მაღაროებში[105].

როგორც მიუთითებენ, ამ გაფიცვებისათვის დამახასიათებელი იყო მსგავსება გაფიცვის კლასიკურ ფორმასთან (ხაზგასმულია ორგანიზებულობა, კავშირი პროფესიულ ორგანიზაციასთან, გარკვეული ხანრძლივობა, კონკრეტული შედეგები და ა.შ.), თუმცა ამ ეტაპზე გაფიცვების კონკრეტული ინიციატორები არ ჩანან. მას ასულდგმულებს ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პერიოდის შედარებით ლიბერალური ურთიერთობები საწარმოს მართვის სფეროში. მთავრობის მხრიდან რეპრესიული ღონისძიებების განხორციელება ცალკეულ შემთხვევაში აშკარაა[106].

მუშათა კლასის პოლიტიკური დაუმორჩილებლობის ფორმებზე ყურადღებას ამახვილებს ე. ნარიმანიძე თავის პუბლიკაციაში „სტალინის შეხვედრა თბილისის მუშებთან (1921 წ. 5 ივლისი)". ეს ნარკვევი, რომელიც მთლიანად ჰარვარდიდან ჩამოტანილი საარქივო მასალის საფუძველზეა დაწერილი, ბევრ კითხვას ბადებს, რაც ამ საკითხებზე დამატებითი მუშაობის გაგრძელებას მოითხოვს.

4. გლეხობა და აგრარული პოლიტიკა

მარქსიზმის კლასიკოსები აგრარულ-გლეხურ საკითხს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ. ჯერ კიდევ ფ. ენგელსი მიუთითებდა, რომ „ჩვენი ამოცანა ნვრილი გლეხობის მიმართ, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ მათი კერძო წარმოება და კერძო მფლობელობა საამხანაგო გავხადოთ, მაგრამ არა ძალით, არამედ მაგალითით და ამ მიზნით საზოგადოებრივი დახმარება შევთავაზოთ"[107]. ამასთანავე, კ. მარქსი და ფ. ენგელსი იმასაც მიუთითებდნენ, რომ სოციალისტური რევოლუცია უნდა განხორციელებულიყო ისეთ ქვეყანაში, სადაც პროლეტარიატი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა იქნებოდა, ხოლო წვრილმესაკუთრე მიწათმფლობელობა მინიმუმამდე შემცირდებოდა.

XX საუკუნის დასაწყისში რუსეთში რადიკალურად განსხვავებული ვითარება ჩანს - აგრარული სექტორი განმსაზღვრელი და ყოვლისმომცველი იყო. ასეთ ვითარებაში რუს მარქსისტებს სპეციალური აგრარული პოლიტიკის შემუშავება დაჭირდათ, ხოლო მემარცხენე-ბოლშევიკურ-ლენინურმა მიმართულებამ თავიდანვე ჩამოაყალიბა სოფლის აგრარული გარდაქმნის საკუთარი, რადიკალური რევოლუციური თეორია, რაც ითვალისწინებდა მიწის ნაციონალიზაციას, მტკიცე კავშირს სოფლის უღარიბეს ფენებთან, საშუალო გლეხობის ნეიტრალიზაციის პირობებში კულაკების წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას. ეს ძირითადი ამოცანა კონკრეტულ-ისტორიული ვითარების შესაბამისად გარკვეულ ევოლუციას განიცდიდა.

ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, სამოქალაქო ომისა და „სამხედრო კომუნიზმის" შედეგების აღმოსაფხვრელად, კომუნისტური რეჟიმის სოციალური ბაზის განსამტკიცებლად ვ. ი. ლენინმა პარტიას შესთავაზა ახალი კონცეფცია, რომელიც დამტკიცდა კომუნისტური პარტიის ყრილობაზე: „კულაკობის მიმართ რუსეთის კომუნისტური პარტიის პოლიტიკა ის არის, რომ გადამჭრელი ბრძოლა ანარმოოს მათ ექსპლოატატორულ მისწრაფებებთან, დათრგუნოს მათი წინააღმდეგობა საბჭოთა პოლიტიკისადმი. საშუალო გლეხობის მიმართ რუსეთის კომუნისტური პარტიის პოლიტიკა ის არის, რომ თანდათან და გეგმაზომიერად ჩააბას იგი სოციალისტური მშენებლობის სამუშაოში. პარტია ამოცანად ისახავს გამოყოს იგი კულაკებისაგან, მიიზიდოს იგი მუშათა კლასის მხარეზე საშუალო გლეხობის საჭიროებისადმი გულისხმიერი მოპყრობით"[108].

კომუნისტური პარტიის ეს საპროგრამო დებულებები მთლიანად გაითავისა საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობამ, რომელმაც საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოების შემდეგ განახორციელა წინააღმდეგობებითა და დრამატიზმით აღსავსე აგრარული პოლიტიკა. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა საბჭოთა აგრარული პოლიტიკის რეალიზაციის ის პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც გასაბჭოების პირველ წლებში განხორციელდა საქართველოს სოფელში. ამ საკითხებისადმი ქართველი ისტორიკოსების დაინტერესება უკვე აშკარაა XX საუკუნის 50-იანი წლების შუა ხანებიდან. ეს შეიმჩნევა როგორც განმაზოგადებელ ნაშრომებში, ისე ცალკეულ მონოგრაფიულ გამოკვლევებში, რომლებშიც ამ პრობლემათა შესახებ არაერთი საყურადღებო აზრი გამოითქვა. მაგალითად, ი. კაჭარავა მიუთითებდა: „საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შემდგომი განმტკიცების საქმეში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კულაკობისა და მემამულე-თავადაზნაურთა ეკონომიკური ძლიერებისათვის ძირის გამოთხრას, მინის საკითხის რევოლუციურად გადაწყვეტას"[109].

რა ვითარება იყო საქართველოს სოფელში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში?

1921 წელს საქართველოს მოსახლეობა 2 401,5 ათასი იყო. აქედან 1 926,4 ათასი სოფლის მოსახლეობას წარმოადგენდა, რომელიც 326,4 ათასი გლეხურ მეურნეობას ქმნიდა. უკვე 1925 წელს სოფლად 2 008,0 ათასი კაცი ცხოვრობდა, არსებობდა 413,9 ათასი გლეხური მეურნეობა[110].

ქართულ ისტორიოგრაფიაში დადასტურებულია გლეხობის სოციალური დიფერენციაციის თავისებურებები საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში. ა. კოჭლავაშვილის აზრით: „საბჭოთა წყობილების პირობებში, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შემოღების შემდეგ, გლეხობის კლასობრივი დიფერენციაცია მკვეთრად განსხვავდებოდა რევოლუციამდელი დიფერენციაციისაგან. ამ პერიოდში მიმდინარეობდა საშუალო ფენის სწრაფი ზრდა ღარიბი ფენის შემცირების ხარჯზე. სახელმწიფოს დახმარებით... მიმდინარეობდა სოფლის გასაშუალება, საშუალო გლეხობა სოფლის ცენტრალური ფიგურა ხდებოდა“[111].

ამ მოსაზრებას ი. კაჭარავა კონკრეტული მონაცემებით ამყარებს - 1921 წელს 1-დან 2 დესეტინამდე მიწას ფლობდა გლეხურ მეურნეობათა 20,3%, 2-დან 4 დესეტინამდე მიწას ფლობდა გლეხურ მეურნეობათა 22,0%[112]. ა. კიკვიძის აზრით კი საკოლმეურნეო მოძრაობის დასაწყისისათვის საქართველოში ღარიბი გლეხი იყო 24,3%, საშუალო 66% და კულაკი 5%[113].

მხედველობიდან არ არის გამორჩენილი ქართული სოფლის სოციალური დიფერენციაციის რეგიონალური თავისებურებებიც, მაგალითად, აფხაზეთში ვითარება კიდევ უფრო მძიმე იყო. რევოლუციამდე თუ უმიწაწყლო გლეხობის რაოდენობა საქართველოში 5,2 პროცენტს შეადგენდა, აფხაზეთში ეს მაჩვენებელი 23,6 პროცენტამდე მერყეობდა. აჭარაში კიდევ უფრო მძიმე ვითარება იყო. აქ ყოველ 100 კომლზე მოდიოდა 1-2 შეძლებული და კულაკური გლეხური კომლი, 10-12 საშუალო კომლი, 86-87 ღარიბი კომლი[114]. გაუსაძლისი ვითარება იყო ოსებით დასახლებულ მთიან რეგიონებშიც.

ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ცალსახად დადებითად არის შეფასებული საქართველოს რევკომის 1921 წლის 6 აპრილის დეკრეტი მიწის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა: მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმებას, მიწის ყიდვა-გა-

ყიდვის აკრძალვას, კონფისკაციას დაქვემდებარებული მიწების სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადებას[115].

აკად. ი. კაჭარავას მოსაზრებით, ეს დოკუმენტი „საქართველოს მშრომელ გლეხობას ათავისუფლებდა მენშევიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული მიწის გადასახადისაგან 95 მილიონი მანეთის რაოდენობით და სახელმწიფო მიწის ფონდიდან მიწების შესაძენად 252 მილიონი მანეთის გადასახადისაგან, რომლის გადახდამდეც მენშევიკურ საქართველოში გლეხობას უნდა ეხადა ყოველწლიურად საღალო 802200, მიწის გამოსასყიდი - 233800 და საიჯარო 2500 ათასი მანეთი ოქროთი. ყველა ამ გადასახადისაგან ათავისუფლებდა გლეხობას საბჭოთა ხელისუფლება"[116].

ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დავის საგანი იყო საქართველოს ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ 1921 წლის ზაფხულში ნატურალური სასურსათო გადასახადის დაწესება. ი. კაჭარავა, მ. ჯიჯეიშვილი, კ. შელია ამ ფაქტს საქართველოს ხელმძღვანელობას შეცდომად უთვლიდნენ. რადიკალურად განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა ფ. ლომაშვილს. ის ამ პრობლემას შემდეგი სახით აყალიბებდა და საკითხის გასარკვევად ორ შეკითხვას სვამდა: 1) 1921 წელს სასურსათო გადასახადის მიზანშეწონილობის გარკვევა; 2) ამ გადასახადის ამოღების საკითხი.

ფ. ლომაშვილი ამტკიცებდა, რომ საქართველოს ხელისუფლებას არავითარი შეცდომა არ დაუშვია და უარყოფდა თავისი ოპონენტების არგუმენტებს, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ 1921 წელს საქართველოში მძიმე სასურსათო კრიზისი იყო. ამ წელს 29,5 მილიონი ფუთი პური მოიწიეს, ხოლო საქართველოს მოსახლეობას კი 32,5 მილიონი ფუთი პური ჭირდებოდა გამოსაკვებად. ამრიგად, ეს გადასახადი მძიმე ტვირთად დააწვებოდა მშრომელ გლეხობას. თავისი ოპონენტების საწინააღმდეგოდ ფ. ლომაშვილი აყალიბებს საკუთარ კონცეფციას: 1. ზემოთ მოყვანილი გათვლები ეხება ცხოვრების ნორმალურ პირობებს, იმ დროს კი არ შეიძლება გვევარაუდა, რომ მოსახლეობა მთლიანად იქნებოდა უზრუნველყოფილი პურის საკმარისი რაოდენობით; 2) თუ რევოლუციამდე სხვადასხვა მოუსავლიანობისა თუ სტიქიური უბედურებების გამო, საქართველოს გლეხობა მაინც უხდიდა გადასახადებს მე-

მამულეებსა და ექსპლუატატორულ კლასებს მოსავლის თითქმის ნახევარს, რატომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ ის შეიძლება წასულიყო მსხვერპლზე რევოლუციის შემდეგ და დაეთმო სახელმწიფოსათვის თავისი მოსავლის $^1/_{30}$; 3) სპეციალისტების გათვლებით, საქართველოში უნდა დამზადებულიყო 3 მილიონი ფუთი სასაქონლო ხორბალი. ისე რომ ერთი მილიონის ჩამორთმევის შემდეგ გლეხობას დარჩებოდა 2 მილიონი ფუთი ბაზარზე გასაყიდად; 4) ამ დეკრეტით დაბეგვრის ძირითადი სიმძიმე მოდიოდა სოფლის კულაკურ და შეძლებულ ფენაზე[117]. აშკარაა, რომ ფ. ლომაშვილის ეს მოსაზრება მთლიანად საბჭოთა ისტორიოგრაფიის კანონებით არის ნაკარნახევი, რომლის მიზანია კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკის გამართლება.

უფრო ერთსულოვანი იყო ქართული ისტორიოგრაფია საქართველოს კომუნისტური პარტიის „ნაციონალ-უკლონისტური" ხელმძღვანელობის აგრარული პოლიტიკის შეფასების დროს, რაც ცხადდებოდა ლენინური კოოპერაციული გეგმის დარღვევად. დ. გოგოხია მას „მიწის მუნიციპალიზაციის რეაქციულ პროგრამას" უწოდებს. მისი აზრით, „ნაციონალ-უკლონისტების" მმართველობის პერიოდში კერძო მფლობელებს ჩამოერთვათ მხოლოდ 621697 დესეტინა მიწა. ხელუხლებლად დატოვეს 1438058 დესეტინა მიწა[118].

ამავე შეხედულებას იზიარებს ი. კაჭარავა, როდესაც აღნიშნავს: „ნაციონალ-უკლონისტები" მოითხოვდნენ აგრარული რეფორმის ევოლუციურ განხორციელებას, რაც დიდად აჭიანურებდა გლეხობისათვის ფრიად საარსებო საკითხის მოგვარებას საქართველოში. ქართველი „ნაციონალ-უკლონისტები" ობიექტურად მენშევიკური საადგილმამულო პოლიტიკის დამცველად გამოდიოდნენ"[119]. აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში აკად. ი. კაჭარავას შეხედულებები გარკვეულ მსგავსებას ავლენს ლ. ბერიას გახმაურებული წიგნის შესაბამის დებულებებთან.

განსაკუთრებულ მეცნიერულ ინტერესს იწვევდა ქართულ სოფელში მრავალწყობიანობის პრობლემა, რაც სპეციალურად რ. კოჭლამაზაშვილმა შეისწავლა. ამ საკითხს გამორჩეული მნიშვნელობა აქვს საქართველოს სოფელში მიმდინარე აგრარული ურთიერთობის რაობის გაგებისათვის. მკვლევარი

დამაჯერებლად მიუთითებს, რომ „პატრიარქალურ-გლეხური მეურნეობა ემყარებოდა წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებას და გლეხის პირად შრომას. ეს იყო უმთავრესად ჩამორჩენილ ტექნიკაზე დამყარებული მეურნეობა, რომელიც პროდუქციის უმეტეს ნაწილს საკუთარი მოხმარებისათვის ამზადებდა და თითქმის არ იყო დაკავშირებული ბაზართან.

საქართველოში პატრიარქალურ-გლეხური მეურნეობის ელემენტები გავრცელებული იყო უმთავრესად მთიან მხარეებში. ეს რაიონები თითქმის მოწყვეტილნი იყვნენ საქართველოს სამრეწველო და კულტურულ ცენტრებს, გასაღების ბაზრებს და გასაყიდიც რომ ჰქონოდათ რაიმე, მოკლებულნი იყვნენ მისი რეალიზაციის საშუალებას.

მეორე მიწათმოწყობა, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული ჩვენს ქვეყანაში, არის ნვრილი სასაქონლო წარმოება, რომელიც დაფუძნებული იყო წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებასა და პირად შრომაზე. მას კავშირი ჰქონდა ბაზართან. ეს იყო ძირითადად საშუალო გლეხური მეურნეობები, რომლებიც აწარმოებდნენ სასაქონლო პროდუქციის ძირითად ნაწილს, აგრეთვე შინამრეწველები, რომლებიც არ იყენებდნენ დაქირავებულ შრომას. ეს ფენა მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენდა.

კერძო სამეურნეო წყობის ელემენტები მოიცავდა სოფლის ბურჟუაზიის ზედაფენას (კულაკობას)... ეს წყობა დაფუძნებული იყო წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებასა და სხვათა შრომის ექსპლოატაციაზე, თავისი პროდუქციის დიდ ნაწილს იგი ბაზარზე ყიდდა...

... სახელმწიფო კაპიტალიზმი ჩვენში არსებობდა უმთავრესად კონცესიების სახით...“[20].

მეტად საინტერესოა რ. კოჭლამაზაშვილის შეხედულება გლეხური მეურნეობის შემოსავლების შესახებ. იგი არკვევს კრიტერიუმებს ამ შემოსავლების იმანენტური ბუნების გასარკვევად. ავტორი აღნიშნავს: „გლეხური მეურნეობის შემოსავალი არ არის პირდაპირი კლასობრივი ნიშანი. ამ ნიშნის მიხედვით დაჯგუფება ვერ გამოავლენს სოფლის კლასობრივ სტრუქტურას, რადგან ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში მყოფ სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შეიძლება შემოსავლის თანაბარი რაოდენობა ჰქონდეთ. იმ ადგილებში, სადაც არახელ-

საყრელი კლიმატური პირობებია და ნიადაგი ნაკლებად ნაყოფიერია, შეიძლება კულაკს უფრო ნაკლები შემოსავალი ჰქონდეს, ვიდრე საშუალო გლეხს, რომელიც უფრო ნაყოფიერ ნიადაგზე ეწევა მეურნეობას. ამასთან, უნდა ვიცოდეთ შემოსავლის წყაროც, რომ გავარკვიოთ ამა თუ იმ მეურნეობის ეკონომიკური წყობა. ღარიბი გლეხი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დამთავრების შემდეგ ხშირად ქალაქში მიდიოდა სამუშაოდ, ხოლო ცნობილია, რომ მრეწველობაში შრომის ანაზღაურება უფრო მაღალი იყო, ვიდრე სოფლის მეურნეობაში. მრეწველობაში გამომუშავებულ ხელფასს ღარიბი გლეხი უმატებდა თავისი მეურნეობის მცირე შემოსავალს და მას შეიძლება იმდენივე შემოსავალი აღმოჩენოდა, რამდენიც საშუალო გლეხს"[121]. ამ შეხედულებას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

ქართულ ისტორიოგრაფიას მხედველობიდან არ გამორჩენია აგრარული რეფორმის ისეთი აქტუალური პრობლემა, როგორიცაა მიწათმოწყობა, რომლის მიზანს შეადგენდა სოფლის მეურნეობისათვის ისეთი ტერიტორიული პირობების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა მის აღმავალ განვითარებას. მიუთითებენ მიწათმოწყობის სამ მომენტზე: 1) საზოგადოებრივ-პოლიტიკურზე; 2) სამეურნეო-ეკონომიკურზე; 3) ტექნიკურზე.

მიწათმოწყობის ამოცანა, როგორც ამას რ. კოჭლამაზაშვილი მიუთითებს, იყო: 1) მიწის კონფისკაცია; 2) უმიწო და მცირემიწიანი მეურნეობის, კულტურული და ადმინისტრაციული დაწესებულებების, კომუნების, არტელებისა და ამხანაგობების მიწებით დაკმაყოფილება; 3) მჭიდროდ დასახლებული სოფლების განტვირთვა და ახალშენების მოწყობა; 4) მიწების ხარვეზიანობისა და დაქუცმაცებულობის მოსპობა[122].

მიწათმოწყობის საკითხები, რა თქმა უნდა, პრობლემური იყო საქართველოს რეგიონებშიც. ა. კუპრავა აფხაზეთის მაგალითზე მიუთითებს, რომ სოფლის მოსახლეობა ბინადრობდა მთიან ფერდობებზე, ერთმანეთისაგან ძალიან დაშორებული - ხუტორული ტიპის დასახლებებში, რაც გარკვეულ სიძნელეებს ქმნიდა[123].

ქართული სოფლის სოციალური ინფრასტრუქტურის შესწავლის საქმეში გამორჩეული მნიშვნელობა აქვს სოფლის

სოციალური ფენების შინაგანი ბუნების გარკვევას. ამ მხრივ საყურადღებოა ა. კოჭლავაშვილის მონოგრაფია „საქართველოს სოფლის მუშათა ბრძოლა სოციალიზმისათვის". ავტორის მიზანია შეისწავლოს სოფლის პროლეტარიატის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, როდესაც ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად საქართველოს სოფელშიც ხდება მოჯამაგირეთა რაოდენობის გარკვეული ზრდა. სოფლის პროლეტარიატი აგრარული პოლიტიკის რეალიზაციის დროს კომუნისტური რეჟიმის მთავარი დასაყრდენი იყო. სამართლიანად არის მითითებული, რომ „საქართველოში მოჯამაგირეთა რაოდენობის სწრაფი ზრდა ნაწილობრივ განაპირობა იმ გარემოებამ, რომ აქ სამუშაოდ მოედინებოდა სხვა რესპუბლიკებიდან მოჯამაგირეთა დიდი ნაკადი. მაგალითად, 1924 წლიდან საქართველოში მასობრივი ხასიათი მიიღო სომხეთიდან უმუშევარ მოჯამაგირეთა გადმოსვლამ"[124].

მეტად საინტერესოა ა. კოჭლავაშვილის მოსაზრება სოფლის მოსახლეობის სოციალური დიფერენციაციის მიზეზების შესახებ - იგი სრულიად სამართლიანად არ ეთანხმება იმ ავტორებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ 1924-1925 წლებში ამიერკავკასიაში სასოფლო-სამეურნეო მუშათა რაოდენობა გაიზარდა გლეხობის კლასობრივი დიფერენციაციის გაღრმავების შედეგად. მისი სიტყვით: „საქართველოში ღრმა დიფერენციაციას ადგილი არ ჰქონია"[125]. ეს მოსაზრება საინტერესოა იმდენად, რომ თუ ქართულ სოფელში დიფერენციაცია ღრმა არ იყო, მაშინ კლასობრივი დაპირისპირებაც ღრმა არ შეიძლება ყოფილიყო და მომავალში, საკოლმეურნეო მოძრაობის დროს გამწვავებული „კლასობრივი დაპირისპირება" ხელოვნურად ინსპირირებული შეიძლება ყოფილიყო.

ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია ცალსახად უარყოფითად ასახავდა სოფლის შეძლებული ფენის ე. წ. „კულაკების" ადგილსა და როლს ქართული სოფლის სოციალურ ინფრასტრუქტურაში. მიუთითებდნენ, რომ კულაკები „წვრილი საქონელმწარმოელებისაგან განსხვავებით ფართო მასშტაბით ეწეოდნენ ვაჭრობას, მევახშეობას. კულაკები კარგად იცნობდნენ ბაზრის მოთხოვნას და მოხერხებულად უფარდებდნენ მას თავიანთი მოსავლის გასაღებას"[126]. ა. კოჭლავაშვილი

კი აღნიშნავდა: „რეფორმის შემდეგ კულაკის ხელში დარჩა როგორც სამეურნეო იარაღები, ისე ცოცხალი გამწევი ძალა და ეს აპირობებდა მისი გავლენის რამდენადმე ზრდას...“[127]. მაგრამ მიგვაჩნია, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფიამ არა თუ ობიექტური, არამედ სპეციალური კვლევის საგნადაც კი არ გახადა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მდიდარი გლეხის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი. ამჯერად საჭიროა ახალი მეთოდოლოგიური პრინციპებით ამ პრობლემის კომპლექსური შესწავლა.

გარკვეულ სამეცნიერო ინტერესს იწვევდა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში საქართველოს სოფლად შრომის ორგანიზაციის სოციალისტური ფორმების დანერგვის პრობლემა. კომუნისტური იდეოლოგია და პრაქტიკა ითვალისწინებდა კომუნალური შრომითი ურთიერთობების დანერგვას საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. სოფლად მიზანშეწონილად იყო მიჩნეული კომუნების ორგანიზება, რაც გასაბჭოებისთანავე დაიწყო. ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ 1921 წლის 22 მარტს გორის მაზრის სოფ. მეჯვრისხევში შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო კომუნა, რომელშიც გაერთიანდა 200 კაცი. შემდგომ წლებში შრომითი კომუნები დაარსდა კიკეთში, ბორშაში, სამთავისში. 1925 წელს ძლიერი კომუნა შეიქმნა ზემო ქედში. სამართლიანადაა მითითებული, რომ „სასოფლო- სამეურნეო კოლექტიური მეურნეობების შექმნისა თუ შედგენისას ვერ საზღვრავდნენ შრომის ორგანიზაციისა და შრომის ანაზღაურების საკითხებს. ამ საკითხის გაურკვევლობის გამო იწყებოდა უთანხმოება, რაც იწვევდა სტიქიურად შექმნილი კომუნებისა და კოლმეურნეობების დაშლას“[128].

ყველაზე დიდხანს იარსება ზემო ქედის კომუნამ. მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხები შესწავლილი აქვს ე. ქვათაძესა და ვ. საბახტარაშვილს ერთობლივ მონოგრაფიაში[129]. ეს კომუნა ძირითადად ღარიბი გლეხობის ბაზაზე შეიქმნა. მათ ერთობლივად შეიმუშავეს წესდება, რომელიც უაღრესად მკაცრი შინაგანაწესით გამოირჩეოდა და მიმართული იყო კომუნის საერთო ინტერესების დასაცავად, რის შედეგადაც მკვეთრად იზღუდებოდა კომუნის წევრთა პირადი ინტერესები. წესდებაში ხაზგასმით იყო მითითებული,

რომ დისციპლინისა და წესდების დამრღვევი „დასჯილ იქნეს და დახვრეტილი 24 საათში“[130].

მიგვაჩნია, რომ კომუნების შექმნისა და განვითარების საკითხები სათანადოდ არ არის შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. მით უფრო, რომ ჯერ კიდევ 1906 წელს ცნობილმა ფილანტროპმა ვანო კოლელიშვილმა თავის სოფელში პირადი დანაზოგის გამოყენებით დააარსა „გულგულას კომუნა“, რომელშიც 50 კაცი გაერთიანდა. იმჟამად კომუნის გამოცდილება უფრო ქართველ სოციალ-ფედერალისტებს აინტერესებდათ, ვიდრე სოციალ-დემოკრატებს. კომუნას გარკვეული წარმატებები ჰქონდა, მაგრამ კაპიტალისტური გარემოცვა და ცარიზმის აგრარული პოლიტიკა მის არსებობას არაპერსპექტიულს ხდიდა, რის გამოც კომუნა დაიშალა[131].

ამრიგად, საქართველოში აგრარული სექტორის კომუნალურ პრინციპებზე მოწყობის გარკვეული ისტორიული გამოცდილება თებერვლის გადატრიალებამდეც არსებობდა, რაც, ჩვენი აზრით, მოითხოვს ახალი მეთოდოლოგიური პრინციპების საფუძველზე კომუნალური ურთიერთობების განვითარების საკითხების კომპლექსურ შესწავლას.

ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია: „1921-1923 წლების მანძილზე ძირითადად დამთავრდა მამულების შექმნა ძველად არსებული კულტურული მეურნეობების ბაზაზე. ასეთი მამულები მოიცავდნენ 126-127 დესეტინა მიწას. სახალხო მამულების პროდუქცია გადიოდა რუსეთში, საზღვარგარეთ“[132]. სახალხო მამულებს გამორჩეული მნიშვნელობა ენიჭებოდათ საბჭოთა სახელმწიფოში - მათ საბჭოთა აგრარული პოლიტიკის წარმატებების დემონსტრაცია უნდა გაეკეთებინათ და ეჩვენებინათ რიგითი გლეხისათვის კოლექტიური შრომის უპირატესობა.

სახალხო მამულებიდან გამოირჩეოდა ვარციხის მამული. როგორც რ. კოჭლამაზაშვილი მიუთითებს: „1922-1923 წწ. მიმდინარეობდა მოლაპარაკება ერთი მხრივ, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატსა და მეორე მხრივ, გერმანელ ბარონ ფონ ლერსენს შორის ვარციხის მამულის იჯარით აღების თაობაზე. მაგრამ ლერსენს უარი ეთქვა, რადგან „ვარციხე წარმოადგენდა კარგად მოწყობილ, სა-

ნიმუშო მამულს და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი კარგად წარმართავდა მის მეურნეობას"[133].

ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში საბჭოთა მთავრობის საკონცესიო პოლიტიკა აგრარულ სფეროში უცხოური კაპიტალის დაბანდებასაც გულისხმობდა. საქართველოში იყო ამის არა ერთი მცდელობა. მაგალითად, რ. კოჭლამაზაშვილის მონაცემებით 1922 წლის 15 ივნისს დაიდო ხელშეკრულება საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატსა და კავკასია-ამერიკის სავაჭრო და სამთო-სამრეწველო კომპანიას შორის. მის მიზანს შეადგენდა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების საქართველოში შემოტანა, სამაგიეროდ მარგანეცისა და სხვა საქონლის საზღვარგარეთ გატანა. ამერიკა-კავკასიის სავაჭრო და სამთო-სამრეწველო კომპანიამ ამერიკაში დაიქირავა და საქართველოში ჩამოიყვანა აგრონომი ჯონ ჟ. ლანგანი და სოფლის მეურნეობის რამდენიმე სპეციალისტი, ჩამოიტანა მანქანა-იარაღები და მოაწყო მათი საწყობი. კომპანია რეკლამას უწევდა სასოფლო-სამეურნეო მანქანებს და ავრცელებდა გლეხობაში, მაგრამ კომპანიამ არ შეასრულა ყველა პირობა - კომპანიის პრეზიდენტი ისე მართავდა მამულს, როგორც საკუთარს, ავიწროებდა ადგილობრივ გლეხობას, რამაც გაამწვავა მათ შორის ურთიერთობა. ამიტომაც საქართველოს სსრ მთავრობამ 1924 წლის თებერვალში გააუქმა კონცესია[134].

ქართული ისტორიოგრაფიის გამორჩეული ყურადღების საგანი იყო სასოფლო-სამეურნეო არტელის -კოლექტიური მეურნეობების შექმნა-განვითარების ისტორია. კომუნები, სახალხო მამულები, რა თქმა უნდა, ვერ შექმნიდნენ ძლიერ მატერიალურ საფუძველს, რომელიც უზრუნველყოფდა სურსათ-სანოვაგეზე მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. საჭირო იყო სოფლის ძირითადი მწარმოებელი მასის, მშრომელი გლეხობის ისეთი ორგანიზება, რაც შეახამებდა კომუნისტური მოძღვრების ამოცანებს და გლეხობის ინტერესებს. ასეთ ფორმად მოინახა სასოფლო-სამეურნეო არტელი. ისტორიოგრაფიაში მითითებულია, რომ პირველი სასოფლო-სამეურნეო არტელი შეიქმნა 1922 წელს. როგორც მკვლევარი რ. კოჭლამაზაშვილი მიუთითებს: „ისინი წარმოადგენდნენ მცირე მასშტაბის გაერთიანებებს, ორგანი-

ზაციულ-პოლიტიკურად არ იყვნენ საკმაოდ განმტკიცებული და ხშირად იშლებოდნენ"[135].

თ. ჟღენტის აზრით, „წვრილ გლეხურ მეურნეობათა ნაცვლად კოლექტიურ მეურნეობათა შექმნა გამოწვეული იყო იმ ობიექტური აუცილებლობით, რომ გლეხობა ნათლად ხედავდა წვრილი გლეხური მეურნეობების სისუსტეს, ხედავდა, რომ წვრილ გლეხურ მეურნეობათა ბაზაზე შეუძლებელი იყო მისი მეურნეობის წინსვლა და მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება"[136]. წვრილ-კომლობრივი მიწათსარგებლობის ნაცვლად კოლექტიური მეურნეობების განვითარებას აჭარის მაგალითზე დადებითად აფასებს მკვლევარი ა. ბაუჟაძეც[137].

ასეთი შეხედულებები (ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ჩვენ არ შეგვხვედრია მოსაზრება, რომელიც ცალსახად უარყოფითად აფასებდეს სასოფლო-სამეურნეო არტელების ჩამოყალიბებას საქართველოში), რომლებიც მთლიანად კომუნისტური დოგმატიკის საფუძველზე ყალიბდებოდა და ათეული წლების განმავლობაში გაბატონებული იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში. მაგრამ, როგორც საბჭოთა გამოცდილებამ, ისე მსოფლიო ეკონომიკური განვითარების თავისებურებებმა და კანონზომიერებებმა აჩვენა კერძო საკუთრების ლიკვიდაციის პირობებში შექმნილი სანარმოო ერთეულები, როგორც მრეწველობაში, ისე განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში მხოლოდ ადმინისტრირებისა და მეტ-ნაკლები რეპრესიების პოლიტიკის ამოქმედების პირობებში იძლევა გარკვეულ შედეგს.

1921-1925 წლებში კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკა ქართულ ისტორიოგრაფიაში ცალსახად დადებითად არის შეფასებული. თ. ჟღენტი აღნიშნავდა: „საქართველოს სოფელი საშუალო გლეხური სოფელი ხდებოდა"[138]; ს. შარია ხაზგასმით მიუთიებდა, რომ „1924 წლიდან აფხაზეთის გლეხობის მატერიალური მდგომარეობა თანდათან გაუმჯობესდა, რაც გამოვლინდა მიწის მუშა და მეწველი საქონლის მოკლებული გლეხთა რაოდენობის შემცირებაში"[139]; ა. ბაუჟაძე ამტკიცებს, რომ „აჭარის სოფელი სულ უფრო და უფრო საშუალო ხდებოდა"[140]; ა. კოჭლავაშვილის შეხედულებითაც, „არ შეიძლება იმის თქმა, რომ საშუალო გლეხი ყველაფრით იყო უზრუნველყოფილი, მაგრამ იგი მაინც მტკიცედ იდგა გაძლიერების გზაზე"[141].

მიუხედავად ასეთი მტკიცებისა, ფაქტია - კომუნისტური პარტიის აგრარულმა პოლიტიკამ ვერ მოახერხა თავიდან აეცილებინა 1928 წლის აგრარული კრიზისი, რამაც საკოლმეურნეო მოძრაობის ფორსირება გამოიწვია და ქვეყანას რეპრესიების ფასად დაუჯდა.

საქართველოს ხელისუფლების აგრარული პოლიტიკის წარმატების დემონსტრაციას (ადგილობრივი თავისებურებების უხვად წარმოჩენის ფონზე) ითვალისწინებდა ის სამეცნიერო გამოკვლევები, რომლებსაც ისტორიკოს-აგრარიკოსები ქმნიდნენ ცალკეული სოფლების შესახებაც[142]. ასეთი ნაშრომები პრინციპულად არასოდეს არ ეწინააღმდეგებოდნენ საბჭოთა ისტორიოგრაფიულ კლიშეებსა და მარქსისტულ-ლენინურ დოგმატიკას, მხოლოდ ახდენდნენ ადგილობრივი სპეციფიკის ილუსტრაციას, რასაც გარკვეული წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ღირებულება ჰქონდა.

კომუნისტური ხელისუფლების აგრარული პოლიტიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იყო მოძღვრება მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შესახებ. ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ვ. ი. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ამ კავშირის სიმტკიცეს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ყველა ეტაპზე. აღნიშნულ პრობლემას სპეციალური ნაშრომები მიუძღვნეს: დ. გოგოხიამ, მ. ჯიჯეიშვილმა, გ. გამსახურდიამ, ლ. ნადირაძემ და სხვებმა.

ისტორიოგრაფიაში მითითებულია, რომ საქართველოს კომპარტიის „ნაციონალ-უკლონისტი" ხელმძღვანელობის „მინის მუნიციპალიზაციის პროგრამა" საფრთხეს უქმნიდა საქართველოს მუშებისა და გლეხობის პოლიტიკურ კავშირს, რომ ამ ურთიერთობის განსამტკიცებლად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო სპეციალური დადგენილებები გლეხობისათვის დამატებითი შეღავათების მისაცემად. გადაისინჯა ტყეებითა და საძოვრებით სარგებლობის ნორმები, რამაც გლეხობის კმაყოფილება გამოიწვია. დ. გოგოხიას აზრით, „სახალხო მეურნეობის წარმატებით აღდგენისა და მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცების პირველ ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ვაჭრობას, ქალაქსა და სოფელს შორის საქონელბრუნვის გადიდებას"[143]. ავტორის ეს დასკვნა - სამარ-

თლიანია, რადგან 1923 წელს ე. წ. "მაკრატლის" პოლიტიკამ – სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საქონლის ფასებს შორის წარმოქმნილმა დისბალანსმა სერიოზულად გაართულა ქალაქსა და სოფელს შორის კავშირი.

მკვლევარ გ. გამსახურდიას კი საბჭოთა ხელისუფლების ყველა ღონისძიება, რაც კი განხორციელდა 20-იანი წლების დასაწყისში: საქონელბრუნვის ინტენსიფიკაცია, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, კავშირგაბმულობის განვითარება, გლეხკომების ორგანიზება, საბჭოების სისტემის ჩამოყალიბება, წითელი არმია, მილიცია, პრესა, შეფობა - ყველაფერი ეს მუშათა და გლეხთა კავშირის არსებულ ფორმებად აქვს ჩათვლილი და მათი განვითარება, მისი აზრით, ავტომატურად გულიხსმობს მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცებას[144].

ქალაქსა და სოფელს შორის ურთიერთობის შესამჩნევი ფორმა იყო ქალაქის სამრეწველო საწარმოების, პარტიული ორგანიზაციების, სამხედრო ნაწილების შეფობა სოფლის ღარიბ გლეხობაზე. ამ პრობლემას ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა. მას სერიოზულ ყურადღებას აქცევს დ. გოგოხია[145]. ისტორიოგრაფიაში მითითებულია, რომ „შეფობა, წარმოადგენდა რა გლეხობის ფართო ფენებთან მუშათა კლასის ორგანიზაციულად დაკავშირების ერთერთ ძირითად საშუალებას, ასრულებდა უაღრესად დიდმნიშვნელოვან როლს სოციალიზმის აშენების თვალსაზრისით... მის ამოცანას შეადგენდა ქალაქსა და სოფელს შორის დაპირისპირების მოსპობისათვის ბრძოლა"[146]. უნდა ისიც აღინიშნოს, რომ მხედველობიდან არ არის გამორიცხული ის ნაკლოვანებებიც, რომლებიც ახასიათებდა საშეფო მოძრაობას: 1) ზედაპირულობა, მუშაობის სამიტინგო ხასიათი; 2) ადგილობრივ ორგანოთა უგულებელყოფა; 3)ზედმეტი გატაცება მატერიალური დახმარებით, რამაც ზოგიერთი საშეფო კომისიის მუშაობას მისცა „ფილანტროპიული ელფერი"; 4) უთანხმოება საშეფო მოძრაობის გავრცელებაში და სხვ.[147].

მაგრამ ისტორიკოს-აგრარიკოსებს მხედველობიდან გამორჩათ ის დარღვევები, რომლებიც შეუმჩნეველი არ დარჩენია საქართველოს საგანგებო კომისიის აგენტურას: შეფების ცალკეული წარმომადგენლების მხრიდან ადგილი ჰქონდა

გლეხების ძარცვას, ფულის გამოძალვას, სასურსათო მარაგის დატაცებას და ა. შ.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში პარტიის აგრარული პოლიტიკის შედეგებზე მსჯელობისას ისტორიკოსები, გასაგები მიზეზების გამო, ზოგჯერ ზედმეტად „აფერადებდნენ" ვითარებას, როცა აღნიშნავდნენ შემდეგს: „მშრომელი გლეხობა სულ უფრო იმსჭვალებოდა ხელისუფლების სიყვარულის გრძნობით, მუშათა კლასისადმი ნდობით, ხოლო მენშევიკური პროპაგანდისადმი უნდობლობის სულიკვეთებით"[148]. ასეთი ავტორები მკითხველს არწმუნებდნენ, რომ 1921-1925 წლების პერიოდში "იშვიათად შეხვდებოდით შუბლშეკრულ, წელში მოხრილს, მონურ ენაზე მოლაპარაკე ქართველ გლეხს, დღეს იგი იღვიძებს. მენშევიკებისაგან ბურუსით მოცულ პოლიტიკას არკვევს და ახალი ფიქრით, ახალი გზით დინჯად, მაგრამ მკვიდრი ნაბიჯით მიდის შრომის სამეფოსაკენ"[149].

ქართულ ისტორიოგრაფიაში კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკის შემდეგი შეფასებაც ფიქსირდება: „ანტიკომუნისტური პროპაგანდა დიდ ადგილს უთმობს ცილისმწამებლურ მოსაზრებებს, რომ საბჭოთა სახელმწიფომ ჯერ კიდევ ოციან წლებში გაძარცვა გლეხობა. ამტკიცებენ, მაგალითად, რომ ამ წლებში სწორედ გლეხობის გაძარცვის საფუძველზე დაგროვდა ის საშუალებანი, რაც გამოიყენეს ინდუსტრიალიზაციის დასაფინანსებლად, ფაქტები მეტყველებენ ამ მტკიცებულობების უსაფუძვლობაზე"[150]. ეს სიტყვები 1972 წელს დაიწერა, მისი ავტორი არ უთითებს კრიტიკის ადრესატს, ამიტომ შეიძლება ჩავთვალოთ ეს „ეზოპეს ენად", რომლის დახმარებითაც ავტორს სურდა მკითხველის ყურადღება გაემახვილებინა იმ სიმახინჯეებზე, რაც თან ერთოდა კომუნისტური აგრარული პოლიტიკის რეალიზაციას საქართველოს სოფელში. მაგრამ, არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ ეს არის ერთ აბზაციანი შენიშვნა 500 გვერდიან მონოგრაფიაში, რაც მთლიანად საბჭოთა აგრარული პოლიტიკის აპოლოგიად შეიძლება ჩაითვალოს.

ამ პოლიტიკას კი დასავლეთ ევროპისა და ამერიკის „სოვეტოლოგები" ტრაგიკულს უნოდებდნენ და მიუთითებ-

დნენ, რომ მან სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების მკვეთრი ვარდნა გამოიწვია[151].

საბჭოთა სისტემის კრახის შემდეგ ქართველი ისტორიკოსების ერთმა ნაწილმა მკვეთრად შეცვალა თავისი დამოკიდებულება 1921-1925 წლების საქართველოს სოფელში მიმდინარე პროცესებისადმი. ახლა უკვე მიუთითებენ, რომ „აგრარულ ურთიერთობათა განვითარებამ გასაბჭოებულ საქართველოში იმთავითვე პარადოქსული ხასიათი მიიღო. ერთი მხრივ, ადგილი ჰქონდა მიწათმლობელობის შემდგომ დაქუცმაცებას, მეორე მხრივ, კი განხორციელდა მიწის ფაქტობრივი ნაციონალიზაცია, რაც მისი ყიდვა-გაყიდვის აკრძალვაში გამოიხატა. მართალია, სასოფლო-სამეურნეო წარმოება ინდივიდუალური რჩებოდა, მაგრამ მას შემდგომი ზრდა-განვითარებისათვის არავითარი პერსპექტივა არ ჰქონდა"[152].

უახლეს ქართულ ისტორიოგრაფიაში არის მცდელობა გაამართლოს „ნაციონალ-უკლონისტების" ჯგუფის აგრარული რეფორმის ევოლუციური განხორციელება[153].

მიგვაჩნია, რომ 1921-1925 წლებში კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკის ობიექტური შესწავლა მომავლის საქმეა და მხოლოდ ახალი მონოგრაფიული გამოკვლევების საფუძველზე შეიძლება მეცნიერულად დადასტურებული ობიექტური ვითარების რეკონსტრუქცია.

5. საქართველოს ახალგაზრდობა და გენდერული პრობლემები

კ. მარქსი და ფრ. ენგელსი ჯერ კიდევ „კომუნისტური პარტიის მანიფესტში" მნიშვნელოვან ადგილს უთმობდნენ ახალგაზრდა თაობის აღზრდის საკითხებს. კაპიტალისტური საზოგადოებისადმი კრიტიკულად განმსჭვალულნი, ისინი ბრალს სდებდნენ ამ საზოგადოებას იმაში, რომ „მსხვილი მრეწველობის წყალობით... შვილები უბრალო სავაჭრო საგნებად და სამუშაო იარაღებად იქცევიან"[154]. სწორედ ამიტომ, მარქსისტული მოძღვრება ახალგაზრდობას მუდამ განიხი-

ლავდა როგორც პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლების მნიშვნელოვან რეზერვს.

ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა ახალგაზრდობასთან კომუნისტური პარტიის მუშაობის მთელი სისტემა და მნიშვნელოვანი მიზნებიც დაუსახა მას: 1. ახალგაზრდობის ამოცანაა ისე მოაწყოს თავისი პრაქტიკული საქმიანობა, რომ ისწავლოს, დაირაზმოს, შეკავშირდეს, იბრძოლოს და ამ გზით აღზარდოს თავისი თავი და ყველა ის, ვინც მასში წინამძღოლს ხედავს, აღზარდოს კომუნისტები ... კომუნისტი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდე, როცა შენს მეხსიერებას გაამდიდრებ ყველა იმ სიმდიდრის ცოდნით, რაც კაცობრიობას შეუმუშავებია... საჭიროა, რათა თანამედროვე ახალგაზრდობის აღზრდის, განათლების და სწავლების მთელი საქმე წარმოადგენდეს მასში კომუნისტური მორალის აღზრდას"[155].

კომუნისტური პარტიის საქმიანობაში ახალგაზრდობასთან მუშაობას, პარტიისათვის ახალგაზრდა კადრების მომზადებასა და ღირსეული ცვლის აღზრდას მუდამ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა და საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე ამას გამორჩეულ ყურადღებასაც აქცევდნენ - ეს პროცესი თვითდინებაზე მიშვებული არასოდეს ყოფილა. სამწუხაროდ, ქართულ ისტორიოგრაფიაში სპეციალური გამოკვლევა 1921-1925 წლების პერიოდში საქართველოს ახალგაზრდობის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების თავისებურებების შესახებ არ დაწერილა. ქართველმა საბჭოთა ისტორიკოსებმა ახალგაზრდობის ცნება დაიყვანეს მხოლოდ კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობის ჩვენებაზე, რითიც ძლიერ გააღარიბეს ჩვენი წარმოდგენები XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში ახალგაზრდულ მოძრაობაში მიმდინარე რთული და წინააღმდეგობრივი პროცესების შესახებ.

1921 წელს საქართველოს კომკავშირული ორგანიზაცია სულ რაღაც 3500 წევრს ითვლიდა, ხოლო 1925 წელს მათი რაოდენობა 49 ათასზე მეტი გახდა. რა თქმა უნდა, ეს არ იყო საქართველოს მთელი ახალგაზრდობა, ეს მისი მხოლოდ გარკვეული, კომუნისტურად განწყობილი ნაწილი იყო. კომკავშირის ისტორია კი ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადოდ არის შესწავლილი. აკად. ი. კაჭარავას აზრით: „ახალგაზრდო-

ბის კომუნისტური კავშირი მშრომელი ახალგაზრდობის მასობრივი... მთელ ახალგაზრდობაზე პარტიის იდეური გავლენის გამტარებელი ორგანიზაციაა. კომუნისტური პარტია მისი დახმარებით ზრდის მშრომელ ახალგაზრდობას, პარტიის ახალგაზრდა შევსებას სოციალისტური, ინტერნაციონალისტური სულისკვეთებით"[156].

XX საუკუნის 60-70-იან წლებში გამოქვეყნდა უამრავი განმაზოგადებელი ნაშრომი საქართველოს კომკავშირის ისტორიაზე, მათ შორის: „საქართველოს კომკავშირის ისტორია", გ. ჟვანიას „საქართველოს კომკავშირის ისტორიის ნარკვევები", „საქართველოს კომკავშირის ისტორია" (სტატისტიკური და ბიბლიოგრაფიული კრებული) და სხვ., რომლებიც მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე დეტალურად ასახავენ საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის განვითარების ეტაპებს. ისტორიკოსები მიუთითებდნენ, რომ XX ს-ის 20-იანი წლების დასაწყისში „პარტიის ხელმძღვანელობით მძიმე იატაკქვეშეთში გამონრთობილი ეს ახალგაზრდა კადრები მზად იყვნენ მთელი ენერგიით მოეკიდათ ხელი სახალხო მეურნეობის აღდგენის დიდი საქმისათვის"[157]. ხაზგასმითაა აღნიშნული საქართველოს კომკავშირის დამსახურება სოციალისტური მშენებლობისათვის საფუძვლების მომზადების საქმეში: „საქართველოს კომკავშირმა 1922 წლიდან... უდიდესი შემოქმედებითი ენერგიით გააჩაღა მუშაობა სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ტრანსპორტის აღდგენისათვის"[158].

განმაზოგადებელი ნაშრომის „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევების" ავტორები ასევე გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებენ კომკავშირის როლს სოციალისტური საქართველოს პოლიტიკურ, სახელმწიფო და სამეურნეო აღმშენებლობაში"[159].

საკვლევ პერიოდში აფხაზეთის კომკავშირის ისტორიის მეცნიერულ შეფასებას ისახავდა მიზნად გ. როგავა თავის მონოგრაფიულ გამოკვლევაში, რომელშიც ის 1921-1925 წლებში საქართველოს ალკკ აფხაზეთის ორგანიზაციის განვითარების თავისებურებებს შეისწავლის. ავტორი აღნიშნავს, რომ „აფხაზეთის კომკავშირი იმთავითვე გახდა პარტიის მტკიცე და ერთგული თანაშემწე სოციალისტური გარდაქმნების გან-

ხორციელების საქმეში"[160]. ავტორის მიხედვით აფხაზეთის კომკავშირული ორგანიზაციის 60 პროცენტი - ინტელიგენტური იყო, გლეხობას განეკუთვნებოდა 34 პროცენტი, მუშებს - 6 პროცენტი[161]. ჩვენ გვაქვს საფუძველი ეჭვი შევიტანოთ იმ სტატისტიკურ ცნობაში და გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ ამ შემთხვევაში ავტორი, ალბათ, იზიარებს იმ საბჭოთა ისტორიკოსების შეხედულებას ინტელიგენციაზე, რომლებიც თვლიან, რომ სახელმწიფო აპარატში დასაქმებული ადამიანები ავტომატურად მიეკუთვნებიან ინტელიგენციის ფენას. ამ საკითხზე ჩვენ უკვე გვქონდა ზემოთ საუბარი.

ქართველი საბჭოთა ისტორიკოსები დიდ ყურადღებას აქცევდნენ კომკავშირის როლს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის, საშეფო მოძრაობის, საბჭოთა პოლიტიკური სტრუქტურების მშენებლობის საქმეში, ანტიპარტიული ორგანიზაციებისა და მიმდინარეობების წინააღმდეგ ბრძოლაში და სხვ. მაგალითად, გ. როგავა აკონკრეტებს აფხაზეთის კომკავშირის დამსახურებას 1924 წ. აგვისტოს აჯანყების ცალკეული კერების ლიკვიდაციის საქმეში. იგი წერს: „1924 წლის აჯანყების დროს აფხაზეთის კომკავშირმა თავი გამოიჩინა. გალიდან ზუგდიდში მენშევიკების წინააღმდეგ გაგზანილი 70% კომკავშირელი იყო. 80 კომკავშირელი ჩავიდა გუდაუთიდან სოხუმის დასაცავად. კოდორისა და სამურზაყანოს კომკავშირლები მობილიზებულნი იყვნენ"[162].

ახალგაზრდული ანტისაბჭოთა ორგანიზაციების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლას კომკავშირის მხრიდან სპეციალური გამოკვლევები მიუძღვნა შ. ვადაჭკორიამ. საკვლევ პერიოდში საქართველოში არაერთი ანტისაბჭოთა ახალგაზრდული ორგანიზაცია არსებობდა: „ახალგაზრდა მარქსისტები", „ახალგაზრდა მემარჯვენე ფედერალისტები", „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატები", "ახალგაზრდა დაშნაკები, „ახალგაზრდა მემარცხენე სოციალ-ფედერალისტები", „ებრაელ ახალგაზრდათა ორგანიზაცია", ახალგაზრდების „გნჩაკის ორგანიზაცია".

ქართულ ისტორიოგრაფიაში დეტალურად არის შესწავლილი „ახალგაზრდა მარქსისტთა" და „ახალგაზრდა სოციალ-ფედერალისტთა" იდეური და ორგანიზაციული საქმიანობა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, გაანალიზებულია

მათი მსოფლმხედველობითი კრედო და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ფორმები. შ. ვადაჭკორია ხაზგასმით მიუთითებს: „გაითვალისწინა რა მოსალოდნელი საფრთხე, საქართველოს კომკავშირმა ბრძოლა გააჩაღა „ახალგაზრდა მარქსისტთა" წინააღმდეგ, რომელიც ყოველმხრივ ცდილობდა ქართველი ახალგაზრდობა ჩამოეცილებინა სოციალიზმის მშენებლობის გზიდან"[163]. შ. ვადაჭკორიას დამსახურებაა, აგრეთვე, „ახალგაზრდა სოციალ-ფედერალისტთა" ორგანიზაციის ანტისაბჭოთა მუშაობის დეტალური გამოკვლევაც[164]. რა თქმა უნდა, შექმნილი პოლიტიკური ვითარება ავტორს ყოველთვის არ აძლევდა შესაძლებლობას ბოლომდე ჩამოეყალიბებინა საკუთარი კონცეფციები ანტისაბჭოთა ახალგაზრდული ორგანიზაციების მუშაობის პოლიტიკური შეფასების დროს.

თანამედროვე პირობებში ქართველი ისტორიკოსები ნაკლებ დაინტერესებას ავლენენ XX ს. 20-იანი წლების დასაწყისში ქართველი ახალგაზრდობის პოლიტიკური მოღვაწეობის შესასწავლად. გამონაკლისს წარმოადგენს ახალგაზრდა მკვლევარი ე. ნარიმანიძე, რომელიც საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ჰარვარდში განთავსებული არქივის მიკროფირებზე დაყრდნობით ცდილობს ახლებურად გაიაზროს საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარება და თავის პუბლიკაციებში ის ეხება თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის ანტისაბჭოთა გამოსვლებს, მიტინგებს თუ დაუმორჩილებლობის აქციებს, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების ანტისაბჭოთა გამოსვლებს 1922 წლის თებერვალში, 26 მაისის დღესასწაულის დროს და ა. შ.[165]

ზემოთ თქმულიდან აშკარაა, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფიამ ცალსახად უარყოფითად შეაფასა საქართველოს ანტისაბჭოთა ორგანიზაციების მოღვაწეობა, ვერ შეისწავლა საქართველოს მრავალეროვანი ახალგაზრდობის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პირობები, ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ვერ მოიცვა კვლევის მასშტაბით საქართველოს ახალგაზრდობის ისტორიული განვითარების პრობლემა მთლიანობაში და ის დაიყვანა საქართველოს ლენინური კო-

მუნისტური კავშირის ისტორიის განვითარების თავისებურებების ინტერპრეტაციაზე.

ახალგაზრდობასთან ერთად მარქსიზმი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ქალის სოციალიზაციის პრობლემას. საუკუნეების განმავლობაში ოჯახში გამოკეტილი, ქმრისა და შვილის მორჩილებაში მყოფი ქალის ემანსიპაცია, საზოგადოების პროგრესული ნაწილის, მათ შორის, მარქსისტების ზრუნვის საგანიც გახდა. ქალის განთავისუფლება ოჯახის ბორკილებისაგან მარქსიზმის კლასიკოსებს თავისებურად ესახებოდათ. ისინი ჯერ კიდევ „კომუნისტური პარტიის მანიფესტში" მიუთითებდნენ, რომ „ბურჟუა თავის ცოლს უყურებს როგორც წარმოების უბრალო იარაღს. მას ესმის, რომ წარმოების იარაღები საერთო გამოყენების საგნი უნდა გახდეს... " და მიაჩნდათ, რომ კაპიტალისტური ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობები უკვე იმჟამად ქალს საერთო მოხმარების საგნად ხდიდა. კ. მარქსი და ფ. ენგელსი ბურჟუაზიის წარმომადგენელთა აღშფოთებას კომუნისტების მიერ საზიარო ცოლების ინსტიტუტის დანერგვის შესაძლებლობასთან დაკავშირებით, ფილისტერულ გოდებას უწოდებდნენ და აცხადებდნენ, რომ „ბურჟუაზიული ქორწინება სინამდვილეში საზიარო ცოლობას წარმოადგენს"[166].

ქალთა ემანსიპაციისათვის დაწყებული მოძრაობა განსაკუთრებით გაძლიერდა XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში. ამ საქმეში თვალსაჩინო როლი სოციალ-დემოკრატიამაც შეასრულა. მისი ლიდერები ხომ მუდამ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მუშა ქალების პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაბმას, მის სოციალიზაციას და საკუთარი უფლებებისათვის ენერგიულ ბრძოლას. ცნობილი სოციალ-დემოკრატი ქალები: ჟ. მარქსი, კ. ცეტკინი, რ. ლუქსემბურგი, ა. კოლონტაი და სხვები უდიდეს პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდნენ სუსტი სქესის წარმომადგენელთა სოციალური ემანსიპაციისათვის, მათი ინიციატივით 1910 წელს სტოკჰოლმში 8 მარტი გამოცხადდა ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღედ.

რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დიდი მუშაობა გაჩაღდა ქალთა უფლებების გასაფართოებლად და ქალის სოციალური სტატუსის გასაუმჯობესებლად. თუმცა ამ

საქმეშიც იყო გადაჭარბება. მაგალითად, რუსი ცნობილი ბოლშევიკი ქალი ა. კოლონტაი კომუნისტურ სახელმწიფოში თავისუფალი სიყვარულის დანერგვას ქადაგებდა. ის პროპაგანდას უწევდა „თავისუფალი სიყვარულის აუცილებლობას, რომელიც იქნებოდა თავისუფალი პირობითობისაგან, ეჭვიანობისა და დამცირებისაგან"[167]. ამ საქმეში მას ჩინებული მხარდამჭერი ჰყავდა ცნობილი მარქსისტი რევოლუციონერის ა. ბებელის სახით, რომელიც მასზე ადრე უკვე ამტკიცებდა თავისუფალი სიყვარულის შესაძლებლობებს და ხაზგასმით მიუთითებდა: „ქალი ჩვენ გვეკუთვნის. ჩვენ ვიბრძვით მისი სრული განთავისუფლებისათვის, მხოლოდ ჩვენი მიზნების განხორციელებაში პოვებს ის ჭეშმარიტ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას"[168].

რა თქმა უნდა, „თავისუფალმა სიყვარულმა", ისევე როგორც „კომკავშირულმა ქორწინებამ", „კომკავშირულმა ნათლობებმა", „კომუნალურმა ბინებმა" და კომუნისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელმა სხვა გადაჭარბებულმა „სიახლეებმა", რეალობასთან მკვეთრი შეუთავსებლობის გამო, ვერ დაიმკვიდრეს ჯეროვანი ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ხოლო რაც შეეხება საქართველოში 1921-1925 წლებში გენდერულ პრობლემებზე დაწერილ ნაშრომებს, რომელშიც შეფასდებოდა ქალის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებები, ბევრი არ არის. თუმცა რაც არსებობს, გარკვეულ წარმოდგენას ქმნის საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ქალის სოციალური აქტივიზაციისათვის გაწეული მუშაობის შესახებ. მაგალითად, მიუთითებენ, რომ: „ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ძლევამოსილმა გამარჯვებამ... დასაბამი მისცა, აგრეთვე, ქალთა უფლებრივ განთავისუფლებას. კომუნისტურმა პარტიამ... დაიწყო ზრუნვა მამაკაცთან ქალის სრული გათანაბრებისათვის"[169]. ასევე ამტკიცებენ, რომ „საქართველოს ქალები, მიჩვეულნი კარჩაკეტილ ცხოვრებას... აღზრდილნი სარწმუნოების დიდი გავლენით, შებორკილნი ძველი ადათ-წესებით, პარტიის გარეშე ვერ შეძლებდნენ ჩაბმულიყვნენ სოციალისტური მშენებლობის საერთო ფერხულში"[170].

ქართულ ისტორიოგრაფიაში სპეციალურად არის შესწავლილი საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული ის საკონსტიტუციო თუ იურიდიული ხასიათის ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ქალთა უფლებების დაცვას, შრომის პირობების გაუმჯობესებას, მათი სპეციფიკური საყოფაცხოვრებო პირობების მოგვარებას, კულტურულ დაწინაურებას. შემჩნეულია ის სიძნელეებიც, რაც დამახასიათებელი იყო ამ საქმიანობისათვის, განსაკუთრებით მაჰმადიანურ რეგიონებში: ქალის სოციალური მდგომარეობა, ჩადრის პრობლემა, მოლებისა და ხოჯების ზეგავლენა, არქაული ტრადიციების ბატონობა და სხვ.[171]

თავი IV
საქართველოს 1921-1925 წლების ისტორიის კულტუროლოგიის საკითხები

1. საქართველოს კონფესიები და კომუნისტური რეჟიმი

ურთიერთობა რელიგიურ ორგანიზაციებსა და სახელმწიფოს შორის ყოველთვის არ იყო ჰარმონიული. უხსოვარი დროიდან არაერთი ისტორიული ფაქტია ცნობილი, თუ როგორი დაუნდობელი და სასტიკი ბრძოლა წარმოებდა ამა თუ იმ სახელმწიფოს მმართველსა და სასულიერო წოდების უმაღლეს პირებს შორის. გავიხსენოთ, თუნდაც ეგვიპტის ფარაონის – ამენჰოტეპ IV-ის რელიგიური პოლიტიკა (ძვ. წ. აღ. II ათასწლეულის შუა ხანები); დავით IV აღმაშენებლის საეკლესიო რეფორმა (XII ს-ის დასაწყისი), გერმანიის იმპერატორის – ჰენრიხ IV-ისა და რომის პაპ გრიგოლ VII-ს დაუნდობელი დაპირისპირება პირველობისათვის (კანოსას 1076 წ. კრიზისი), ინგლისის მეფის ჰენრიხ VIII-ის, ან კიდევ, რუსეთის იმპერატორის – პეტრე I-ის საეკლესიო პოლიტიკა, რის შედეგადაც რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია ფაქტიურად სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ორგანიზაციად გადაიქცა. ამ შინაარსის არაერთი ფაქტის მოყვანა შეიძლება ისტორიიდან. ეს დაპირისპირება ზოგჯერ რელიგიური ორგანიზაციების ხელში დაგროვილი უთვალავი სიმდიდრის გადანაწილებას ისახავდა მიზნად, იყო სეკულარიზაციის ფაქტები (ინგლისში, გერმანიაში პროტესტანტული მოძრაობის დროს), ხურავდნენ მონასტრებს, ცვლიდნენ ტრადიციულ საეკლესიო რიტუალს და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ რელიგიის წარმოშობისთანავე გაჩნდა მისი ანტიპოდი – ათეიზმი, რომელიც მუდამ დამახასიათებელი იყო საზოგადოებისათვის და მნიშვნელოვან სიმაღლეს მიაღწია XVIII ს-ის ფრანგი განმანათლებლების (მონტესკიეს, დიდროს, რუსოს) ფილოსოფიურ აზროვნებაში.

ამ მხრივ უფრო გამორჩეულია XIX საუკუნე, რასაც ხელი შეუწყო ევროპაში მიმდინარე რევოლუციურმა პროცესებმა, სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ. სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა მარქსისტული ათეიზმი, რომელიც

ეფუძნებოდა შემდეგ ძირითად პრინციპებს:

1. რელიგიის შეფასება, როგორც იდეების ერთობლიობისა, რასაც ქმნის ბუნების სტიქიურ ძალებთან და მისთვის უცხო სოციალურ პირობებთან ადამიანის ურთიერთდამოკიდებულება;

2. რეაქციულ კლასებსა და რელიგიას შორის არსებული კავშირის გარკვევა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან რელიგიური და სოციალური ილუზიების სამუდამო შენარჩუნებაში;

3. განმარტება იმ ფაქტისა, რომ რელიგიასთან ბრძოლა, პირველ რიგში, არის ბრძოლა იმ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ წეს-წყობილებასთან, რომლის დამახინჯებულ ანარეკლსაც იგი თავად წარმოადგენს;

4. დასკვნა იმისა, რომ რელიგიის მოსპობა არის მასების შემოქმედებითი აქტივობის გაძლიერების ერთ-ერთი გადამწყვეტი წინაპირობა [1].

მარქსიზმის იდეოლოგები ულმობელნი იყვნენ რელიგიური შეხედულებებისადმი. კ. მარქსი წერდა: „რელიგიის, როგორც ხალხის ილუზიური ბედნიერების ამოძირკვა, არის მისი ჭეშმარიტი ბედნიერების მიღწევის მოთხოვნა“[2].

ვ. ი. ლენინი კიდევ უფრო შორს მიდიოდა ათეიზმის პროპაგანდის საქმეში. იგი აღნიშნავდა: „რელიგია ეს არის სხვის საკეთილდღეოდ მომუშავე, დაბეჩავებული და მარტოობაში მყოფი მშრომელთა ფართო მასების სულიერი ჩაგვრის ერთ-ერთი სახეობა“[3].

ათეიზმის მარქსისტული გაგება მთლიანად გაითავისა რუსეთის სოციალ-დემოკრატიამ, რომელმაც თავის პირველ პროგრამაში ხაზგასმით მიუთითა: „სინდისის თავისუფლების“ აღიარებაზე და ეკლესიის გამოყოფაზე სახელმწიფოსაგან და სკოლისას – ეკლესიისაგან“ და ა. შ.[4] მიუხედავად რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში არსებული დაპირისპირებისა, რელიგიასთან დაკავშირებით, სახელმწიფოსთან და რელიგიურ ორგანიზაციებთან დამოკიდებულების საკითხში მათ ერთიანი შეხედულება ჰქონდათ.

ბოლშევიკურმა პარტიამ რუსეთში ხელისუფლების უზურპაციის შემდეგ ათეიზმი სახელმწიფო იდეოლოგიად გამოაცხადა. 1919 წ. რკპ(ბ) VIII ყრილობაზე მიღებულ პარტიის ახ-

ალ პროგრამაში ხაზგასმითაა მითითებული: „რელიგიის მიმართ რუსეთის კომუნისტური პარტია არ კმაყოფილდება სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისაგან სკოლის უკვე დეკრეტირებული გამოყოფით... მხოლოდ გეგმაშეწონილობისა და შეგნებულობის განხორციელება მასების მთელ საზოგადოებრივ-სამეურნეო მოქმედებაში გამოიწვევს რელიგიურ ცრურწმენათა სრულ მოსპობას"[5].

მაგრამ კომუნისტების ათეიზმი არ იყო მხოლოდ აგიტაციურ-პროპაგანდისტული მუშაობა. ეს იყო ულმობელი, მებრძოლი ათეიზმი. 1922 წელს, როდესაც ვოლგის დამშეული მოსახლეობისათვის დახმარების გაწევის საბაბით დაიწყეს საეკლესიო ფასეულობების ამოღება, ვ. ი. ლენინმა საიდუმლო განკარგულება გაუგზავნა პოლიტბიუროს წევრებს: „მივდივარ იმ დასკვნამდე, რომ სწორედ ახლა უნდა მივცეთ ყველაზე გადამწყვეტი, დაუნდობელი ბრძოლა შავრაზმულ სასულიერო ფენას და ჩახშობილ იქნას მათი წინააღმდეგობა ისეთი სისასტიკით, რომ მათ ეს არ დაივიწყონ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში".

საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოების შემდეგ რუსული კომუნისტური ათეიზმი საქართველოშიც გადმოინერგა, თუმცა ამისათვის ნიადაგი გარკვეულწილად შემზადებული იყო. საქართველოს I რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატიული მთავრობა მარქსისტული ათეიზმის პოზიციებზე იდგა და, როგორც სამართლიანად არის აღნიშნული ქართულ ისტორიოგრაფიაში: „ეკლესიას მთავრობამ უნდობლობა გამოუცხადა" და „მის მიმართ აშკარად დისკრიმინაციულ პოლიტიკას ეწოდა"[6].

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ მეცნიერული ათეიზმის კომუნისტური პრინციპები, რელიგიურ ორგანიზაციებთან დაკავშირებით პარტიის საპროგრამო დებულებანი 1921-1925 წწ. პერიოდში წარმატებით განახორციელა, რაც დაკავშირებული იყო უდიდეს კატაკლიზმებთან, სისასტიკესთან, ფიზიკურ და სულიერ ტერორთან. თუ როგორ აისახა ეს რთული წინააღმდეგობრივი პროცესი ქართულ ისტორიოგრაფიაში, ჩვენი გამოკვლევის მიზანს წარმოადგენს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცების (1921-1925 წწ.) პერიოდით მეცნიერული და-

ინტერესება ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში შეიმჩნევა XX ს-ის 50-იანი წლების შუა ხანებიდან. ჩვენი აზრით, ეს დაკავშირებული უნდა იყოს სტალინის გარდაცვალების შემდეგ ქვეყანაში გარკვეული ლიბერალიზმის პოლიტიკის რეალიზაციასთან, როდესაც ლ. ბერიას დამხობისა და მისი გახმაურებული წიგნის - „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიისათვის" – ხმარებიდან ამოღების შემდეგ შეიქმნა პირობები საისტორიო კვლევის გაფართოებისათვის. გამოქვეყნდა პირველი ნაშრომები, რომელთა მიზანი იყო მონოგრაფიულად შეესწავლათ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცების (1921-1925 წწ.) პერიოდის ისტორია. მხედველობაში გვაქვს ზ. ბაბუნაშვილის, კ. შელიას, გ. ბრეგაძის, ი. კაჭარავას, გრ. ბაბილოძის, ვ. ესაიაშვილის და სხვათა ნაშრომები. თუმცა ავტორები ეკლესიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ურთიერთობის ურთულეს პრობლემას ან მთლიანად იგნორირებას უკეთებენ, ან უმნიშვნელო ადგილს უთმობენ მას.

ი. კაჭარავა თავის გახმაურებულ მონოგრაფიაში სახელმწიფოს და ეკლესიის ურთიერთობის საკითხს ეხება მხოლოდ სრულიად საქართველოს კათალიკოსის ამბროსის (ხელაიას) ინციდენტთან დაკავშირებით, როდესაც მან ქართველი ხალხის სახელით მიმართა გენუის საერთაშორისო კონფერენციას თხოვნით – ჩარეულიყო საბჭოთა ქვეყნის შინაურ საქმეებში, მიეღწია საქართველოდან წითელი არმიის გაყვანისა და საყოველთაო სახალხო რეფერენდუმის ჩატარებისათვის. ავტორი ამ ფაქტს შემდეგ შეფასებას აძლევს: „გენუაში კონფერენციის მიმდინარეობის დროს ფეხი გამოყო საქართველოს ანაფორიანმა კონტრრევოლუციამ... მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, მისი სულისჩამდგმელები საბჭოთა მართლმსაჯულებამ ღირსეულად დასაჯა"[7]. ასეთი უარყოფითი შეფასება, მკაცრი ტონი მთლიანად ჯდება 50-იანი წლების საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიტერიუმებში, რაც ეკლესიასთან განსაკუთრებული კრიტიკული დამოკიდებულებით ხასიათდებოდა.

საბჭოთა სახელმწიფოს საეკლესიო პოლიტიკას კიდევ უფრო დადებითად აფასებს პროფ. გ. ბრეგაძე მონოგრაფიაში - „ქართველი სოციალისტური ერის ჩამოყალიბება და განვი-

თარება"[8]. ავტორი საერთოდ არ ახსენებს იმ ბარბაროსულ მეთოდებს, რასაც იყენებდა ახალი ხელისუფლება რელიგიისა და მისი მსახურების მიმართ და მთლიანად უგულებელყოფს ეკლესიის დამსახურებას ქართული კულტურის განვითარებაში.

კ. შელიაც დადებითად აფასებს საბჭოთა ხელისუფლების ულმობელ დამოკიდებულებას რელიგიური ორგანიზაციებისადმი. იგი აღნიშნავს, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში არსებული საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებათა მთელი ქონება გამოცხადდა სახალხო კუთვნილებად, გაუქმდა საეკლესიო ქორწინება"[9]. საკითხისადმი მისი ასეთი მიდგომა არც არის გასაკვირი, რადგან, თვით კომუნისტური პარტიის ერთპიროვნული ლიდერი ვ. ლენინი საჯაროდ აცხადებდა: „არცერთ საეკლესიო და რელიგიურ საზოგადოებას არა აქვს საკუთრების უფლება. არცერთი მათგანი არ წარმოადგენს იურიდიული სამართლის სუბიექტს"[10]. მის თეორიულ გამონათქვამებს კი კანონის ძალა ჰქონდა საბჭოთა სახელმწიფოში, რომლის ცხოვრებაში განხორციელება ცეცხლითა და მახვილით ხდებოდა. ამასთან, არსებობს ვ. მოლოტოვის 1922 წ. საიდუმლო დეპეშა საქართველოს ცკ-სადმი, რომელშიც ის მოითხოვს საეკლესიო სიძველეების დაუყოვნებლივ ამოღებას და ამ მიზნით სპეციალური კომისიების შექმნას[11].

XX ს. 50-იანი წლების ქართულ ისტორიოგრაფიაში უფრო მეტად ყურადღებას აქცევდნენ (თუმცა საკმაოდ ზერელედ) ეკლესიისა და სკოლის ურთიერთობის საკითხებს. მაგალითად, მითითებულია, რომ „1925 წ. 15 აპრილის დეკრეტით „სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის შესახებ", ბოლო მოეღო ეკლესიის ბატონობას, რომელიც აფერხებდა მასების კულტურულ განვითარებას"[12]. წინ წამოწევდნენ რეგიონალურ სპეციფიკას. მაგალითად, აჭარასთან დაკავშირებით, სადაც ისტორიული განვითარების თავისებურებამ მაჰმადიანური რელიგია გააბატონა, მიუთითებენ: „ქრისტიანობის ნაცვლად დანერგილი ისლამის და მისი მეშვეობით განმტკიცებული უცხო ზნე-ჩვეულებების შედეგად შექმნილი სპეციფიკური პირობები არ შეიძლებოდა მხედველობაში არ ყოფილიყო მიღებული. სწორედ აქედან გამომდინარე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ

ნლებში ოლქის სკოლებში ტაქტიკური მოსაზრებით სჯულის სწავლება და თურქული ენა დაშვებულ იქნა (როგორც რელიგიის ენა)". ავტორის მიხედვით „ეს იყო სწორი გზა, ვინაიდან ერთი დაკვრით რევოლუციური გზა-ხერხებით არ შეიძლებოდა მუსლიმანური ცრურწმენის დაძლევა"[13].

მსგავსი მოსაზრება ჯერ კიდევ 1923 წ. მარტში, საქართველოს კომპარტიის II ყრილობაზე, გამოთქვა ცნობილმა პარტიულმა მოღვაწემ ალ. სვანიძემ, როდესაც შეეხო აჭარის სკოლებში თურქული ენის სწავლების გაუმჯობესების საკითხს[14]. ასეთი შეხედულებები დამახასიათებელი იყო ქართველი კომუნისტების ნანილისათვის, რომლებიც აჭარის მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო სპეციფიკის ჰიპერბოლიზაციას ახდენდნენ. მიგვაჩნია, რომ ეს არ იყო სწორი პოლიტიკა, რადგან ეროვნული ინტერესები მოითხოვენ სწრაფ და დროულ რეაგირებას. ხოლო ასეთმა პოლიტიკამ დროში გაწელა, მაგრამ თავიდან მაინც ვერ ააშორა საზოგადოებას აჭარაში მკვეთრი დაპირისპირება, აჯანყებაც კი (მხედველობაში გვაქვს ხულოს აჯანყება 20-იანი წლების ბოლოს).

XX ს-ის 60-იანი წლების შუა ხანებში საბჭოთა კავშირში შეიცვალა პოლიტიკური ხელისუფლება. ქვეყნის სათავეში მოვიდა ლ. ი. ბრეჟნევი, რომლის მმართველობას შემდგომში „უძრაობის ხანა" ეწოდა. მის დროს მოხდა საზოგადოების პოლიტიკური და იდეოლოგიური სისტემის დევალვაცია. პარალელურად იქმნებოდა მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისათვის შედარებით უკეთესი პირობები. გაიზარდა მონოგრაფიებისა და სტატიების რაოდენობა, რომლებიც ისახავდნენ მიზნად საქართველოს 20-იანი წლების დასაწყისის ისტორიის მეცნიერულ შესწავლას. მეთოდოლოგიურ საფუძველს, რა თქმა უნდა, კვლავ მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებლური პრინციპები შეადგენდა, რომლებიც გაჯერებული იყვნენ სკკპ ყრილობებისა და ცკ-ის პლენუმების დადგენილებებით. უახლესი ისტორიის მაგისტრალურ ხაზს აკად. ნ. პონომარიოვის რედაქციით გამოსული „სკკპ ისტორია" განსაზღვრავდა. ქართველი საბჭოთა ისტორიკოსები, განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდზე მომუშავე მეცნიერები იძულებულნი იყვნენ ბრმად დამორჩილებოდნენ კომუნისტური დოგმატიკის პრინციპებს. ეკლესიისადმი დამოკიდებულება რადიკალურად

არ შეცვლილა, თუმცა შეიმჩნევა გარკვეული თავისებურებანი, რაც გამოწვია კონკრეტულმა ისტორიულმა ვითარებამ და რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

1976 წელს გამოვიდა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" VII ტომი, რომელშიც საქართველოს ისტორიის XX ს-ის 20-30-იანი წლების პერიოდია განხილული. ავტორები დუმილით უვლიან გვერდს სახელმწიფოსა და რელიგიური ორგანიზაციების ურთიერთობის საკითხებს. მაგრამ ჩვენი ყურადღება მიიპყრო ი. კაჭარავას მიერ ამბროსი ხელაიას ინციდენტთან დაკავშირებულმა სახეცვლილმა შეფასებამ. „გენუაში კონფერენციის მიმდინარეობის დროს სრულიად საქართველოს კათალიკოსმა ამბროსიმ საეკლესიო საბჭოსა და ქართველი ხალხის სახელით მიმართა გენუის კონფერენციას თხოვნით, ჩარეულიყო საბჭოთა ქვეყნის შინაურ საქმეში, მიეღწია საქართველოდან წითელი არმიის გაყვანისა და რეფერენდუმის ჩატარებისათვის. მათი მეცადინეობა უშედეგოდ დამთავრდა"[15]. აშკარაა, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფიამ დაძლია ისტორიული ფაქტების „ურაკომუნისტური" ინტერპრეტაცია, კლასობრივი სიძულვილით გაჟღენთილი ტონი, თუმცა კომუნისტური, დოგმატური მიდგომა მაინც შენარჩუნებულია.

ამ მხრივ საინტერესოა მანანა გუგუტიშვილის სადისერტაციო ნაშრომი - „ახალი საბჭოთა ტრადიციები", რომელშიც ავტორი ეხება 1921-1925 წწ. კომუნისტური სახელმწიფოს რელიგიურ პოლიტიკას. განსაკუთრებით წინ წამოწევს საეკლესიო ტრადიციებისადმი კომუნისტებისა და კომკავშირლების უკომპრომისო ბრძოლას. ავტორი სამართლიანად შენიშნავს, რომ „ანტირელიგიური პროპაგანდის ფორმები იმ დროისათვის საკმაოდ მოუქნელი იყო, რის გამოც ადგილი ჰქონდა რელიგიის წინააღმდეგ უხეში ბრძოლის ფაქტს"[16]. იქვე მოჰყავს მაგალითი, რომ „1923-24 წწ. საქართველოში ადმინისტრაციული წესით დაიხურა 1213-ზე მეტი ეკლესია"[17].

საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა რელიგიური დღესასწაულების თავისებურ „ანტიდღესასწაულად" გადაქცევას, რაც მიზნად ისახავდა მოსახლეობაში რელიგიური რწმენის შერყევას. ავტორს ამასთან დაკავშირებით მოჰყავს საინტერესო მაგალითი თბილისში 1923 წ. „ახალგაზრდული შობის"

ჩატარების შესახებ, რომელიც ფართოდ გააშუქეს ახალგაზრდულ გაზეთში - „სპარტაკი". „შობის წინა დღით, – აღნიშნული იყო კორესპონდენციაში, - 6 იანვარს, რუსთაველის თეატრში გაიმართა ჩვენი კავშირის საქალაქო კრება, რომლის შემდეგ კავშირის წევრები გამოვიდნენ ქუჩაში... ჩირაღდნებითა და დროშებით ხელში. დემონსტრაციამ მიზანს მიაღწია. არაცერთი ახალგაზრდა იმ დღეს ეკლესიაში არ ყოფილა. დემონსტრანტებს მიჰქონდათ ჩირაღდნები წითელი ნაჭრებით გადაკრული, რომელზედაც ეწერა: „სარწმუნოება, მეცნიერებისა და რევოლუციის მტერია" და სხვ. ახალგაზრდობის ასეთ გამოსვლას ჩვენი ძალაუფლებაც დიდი ყურადღებით მოეპყრო" და კიდევ – ქ. ახალსენაკში ამ დღეს – ააფეთქეს საგანგებოდ მოწყობილი „მამა ღმერთი", რამაც დიდი შთაბეჭდილება დატოვა"[18].

ავტორი სამართლიანად ასკვნის, რომ რელიგიასთან ბრძოლის ასეთი მეთოდი ავერ მოიტანდა სათანადო შედეგებს, რომ „რელიგიის დევნა მორწმუნე მოსახლეობის მხრიდან იწვევდა უარყოფით რეაქციას და აღვივებდა ანტისაბჭოთა განწყობილებას"[19].

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია, აგრეთვე, ხელისუფლების მიერ ანტირელიგიური კამპანიის ანტირელიგიური პროპაგანდით შეცვლის საკითხებზე. რელიგიურ დღესასწაულებს დაუპირისპირეს საბჭოური დღესასწაულები. ავტორი შენიშნავს: „ახალი დღესასწაულები სპეციალურად ტარდებოდა რელიგიური დღესასწაულების დღეებში ხალხის ყოფიდან მათი აღმოფხვრის მიზნით; მაგალითად, „1924 წ. 3 აგვისტოს ილია წინასწარმეტყველის" დღეს ჩატარდა „ელექტრიფიკაციის დღე" და სხვ.[20]

ავტორი სამართლიანად მიუთითებს, რომ 20-იან წლებში დიდი ყურადღება დაეთმო რელიგიური რიტუალებისადმი ახალი სამოქალაქო წეს-ჩვეულებების დაპირისპირებას, „როგორც საოჯახო ყოფიდან რელიგიური კულტის აღმოფხვრის საშუალებას"[21]. საეკლესიო რიტუალების საპირისპიროდ, კომკავშირელთა თაოსნობით, დაიწყო ე. წ. „ოქტომბრინების" – კომუნისტური ნათლობების, საბჭოთა წესით ქორწინებისა და სამოქალაქო დაკრძალვის რიტუალების დანერგვისათვის ბრძოლა. ავტორის ცნობით 1924 წ. გაზეთი „პრავდა" წერდა:

„ნათლობის მოწყობა ნიშნავს ფიცის დადებას აღზარდო ბავშვი ხუცების ღმერთისადმი მორჩილების სულისკვეთებით... „ოქტომბრინები"-ს მოწყობა კი ნიშნავს ფიცის დადებას აღზარდო არა მონები ბურჟუაზიისათვის, არამედ – მის წინააღმდეგ მებრძოლნი"[22].

შეიძლება დავეთანხმოთ მკვლევარს აღნიშნული პრობლემის შეფასებაში, რომ „ოქტომბრინების რიტუალს, როგორც ცხოვრების ახალ მოვლენას, პირველ ხანებში, გარკვეული წარმატებები ჰქონდა. ხალხს იზიდავდა სიახლე, იმ მშობლების გაბედული ნაბიჯი, რომელთაც ზურგი აქციეს ეკლესიას, დაგმეს ტრადიციული ნათლობის წესი, მაგრამ მომდევნო ხანებში „ოქტომბრინებმა", რომლის რიტუალური მხარე უაღრესი პრიმიტიულობით ხასიათდებოდა, დაკარგა პირვანდელი მიმზიდველობა და გაქრა საზოგადოების ყოფიდან"[23].

თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რკპ(ბ) ცკ-ის ხელმძღვანელობა ახალი საბჭოთა ანტიკლერიკალური ტრადიციების დანერგვას მიუთითებს რკპ(ბ) ცკ-ს ორგბიუროს 1923 წ. 15 თებერვლის სპეციალური დადგენილება - „კომკავშირული აღდგომის შესახებ" - „დაევალოს საგუბერნიო კომიტეტებსა და რუსეთის კომკავშირული კავშირის ცკ-ს მიაქციოს ყურადღება აღდგომის პერიოდში ანტირელიგიური კამპანიის დროს პროპაგანდის საკითხებს. მომზადდეს შესაბამისი ლიტერატურა, გაშუქდეს რელიგიური დღესასწაულების როლი პრესაში. ზეიმის მსვლელობის პერიოდში მიზანშეწონილად ჩაითვალოს ანტირელიგიური ლექციები, აგიტპლაკატები, კინო და სხვ. პროპაგანდის ცენტრი გადავიტანოთ რელიგიური დღესასწაულების წარმოშობის ინტერპრეტაციაზე, მათ შორის აღდგომის დღესასწაულზე"[24].

აშკარაა, რომ ცენტრიდან მიღებული ასეთი ცირკულარები აგულიანებდა ათეიზმის ფსიქოზით გაჟღენთილ ახალგაზრდობას.

1972 წ. საქართველოში პოლიტიკური ხელმძღვანელობა შეიცვალა, რასაც საფუძვლად დაედო სკკპ ცკ-ის დადგენილება „თბილისის პარტიული ორგანიზაციის პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის შესახებ", რომლის მიხედვით საქართველოში იდეოლოგიური მუშაობის მხრივ გარკვეული შეცდომები იყო დაშვებული. საბჭოთა საქართველოს ახალი

ხელისუფლება ახორციელებდა რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, იდეოლოგიურ ფრონტზე დიდ ყურადღებას უთმობდა ათეისტური პროპაგანდის გაძლიერებას. ეს პროცესი განსაკუთრებული რელიეფური გახდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად ილია II-ის აღსაყდრების შემდგომ (1977 წ.). საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1975 წ. სპეციალური დადგენილებაც მიიღო მავნე ტრადიციების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლის გაძლიერების შესახებ. ისტორიკოსებსა და საზოგადოებათმცოდნეებს დაევალათ შეექმნათ სამეცნიერო ნაშრომები, რომლებშიც დაგმობილი იქნებოდა „წარსულის მავნე ტრადიციები", გაშუქდებოდა ახალი სოციალური ტრადიციების უპირატესობა.

აღნიშნული დადგენილების გამოხმაურებად შეიძლება ჩაითვალოს იგ. კვესალავას მონოგრაფიული გამოკვლევა: „ბრძოლა წარსულის მავნე გადმონაშთების დაძლევისათვის საქართველოში (1921-1929 წლებში)". ავტორი მიუთითებს, რომ პრობლემა შეისწავლა მარქსისტულ-ლენინური ისტორიზმის პრინციპის დაცვით. მისი აზრით, „მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმი იძლევა წარსულის მავნე გადმონაშთების... დაძლევის გზებისა და საშუალებების სწორად განსაზღვრის სრულ შესაძლებლობას"[25]. არ შეიძლება არ დაეთანხმო ავტორს ამ განცხადებაში, რადგან მისი ნაშრომი ფრაზეოლოგიითაც და ეკლესიისადმი კრიტიკული დამოკიდებულებით კიდევ უფრო რადიკალურია, ვიდრე 70-იანი წლების დასაყისის სხვა სამეცნიერო ნაშრომები. ავტორი „წარსულის მავნე გადმონაშთებად" კომუნისტებამდე არსებული საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს მიიჩნევს[26], რასაც ვერ დავეთანხმებით, რადგან მცნების – „წარსულის მავნე გადმონაშთის" ტრადიციულ გაგებას ვიზიარებთ, რაშიც „რელიგიური ცნობიერება" არ მოიაზრება, ხოლო კომუნისტურ რეჟიმამდე არსებული საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარის „წარსულის მავნე გადმონაშთად" გამოცხადება 70-იანი წლების პარტიულ-პროპაგანდისტული კონიუნქტურისადმი ქედის მოხრად უნდა ჩაითვალოს.

ნაშრომში რელიეფურად არის წარმოდგენილი ათეისტური მუშაობის ფორმები და მეთოდები. აღნიშნულია, რომ

„რელიგიისა და ეკლესიის წინააღმდეგ საზოგადოების დარაზმვის საქმეში განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ი. ჭავჭავაძეს, აკ. წერეთელს, ვ. ფშაველას, ალ. ყაზბეგს და სხვებს"[27] იმდენად არამეცნიერული და აბსურდულია ავტორის ეს განცხადება, რომ კრიტიკას არ შევუდგებით.

ავტორი თვლის, რომ „მართლმადიდებლური სამღვდელოების სახით მშრომელები ხედავდნენ არა ღმერთის მიერ გამოგზავნილ წმინდანებს, არამედ უგულო ექსპლუატატორებს, რომლებიც ყველა საეკლესიო წეს-ჩვეულებისათვის გასამრჯელოს თხოულობდნენ"[28]. მისი თქმით, ქართული ხალხური ფოლკლორი განსაკუთრებით ამათრახებს ღვთისმსახურებს, რომლებიც „ხალხურ... ზეპირსიტყვიერებაში გამოყვანილია როგორც მსუნაგი, ქურდი, უზნეო და უვიცი" არსებები[29].

ავტორი საგანგებო ყურადღებას უთმობს საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიურ ღონისძიებებს. იგი საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების კონსტატაციას ახდენს. გრძნობს რა საზოგადოებაში რელიგიური ორგანიზაციების ძლიერ გავლენას, ავტორი აცხადებს: „მისი ერთი ნაწილი სრულ სოლიდარობას და ერთგულებას უცხადებდა მას. მეორე ნაწილი კი ებრძოდა სამღვდელოებას მჩაგვრელი კლასების მოკავშირესა და მფარველს"[30]. თუმცა იგი მხოლოდ ამით კმაყოფილდება. არაფერს ამბობს საზოგადოების იმ პირველი ნაწილის სოციალურ ინფრასტრუქტურაზე და სახელმწიფოსთან მის დამოკიდებულებაზე, ვინც ეკლესიას „სრული სოლიდარობა და ერთგულება გამოუცხადა".

ავტორის შეფასებები მთლიანად ეფუძნება 70-იანი წლების ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებულ დოგმებს. „მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა მითითებანი რელიგიის, ეკლესიისა და მორწმუნეთა დამოკიდებულების საკითხში სახელმძღვანელოა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოსათვის მათი მოღვაწეობის ყველა ეტაპზე", - ასკვნის იგი[31].

1921-1925 წწ. საქართველოს ისტორიის პრობლემების კვლევისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმ ფაქტმა, რომ ზოგიერთი ისტორიკოსი სათანადო ადგილს უთმობს წარმართული სარწმუნოების წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის ფორმებისა

და მეთოდების წარმოჩენას. ეს, რა თქმა უნდა, საქართველოს მთიანი მხარეებისათვის იყო დამახასიათებელი. ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ „ოსეთში რელიგიასთან ბრძოლა ძირითადად მიმართული იყო წარმართული კულტის წინააღმდეგ“[32].

XX ს-ის 80-იანი წლების შუა ხანებში საბჭოთა სახელმწიფოს სათავეში მ. გორბაჩოვის მოსვლის შემდეგ ქვეყანაში ადგილი აქვს რადიკალურ ცვლილებებს, რომლის მიზანი იყო რუსული სოციალიზმის რეანიმაცია, კრიზისში შესული საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური რეორგანიზაცია. გორბაჩოვისეული ე. წ. „გარდაქმნის“ თავისებურება „საჯაროობაც“ იყო, რაც ისტორიის „თეთრი ლაქების“ წარმოჩენასა და მეცნიერულ შესწავლასაც ითვალისწინებდა. „საჯაროობამ“ საქართველოში გამოაცოცხლა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელმაც ამოცანად დაისახა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ინტერესების დაცვა. სულ უფრო იზრდებოდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის გავლენა საზოგადოებაზე. მიუხედავად ამისა, ამ პერიოდში მაინც იწერება კომუნისტური ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი სულისკვეთებითა და იდეური მრწამსით გაჟღენთილი საისტორიო თხზულებები. კვლავ აღნიშნავდნენ: „საქართველოში ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების პირველ ეტაპზე (იგულისხმება 1921-1925 წწ. – კ. წ.) მოსახლეობის ფართო მასების განთავისუფლება რელიგიის მავნე გავლენისაგან ისეთივე ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენდა, როგორც მშრომელი მასების კლასობრივი და ნაციონალური ჩაგვრისაგან, ბურჟუაზიულ-კერძომესაკუთრული იდეოლოგიისაგან“[33], ან კიდევ: „საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის პრაქტიკამ საბოლოოდ დაადასტურა, რომ მხოლოდ სოციალისტური საზოგადოების მშენებელ ხალხს შეუძლია გადაწყვიტოს რელიგიური საკითხი და ცხოვრებაში განახორციელოს კანონი სინდისის, სრული თავისუფლების შესახებ [34].

ქართულ ისტორიოგრაფიაში ეკლესიისა და რელიგიის ღვაწლის შეფასების საქმეში რადიკალური შემობრუნება იწყება XX ს. 90-იანი წლებიდან. ეს განაპირობა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მშენებლობამ, როცა მარქსისტულ-

ლენინური ათეიზმი ცრუ მეცნიერულ დოგმატიკად გამოცხადდა. ქართველმა ისტორიკოსებმა მეცნიერულ ბრუნვაში შემოიტანეს ახალი წყაროები, ადრე გასაიდუმლოებული საარქივო ფონდები, აკრძალული ლიტერატურა და მიზნად დაისახეს რელიგიური ორგანიზაციებისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართების პრობლემის შესწავლა ისტორიზმის პრინციპების ობიექტური დაცვით.

1994 წ. გამოქვეყნდა გ. როგავას საყურადღებო მონოგრაფია - „როგორ ებრძოდნენ რელიგიასა და ეკლესიას საქართველოში". ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ ავტორის დასკვნას, რომ „შეუძლებელი იყო ეკლესიის სახელმწიფოსაგან ნამდვილი გამოყოფა ისეთ საზოგადოებაში, სადაც არაფერია გამოყოფილი სახელმწიფოსაგან, სადაც ყველაფერი მას ექვემდებარება. ეკლესია საბჭოთა კავშირში ყოველთვის იყო სახელმწიფოს მკაცრი დიქტატის ქვეშ. მისი დამოუკიდებლობა იყო მოჩვენებითი, ილუზია"[35]. ახალმა ვითარებამ ძირეულად შეცვალა ისტორიული ფაქტების შეფასება. ისტორიული ფაქტი – კათოლიკოს ამბროსი ხელაიას მიმართვა გენუის საერთაშორისო კონფერენციისადმი – რომლის შესახებ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბჭოთა ისტორიოგრაფიას ცალსახად უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა, უკვე ამჯერად შეიცვალა ობიექტური შეფასებით: „ამბროსი ხელაიას მემორანდუმი ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების გამომხატველი იყო და მან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გენუის კონფერენციის მონაწილეებზე"[36].

ახალი ქართული ისტორიოგრაფია წინ წამოსწევს ქართული სამოციქულო ეკლესიის ბრძოლას – კომუნისტური რეჟიმის პირობებში – საქართველოს ისტორიული ტერიტორიების გასხვისების, ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის, ცუდად გაგებული პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ტოტალური დანერგვის წინააღმდეგ[37]. ასევე მიუთითებენ, რომ 1921 წლიდან „იწყება ანტირელიგიური, ანტიქრისტიანული მოძრაობის, ათეისტური პროპაგანდის შავბნელი ათწლეულები, რომელთაც მძიმე დაღი დაასვეს ქართულ ეროვნულ ცნობიერებას"[38].

დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ საბჭოთა რეჟიმთან ეკლესიის დაპი-

რისპირების იმ მიზეზის აქცენტირებას, რომ ქართული სამოციქულო ეკლესია „ეროვნული იდეოლოგიის მატარებელი“ და „ეროვნული იდეოლოგიის მედროშე“ იყო[39]. ეს შეხედულება მთლიანად შეესაბამება ისტორიულ ჭეშმარიტებას, თუმცა არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ ათეისტური პროპაგანდის საფუძველზე, გარკვეულწილად, მოხდა მორწმუნე ქართველების (მართლმადიდებლების, კათოლიკეების, მაჰმადიანების) კონსოლიდაცია და ამ მხრივ ეს პროცესი ო. ბისმარკის მიერ გერმანიაში განხორციელებულ „კულტურკამფის“ პოლიტიკას მოგვაგონებს, რომელმაც შეადულაბა კათოლიკე და პროტესტანტი გერმანელები.

ამავე შეხედულებას იზიარებენ „საქართველოს უახლესი ისტორიის“ ავტორები (მ. ნათმელაძე, ა. დაუშვილი), რომლებიც მართალია, სპეციალურად არ ჩერდებიან ჩვენთვის საინტერესო პერიოდზე სახელმწიფოსა და რელიგიური ორგანიზაციების ურთიერთობის საკითხებზე, მაგრამ მიუთითებენ მაჰმადიანური რელიგიის როლზე 20-იან წლებში დეცენტრალიზაციის პროცესების გაძლიერების საქმეში.

ახალი ქართული ისტორიოგრაფია ყურადღებას ამახვილებს ათეისტური ბრძოლის ეტაპებზე. ამ მხრივ სრულიად მისაღებია გ. როგავას მიერ შემოთავაზებული პერიოდიზაცია. პირველ ეტაპად მიჩნეულია პერიოდი, როდესაც ანტირელიგიური პროპაგანდა მიმდინარეობდა მიწის რეფორმასთან ერთად და მიმართული იყო საეკლესიო მიწების სეკულარიზაციისაკენ. როგორც ამტკიცებენ, მცირემიწიანი ქართველი გლეხობის ნაწილი მხარს უჭერდა ამ პოლიტიკას. მეორე ეტაპად მიიჩნევდნენ „ეკლესიების მასიურად დახურვისა და მღვდლების ძალით „გაკრეჭვის“, წმინდა ნაწილების საჯარო შეურაცხყოფის პროცესს, რამაც მოსახლეობის სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია[40].

ს. ვარდოსანიძე ჯეროვან ყურადღებას უთმობს აგრეთვე ე. წ. “განახლების მოძრაობას“ მართლმადიდებლურ ეკლესიაში. ეს საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში ადრე არ შეუსწავლიათ. ავტორი სამართლიანად შენიშნავს, თუ როგორ დაუპირისპირდა „განახლების ჯგუფი“ ხელისუფლების საამებლად ორთოდოქსალური მართლმადიდებლური ეკლესიის მესვეურებს“[41]. ამაში გასაკვირი არაფერია, საბჭოთა ხელი-

სუფლება თავისი არსებობის მანძილზე მუდამ ცდილობდა შიგნიდან აეფეთქებინა ყოველი რელიგიური ორგანიზაცია და კონფესიური მიმართულება. ამის დადასტურებაა, ჯერ კიდევ, 1922 წელს მოლოტოვის მიერ საქართველოს ცკ-ის სახელზე გამოგზავნილი საიდუმლო დეპეშა: „უნდა შეანჯღრიოთ ხუცები, დაუპირისპირეთ ზედა და ქვედა ფენების სამღვდელოება"[42]. ამ პრინციპებით მოქმედებდნენ კომუნისტური პროპაგანდისტული და სახელმწიფო უშიშროების ორგანიზაციები ეკლესიისა და რელიგიის მსახურთა წინააღმდეგ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მთელ მანძილზე. „განახლების მოძრაობას", საბჭოთა სახელმწიფოსა და მისი სპეცორგანოების მცდელობას გაეთიშათ ორთოდოქსალური ეკლესია და ჩაეყენებინა ის თავის სამსახურში, საგანგებოდ ეხება მკვლევარი ქ. პავლიაშვილიც[43].

2. ქართული კულტურის განვითარების თავისებურებანი

ჯერ კიდევ უტოპიური სოციალიზმის ფუძემდებლები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ მომავალ, იდეალურ საზოგადოებაში სულიერი კულტურის განვითარებას. მათი აზრით, კერძო საკუთრების ლიკვიდაციის შემდეგ გათავისუფლებულ ადამიანს უამრავი დრო ექნებოდა იმისათვის, რომ განევითარებინა ლიტერატურა, მუსიკა, ფერწერა და ხელოვნების სხვა დარგები. მათი მრწამსით, ადამიანი არ უნდა ყოფილიყო კონცენტრირებული შრომის მხოლოდ ერთ სახეობაზე, უნდა მომხდარიყო ფიზიკური და გონებრივი შრომის ჰარმონიზაცია. ინგლისელი თომას მორის მიხედვით იდეალური საზოგადოების - „უტოპიის" მცხოვრებლები „თავისუფალ დროს უთმობენ მეცნიერებას, ყოველი დღის დილის საათებში აწყობენ საჯარო კითხვას და დისკუსიებს, ერთობიან მუსიკით და საუბრებით"[44].

იტალიელი თ. კამპანელა კი თავის „მზის ქალაქში" იდეალურად მიიჩნევს 4 საათიან სამუშაო დღეს, რომლის შემდეგ „ქალაქის მცხოვრებლები დროს უთმობენ მეცნიერულ საუბ-

რებს, კითხვას, გონებრივი და ფიზიკური განვითარებისათვის ხელშემწყობ თამაშებს"[45]. ამრიგად, აშკარაა, რომ უტოპიური სოციალიზმის მამამთავრები იდეალური საზოგადოების მნიშვნელოვან ატრიბუტად მიიჩნევდნენ სულიერი კულტურის აღორძინება-განვითარებას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, „მეცნიერული კომუნიზმის" ფუძემდებლებმაც გაითავისეს სულიერი განვითარების პრობლემები, გონებრივი და ფიზიკური შრომის ჰარმონიზაცია, კულტურის აღორძინება და განვითარება, რის განხორციელებაც მიზნად დაუსახეს მებრძოლ პროლეტარიატს. ფ. ენგელსი აღნიშნავდა, რომ კაპიტალისტური წარმოების წესის დამსხვრევა „თითოეულ პიროვნებას შესაძლებლობას მიანიჭებს ყველა მიმართულებით განავითაროს და აამოქმედოს ყოველი თავისი უნარი, როგორც ფიზიკური, ისე სულიერი"[46].

კ. მარქსი და ფ. ენგელსი კულტურას, ხელოვნებას, მეცნიერებას თვლიდნენ ზედნაშენურ მოვლენად, რომელიც მუდამ დეტერმინებული იყო კონკრეტული საზოგადოების ბაზისით - საწარმოო ეკონომიკური ურთიერთობების ხასიათით, თუმცა აღნიშნავდნენ ბაზისური მოვლენების შედარებით დამოუკიდებლობას. ისინი უდიდეს ყურადღებას უთმობდნენ ხელოვნების განვითარების საკითხებს, აღიარებდნენ რა მის კლასობრივ ბუნებას. მათი მიხედვით ხელოვნება, ისევე როგორც საზოგადოებრივი შემეცნების სხვა ფორმები, გამოხატავს საზოგადოებრივ ყოფიერებას და აქტიურ ზეგავლენას ახდენს მის საერთო განვითარებაზე, თუმცა მას გააჩნია თავისი სპეციფიკაც. მათი შეხედულებით, მხატვრული ნაწარმოების ზემოქმედების წრე ძალზედ ფართოა, ამიტომაც სრულიად ბუნებრივია, რომ ადამიანები თავისი მოქმედებებით, იდეოლოგიით, ფსიქოლოგიით, ესთეტიკური ურთიერთობებით, ცხოვრების პირობებით ზეგავლენას ახდენენ ხელოვნის ესთეტიკურ პრინციპებზე.

ზემოთ აღნიშნული თეორიული მსჯელობანი რუსმა ბოლშევიკებმა, 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, მიზნად დაისახეს განეხორციელებინათ ჯერ რუსეთში, 1921 წლის შემდეგ კი - საქართველოშიც. ეს რთული პერიოდი იყო: პირველი მსოფლიო ომის შემდგომი დრამატული მოვლენები, დიდი ეკონომიკური ნგრევა, რამაც მნიშვნელოვანი ზე-

გავლენა მოახდინა ნებისმიერი ქვეყნის კულტურულ განვითარებაზე. ახალი ხელისუფლების მთავარ ამოცანას შეადგენდა კულტურულად ჩამორჩენილი ხალხების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად დაეკმაყოფილებინათ მათი მზარდი სულიერი მოთხოვნილებებიც. მაგრამ ამ საკითხებთან დაკავშირებით კომუნისტურ პარტიაში სხვადასხვა შეხედულებები და მიმართულებები წარმოიშვა. კომუნისტი ლიდერების ერთი ნაწილი საერთოდ უარყოფდა წარსულის კულტურული მემკვიდრეობის გამოყენების შესაძლებლობას ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების მშენებლობის დროს.

ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი, ლ. დ. ტროცკი და სხვები წარსულის კულტურული მემკვიდრეობის გამოყენებასთან დაკავშირებით არ ეთანხმებოდნენ ასეთ რადიკალურ შეხედულებებს. ლენინი მიუთითებდა: „კაპიტალიზმი კულტურას იძლევა მხოლოდ უმცირესობისათვის. ჩვენ კი საზოგადოება უნდა ვაშენოთ ამ კულტურიდან, სხვა... არ მოგვეპოვება"[47].

კულტუროლოგიის საკითხებს განსაკუთრებით ინტენსიურად ამუშავებდა ლ. ტროცკი. მისი აზრით: „გაბატონებული კლასები ქმნიან თავის კულტურას. პროლეტარიატის რევოლუცია და პროლეტარიატის ლტოლვა ძალაუფლების მოპოვებისათვის მთელი მსოფლიოს მასშტაბით გაგრძელდება ათეული წლების მანძილზე". ის გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ ასეთი გამძაფრებული კლასობრივი ბრძოლების დროს, რომელშიც „ნგრევა უფრო მეტ ადგილს დაიკავებს, ვიდრე აღმშენებლობა, პროლეტარიატის ენერგია მოხმარდება ძალაუფლების დამყარებასა და განმტკიცებას და არა ახალი კულტურის შექმნას"[48].

როგორც თანამედროვე რუსულ ისტორიოგრაფიაში მიუთითებენ, ლ. ტროცკი და ი. სტალინი ხელოვნებისა და კულტურის საკითხებთან დაკავშირებით „ტყუპი ძმები" არიან. ხშირად ტროცკი სტალინივით ფიქრობს: „ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია", მთავარი ხელოვნებაში შინაარსი და პოლიტიკური ორიენტაციაა, მაგრამ ხელოვნების სხვადასხვა დარგში შესაძლებელია გარკვეული თავისუფალი ფორმების დაშვება"[49].

მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს შეფასება გადაჭარბებულია, რადგან ი. სტალინი რადიკალურად ემიჯნება ლ. ტროცკის შეხედულებებს, რომ „გაძლიერებულ კლასობრივ ბრძოლაში, რომელშიც ნგრევა უფრო მეტ ადგილს იკავებს, ვიდრე აღმშენებლობა, პროლეტარიატის ენერგია მოხმარდება ძალაუფლების დამყარებასა და განმტკიცებას და არა ახალი კულტურის შექმნას". ი. ბ. სტალინის მოღვაწეობა, მისი ნაშრომი „ლენინიზმის საკითხები" და მისი ფრაქციის უკომპრომისო ბრძოლა ტროცკიზმის წინააღმდეგ ნგრევის პარალელურად კულტურულ აღმშენებლობასაც გულისხმობდა.

კულტუროლოგიის საკითხებიდან წინამდებარე პარაგრაფში ჩვენ განვიხილავთ „პროლეტკულტის" პრობლემას. ეს საკითხი სპეციალური სამეცნიერო შესწავლის საგნად არავის გაუხდია, თუმცა ქართულ ისტორიოგრაფიაში გარკვეული შეხედულებები ამ მოვლენასთან დაკავშირებით XX საუკუნის 50-იანი წლებიდან ჩნდება.

„პროლეტკულტი" ეწოდა 1917 წელს რუსეთში ჩამოყალიბებულ ნებაყოფლობით გაერთიანებულ კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობას. მისი თეორეტიკოსები იყვნენ ა. ბოგდანოვი, ფ. პლეტნიოვი და სხვ. ამ მოძრაობის ძირითად პრინციპს წარმოადგენდა მუშათა კლასის მიერ წარსულის კულტურული მემკვიდრეობისაგან დამოუკიდებლად საკუთარი კულტურული ფასეულობების შექმნის აუცილებლობის დასაბუთება, ლიტერატურაში სიმბოლიზმის, მისტიკისა და ფორმალიზმის გაბატონება, სახვით ხელოვნებაში კუბიზმისა და კონსტრუქტივიზმის დანერგვა, წარსულის კულტურული მემკვიდრეობის ტოტალური უარყოფა, მისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება და ა. შ.

საქართველოში „პროლეტკულტის" ორგანიზაციული გაფორმება 1922 წლიდან დაიწყო. მიუხედავად შინაგანი წინააღმდეგობებისა, 1924 წლისათვის მან თავის გავლენას დაუქვემდებარა ბევრი კულტურული ორგანიზაცია და დაწესებულება. 30-იანი წლების დასაწყისში კი „პროლეტკულტი" საქართველოში, ისევე როგორც სხვა რესპუბლიკებში, აიკრძალა და მისი წარმომადგენლები გადანაწილდნენ კომუნისტური პარტიის მიერ შექმნილ შემოქმედებით კავშირებში.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ მოვლენას პირველად აკად. ი. კაჭარავა შეეხო ჯერ კიდევ XX საუკუნის 50-იანი წლების შუა ხანებში. მისი აზრით „სოციალისტური კულტურის მშენებლობის საქმეში პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელი როლის წინააღმდეგ გაილაშქრეს ე. წ. „პროლეტკულტელებმა". ისინი ჩამოშორებულნი იყვნენ მარქსიზმ-ლენინიზმისაგან და ქადაგებდნენ რეაქციულ, სუბიექტურ-იდეალისტურ ფილოსოფიას - მახიზმს. „პროლეტკულტელები" ლამობდნენ რა განსაკუთრებული, პროლეტარული კულტურის გამოგონებას, ნიჰილისტურად იყვნენ განწყობილნი ნარსულის კულტურული მემკვიდრეობისადმი"[50].

ვერ დავეთანხმებით ავტორის მტკიცებას, რომ „პროლეტკულტელები"უარყოფდნენ პარტიის ხელმძღვანელ როლს კულტურის სფეროში. პირიქით, ისინი კულტურის კლასობრივ შინაარსს აფეტიშებდნენ და კულტურის განვითარების მთავარ დემიურგად თვლიდნენ. ამ შეხედულებებს ავტორი უცვლელად იმეორებს მოგვიანებით გამოქვეყნებულ პუბლიკაციებშიც[51].

ამის საწინააღმდეგოდ მკვლევარი ზ. ბაბუნაშვილი თავის მონოგრაფიაში ხაზგასმით მიუთითებს, რომ „პროლეტკულტელები" მტკიცედ დაადგნენ პარტიის პოლიტიკური კურსის ცხოვრებაში გატარების გზას, რაც ემიჯნება აკად. ი. კაჭარავას თეზისს, რომ „პროლეტკულტელები" უარყოფდნენ პარტიის ხელმძღვანელ როლს კულტურის სფეროში[52].

„პროლეტკულტის"ზეგავლენა ქართულ ლიტერატურაზე შედარებით შესწავლილი პრობლემაა. აკად. ი. კაჭარავა დიდ ყურადღებას აქცევს 1922 წლის მაისის მანიფესტს, რომელშიც ჩამოყალიბებულია ქართველი „პროლეტკულტელების" კრედო: „ქართული პოეზიის დამახასიათებელი თვისება იქნება სითამამე და ამბოხება, არ ვჩერდებით მუზეუმებისა და ძეგლების წინაშე. ვქმნით საქართველოს მომავალს, რომელსაც არ ახასიათებს სივრცე და დრო. უარვყოფთ რაც ჩვენს უკან არის და ამიერიდან საქართველო ჩვენით იწყება"[53].

მკვლევარი დ. თევზაძე თავის ნაშრომში აქვეყნებს „პროლეტკულტის" წარმომადგენლების მიმართვას, რაც 1924 წელს გაზეთ „ჩირაღდანში" დაიბეჭდა: „პროლეტარული პოეზია მაშინ არსებობს სწორედ, ქარხნის შინაგან ძლიერებას თუ

ის შეითვისებს, თუ ის გაიგებს ქარხნის სულისკვეთებას, განუყოფლად დაუკავშირდება ქარხნის ცხოვრებას. პროლეტარიატის პოეზია აქვე იპოვის შესაფერ სტილს და მათ მხატვრულ ფორმებში ჩამოასხამს თავის შემოქმედებაში. ქარხანა ქმნის მხატვრულ სტილსა და ფორმებს პოეტური შემოქმედებისათვის".

ეს ორივე დოკუმენტი საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ ქართულ ლიტერატურაში იმჟამად აშკარად იყო ძლიერი ბირთვი, რომელიც გადაჭრით უარყოფდა წარსულის ლიტერატურულ მემკვიდრეობას და მხარს უჭერდა ახალ კომუნისტურ რეჟიმს (მაგალითად, ი. ვაკელი და სხვ.). იმჟამად ცნობილი პოეტი ა. აბაშელი ხაზგასმით მიუთითებდა: „ფაბრიკის საკომურები, ოქტომბერი, კრემლი, ისპოლკომი, ელექტრიფიკაცია... ამგვარი სიტყვები - აი რა მასალა ასაზრდოვებს დღეს პოეზიას"[54].

პროლეტარი მწერლების და ქართველი ფუტურისტების გულგრილ დამოკიდებულებას ქართული კლასიკური ლიტერატურისადმი ხაზგასმით აღნიშნავს მკვლევარი დ. სტურუა. ვეთანხმებით მის მოსაზრებას, რომ „პროლეტარულ მწერლებს თავისი თავი მიაჩნდათ იმ ადამიანებად, რომელთა ხვედრი იყო ახალი საბჭოთა ლიტერატურის შექმნა. ისინი მემარცხენეობის საყმაწვილო სენით დასნეულებულნი ავლენდნენ განცალკევებული სექტანტობის ტენდენციას"[55]. „პროლეტკულტთან" დაკავშირებით ავტორის მსჯელობები, ჩვენი აზრით, ზოგადი ხასიათისაა და არ ეფუძნება „პროლეტკულტის" როგორც სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული მოვლენის ღრმა და ყოველმხრივ შესწავლას. ამაზე მიუთითებს ავტორის შემდეგი დასკვნაც: „ნიშანდობლივია, რომ ბოლოს და ბოლოს თავად პროლეტარი მწერლები მიხვდნენ სექტანტობის მავნებლობას და ამ სენის დასაძლევად გადადგეს ნაბიჯები"[56].

საერთოდ, ახალი ხელისუფლების დამოკიდებულებას მკვეთრი ინდივიდუალობით დაჯილდოებულ მწერლებზე თვალნათლივ გამოხატავს რუსი პოეტის, სერგეი ესენინის ნ. ბუხარინისეული შეფასება: „იდეურად ესენინი წარმოადგენს რუსული სოფლის ყველაზე მეტად უარყოფითი თვისებების, ე. წ. „ეროვნულ ხასიათს", უდიდეს შინაგან უდისციპლი-

ნობას, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე უფრო ჩამორჩენილობის გაღმერთებას. ლიტერატურული ნერწყვმორეულობის უსუსურ ტრადიციას „ძალუმად“ ამაგრებს ესენინურობა - გაპოეტებული უნებისყოფობა, ხულიგნობა, „ჭეშმარიტი რუსული მოთარეშე“, „სოფლურობის“ სიმაღლეზე აყვანა და ეს არის ესენინურობის ღერძი და არასაბჭოური მისწრაფებანი, რომლის ზიდვაც ვერ შეძლო ესენინმა, რადგან მას გარემო ცხოვრებიდან სრულიად სხვა თვისების საკვები ჰქონდა მიღებული. ესენინი სიბნელეა, ცემა-ტყეპა, ლოთობა, არყისა და ცრემლის ლურჯი ზღვა, იგი დედის გინებაა, შრომისადმი უპატივცემულობა, ხულიგნობა, „ხატები“, „საკმეველი“, „სანთელი“ და „კანკელი“, იგია შოვინიზმის ნაშთი, არის დედაკაცისადმი ღორული მოპყრობა, შინაგანი თავაშვებულობა... ობლომოლშჩინის ნაშთები, ინტელიგენტური ქედმაღლობა და მუშაობის მონური ტემპი. ყოველივე ეს არის ჩვენი მონური წარსული, რომელიც ჩვენში კვლავ ცოცხლობს და უგალობენ, რომელიც ესენინისა და მისი მრავალრიცხოვანი მიმბაძველების მიერ აყვანილია თავშეუკავებელი და ლოთურად მტირალი პოეზიის კვარცხლბეკზე“[57].

ჩვენ იმიტომ მოვიყვანეთ ასე ვრცელი ამონარიდი, რომ ასეთივე იყო დამოკიდებულება საქართველოს პარტიული ლიდერებისა იმ მწერლების მიმართ, რომლებმაც არ მიიღეს კომუნისტური იდეოლოგიის მიერ შეთავაზებული კულტურული ფასეულობები.

1976 წელს გამოქვეყნდა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მე-7 ტომი, რომელშიც განხილულია ჩვენთვის საინტერესო პერიოდში საქართველოში მიმდინარე კულტურული ცხოვრება. მაგრამ ჩვენი აზრით, ნაშრომში დაშვებულია მეთოდიკური ცდომილება, როცა კულტურის შესახებ სტატიების მომზადება დაევალა არა ისტორიკოს-კულტუროლოგს, არამედ ლიტერატურისა და ხელოვნების კონკრეტული დარგების თვალსაჩინო მკვლევრებს, რომლებმაც წარმოადგინეს დარგის განვითარების თავისებურებები და ნაკლები ყურადღება დაუთმეს იმ რთულ, წინააღმდეგობრივ ტენდენციებს, რაც შეიმჩნეოდა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში 20-იანი წლების დასაწყისში, განსაკუთრებით ახალ ტოტალიტარულ რეჟიმთან ხელოვანთა დამოკიდებულების საკითხს.

ამ კრებულის შესაბამის ადგილზე ქართული ლიტერატურის შესახებ სტატიის ავტორი დ. მერკვილაძე წერს შემდეგს: „ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების დასაყრდენი 20-იან წლებში იყვნენ: ა) მხატვრული ლიტერატურის ის საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებმაც, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში ჩვენი პარტიის ბრძნული პოლიტიკის მეოხებით, გადაჭრით განწყვიტეს კავშირი ძველ სამყაროსთან", აღიარეს ახალი იდეურ-ესთეტიკური მრწამსი. აქტიურად ჩაებნენ ახალი ცხოვრების მშენებლობაში, ბ) ლიტერატურის რევოლუციური ძალები, რომლებიც ერთგულად იცავდნენ ახალი ხელოვნების შექმნის, პროლეტარული ლიტერატურის განვითარების პრინციპებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე, გ) მწერალთა ახალი კადრები, რომლებიც ხალხის წიაღში წარმოიშვნენ და ახალი ყოფის ხელსაყრელ პირობებში იზრდებოდნენ, ყალიბდებოდნენ, მტკიცდებოდნენ"[58].

დღეს რომ მსგავსი შეხედულება ნონსენსია და საჭიროებს ძირეულ შეცვლას - მტკიცებას აღარ საჭიროებს.

XX საუკუნის 50-იანი წლების ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია განსაკუთრებით მკაცრი იყო საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მოღვაწე ქართველი კლასიკოსი მწერლების მიმართ. მაგალითად, აკად. ი. კაჭარავა სახელოვან ქართველ მწერლებს: კ. გამსახურდიას, ა. აბაშელს, პ. ინგოროყვას, ი. გრიშაშვილს და სხვებს დამარცხებული კლასებისა და ბურჟუაზიული ნაციონალიზმის მედროშედ აცხადებს, რომლებიც „ცხარედ მისტიროდნენ დემოკრატიულსა და დამოუკიდებელ საქართველოს"[59]. ავტორი მათ უპირისპირებს ახალი, კომუნისტური გენერაციის ლიტერატურის წარმომადგენლებს. აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში აკად. ი. კაჭარავას დამოკიდებულება 20-იანი წლების საქართველოს ლიტერატურული ცხოვრების მიმართ კომუნისტური იდეოლოგიის პრინციპებით არის ნაკარნახევი და არ შეესაბამება ჭეშმარიტებას. ასევე იდეოლოგიური კლიშეა მტკიცება, რომ „ქართული კლასიკური ლიტერატურის პროგრესული ტრადიციების დაცვისა და შემდგომი განვითარებისათვის პირობები შეიქმნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ქართველი ხალხის მდიდარი ეროვნული კულტურისა და

რევოლუციურ-დემოკრატიული ტრადიციების მემკვიდრე და დამცველი იყო სახელმწიფო ხელისუფლების სათავეში მდგომი... პროლეტარიატი"[60].

ჩვენ ვაღიარებთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების განვითარების გარკვეულ ეტაპზე, განსაკუთრებით 30-იან წლებში, საქართველოში შეიქმნა შედარებით ნაყოფიერი პირობები მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისათვის, მაგრამ 20-იან წლებში, განსაკუთრებით კი 1921-1925 წლებში კულტურულ პოლიტიკაში განხორციელებული ნოვაციების წყალობით მკვეთრად დაიჩაგრა სწორედ ეროვნულ-დემოკრატიული ტენდენციების მატარებელი ქართველი ინტელიგენცია.

მკვლევარი დ. სტურუა გვთავაზობს მიზეზს, რის გამოც ვერ მოხერხდა ქართველი კლასიკოსი მწერლების ჰარმონიული თანამშრომლობა ტოტალიტარულ რეჟიმთან. ამის საფუძვლად მას ეროვნული საკითხი მიაჩნია[61]. ავტორი ზედმეტად კატეგორიულია, როცა ამტკიცებს, რომ „ქართული შემოქმედებითი ინტელიგენციის გარკვეული წრეები ახალ პირობებში ერთგვარ გაორებას განიცდიდნენ. ერთი მხრივ, ის სოციალური პირობები, რომლის მატარებელი იყო ახალი ხელისუფლება, არ იყო უცხო ქართული ლიტერატურისათვის, მეორე მხრივ, იქმნებოდა საშიშროება, რომ ეროვნულ-კულტურული დამოუკიდებლობის ახალი კულტურული პრინციპები მათ გარეშე არ იქნებოდა რეალიზებული, რომ ეროვნული პოლიტიკის ხაზი საქართველოსათვის საზიანო იქნებოდა და რუსული ენა სტიქიურად შთანთქავდა ქართულს"[62].

მიგვაჩნია, რომ დაპირისპირება და გადაულახავი კონფრონტაცია კლასიკური ლიტერატურის წარმომადგენლებსა და საბჭოთა ხელისუფლებას შორის ლოგიკური და გენეტიკური ხასიათის იყო. უკვდავ ქართულ ენასთან მჭიდროდ დაკავშირებული ქართული ლიტერატურის წარმომადგენლები, რა თქმა უნდა, ვერ შევიდოდნენ ორგანულ კავშირში იმ იდეოლოგიასთან, რომელიც უპირატესობას ანიჭებდა ინტერნაციონალურ მსოფლმხედველობას, მომავალში გეგმავდა ერების შერწყმას და დისკრედიტაციას უწევდა ნაციონალურ ფასეულობებს. მართალია, 30-იან წლებში კომუნისტური პარტიის პოლიტიკა ეროვნული კულტურის დარგში შედარებით შერბილდა, მაგრამ 20-იანი წლების დასაწყისში ზენოლა ეროვ-

ნულ-კულტურულ ფასეულობებზე (მაგალითად, ქართული მართლმადიდებელი რელიგიის მიმართ) რელიეფურად ჩანს. აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია ქართველი მწერლების სკეპტიციზმი პროლეტარული ხელისუფლების მიმართ.

ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია სერიოზულ ყურადღებას აქცევდა სალიტერატურო დაჯგუფებების ურთიერთდაპირისპირების საკითხსაც. ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ქართულ ლიტერატურაში არსებობდა შემდეგი გაერთიანებები: „საქართველოს პროლეტარ მწერალთა ასოციაცია", „ცისფერი ყანწები", „აკადემიური ასოციაცია", „არიფიონი", „მემარცხენეები"[63], მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია დუმილით უვლის გვერდს ქართული მწერლობის ცალკეულ წარმომადგენელს შორის სუბიექტური დაპირისპირების ფაქტების ანალიზს, რომლის არაერთი შემთხვევაა დაფიქსირებული 20-იანი წლების დასაწყისის საქართველოს ოპოზიციურ პრესაში[64] და რასაც ჩინებულად იყენებდა საბჭოთა ხელისუფლება ქართველი მწერლების წინააღმდეგ.

კულტუროლოგიის პრობლემებიდან ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია სათანადო ყურადღებას უთმობს თეატრალური ხელოვნების დარგში მიმდინარე პროცესებს. ახალი კომუნისტური რეჟიმი მასობრივი პროპაგანდის საშუალებებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში. ამ მიზნით უკვე 1921 წელს შეიქმნა სამხატვრო რევოლუციური თეატრი ქართულ და რუსულ ენებზე, მაგრამ მას ერთი სეზონიც არ უმუშავია რეპერტუარის უქონლობის გამო[65].

ისტორიოგრაფიაში მიუთითებენ, რომ „რევოლუციური გზნებით აღტაცებული, საუკეთესო მერმისის პათეტიკით შეიარაღებული მშრომელი მოსახლეობა თავისი ამ მაღალი განწყობილებების დაკმაყოფილებას რევოლუციური ექსტაზითა და მაღალი ადამიანური გრძნობებით გასხივოსნებულ სპექტაკლებს მოელოდა"[66].

იმასაც მიუთითებენ, რომ 1922-1923 წლებში ქართულ თეატრში სერიოზული შემოქმედებითი კრიზისია, ხაზგასმით აღნიშნავენ კ. მარჯანიშვილის ღვაწლს ახალი, ქართული საბ-

ჭოთა თეატრის მშენებლობის საქმეში. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ კორპორაცია „დურუჯის“ ჩამოყალიბებას და მის თეატრალურ კრედოს. ამ შემოქმედებითი გაერთიანების პრინციპები აშკარად ავლენს მსგავსებას „პროლეტკულტის“ წარმომადგენელთა ცნობილ მანიფესტთან, როდესაც აღინიშნება შემდეგი: „...არტისტი გიჟი, არტისტი ცეცხლოვანი... შფოთი... გოროზი. არტისტი ფაფარაყრილ რაშზე... კადნიერი... რიხიანი, კენტავრი ვეფხვებით საერთაშორისო კარნავალში, მარჯნისფერი მზე „დურუჯი“[67].

ამ კორპორაციის ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელი ს. ახმეტელი იყო, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული საბჭოთა თეატრის ფორმირების საქმეში. მკვლევარი ზ. ბაბუნაშვილი აღნიშნავს, რომ „დურუჯი“ ქართული თეატრის კრიზისის დაძლევისა და აღორძინების პირველი ცდა იყო. კორპორაცია საჭიროდ თვლიდა საკაცობრიო კულტურის მიღწევათა ათვისებასთან ერთად გაეთვალისწინებინა ეროვნული თავისებურებები[68].

ლიტერატურისა და თეატრისაგან განსხვავებით ქართული კინოს ფორმირება ძირითადად საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოხდა. ეს რთული, წინააღმდეგობრივი პროცესი ქართულ ისტორიოგრაფიაშიც აისახა[69].

ნიშანდობლივია, რომ პირველი საბჭოთა სრულმეტრაჟიანი ფილმი „არსენა ჯორჯიაშვილი“ ეკრანზე გამოვიდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან ექვსი თვეში, მაშინ როცა რუსეთსა და უკრაინაში ასეთი ჰეროიკული ჟანრის სრულმეტრაჟიანი ფილმების შექმნას რამდენიმე წელი დასჭირდა. მეტად საინტერესოა, თუ რატომ მოხდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეექვსე თვეს საქართველოში იქმნება რევოლუციური ქართული ფილმი? ამ კითხვაზე არცერთი მკვლევარი არ ამახვილებს ყურადღებას. ჩვენი აზრით, ამის მიზეზი უნდა იყოს ის, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობაში ძლიერი იყო ანტისაბჭოთა განწყობილებები, რომლის დათრგუნვა მარტო იარაღის ძალით შეუძლებელი იყო, ამიტომაც საჭირო გახდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ქართველი ხალხის იდეოლოგიური დამუშავება, მისი საბჭოთა სულისკვეთებით აღზრდა, რაშიც უმთავრესი პრიორიტეტი მიენიჭა კინოხელოვნებას,

რაც მასობრივი იდეოლოგიური ზემოქმედების ყველაზე მძლავრი იარაღია. არ არის გამორიცხული ისიც დავუშვათ, რომ უკვე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე თვეებიდან იქმნება ინტელიგენციის გარკვეული ჯგუფი, რომელიც თანახმაა ითანამშრომლოს საბჭოთა რეჟიმთან. ასეთი ადამიანები ან გულწრფელად, ან კიდევ კონფორმისტული მოსაზრებებით თანამშრომლობდნენ ახალ რეჟიმთან. კინემატოგრაფიისათვის ასეთი თანამშრომლობა აუცილებელი იყო წმინდა ეკონომიკური მოსაზრებითაც, რადგან კინო ძვირადღირებული ხელოვნებაა, საჭიროებს დიდ კაპიტალდაბანდებებს, რაც კომუნისტურ საზოგადოებაში მხოლოდ სახელმწიფოს პრეროგატივა იყო.

ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიღმა არ დარჩენილა, აგრეთვე, ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საკითხები[70]. თუმცა მასალის სიმცირე არ იძლევა ღრმად და ყოველმხრივ წარმოაჩინოს სპორტის განვითარების თავისებურებები.

3. ქართული საბჭოთა განათლების სისტემის ფორმირების ისტორიოგრაფიული საკითხები

საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა მასების კომუნისტური იდეოლოგიის საფუძველზე აღზრდა, რადგან გაუნათლებელი ადამიანი ვერ დაეუფლებოდა მარქსისტულ მოძღვრებებს, რომლის რეალიზაციასაც ახალი ტოტალიტარული რეჟიმი მთელი ძალით ცდილობდა. დასავლეთის ისტორიოგრაფიაში სამართლიანადაა შემჩნეული, რომ „ახალი ხელისუფლება ისწრაფოდა განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი საბჭოთა რეგიონების ერთსახოვნობისა და გათანაბრების მიღწევას. ამ მიზნის რეალიზაციის მყარი საშუალება იყო სახალხო განათლების საბჭოთა ქსელის განვითარება და სრულყოფა, რადგან, სწორედ მას უნდა აღეზარდა კომუნიზმის მშენებელი „ახალი ადამიანი“[71]. ეს რთულიც იყო და ადვილიც. რთული იმიტომ, რომ ხელისუფლების ბრძოლა ეხებოდა ეროვნული საგანმა-

ნათლებლო ტრადიციების წინააღმდეგ (განსაკუთრებით საქართველოში) კულტურული განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი ხალხის, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე, სხვადახსვა დამწერლობის მქონე ხალხის სულიერ მისწრაფებებთან, რომელთა გარდაქმნა სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. გასათვალისწინებელია ის რთული მატერიალური მდგომარეობა, რომელშიც აღმოჩნდა ახალი ხელისუფლება I მსოფლიო ომისა და ეკონომიკური კოლაფსის გამო. ადვილი იყო იმიტომ, რომ ტოტალიტარული სისტემის სიძნელეს არ წარმოადგენდა გაუნათლებელი მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის შეეთავაზებინა საკუთარი განათლების პროგრამა, რომლის ერთ-ერთი მიზანი რეჟიმისადმი ერთგული პიროვნების ფორმირება იყო.

საბჭოთა პროპაგანდა და საისტორიო მეცნიერებაც განათლების დარგში განხორციელებულ საბჭოთა პოლიტიკას ცალსახად გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებდა. აი, რას წერდა ამასთან დაკავშირებით აკად. ი. კაჭარავა: „მხოლოდ ეს სისტემა, რომლის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო კომუნისტური პარტია, უზრუნველყოფდა სიბნელითა და უვიცობით დაბეჩავებულ მშრომელთა მასების განათლებას...“[72]. ც. კალანდაძის აზრით კი, „სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საქართველოში იწყება ბურჟუაზიულ-მემამულური საგანმანათლებლო აპარატის მსხვრევა, კულტურული ფასეულობების ნაციონალიზაცია და ხალხისთვის გადაცემა, კულტურული რევოლუციის განხორციელებისათვის ფართო შესაძლებლობების უზრუნველყოფა“[73]. დ. მაისურაძე შენიშნავდა: „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენდა მასობრივი უწიგნურობის მოსპობა, ურომლისოდაც წარმოუდგენელი იყო მშრომელთა კულტურული განვითარება, მათი სულიერი განათლება და აღზრდა[72].

რა კონკრეტულ ამოცანას უსახავდა საბჭოთა პროპაგანდა ქართველ ისტორიკოსს სახალხო განათლების პრობლემის მეცნიერული შესწავლის დროს? ისტორიკოსს უნდა ეჩვენებინა კომუნისტური პარტიის ის „განუხრელი ზრუნვა“, რომელსაც იგი ეწეოდა ქვეყანაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის, რეგიონებში დაწყებითი განათ-

ლების ქსელის ორგანიზაცია-განვითარებისათვის, ნაციონალურად განსხვავებულ რეგიონებში მშობლიურ ენაზე საგანმანათლებლო დაწესებულებების ფორმირების და პედაგოგთა ნაციონალური კადრების აღზრდისათვის და სხვ. ეს დავალება ქართულმა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ ჩინებულად შეასრულა.

მთავარი პრობლემა საქართველოში წერა-კითხვის ლიკვიდაციის პრობლემა იყო. ისტორიკოსების მიერ ხაზგასმითაა მითითებული, რომ „საქართველოს რევოლუციური მთავრობა წერა-კითხვის შესწავლას სავალდებულოდ აცხადებდა. ამასთან, საბჭოთა ხელისუფლება პირობებსაც უქმნიდა უცოდინართ სწავლისათვის: ყველა დაქირავებულ მომუშავეს (გარდა სამხედრო მუშაკებისა), რომლებიც ჩაბმული იქნებოდნენ წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში სამუშაო დღე უმცირდებოდა 2 საათით ხელფასის შენარჩუნებით[75].

მეტად საინტერესოდ გვეჩვენება, რომ ისეთ შედარებით უმტკივნეულო საკითხზე, როგორიც არის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, აშკარად ვლინდება საბჭოთა ისტორიოგრაფიის იდეოლოგიური შეზღუდულობა. ადრინდელ შრომებში (50-60-იანი წლების დასაწყისი) ისტორიკოსები აფიშირებენ იმ ფაქტს, რომ წერა-კითხვის ლიკვიდაციასთან დაკავშირებული 1921 წ. 31 მარტის I დეკრეტი ოკუპანტი ჯარის ნაწილების მეომრებისათვის იყო გათვალისწინებული, რაც თავისებურ ხარკად შეიძლება ჩაითვალოს XI წითელი არმიის მებრძოლებისათვის, მაშინ როდესაც მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ დეკრეტი სამი თვის შემდგომ გამოქვეყნდა მხოლოდ[76]. სამაგიეროდ, 1976 წ. გამოცემულ საქართველოს ისტორიის ნარკვევებში მკვლევარი დ. მაისურაძე ამ დეკრეტს ჩუმად უვლის გვერდს[77]. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, აშკარაა, რომ XX ს. 70-იან წლებში ქართულმა ისტორიოგრაფიამ გარკვეულწილად დაძლია „ურაკომუნისტური" ფსიქოლოგია და ასეთ აღმაშფოთებელ ფაქტებს უკვე აშკარად ჩქმალავდა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში არ არის ერთი აზრი საქართველოში XX ს. 20-იანი წლების დასაწყისში წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობის შესახებ. მკვლევარი ქ. აბულაძე აღნიშნავს, რომ „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამ-

ყარების პირველ წლებში მოსახლეობის 80 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარი იყო"[78]. ხოლო ვ. თვალაძემ წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა 72,6%-ით განსაზღვრა[79]. განსხვავება საკმაოდ შესამჩნევია (8%), რაც ამ პრობლემაზე დამატებითი კვლევის მუშაობის გაგრძელებას საჭიროებს.

უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ პრობლემაზე მომუშავე ავტორებისთვის დამახასიათებელია სტატისტიკური მასალით ჟანგლირება, მოჰყავთ ფაქტები სკოლების რაოდენობის, მასში ათასობით მსმენელის გაერთიანების შესახებ, თუმცა არაფერს ამბობენ ამ სკოლების ფუნქციონირების თვისებრიობაზე, სირთულეებზე. მუშათა კლასისა და უღარიბესი გლეხობის წარმომადგენელთა სკოლებზე საუბრის დროს საჭიროა არსებული ობიექტური რეალიების ყოველმხრივი მეცნიერული ანალიზი: რა კეთდებოდა მსმენელთა სკოლებიდან განთესვების, უდისციპლინობის, ლოთობისა და სხვა მანკიერი ქმედებების აღმოსაფხვრელად.

წერა-კითხვის ლიკვიდაციის გზაზე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა საქართველოს ეთნიკური მრავალფეროვნება.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მითითებულია, რომ ეთნიკურად განსხვავებულ რეგიონებში წერა-კითხვის პრობლემის გადასაჭრელად საჭირო იყო: 1) ეროვნული უმცირესობისათვის მასწავლებელთა ადგილობრივი კადრები (უკიდურეს შემთხვევაში, ადგილობრივი ენების მცოდნე მაინც); 2) მასწავლებელ ქალთა კადრები, რასაც თხოულობდა ზოგიერთი კუთხისა და ეროვნების ხალხის ყოფაცხოვრების ხასიათი (ქალისა და მამაკაცის ერთად სწავლების დაუშვებლობა და ა. შ.), სახელმძღვანელოების ადგილობრივ ენებზე გამოცემა და სხვა[80].

განსაკუთრებული ყურადღება მაჰმადიანურ რეგიონებში მიმდინარე პროცესებს ექცეოდა. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან მარტო აჭარაში 80% წერა-კითხვის უცოდინარი იყო. ასევე იყო ბორჩალოს, ახალციხის მაზრებში.

საგანგებო კომისიის აგენტურული ცნობით ბორჩალოს მაზრაში კომუნიზმის პრინციპების შეუთავსებლობა „აგიტაციის ცუდად გამოყენების შედეგია"[81], რაც, როგორც ვარაუდობდნენ, დაიძლეოდა წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვი-

დაციო პუნქტების ქსელის გაფართოებით. ამიტომაც ქართველ მკვლევართა ინტერესი აღნიშნულ რეგიონებში წერა-კითხვის ლიკვიდაციის პრობლემის გასაშუქებლად საკმაოდ რელიეფურად წარმოჩნდება. აღინიშნება საქართველოში მცხოვრები მაჰმადიანების შეურიგებელი დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლების ამგვარი ღონისძიებების მიმართ, რადგან ამ პოლიტიკას ყურანისა და შარიათის კანონების წინააღმდეგ მებრძოლ ღონისძიებებად თვლიდნენ. ამ შეხედულებას მკვლევარი დ. დიასამიძეც ეთანხმება, რომელიც სპეციალურად სწავლობს აჭარაში განხორციელებული კულტურული რევოლუციის საკითხებს[82].

პრობლემაზე მუშაობის დროს ჩვენი ყურადღება მიიქცია მკვლევარ გ. სურგულაძის ერთმა მიგნებამ. მისი მტკიცებით საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1925 წ. 28 მარტს მიიღო დადგენილება: „ახალციხის მაზრაში პრაქტიკული ღონისძიებების გატარების შესახებ", რომლის მიხედვით მაზრის პარტიული ხელმძღვანელი აუცილებლად ქართული ენის მცოდნე უნდა ყოფილიყო, აღმასკომის თავმჯდომარე ქართველი, მოადგილეები – სომეხი და თურქი. ვეთანხმებით ავტორის შეხედულებას, რომ: „დადგენილებას, მისი პრაქტიკული რეალიზაციის შემთხვევაში, უდავოდ დიდი მნიშვნელობა ექნებოდა რეგიონის ინკორპორირებისათვის..."[83] რა თქმა უნდა, იგულისხმება ენობრივი ინკორპორაციაც, მაგრამ მკვლევარი არ იკვლევს თუ რა პროცესები განხორციელდა რეგიონში სახელმწიფო ენის საფუძველზე წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის.

აზერბაიჯანული და თურქული სკოლების პრობლემებს ეხება ა. სონღულაშვილი, რომელიც მიუთითებს, რომ 1925 წლისთვის საქართველოში 89 თურქული სკოლა არსებობდა, რომელშიც 4615 ბავშვი სწავლობდა[84]. ავტორი ხაზგასმით მიუთითებს, რომ XX ს. 20-იან წლებში მაჰმადიანთა შორის ზოგიერთ თემში წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა 95% უახლოვდებოდა. საქართველოს მთავრობამ უკვე 1923 წელს შეიმუშავა სპეციალური გეგმა, რომლის მიხედვით უნდა შექმნილიყო პედაგოგიური ტექნიკუმი მასწავლებელთა კადრების მოსამზადებლად. ავტორის მიერ სამართლიანად არის აღნიშნული, რომ აზერბაიჯანული და თურქული სკოლების შექმნას

ენინააღმდეგება მუსლიმანური სამღვდელოება. ბრძოლა საბჭოთა სკოლასა და მედრესს შორის სულ უფრო მწვავე ხასიათს იღებდა. მაგალითად, ახალციხის მაზრის ბარხანის თემში არსებობდნენ მედრესეები. ავტორი ასკვნის, რომ „საქართველოს ეროვნულ უმცირესობას მეტნაკლებად ჰქონდა პირობები სწავლა-განათლება მშობლიურ ენაზე მიეღო"[85].

საქართველოს მრავალეროვანი მოსახლეობის კულტურული განვითარების საკითხები ა. სონღულაშვილს დამუშავებული აქვს თავის სხვა გამოკვლევებშიც[86].

აფხაზეთის პრობლემებზე მომუშავე ქართველი ისტორიკოსები რეგიონალურ თავისებურებებად თვლიან, რომ დანარჩენი საქართველოდან განსხვავებით აფხაზეთში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ქვეგანყოფილებას თითქმის არაფერი გაუკეთებია უსახსრობისა და მუშაკთა ნაკლებობის გამო, თუმცა გარკვეული წინსვლა მაინც შეიმჩნეოდა[87]

შიდა ქართლის რეგიონში შესასწავლი პრობლემის რეგიონალურ თავისებურებებს მკვლევარი ე. ჯიოევა მხოლოდ ოსური სოფლების მაგალითზე სწავლობს. აღნიშნულია სალიკვიდაციო პუნქტების, წერა-კითხვის მცოდნე ოსი მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა. ოსური მოსახლეობის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საკითხებზე ყურადღებას ამახვილებს ზ. ქირიაც თავის სადისერტაციო ნაშრომში[88].

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციამ საქართველოში სერიოზული საფუძველი შეუმზადა საბჭოთა განათლების სისტემის ჩამოყალიბებასა და სრულყოფას. ქართულ ისტორიოგრაფიაში სახალხო განათლების პრობლემის შესწავლასთან დაკავშირებით შეიმჩნევა ორი მიმართულება: „ურა-კომუნისტური", რომელიც მთელ პროცესს დადებითად წარმოაჩენს და მეორე - რომელიც დადებით მომენტებთან ერთად რეალურად არსებულ სიძნელეებს და ნაკლოვანებებსაც ხედავს. მაგალითად, უ. ობოლაძე მიუთითებს: „საქართველოში განათლების მთელი საქმე მკაფიოდ გამოკვეთილ დემოკრატიულ პრინციპებზეა დამყარებული და ორგანიზებულია სახალხო განათლების მთელი ვრცელი სპექტრი... იმის გამო, რომ სასკოლო განათლების საქმე მთლიანად სახელმწიფოს

გამგებლობაშია, სრულყოფილად ხორციელდება კიდეც სასწავლო სააღმზრდელო დაწესებულებათა ქსელის განვითარების სწორად დაგეგმვა, წინასწარი შემუშავებული გეგმის მიხედვით"[89].

მკვლევარი დ. მაისურაძე კი ხაზგასმით აღნიშნავს: „საბჭოთა ხელისუფლებამ არსებობის უკვე პირველივე წლებში ამ სარბიელზეც - მოკლე ვადაში მიაღწია უდიდეს წარმატებებს. შენდებოდა ახალი, ჭეშმარიტად სახალხო სკოლა... განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები. ფართო ფრონტით წარმოებდა მატერიალური და სასწავლო ბაზის გასაუმჯობესებლად სასკოლო მშენებლობა"[90]. აშკარაა, რომ ასეთი მაღალი შეფასებებისათვის საფუძველი საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში არსებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, არ არსებობდა. მით უფრო, რომ გამოქვეყნებული არის საყურადღებო მონოგრაფიები, სადაც შედარებით ობიექტურადაა ასახული სახალხო განათლების სფეროში არსებული რეალიები. მაგალითად, აკად. ი. კაჭარავა ჯერ კიდევ 1958 წ. სამართლიანად შენიშნავდა: „ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას ქვეყნის მძიმე ეკონომიკური პირობები საშუალებას არ აძლევდა მიექცია ჯეროვანი ყურადღება სასკოლო მშენებლობისათვის"[91]. ისტორიოგრაფიაში ასევე მიუთითებენ, რომ „1921 წ-ის შემდგომ პერიოდში შეიმჩნევა სკოლათა რაოდენობის შემცირება, რაც დაკავშირებული იყო საბჭოთა საქართველოს ფინანსური რესურსების ნაკლებობით"[92]. ზ. ბაბუნაშვილი კი დამაჯერებლად მიუთითებს, რომ „20-იანი წლების დასაწყისში განსახკომს საშუალება არ ჰქონდა გაეშალა სასკოლო საქმიანობის ქსელი და შეექმნა სკოლებისათვის სათანადო მატერიალური ბაზა"[93]. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში სახალხო განათლებას მართლაც გააჩნდა სერიოზული პრობლემები (განსაკუთრებით სკოლების სათანადო მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საქმეში).

როგორც აღინიშნა, საბჭოთა ისტორიკოსების ერთ-ერთ გატაცებას სტატისტიკური მასალის გამოყენება წარმოადგენდა, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ჩვენთვის საინტერესო პერიოდზე სახალხო განათლების სფეროში მიმდინარე ვითარე-

ბას სრულყოფილად წარმოადგენდეს მათ მიერ ერთმანეთისაგან ზოგჯერ სრულიად რადიკალურად განსხვავებული სტატისტიკური მონაცემები. მაგალითად, მკვლევარი ი. ჭანტურია აღნიშნავს: „რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით, უკვე 1921-22 წწ. სასკოლო ქსელი გადიდდა 103 ერთეულით, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა რაოდენობა 18 პროცენტით"[94]. აკად. ი. კაჭარავა კი მიუთითებს, რომ „საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში საქართველოში იყო 1895 სკოლა, რომელშიც 212 700 მოსწავლე სწავლობდა"[95]. უ. ობოლაძის ცნობით კი, „1920-21 წლებში 2059 სკოლა იყო 191 580 მოსწავლით[96]. ზ. ბაბუნაშვილი იმეორებს საქართველოს კპ(ბ) III ყრილობის მასალებს და აღნიშნავს, რომ საქართველოში 1924 წელს 1723 სკოლა იყო 214 602 მოსწავლით[97].

1927 წ. გამოქვეყნებული სტატისტიკური კრებული „სახალხო განათლების საქმე საქართველოში", ზემოთ მოყვანილ სტატისტიკურ მასალებთან შედარებით, განსხვავებულ ინფორმაციას იძლევა. მაგალითად, სკოლების რიცხვი 1921-22 წწ. იყო 1733, ხოლო მოსწავლეთა რაოდენობა 191244 შეადგენდა. 1924 წელს საქართველოში 1969 სკოლა იყო, სადაც 244059 მოსწავლე სწავლობდა"[98]. ერთმანეთთან შეუსაბამო სტატისტიკური მასალები გვიმტკიცებენ შეხედულებას, რომ აღნიშნული პრობლემა მოითხოვს დამატებით კვლევას, მით უფრო, რომ ბოლო წლებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები დუმილით უვლიან გვერდს ამ საკითხს[99].

სახალხო განათლების პრობლემის შესწავლა წარმოუდგენელია იმ ნოვაციების გარეშე, რომელიც 20-იანი წლების დასაწყისში მიმდინარეობდა: საქართველოში დაიწყო ახალი სასკოლო სისტემის მშენებლობა, რომელიც უნდა დაფუძნებოდა მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიას და პრეტენზიასაც კი აცხადებდა მსოფლიოს პროგრესული მიღწევების დანერგვაზე. ადგილი ჰქონდა ექსპერიმენტებს. ერთ-ერთი მათგანის შესახებ ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გარკვეული აზრია გამოთქმული. 20-იანი წლების დასაწყისიდან „საქართველოში ცდილობდნენ დაენერგათ ბურჟუაზიული სკოლიდან გადმოტანილი „კომპლექსური სისტემა"(ეს იყო ჩრ. ამერიკაში შემუშავებული დალტონ გეგმა, რომელიც ითვა-

ლისწინებდა გლეხებისა და ხელოსნების ნორჩი თაობა გაენათლებინა მათი ცხოვრების მონოდებისა და საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი ურთიერთობისადმი ვალდებულების შესახებ, შთაეგონებინა მათთვის კეთილისმყოფელი კმაყოფილება თავიანთი ამქვეყნიური ხვედრით. ეს სისტემა ითვალისწინებდა ინდივიდუალურ მუშაობას, უარყოფდა სასკოლო მეცადინეობას, თუმცა საქართველოში იგი ასეთი შინაარსით არ დანერგილა, აქ დაწესდა მუშაობის ბრიგადული ფორმა[100]. აღნიშნულ მოსაზრებას ავტორი 20-იანი წლების დასაწყისში სახალხო განათლების სფეროში არსებულ ნაკლოვანებებს უკავშირებს, თუმცა ვფიქრობთ, რომ მას კონკრეტული მასალით უნდა გაემდიდრებინა საკუთარი კრიტიკული გამონათქვამები.

ცნობილია, რომ 20-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა სკოლაში ადგილი ჰქონდა სხვა პროცესებსაც, მაგალითად, მშობლიური და უცხო ენის სწავლებასთან დაკავშირებით, რის შესახებაც ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში არაფერია ნათქვამი და საჭიროებს დამატებით კვლევით სამუშაოებს.

მიუხედავად ამისა, ქართულ ისტორიოგრაფიაში დადებითად აფასებენ საბჭოთა სკოლაში რუსული ენის სწავლების გაძლიერების პროცესს. მაგრამ იმჟამინდელი ქართული საზოგადოებრივი აზრი სრულიად განსხვავებულად ფიქრობდა. ჩვენს მიერ მოსკოვის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის სახელმწიფო არქივში გამოვლენილ ლ. ტროცკისადმი მიწერილი ქართველი პოლიტპატიმრის ა. ჭიაბრიშვილის 1923 წელს გაგზავნილ წერილში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საბჭოთა ყოფიერება აღარაფერს ტოვებს ქართული ენის სახელმწიფო სტატუსისაგან, რომელიც აღარ ვრცელდება რეგიონებზე. იგი აღნიშნავს: „ოსეთში არცერთი რუსულის მცოდნე არ ცხოვრობს, ასევე სურამში, რატომ უნდა ისაუბრონ იქ რუსულად, როცა მოსახლეობამ ქართული იცის... რა ენაზე უნდა სწავლობდნენ საქართველოს ბერძნები, თათრები, სომხები?"[101]. აშკარაა, რომ საკვლევ პერიოდში რუსული ენის სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემები დამატებით შესწავლას საჭიროებს, რადგან ქართულ საზოგადოებაში ერთფეროვანი აზრი ამასთან დაკავშირებით არ იყო.

ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადოდ არის შესწავლილი სახალხო განათლების განვითარების რეგიონალური ასპექტებიც. აფხაზეთში მიმდინარე პროცესებს აშუქებენ, როგორც თბილისელი, ისე სოხუმელი ისტორიკოსები. მათი მთავარი ამოცანაა აჩვენონ საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი მზრუნველობა მცირე ერების კულტურული დონის განუხრელი ამაღლების საქმეში, თუმცა მათ ნააზრევშიც არის განსხვავებანი. მაგალითად, დ. მაისურაძეს და ზ. ბაბუნაშვილს მიაჩნიათ, რომ 1921 წელს აფხაზეთში გაიხსნა 177 ახალი სკოლა[102], ხოლო ა. კუპრავა კი ამტკიცებს, რომ აღნიშნულ წელს გაიხსნა 37 სკოლა[103]. ასეთი დიდი ცდომილება ყოვლად დაუშვებელია. 1921 წ. მძიმე პირობებში ერთ პატარა რეგიონში ამდენი სკოლის გახსნა აშკარად ნონსენსია, ა. კუპრავას მონაცემები ჭეშმარიტებასთან უფრო ახლოა. გასაზიარებელია მისი სხვა მოსაზრებანიც აფხაზეთის სკოლების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სიძნელეებთან დაკავშირებით. იგი სამართლიანად მიუთითებს, რომ აფხაზური დამწერლობის რეფორმა გაჭიანურდა, რის გამოც შეფერხდა აფხაზური სახელმძღვანელოების გამოცემა[104].

აფხაზეთის საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე პროცესების საკუთარ ინტერპრეტაციას იძლევიან ის ისტორიკოსებიც, რომლებიც ზოგადად იხილავენ საქართველოს კომუნისტური პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს საგანმანათლებლო პოლიტიკას, თუმცა რაიმე განსხვავებულ შეხედულებებს არ გვთავაზობენ[105]. ანალოგიური სქემით არის შესრულებული აჭარაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესებისადმი მიძღვნილი გამოკვლევები და პრობლემები. აქ მთავარი სპეციფიკა არის მაჰმადიანური რელიგია და განსაკუთრებული ტრადიციები. მკვლევარი ზ. ბაბილოძე მიუთითებს, რომ 1923-24 წწ. აჭარაში თურქულ ენას იმდენივე საათი ჰქონდა დათმობილი, რამდენიც ქართულს, ხოლო ყურანს იმდენივე, რამდენიც გეოგრაფიას. მხოლოდ 1924 წელს გაუქმდა სჯულის სწავლება[106], როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ავტორის აზრით ეს იყო სწორი გზა, ვინაიდან ხელის ერთი დაკვრით არ შეიძლებოდა მუსლიმანური ცრურწმენის დაძლევა. 20-იანი წლების დასაწყისში მოსკოვის კომუნისტი ლიდერები ზედმეტ იმედებს ამყარებდნენ ქემალისტური თურქეთის ან-

ტიიმპერიალისტურ შესაძლებლობებზე, რის გამოც აჭარასთან დამოკიდებულებაში საქართველოს კომუნისტურ ხელისუფლებას აიძულებდნენ ზედმეტ დათმობებზე წასულიყვნენ. ეს რელიეფურად აისახა სკოლასთან დამოკიდებულების საკითხებზეც. ასეთმა დათმობებმა მაინც გამოიწვია აჭარაში ამბოხება და ამის ერთ-ერთი მიზეზი სკოლასთან დაკავშირებული პრობლემებიც იყო. ამიტომ მიგვაჩნია, რომ თავიდანვე განხორციელებული რადიკალური და ეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკა აჭარაში უფრო პოზიტიურ შედეგებს გამოიწვევდა.

შიდა ქართლში მცხოვრები ოსი მოსახლეობის საგანმანათლებლო დონის ამაღლების საკითხებზე ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს გარკვეული მოსაზრებები[107]. თუმცა სპეციალურად ამ საკითხს მონოგრაფია მიუძღვნა ე. ჯიოევამ. ნაშრომში ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო ავტორის არამართლზომიერმა მტკიცებამ ერთ ისტორიულ ფაქტთან დაკავშირებით: 1921 წ. 14 ივლისს სამხრეთ ოსეთის ცაკის გადაწყვეტილებით რუსული ენა უნდა გამოეყენებინათ მეზობელ რესპუბლიკებთან ურთიერთობის ენად[108]. წიგნის ავტორი არსად არ მიუთითებს ქართული ენის, როგორც საქართველოს სსრ-ს სახელმწიფო ენის სტატუსის დაცვის აუცილებლობაზე სამხრეთ ოსეთის ოლქში. იგი ასევე გამორიცხავს საქართველოს და ქართველი ინტელიგენციის დახმარებას შიდა ქართლის ოსი მოსახლეობის კულტურულ-საგამანათლებლო ცხოვრების შემდგომი განვითარების საქმეში.

რესპუბლიკაში მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფების: აზერბაიჯანელების, სომხების, ბერძნების, ქურთების, ებრაელების, გერმანელების და სხვათა საგანმანათლებლო საკითხები მეტ-ნაკლებადა შესწავლილი ზემოსადახელებული ქართველი ისტორიკოსების მიერ, თუმცა ძირითადად სტატისტიკური მასალის ინტერპრეტაციით კმაყოფილდებინ (ა. სონღულაშვილი, ქ. აბულაძე, ზ. ქირია და სხვ.).

ქართველ ისტორიკოსებს მხედველობიდან არ გამორჩენიათ ის სპეციფიკური თავისებურებაც, რაც დამახასიათებელი იყო საბჭოთა სკოლისათვის - მისი შრომითი - პოლიტექნიკური შინაარსი. აკად. ი. კაჭარავა ამასთან დაკავშირებით მიუთითებდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ზრუნავდა იმისათ-

ვის, რათა დაწყებითი სკოლის გლეხი-ახალგაზრდობისათვის მიეცა არამარტო ზოგადი განათლების საფუძვლები, არამედ სოფლის მეურნეობის კულტურული გაძღოლისათვის მინიმუმი მაინც[109].

საბჭოთა განათლების სისტემის მნიშვნელოვანი რგოლი უმაღლესი განათლება იყო. საქართველოში 1921 წლისთვის მას უკვე გარკვეული ტრადიციები ჰქონდა, ამიტომ ყოვლად გაუმართლებელია დ. მაისურაძის შეხედულება, რომ „რევოლუციამდელ საქართველოში არ იყო არცერთი უმაღლესი სასწავლებელი და სამეცნიერო დაწესებულება, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე შეიქმნა ყველა პირობა ქართული მეცნიერების განვითარებისათვის"[110]. რა თქმა უნდა, ეს არ შეესაბამება ჭეშმარიტებას, თუმცა მიგვაჩნია, რომ უმაღლეს სასწავლებლებთან ცენტრალური ხელისუფლების დამოკიდებულება საკმაოდ წინააღმდეგობრივი და ზოგჯერ დრამატულიც კი იყო. ამას ქართველი ისტორიკოსები არც მალავდნენ. აკად. ი. კაჭარავა აღნიშნავს, რომ „საბჭოთა უმაღლესი სკოლების განვითარებას აფერხებდნენ ანტისაბჭოთა განწყობილების სტუდენტები, რომელთა ხელოვნური განთესვის გზით მოახერხა ხელისუფლებამ უმაღლეს სასწავლებელში სასურველი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნა[111].

მაგრამ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამხობის შემდეგ გახდა შესაძლებელი ქართველი სტუდენტების ჭეშმარიტი ადგილისა და როლის მეცნიერული შესწავლა. გამოქვეყნდა ე. ნარიმანიძის სტატია, რომელშიც განხილულია 1922 წ. 26 იანვრის სტუდენტთა დემონსტრაცია. მას მოჰყავს 1922 წ. 23-24 იანვარს სტუდენტური ინტერპარტიული ორგანიზაციის საგულისხმო მოწოდება: „ეხლანდელი გულისტკივილი დაპყრობილ სამშობლოსი მთელ სტუდენტობას აერთიანებს და რაზმავს მის ერთსულოვან მძლავრ ბანაკში"[112]. ავტორი საინტერესოდ გადმოგვცემს მრავალათასიანი ანტიბოლშევიკური მოქმედების შედეგებს. თუმცა მსგავსი პუბლიკაციები მუშაობის მხოლოდ დასაწყისია, რადგან ყოველმხრივ უნდა იქნეს შესწავლილი სტუდენტთა ორგანიზაციების საქმიანობა 1921-25 წლებში, საბჭოთა ისტორიოგრაფია კი ფაქტებს ჩქმალავდა

და მას ზოგადად „ბურჟუაზიულ-მემამულური განწყობილების და სოციალურ კუთვნილებას“ უკავშირებდა.

ასეთი ფაქტების ფონზე განსაკუთრებით ყალბად ჩანს ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსის მტკიცება, რომ საქართველოს სტუდენტობა ერთგულად უჭერდა მხარს საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას პირველ წლებში[113]. სწორედ პატრიოტი სტუდენტების წინააღმდეგ იყო მიმართული 1924 წ. 31 მაისის განათლების სახალხო კომისრის უმკაცრესი დადგენილება - „რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლის სოციალური-აკადემიური წმენდის შესახებ", რომელიც საბჭოთა ისტორიაში ცალსახად დადებითად იყო შეფასებული[114] და დღეს გადასინჯვას და შეცვლას საჭიროებს. ხომ ისიც აშკარაა, რომ სწორედ სტუდენტობის სოციალური სტრუქტურის რადიკალურ შეცვლას ითვალისწინებდა მიზნად ახალი შემუშავებული სისტემის დამკვიდრება, რომელიც 1922 წლიდან განხორციელდა საქართველოში[115].

სახალხო განათლების ქსელი ქმნის ძირითად საფუძველს მეცნიერული აზროვნების განვითარებისათვის. 1921-25 წლებში მეცნიერული აზროვნების განვითარების რთული პირობები იყო. მიუხედავად ამისა, როგორც აკად. ი. კაჭარავა მიუთითებს, „საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ქართველი ინტელიგენციის ინიციატივითა და მხარდაჭერით იქმნებოდა ახალი და ახალი სამეცნიერო დაწესებულებები"[116].

ავტორს მითითებული აქვს ბიუჯეტის ასიგნების ზრდა 1921-25 წწ., რაც მიზნად ისახავდა შეექმნა წარმოდგენა მეცნიერებისადმი კომუნისტური რეჟიმის ზრუნვისა. იგი ძირითადად იფარგლება ძველი მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლების მოღვაწეობის კონსტატაციით და არაფერს ამბობს იმ ლაგამამოუდებელი ზეწოლისა და იდეოლოგიური წნეხის შესახებ, რასაც ისინი განიცდიდნენ (ი. ჯავახიშვილი, შ. ნუცუბიძე, დ. უზნაძე და სხვ.)[117]. 1921-25 წწ. პერიოდში საქართველოს მეცნიერების მიღწევები, ჩვენი აზრით, უფრო წინა წლების მუშაობის ინერციის შედეგი იყო, ვიდრე საბჭოთა სახელმწიფოს მზრუნველობისა.

4. კომუნისტური რეჟიმის კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკის პირველი ეტაპი

ქართულ ისტორიოგრაფიას მხედველობიდან არ გამორჩენია 1921-1925 წლების ქვეყნის კულტურული განვითარების ისეთი საინტერესო მიმართულება, როგორიც არის კულტურულ-საგანმანათლებლო დანესებულებების ფუნქციონირება, საბჭოთა საზოგადოებაში პრესის ადგილისა და როლის წარმოჩენა და ამ ორგანიზაციების მუშაობის ძირითადი შედეგების შეფასება კომუნისტური იდეოლოგიის ფუძემდებლური დებულებებიდან გამომდინარე. კომუნისტურ იდეურობას უნდა მოეცვა მთელი საზოგადოება - უკლებლივ ყველა - დაწყებული მოზარდებიდან დამთავრებული მოხუცებით. ამისათვის კი უნდა შექმნილიყო ისეთი მობილური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა ამ მიზანდასახულობის ოპტიმალურ შესრულებას. საკლუბო მუშაობა, ბიბლიოთეკები, სამუზეუმო საქმე, ქოხ-სამკითხველოები, პრესა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დანესებულებები „ახალი ადამიანის" აღზრდის საქმეში კომუნისტური პარტიის მხარდამჭერნი და აქტივისტები უნდა გამხდარიყვნენ.

ამ ჩამონათვალში გამორჩეული მდგომარეობა საკლუბო მუშაობამ დაიკავა. ეს არც იყო გასაკვირი - საკლუბო მოძრაობა, რომელიც ინგლისის არისტოკრატიის წიაღში ჩაისახა და გულისხმობდა არისტოკრატიის თავისუფალი დროის ორგანიზაციას, დასვენებას, კულტურულ გართობას, ექსპლოატირებულთა მუდმივ შურსა და გაღიზიანებას იწვევდა. ეს პრესტიჟული კლუბები თავისი ჩაკეტილი, რეგლამენტირებული წესდებით, წევრთა ლეგიტიმაციით, მიუწვდომლობისა და გამორჩეულობის ვითარებას ამკვიდრებდა. ამიტომაც მის საწინააღმდეგოდ კომუნიზმის იდეოლოგებმა ახალ სახელმწიფოში თავიდანვე ყურადღება მიაქციეს ფაბრიკა-ქარხნებთან საკლუბო დაწესებულებების ორგანიზაციას. ამ პროცესმა საბჭოთა სინამდვილეში მეტად საინტერესო და ორიგინალური შინაარსი შეიძინა - განსაკუთრებით XX საუკუნის 20-30-იან წლებში, მათ შორის საქართველოშიც. სოკოებივით მომრავლებული საკლუბო დაწესებულებები, მართლაც, მუშების შეკ-

რებებისა და ინტელექტუალური განვითარების განსაზღვრულ ცენტრებს წარმოადგენდნენ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ პრობლემას ყურადღება პირველად მიაქცია ზ. ბაბუნაშვილმა. ის სამართლიანად მიუთითებდა მუშათა კლუბების გამორჩეულ როლზე კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ორგანიზაციის საქმეში უკვე 20-იანი წლების დასაწყისიდან, მაგრამ აღნიშნული პრობლემა მის ნაშრომში, ჩვენი აზრით, მეტად მოკლედ არის წარმოჩენილი[118].

1922 წელს საქართველოში არსებობდა 209 საკლუბო დაწესებულება (მათ შორის 170 სოფლად), ხოლო 1925 წელს მათი რაოდენობა გაიზარდა და შეადგინა 593 (მათ შორის 538 სოფლად)[119].

გარკვეულ ინტერესს იწვევს, თუ როგორ იყო ორგანიზებული და როგორ გამოიყურებოდა ტიპიური კომუნისტური მუშათა კლუბი 20-იანი წლების დასაწყისში. ჩვენ მივაკვლიეთ ასეთი კლუბის მეტად შთამბეჭდავ აღწერას : „ხატების ნაცვლად აქ არის ბელადების სურათები და შ. რუსთაველის ბიუსტი. წიგნსაცავი -1500 წიგნით. პოლიტწრეები, ქართული, რუსული და სომხური დრამატული წრეები, რომლებიც კვირაში ორჯერ მართავენ წარმოდგენას“ [120].

მკვლევარი ა. დაუშვილი საკლუბო მუშაობას განიხილავს ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ჭრილში. იგი მიუთითებს, რომ „კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის დროს ადგილობრივი ხელმძღვანელობა ნებით თუ უნებლიეთ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს მუშათა ინტერნაციონალური აღზრდის სამსახურში აყენებდა“[121].

ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს არაქართულ რეგიონებსა და მრავალეროვან შრომით კოლექტივებში საკლუბო მუშაობის განვითარების საკითხებს და შენიშნავს: „ტენდენცია, დაეკმაყოფილებინათ ყველა ეროვნების მუშათა კულტურული მოთხოვნილებანი, მისასალმებელია, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ვითარებაში, უკვე იმჟამად, ილახებოდა მკვიდრი ეროვნების მუშათა ინტერესები“[122].

საქართველოში, საკვლევ პერიოდში, საკლუბო მუშაობის თავისებურებებზე საინტერესო მოსაზრებას ავითარებს ვ. თვალაძე. შეიძლება დაეთანხმო მას, რომ 1921-1925 წლებში

„საკლუბო მუშაობის ბუმია საქართველოში"[123]. მკვლევარი დიდ ყურადღებას უთმობს კლუბების ორგანიზაციულ მუშაობას, მათ წესდებებს, საქველმოქმედო საქმიანობას, მათ როლს წერა-კითხვის გავრცელების საქმეში. მაგრამ, ჩვენი აზრით, გასაბჭოების პირველ ხანებში შრომით კოლექტივებში მძიმე სოციალური პირობები, მუშებში გავრცელებული ლოთობა, სათანადო კადრების ნაკლებობა იწვევდა ინერტულობას საკლუბო მუშაობაში და მუდამ საჭიროებდა პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის მუდმივ ჩარევას, ადმინისტრირებას, რომ შექმნილიყო კულტურული აღმშენებლობით მუშათა ტოტალური დაინტერესების ილუზია. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თანდათან, შედარებით მოგვიანებით, შრომითი კოლექტივების სამეურნეო განმტკიცების კვალდაკვალ, კლუბებმა, მართლაც, დაიკავეს მნიშვნელოვანი ადგილი საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში.

20-იანი წლების დასაწყისში კლუბი მუშათა თვითმოქმედების ძირითადი ცენტრი გახდა. სწორედ მის კედლებში მიმდინარეობდა ის კომუნისტური ექსპერიმენტი რაც გულისხმობდა მშრომელი ადამიანის მიერ ფიზიკური და გონებრივი შრომის ჰარმონიზაციას. კლუბებთან არსებობდნენ მხატვრული კითხვის, ფერწერის, ხალხური შემოქმედების წრეები, სახალხო თეატრები - სადაც თანამშრომლობდნენ შრომით კოლექტივში დასაქმებული სხვადასხვა ეროვნების ადამიანები[124].

კომუნისტური რეჟიმის ყურადღების ცენტრში სოფლის მშრომელთა კულტურულ-საგანმანათლებლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ამოცანაც იდგა. როგორც სამართლიანად არის შენიშნული ქართულ ისტორიოგრაფიაში, ქოხსამკითხველოებმა დაიკავა მნიშვნელოვანი ადგილი 20-იანი წლების დასაწყისის ქართული სოფლის ცხოვრებაში. 1921-1922 წლებში საქართველოში ფუნქციონირებდა 132 ქოხ-სამკითხველო, 1924-1925 წლებში მათი რაოდენობა 413-მდე გაიზარდა[125]. ეს კი იმას მიუთითებს, რომ ქოხ-სამკითხველოებს გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებდა კომუნისტური ხელისუფლება და მათ განსაკუთრებული კულტურული მისია შეეძლოთ შეესრულებინათ, თუ კი ამისათვის შესაფერისი პირო-

ბები ექნებოდათ. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ამ შიშველი სტატისტიკის უკან იყო პრობლემებით გაჯერებული რეალური ცხოვრება. არ იყო სათანადო ფინანსირება და კვალიფიციური კადრები, რის გამოც ქოხ-სამკითხველოები ხშირ შემთხვევაში ფორმალურად არსებობდნენ. აღნიშნული პრობლემა ასახულია ზ. ბაბუნაშვილის[126], ფ. ყურაშვილის[127], ვ. თვალაძის[128] მონოგრაფიებში, ხოლო პრობლემის რეგიონალური თავისებურებები წარმოდგენილია ა. ადლეიბას[129], ე. ჯიოევას[130], დ. დიასამიძის[131] გამოკვლევებში. მაგრამ ჩვენი საერთო დაკვირვებით აღნიშნული პრობლემის კვლევის დროს ავტორებისათვის დამახასიათებელია ფაქტოლოგიური მასალით ზედმეტი გატაცება, პარტიის ცენტრალური ორგანოების დოკუმენტებით, დადგენილებებითა და ცირკულარებით აპელირება, რაც ყოველთვის როდი ქმნის რეალურ სურათს.

მასობრივი საგანმანათლებლო მუშაობიდან მკვლევარი ვ. თვალაძე გამოყოფს, აგრეთვე, პარტიული განათლების სისტემას, მისი ფორმირებისა და მუშაობის ინტენსიფიკაციას 1921-1925 წლებში. შესწავლილია პარტიული სკოლების, საწრეო მუშაობის, პოლიტიკური მიტინგების როლი კომუნისტური იდეოლოგიის განმტკიცების საქმეში[132]. მაგრამ არაფერია ნათქვამი, რომ სწორედ ასეთი ღონისძიებების დროს ხდებოდა რიგითი ადამიანების მონამვლა „კომუნისტური ბანგით".

პარტიულ-პროპაგანდისტული მუშაობის ინტერნაციონალურ შინაარსზე ყურადღებას ამახვილებს მკვლევარი ა. დაუშვილიც, რაც განსაკუთრებით შესამჩნევი იყო 1921-1925 წლებში[133].

მაგრამ საკვლევ პრობლემებს შორის ყველაზე საინტერესოდ გვესახება პრესის თავისუფლების საკითხი საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში. პრესას საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეში გამორჩეული ყურადღება ენიჭებოდა. „თავისუფალი" პრესით მანიპულაცია კომუნისტურ რეჟიმს შესაძლებლობას აძლევდა ხანგძლივად უზრუნველეყო მილიონობით ადამიანის შეგნებაზე ტოტალური ზეგავლენის შენარჩუნება იმ პირობებში, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა რადიო, ტელევიზია. აი, როგორ აფასებდა ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია პრესის მნიშვნელობას საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში: „სოციალისტური რევოლუ-

ციის გამარჯვებამ საქართველოში დასაბამი მისცა ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას მშრომელი ხალხის ფართო ფენებისათვის, ამიერიდან ბეჭდვითი სიტყვა მშრომელი მასების სამსახურში ჩადგა, მისი კლასობრივი ინტერესების, მისი სულისკვეთებისა და მისწრაფებების გამომხატველი გახდა"[134].

აკად. ი. კაჭარავა აღნიშნავდა: „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის აუცილებელი იყო პრესისა და მთელი საგამომცემლო საქმის დაქვემდებარება პროლეტარიატის დიქტატურის ინტერესებისადმი. შეუძლებელი გახდებოდა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება, თუ ბურჟუაზია შეინარჩუნებდა ისეთ ბასრ იარაღს, როგორიცაა პრესა, ამიტომაც საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა გამარჯვების პირველი დღეებიდანვე აკრძალა მენშევიკური და სხვა აშკარად კონტრრევოლუციური, ბურჟუაზიული გაზეთები. დროდადრო გამოდიოდნენ მხოლოდ ისეთი გაზეთები, რომლებიც ასე თუ ისე ლოიალურად იყვნენ განწყობილნი საბჭოთა ხელისუფლებისადმი. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ერთხანს შეინარჩუნეს თავისი გაზეთები მემარცხენე სოციალ-ფედერალისტებმა, ესერებმა და სხვებმა, საბჭოთა ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილმა ჯგუფებმა"[135].

ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მოიძებნა არგუმენტიც, რომელიც ცალსახად ამართლებდა ცენზურას და პარტიულ კონტროლს პრესისა და საგამომცემლო საქმიანობისადმი, რადგან, როგორც ამტკიცებდნენ: „ადგილი ჰქონდა გაუმართავი, იდეურად სუსტი ნაწარმოებების გამოცემას, რომლებიც არასწორად აშუქებდნენ საბჭოთა სინამდვილეს"[136].

საკითხისადმი ასეთი დამოკიდებულება არც არის გასაკვირი, რადგან პრესისადმი ცენზურისა და მკაცრი კონტროლის დაწესების ინიციატორი თავად კომუნისტური პარტიის ბელადი - ვ. ი. ლენინი იყო, რომელიც ხაზგასმით მიუთითებდა, რომ სიტყვისა და პრესის თავისუფლების მოთხოვნა რუსეთის საბჭოთა ფედერაციაში, რომელიც მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიული მტრებით იყო შემორტყმული, ეს იყო ბურჟუაზიის უერთგულესი მსახურების, მენშევიკებისა და ესერე-

ბის თავისუფლება - „ჩვენ თვითმკვლელობას არ ვაპირებთ, ამიტომაც ამას არ გავაკეთებთ“, - წერდა ლენინი[137].

ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ქართული პრესის ფუნქციონირების შესახებ საყურადღებო მოსაზრებები აქვს მკლევარ გ. კვაჭანტირაძეს, თუმცა კონიუნქტურული მოსაზრებებიდან გამომდინარე, ის ძირითადად წარმოაჩენს საქართველოს კომპარტიის მოღვაწეობას რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა პრესის თეორიული და იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისა და განვითარების საქმეში. მის ნაშრომში შესწავლილია ჟურნალისტებისა და საგაზეთო საქმის სპეციალური კადრების მომზადების, საგამომცემლო საქმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, მუშსოფკორების მოძრაობის, მათი იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საკითხები. მას მოჰყავს 1921-1925 წლების მეტად საინტერესო სტატისტიკა: საქართველოში ამ წლებში გამოდიოდა 23 ქართული, 11 რუსული, 4 სომხური, 4 თურქული, 1 ბერძნული, 1 გერმანული გაზეთი. 1925 წელს გამოვიდა 19 ქართული, 1 ოსური, 1 აფხაზური, 7 რუსული, 2 სომხური, 1 ბერძნული გაზეთი. ასევე გაიზარდა ჟურნალების გამოცემა[138].

მკვლევარი დ. მაისურაძე აღნიშნავს, რომ „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების უკვე პირველივე წელს გამოსვლა დაიწყო 44 გაზეთმა, რომელთა ტირაჟი უდრიდა 109 000 ეგზემპლარს და 47 ჟურნალმა და ჟურნალის ტიპის გამოცემამ, რომელთა საერთო ტირაჟი განისაზღვრებოდა 241, 2 ათასი ეგზემპლარით“[139].

საქართველოს პრესის რეგიონალური თავისებურებები ასახულია ა. კუპრავას[140], დ. დიასამიძის[141] ჩვენ მიერ ზემოთ უკვე არაერთხელ განხილულ ნაშრომებში. ისინი რაიმე ორიგინალურ მოსაზრებას არ აყენებენ და ძირითადად სტატისტიკური მონაცემების გადმოცემით კმაყოფილდებიან.

ზემოთ განხილულ ნაშრომებს ერთი საერთო ნაკლი აქვთ - ისინი ჩქმალავენ პრესის უფლებების იმ სერიოზულ დარღვევებს, რაც იმ წლებში აშკარად იყო დამახასიათებელი საბჭოთა სახელმწიფოსათვის.

ოპერატიულობა - თავისუფალი პრესის მთავარი თვისებაა. ჩვენი დაკვირვებით 1921-1925 წლებში ქართული პრესა ამ თვისებას საერთოდ მოკლებული იყო. მაგალითად, 1921

ნლის ზაფხულში ი. ბ. სტალინი ჩამოვიდა თბილისში. მისი ჩამოსვლის შესახებ არც კომუნისტურ, არც ლოიალურ გაზეთებში არავითარი ინფორმაცია არ იყო. ი. ბ. სტალინი მონაწილეობდა საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროსა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების მუშაობაში. ამ პერიოდში შეიცვალა საქართველოს რევკომის ხელმძღვანელი (ფ. მახარაძის ნაცვლად აირჩიეს ბ. მდივანი). ეს ინფორმაცია კომუნისტურმა პრესამ დიდი დაგვიანებით დაბეჭდა. 6 ივლისს ი. ბ. სტალინი გამოვიდა პარტიული აქტივის კრებაზე მოხსენებით „კომუნიზმის მორიგი ამოცანები საქართველოსა და ამიერკავკასიაში", რაც საქართვლოს ოფიციოზმა - გაზ. „პრავდა გრუზიამ" მხოლოდ 13 ივლისს დაბეჭდა. ასევე, გაზ. „სოციალ-ფედერალისტმა" მხოლოდ 12 ივლისს დაბეჭდა საქართველოს რევკომის გადაწყვეტილება ფ. მახარაძის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. ქართული საბჭოთა პრესისათვის იმ ხანებში დამახასიათებელი იყო ტენდენციურობა, ფაქტების არაობიექტური გაშუქება, მოვლენების კლასობრივი პოზიციებიდან შეფასება, რაც ხშირად არაობიექტურ სურათს ქმნიდა. ეს ყველაფერი კი დღეს დამატებით საკვლევაძიებო მუშაობას საჭიროებს.

ქართული ისტორიოგრაფიის თვალსანიერიდან საერთოდ გამორჩენილი იყო იმ არაკომუნისტური გაზეთების ფუნქციონირების საკითხი, რომლებიც ჯერ კიდევ გამოდიოდა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, სოციალ-ფედერალისტების, ესერების პერიოდული პრესა საკმაოდ კრიტიკულად იხილავდა მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, ხშირად საკუთარ ორიგინალურ ინტერპრეტაციასაც იძლეოდა. ბოლო ხანს ქართულ ისტორიოგრაფიაში შესწავლილია სოციალ-ფედერალისტური გაზეთის პოზიცია აჭარის ავტონომიის შექმნასთან დაკავშირებით, როცა აჭარის მეჯლისმა წრეგადასული პრეტენზიები წამოუყენა საქართველოს ცენტრალურ მთავრობას[142].

ქართული ემიგრანტული პრესის ადგილისა და როლის წარმოჩენის ცდაა გ. შარაძის გამოკვლევა „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია", რომელშიც შესწავლილია დასავლეთ ევროპის ქალაქებში გამომავალ ქართულ ემიგრანტულ გაზეთებში: „ახალი საქართველო", „თეთრი გი-

ორგი", ჟურნალებში: „თავისუფალი საქართველო", „სამშობლოსათვის" და სხვებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები[143].

ჩვენს მიერ შესწავლილი მასალა ბადებს კითხვას - ასახავდა თუ არა ობიექტურად 20-იანი წლების დასაწყისის ქართული პრესა თანადროულ სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული განვითარების ყველა ასპექტს? განხილული ისტორიოგრაფიული შრომების ანალიზი ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემის საშუალებას არ გვაძლევს: პრობლემებისადმი კლასობრივი მიდგომის პრინციპები არ აძლევდნენ მასმედიას საშუალებას ობიექტურად გაეშუქებინათ არსებული რეალობა.

ჩვენს მიერ შესწავლილი მასალა იმაზეც მიუთითებს, რომ XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში საქართველოს პრესის მუშაკებს, მუშსოფკორებს შორის აქტიურად მოქმედებდა ე. წ. „კომუნისტური პირდაპირობის" სინდრომი - ისინი არ ერიდებოდნენ სააშკარაოზე გამოეტანათ საწარმოში არსებული ნაკლოვანებები, საწარმოს ხელმძღვანელის პირადი ცხოვრების სიმახინჯეები, გაეკრიტიკებინათ ისინი, მაგრამ „თვითცენზურა" უკვე იმ პერიოდში ძალუმად იმკვიდრებდა პოზიციებს.

დასკვნები

1. ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ: რომ I მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის საისტორიო მსოფლმხედველობა მეტად რთული და მრავალწახნაგოვანია. ამ დროს ერთმანეთს დაუპირისპირდა დემოკრატიული და ტოტალიტარული იდეოლოგია. ამ უკანასკნელის დანიშნულება იყო სახელმწიფო ბელადის პოლიტიკური როლის განსაკუთრებული წამოწევა. ეს რელიეფურად გამოიკვეთა საბჭოთა კავშირში, სადაც ისტორიამ მიიღო პოლიტიკური ბრძოლის ფორმა. ლენინის პოლიტიკური მემკვიდრეები მას იყენებენ საკუთარი მიზნების მისაღწევად. ამ უკომპრომისო პაექრობაში გამარჯვებულმა სტალინის ფრაქციამ ისტორიკოსებს შესთავაზა ლენინის მიერ ვულგარიზებული და სტალინის მიერ გააზრებული მარქსიზმი, რაც ისტორიკოსისაგან მოითხოვდა ფაქტებისა და მოვლენებისადმი კლასობრივი, პარტიული ნიშნით მიდგომას.

ამ მეთოდოლოგიური მოთხოვნების გათვალისწინებით დაიწერა ლ. ბერიას გახმაურებული ნაშრომი – „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხებისათვის", რომელიც საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის კონცეფტუალური გააზრების საფუძველი გახდა და დიდხანს შემორჩა ლ. ბერიას დამხობის შემდეგაც კი. მიუხედავად ამისა, ქართველმა ისტორიკოსებმა: მ. ტოროშელიძემ, ე. ბედიამ, ი. კაჭარავამ, ა. კიკვაძემ, ნ. მახარაძემ და სხვებმა უდიდესი როლი შეასრულეს XIX-XX სს. საქართველოს ისტორიის კონკრეტული საკითხების შესწავლის საქმეში.

მარქსისტული იდეოლოგიის გვერდით საისტორიო მეცნიერებაში არსებობდნენ დასავლური საისტორიო სკოლები, თვალსაჩინო მეცნიერები, რომელთაც დაძლიეს მარქსისტული მოძღვრების ცალმხრივობა და ისტორიული კვლევა-ძიებანი ახალ სიმაღლეებზე აიყვანეს (ო. შპენგლერი, ე. როთეკერი, მ. ბლოკი, ჟ. ლეფევრი და სხვ.). მიგვაჩნია, რომ თანამედროვე პირობებში რომელიმე კონკრეტული მსოფლმხედველობითი სკოლის მიღწევების გათავისება კი არ უნდა მოხდეს, არამედ ისტორიული მეცნიერების დარგში ყველა პროგრესული მიმდინარეობის გამოცდილების შემოქმედებითი ათვისე-

ბა, მათ შორის აუტენტური მარქსიზმის მოძღვრებისაც. ჩვენი აზრით, ეს უნდა მოხდეს ქართული საისტორიო მეცნიერების კორიფეების – ივ. ჯავახიშვილის, ნ. ბერძენიშვილის, ს. ჯანაშიას და სხვათა მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობის საფუძველზე.

აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ ისტორიული ფაქტის, მოვლენის თუ პიროვნების როლის შეფასებისას ისტორიკოსი თავისუფალი უნდა იყოს პარტიულობის, პირადი სიმპათიისა თუ ანტიპათიისაგან, ისტორიული დოკუმენტებისა და წყაროების გამოყენებით, კრიტიკული მიდგომით, შეჯერებითა და ღრმა ანალიზით უნდა დაადგინოს არსებული ობიექტური რეალობა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაშორდება სინამდვილეს და გადაიქცევა ისტორიული პროცესის უბრალო მოსამართლე-შემფასებლად. ამასთან, დღეს ისტორიკოსმა აუცილებლად უნდა აითვისოს ყველა პროგრესული მსოფლმხედველობითი მიმართულების მიღწევები და მათი სინთეზის საფუძველზე შეძლოს ჭეშმარიტების დადგენა. მხოლოდ ამ გზით ეზიარებიან მისი დებულებები საისტორიო საზოგადოების მხრიდან აღიარებას.

2. კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფია, მიუხედავად მნიშვნელოვანი მიღწევისა, ზოგ შემთხვევაში გულგრილად ეპყრობოდა წყაროების ობიექტურ ინტერპრეტაციას და ადგილი ჰქონდა არაადეკვატურ გამოყენებას და აშკარად გაყალბებასაც კი. საბჭოთა სისტემის კრახის შემდეგ ახალი საარქივო და მემუარული მასალის საფუძველზე თვისებრივად უკეთესი პირობები შეიქმნა სამეცნიერო კვლევა-ძიების განსახორციელებლად.

3. ამრიგად, აშკარაა, რომ ქართულმა ისტორიოგრაფიამ სრულიად მოიცვა 1921-1925 წწ. პოლიტიკური ცხოვრების ყველა მხარე, მაგრამ მსოფლმხედველობითმა ტეხილმა, რაც დაკავშირებული იყო XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში კომუნისტური სახელმწიფოს ნგრევასთან, რადიკალურად გამიჯნა ქართველი ისტორიკოსები იმ პოლიტიკური მოვლენების შეფასებისას, რასაც ადგილი ჰქონდა საკვლევ პერიოდში. ზოგიერთმა ავტორმა რადიკალურად შეიცვალა დამოკიდებულება იმ ისტორიული ფაქტების მიმართ, რომელთა შესახებ ადრე სპეციალურ მონოგრაფიებს წერდნენ. უამრავი

ახალი წყاროთმცოდნეობითი მასალა არა მარტო ქმნის ჩინებულ საფუძველს ახალი სამეცნიერო კვლევითი მუშაობისათვის, არამედ შეიცავს გარკვეულ საფრთხესაც ნაჩქარევი, სუბიექტური დასკვნებისათვის. მიგვაჩნია, რომ თანამედროვე პირობებში საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მიმდინარე მოვლენების ობიექტური და კომპლექსური შესწავლა მომავლის საქმეა.

4. ქართულმა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ „ნაციონალ-უკლონიზმის" პრობლემა ცალსახად უარყოფითად შეაფასა. მათი ძირითადი მოსაზრებები ეფუძნებოდა ვ. ი. ლენინის, ი. ბ. სტალინის, ს. ორჯონიკიძის შეხედულებებს, პარტიის ცენტრალური ორგანოების დადგენილებებსა და გადაწყვეტილებებს, ისინი ახალი არგუმენტების საფუძველზე ცდილობდნენ ამ მოსაზრებების განმტკიცებას და მათ პროპაგანდას, იყო მცდელობა სტალინისა და ორჯონიკიძის ზოგიერთი ქმედების კრიტიკული გააზრებისაც, თუმცა მხოლოდ ლენინის შეხედულებების უდავო ჭეშმარიტების აღიარების საფუძველზე.

საბჭოთა სისტემის დამხობის შემდეგ უახლესი პერიოდის ქართველი ისტორიკოსების უმრავლესობა რადიკალურად გაემიჯნა „ნაციონალ-უკლონიზმის" შეფასების ტრადიციულ გაგებას და სცადეს მათი რეაბილიტაცია. „ნაციონალ-უკლონისტები" გახდნენ „კომუნისტი პატრიოტები", თუმცა ამასთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრებებიც, რომ ეს იყო ბრძოლა ძალაუფლებისათვის პარტიის ლიდერებს შორის, ვ. ი. ლენინის პოლიტიკური მემკვიდრის უფლების მოსაპოვებლად.

2004 წლის მოსკოვის სამეცნიერო ექსპედიციის შედეგებმა და რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში მიკვლეულმა დოკუმენტებმა დაგვარწმუნა, რომ აღნიშნული სამეცნიერო პრობლემის სრულყოფილი ობიექტური შესწავლა მოითხოვს დამატებით საკვლევაძიებო სამუშაოს ჩატარებას.

5. ქართულ ისტორიოგრაფიაში ეროვნული და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების პრობლემები თავიდანვე ინტენსიურად მუშავდებოდა, თუმცა კომუნისტური იდეოლოგიური მარწუხები საქართველოს ისტორიკოსებს აიძულებდა

ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ მოწყობასთან და ავტონომიური ერთეულების შექმნასთან დაკავშირებით მმართველი პარტიის მიერ განხორციელებული ყველა ღონისძიება ცალსახად დადებითად შეეფასებინათ. ეს, გარკვეულწილად, ხელს უწყობდა ადგილობრივი ფარული სეპარატიზმის იდეოლოგებს წამოეყენებინათ და „დაესაბუთებინათ" უკანონო პრეტენზიები საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისათვის და გაემართლებინათ სახელმწიფოებრივი მოწყობის ის პრაქტიკა, რაც ხშირ შემთხვევაში ქართველი ერის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ იყო მიმართული. აფხაზი და ოსი ისტორიკოსების ნაშრომებში ეს ტენდენცია განსაკუთრებით გაძლიერდა მ. გორბაჩოვის მმართველობის ხანაში.

თანამედროვე ქართულმა ისტორიოგრაფიამ დაძლია საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი ცალმხრივობა ეროვნული და საეროვნებათაშორისო ურთიერთობების პრობლემების კვლევის საქმეში და ობიექტური ანალიზის საფუძველზე ჩამოაყალიბა საქართველოში 1921-1925 წლებში მიმდინარე საეროვნებათაშორისო ურთიერთობის თავისებურებანი, რითიც შეიქმნა გარკვეული იდეოლოგიური საფუძველი ეთნოკონფლიქტების სამართლიანი მოწესრიგებისათვის.

6. ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია უარყოფითად აფასებდა 1924 წლის აგვისტოს აჯანყებას. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო ამ ისტორიული ფაქტის ახლებური გააზრება - მას უწოდებდნენ „სახალხო აჯანყებას". ბოლო სამეცნიერო გამოკვლევები, განსაკუთრებით მოსკოვის სამეცნიერო ექსპედიციის შედეგები, სადაც ჩვენს მიერ აღმოჩენილია ლ. ტროცკის წერილი „ქართველი მენშევიკების შესახებ", გვაძლევს საფუძველს გამოვთქვათ ჰიპოთეზა, რომ აჯანყება პროვოცირებული იყო საბჭოთა ხელისუფლების სპეციალური ორგანოების მიერ.

მოსაზრება, რომ 1924 წლის აჯანყება იყო ინსპირირებული „ჩეკასა" და სახელმწიფო ორგანოების მიერ, რასაც წამოეგნენ პატრიოტული ძალები, არ უნდა იქნეს გამოყენებული ღირსეული მამულიშვილების დისკრედიტაციისათვის. პირიქით, ეს ჰიპოთეზა კიდევ უფრ მეტად სცხებს ჩირქს საბჭოთა სახელმწფოს მესვეურებს, რომლებიც შეშინებულნი სა-

ქართველოში მიმდინარე ლეგალური თუ არალეგალური მოძრაობის მასშტაბებით, ყველანაირი ვერაგული ხერხების გამოყენებით წავიდნენ მდარე პროვოკაციაზე და უდიდესი დარტყმა მიაყენეს საქართველოს განმათავისუფლებელ მოძრაობას, რის შედეგადაც იგი დიდი ხნის მანძილზე წელში ვეღარ გაიმართა.

7. რუსი და დასავლეთევროპელი ისტორიკოსების ბოლო წლების გამოკვლევებზე დაყრდნობით შეიძლება ჰიპოთეზური მოსაზრება გამოითქვას, რომ 1925 წელს საქართველოშიც არ დასრულებულა აღდგენითი პერიოდი, რომ „ნეპმა" ვერ უზრუნველყო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დინამიური განვითარება. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ახალ ეკონომიკურ პოლიტიკასთან დაკავშირეულ ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ მომავალში ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად.

8. საქართველოს ინტელიგენციის მოღვაწეობა, მისი განვითარების თავისებურებანი 1921-1925 წლებში ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ ცალსახად არასრულყოფილად არის შესწავლილი: არ ვიცით მისი საერთო რაოდენობა, ეროვნული შემადგენლობა და მისი დინამიკა, სოციალური ინფრასტრუქტურა, პროფესიული ჯგუფების შემადგენლობა. საბჭოთა ისტორიკოსები ძირითადად კმაყოფილდებოდნენ ინტელიგენციის შესახებ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შეხედულებების პროპაგანდით, ამუშავებდნენ ჩვენი აზრით, მეორეხარისხოვან პრობლემებს (როგორიცაა, მაგალითად, კადრების დაწინაურება როგორც ინტელიგენციის ზრდის საშუალება და ა. შ.), რაც ოდნავადაც ვერ ქმნიდა შთაბეჭდილებას 1921-1925 წლებში საქართველოს ინტელიგენციის შიგნით მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და საყოფაცხოვრებო პრობლემების შესახებ.

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ჯერჯერობით ძირითად ყურადღებას უთმობს ქართული ემიგრანტული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლების ბიოგრაფიების დეტალურ შესწავლას, რაც, რა თქმა უნდა, მომავალში განმაზოგადებელი სამეცნიერო ნაშრომების შექმნის საფუძველია.

ვერ გავიზიარებთ ბოლო ხანს ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ შეხედულებას, რომ ე. წ. „წაწოლის პოლიტიკა“ წარმოადგენდა კომპრომისს ტოტალიტარულ რეჟიმთან, რადგან საბჭოთა რეჟიმის მხრიდან არავითარი დათმობას ინტელიგენციის ამ ნაწილის მიმართ ადგილი არ ჰქონდა, ხოლო მათი მხრიდან „კომპრომისი“ (კომფორმიზმი) სახეზე იყო.

მიგვაჩნია, რომ რაც არ უნდა დრამატული იყოს ინტელიგენციის ცალკეული წარმომიადგენლის დაპირისპირების ამპლიტუდა ტოტალიტარულ რეჟიმთან, იგი ვერ გვაძლევს სრუყოფილ ცოდნას იმ წლებში სოციალური კლასისა თუ ფენის იმანენტურ ბუნებაზე, მის იმპულსებზე, მიდრეკილებებზე, ქცევასა თუ სხვა მახასიათებლებზე. ასევე მიგვაჩნია, რომ ინტელიგენციას, როგორც სოციალურ ფენას, რომელსაც არ აერთიანებს შრომის შედეგი (რაც ყოველთვის განსხვავებულია ყველა პროფესიული ჯგუფისათვის), აერთიანებს აზროვნების ლოგიკური პროცესი, დემოკრატიული თუ კონსერვატიული ფასეულობებისადმი ერთგულება, ეროვნული და საზოგადოებრივი შეხედულებები, სოციალური მდგომარეობა და ა. შ. ამიტომაც ისტორიკოსის უპირველესი მოვალეობაა უკვე კვლევის მეორე ეტაპზე ცალკეული პიროვნების ბიოგრაფიიდან გადავიდეს სოციალური ფენის ბიოგრაფიის კრიტიკულ გააზრებაზე.

9. შეიძლება დავასკვნათ, რომ 1921-1925 წლების საქართველოში მუშათა კლასის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები ქართულმა ისტორიოგრაფიამ ძირითადად ობიექტურად შეისწავლა, რა თქმა უნდა, ეს ნაშრომები იდეოლოგიზირებული იყო, მაგრამ მათში მოყვანილი მდიდარი ფაქტოლოგიური მასალა, მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტა (მუშათა კონსოლიდაციის საკითხები, მუშათა ბიუჯეტი, მუშათა კლასის აღწარმოების პრობლემა, მუშათა კლასის შევსების წყაროები და ა. შ.) ობიექტურად წარმოაჩენს არსებულ ვითარებას, ხოლო ავტორების დასკვნები მისაღები და დღესაც გასათვალისწინებელია.

ღია პრობლემად რჩება წარმოების მართვაში მუშათა მონაწილეობის ფორმების ადგილისა და როლის, მათი კონკრეტული შინაარსისა და მუშაობის შედეგების თანამედროვე

მეთოდოლოგიური პრინციპების საფუძველზე გააზრება. დღევანდელ საქართველოში წარმოების მართვის ასეთ ფორმებს ფაბრიკა-ქარხნებში უკვე ველარ შევხვდებით, მაშინ, როცა მათი ანალოგიები საზღვარგარეთის კაპიტალისტურ ქვეყნებში (იაპონია, გერმანია და სხვ.) ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცნენ. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ ეს პრობლემა შეიძლება დამატებითი კვლევის ობიექტი გახდეს.

10. ქართულმა საბჭოთა ისტორიოგრაფია დიდ ყურადღებას უთმობდა კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკის განხორციელების თავისებურებებს, მისი რეალიზაციის ყველა მიმართულებასა და მხარეს. სადავო პრობლემა მეორეხარისხოვან, არააქტუალურ პრობლემატიკას ეხებოდა. ქართველი ისტორიკოს-აგრარიკოსები არ გამოდიოდნენ საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ დაკანონებული ჩარჩოებიდან და არ უპირისპირდებოდნენ მას. მაგრამ არ შეიძლება არ დავინახოთ მათ მიერ ჩატარებული საკვლევაძიებო მუშაობის დიდი მნიშვნელობა - უდიდესი ფაქტოლოგიური მასალა, რომლის საფუძველზე გაკეთდა ბევრი მისაღები და არგუმენტირებული დასკვნა, დაიწერა მრავალი საყურადღებო ნაშრომი. რა თქმა უნდა, ამ ნაშრომებს ეპოქის დაღი აზის და მთლიანად დეტერმინებულია კომუნისტური იდეოლოგიის ფუძემდებლური პრინციპებით.

ასევე მიგვაჩნია, რომ თანამედროვე პირობებში ზოგიერთი ისტორიკოსის ნაჩქარევ მცდელობას - რადიკალურად გაემიჯნოს საქართველოს გლეხობის 1921-1925 წლების ისტორიის, კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკის შესახებ ადრეგამოთქმულ საკუთარ შეხედულებებს, მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება გამართლება, როდესაც ახალი მეთოდოლოგიური საფუძვლების გათვალისწინებით მოხდება საკვლევი პრობლემის კომპლექსური მეცნიერული შესწავლა.

11. საბჭოთა ისტორიოგრაფიამ ცალსახად უარყოფითად შეაფასა საქართველოს ანტისაბჭოთა ახალგაზრდული ორგანიზაციების მოღვაწეობა, ვერ შეისწავლა საქართველოს მრავალეროვანი ახალგაზრდობის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პრობლემები, ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ვერ მოიცვა კვლევის მასშტაბით საქართველოს ახალგაზრდობის ისტორიული განვითარების პრობლემა მთლიანო-

ბაში და ის დაიყვანა საქართველოს ლენინური კომუნისტური კავშირის ისტორიის განვითარების თავისებურებების ინტერ-პრეტაციაზე. თანამედროვე ისტორიოგრაფიის ამოცანაა, კრიტიკულად გაიაზროს გენდერული პრობლემების კვლევის მიღწევები და ახალ მეთოდოლოგიურ საფუძვლებზე გამოიკ-ვლიოს 1921-1925 წლების საქართველოში ქალთა ემანსი-პაციის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების წინააღ-მდეგობრივი პროცესი.

12. დაპირისპირება რელიგიურ საზოგადოებასა და სა-ერთო ხელისუფლებას შორის ისტორიულად დასტურდება ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეებში. მარქსიზმმა ეს დაპირისპი-რება უმაღლეს საფეხურზე აიყვანა და ათეიზმი-უღმრთოობა, რელიგიის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლა პროლეტარუ-ლი სახელმწიფოს ძირითად იდეოლოგიურ პრინციპად დასახა. 1921-1925 წწ. ისტორიის პერიოდით მეცნიერული დაინტერე-სება ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში შეიმჩნევა XX ს. 50-იანი წლებიდან, თუმცა ეკლესიასთან დაკავშირებით სპე-ციალური მონოგრაფიული გამოკვლევა არ არსებობდა. ცალ-კეული ავტორები მხოლოდ გაკვრით და ისიც უაღრესად უარ-ყოფითად აფასებდნენ ეკლესიის როლს საქართველოს ისტო-რიის 1921-1925 წწ. პერიოდში და კომუნისტური პარტიის ყვე-ლა ბარბაროსული ღონისძიება მიმართული ეკლესიის დისკ-რედიტაციისაკენ შეფასებული იყო დადებითად.

XX ს-ის 70-80-იან წლებში ხდება გარკვეული ლიბერა-ლიზაცია, თუმცა ძირითადი იდეოლოგიური კლიშეები კვლავ მარქსიზმის კლასიკოსების ძირითადად ათეისტურ დებულე-ბებს ემყარებოდნენ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში რელიგიური ორგანიზაცი-ების ისტორიის პრობლემების მეცნიერული შესწავლის საქმე-ში რადიკალური გარდატეხა ხდება 90-იანი წლების შემდეგ, როდესაც დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს შექმნის პროცესი დაიწყო. ახალი საარქივო წყაროები, ფაქტებისადმი ობიექტური მიდგომა, წარსულში დაუმსახურებულად შერის-ხული მამულიშვილების რეაბილიტაცია, მებრძოლი ათეიზმის ბარბაროსული ფორმების რეალიზაციის შედეგების დაუფა-რავად სააშკარაოზე გამოტანა, რელიგიური ორგანიზაციების ისტორიული განვითარების ობიექტური სურათის წარმოჩენ-

ამ პერიოდის დამახასიათებელი თვისებაა. მაგრამ მიგვაჩნია, რომ კომუნისტურ საზოგადოებაში სახელმწიფოსა და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის არსებულ შეურიგებელ ურთიერთობებზე ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი ნათქვამი. ამ დაპირისპირებას, ჩვენი აზრით, სხვა საფუძველიც ჰქონდა. კომპრომისი ყოვლად შეუძლებელი იყო, რადგან ახალი ხელისუფლება ანგრევდა ყოველივე ძველს, როგორც მატერიალურს, ისე სულიერს, ის ქმნიდა „ახალ რელიგიურ პრინციპებს", რომლებიც მთლიანად ეფუძნებოდა ადამიანის სულიერი ფორმირების ახალ, კომუნისტურ ფორმებს. კომუნისტური იდეოლოგია ეს იყო, ფაქტობრივად, ახალი რელიგია, ხოლო პარტიის ბელადები აღიქმებოდნენ ახალი ეპოქის „წმინდანებად". კომუნისტურმა იდეოლოგიამ უსირცხვილოდ მოჰპარა ქრისტიანობას „რწმენის სიმბოლოებიც", „დუალიზმიც", „სამებაც". ჯერ კიდევ ა. ბერდიაევი მიუთითებდა, რომ „მარქსმა შექმნა ნამდვილი მითი პროლეტარიატზე. პროლეტარიატის მისია რწმენის სიმბოლოა. მარქსიზმი არ არის მარტო მეცნიერება და პოლიტიკა, არამედ რწმენა და რელიგიაცაა, სწორედ ამაშია მისი ძლიერება". ჩვენი აზრით, ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინების გარეშე ვერ გავიგებთ 1921-1925 წწ. მიმდინარე რელიგიური პოლიტიკის ჭეშმარიტ არსს, ამიტომაც ამ მიმართულებით კვლევის შემდგომი გაგრძელება აუცილებლად გვესახება.

13. ჯერ კიდევ სოციალ-უტოპისტების ნააზრევში პიროვნების ჰარმონიზაციის პრობლემა მათი მოძღვრების აქსიომად გამოცხადდა, რაც ორგანულად გაითავისა მარქსიზმმა და ის მებრძოლი პროლეტარიატის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დასახა.

ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია კულტურულოგიის პრობლემებს მეტნაკლები ინტენსივობით სწავლობდა და წარმოაჩენდა, ამის მიზეზი იყო ის, რომ ისტორიოგრაფიის პროპაგანდისტული ფუნქცია აუცილებლად გულისხმობდა საბჭოთა მიღწევების აფიშირებას, რაც კულტურის დარგში, მართლაც, თვალსაჩინო იყო.

„პროლეტკულტი" ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ყურადღების ცენტრში XX საუკუნის 50-იანი წლებიდან მოექცა, თუმცა ყოველმხრივი შესწავლა ამ პრობლემის არ მომ-

ხდარა. აშკარაა, რომ ამ მიმართულებით სპეციალური კვლევის განვითარება დროის გადაუდებელი მოთხოვნაა, რადგან როგორც დასტურდება, „პროლეტკულტს" მნიშვნელოვანი განტოტება ჰქონდა როგორც ქართულ ლიტერატურაში, ისე ხელოვნების სხვადასხვა დარგში.

შეიძლება კონსტატაცია გაუკეთდეს იმ ფაქტსაც, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ძირითადად სწორად აისახა 1921-1925 წლების საქართველოს ისტორიის კულტურულოგიური პრობლემები, როდესაც არ იყო ბოლომდე ჩამოყალიბებული და გააზრებული არც ხელისუფლების მხრიდან და არც კულტურის მოღვაწეთა მხრიდან კულტურის მართვის პრინციპები, არც კონკრეტული დარგის განვითარების კრიტერიუმები და საზოგადოებაში მიმდინარე კატაკლიზმების გამო თვითონ ხელოვნებისა და კულტურის მუშაკებსაც ყოველთვის არ ჰქონდათ გააზრებული თავისი შემოქმედებითი მისწრაფებები.

აშკარაა, რომ ახალი, ტოტალური რეჟიმი შედარებით უმტკივნეულოდ მიიღო ქართულმა თეატრმა და კინომ, ქართული ლიტერატურისაგან განსხვავებით, რადგან ამ დარგების განვითარების სპეციფიკიდან გამომდინარე, ისინი იძულებულნი იყვნენ ეთანამშრომლათ იმ რეჟიმთან, რომელიც ძვირადღირებულ დოტაციებს განახორციელებდა.

მიგვაჩნია, რომ 1921-1925 წლების საქართველოს ისტორიის კულტუროლოგიის პრობლემები უნდა შევისწავლოთ თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით, რათა გაიხსნას ხელოვნის შემოქმედების შედეგის (წიგნის, სპექტაკლის ფილმის, სურათის და სხვ.) აშკარა თუ ფარული კონცეფცია ისტორიკოსმა უნდა დაადგინოს, თუ სად არის გულწრფელი ხელოვანი, სად და რა პირობებში მიდის კომპრომისზე პოლიტიკურ ვითარებასთან, პოლიტიკურ ზეწოლასთან, პოლიტიკურ ტერორთან. სწორედ მან უნდა დაადგინოს ხელოვნის რეაქციისა და რეაგირების ფორმები „გარეშე გამღიზიანებელზე", მისი შემოქმედების ჭეშმარიტი შედეგები საზოგადოებისათვის, პოლიტიკური მრწამსი (ჭეშმარიტი თუ კომფორმისტული), მისი გამოვლენის ფორმები და პირობები. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს სრულყოფილი ჩვენი წარმოდ-

გენები საკვლევ პერიოდში მიმდინარე კულტურული ცხოვრების აქტუალური პრობლემების შესახებ.

14. ქართულმა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ დიდი ყურადღება დაუთმო საბჭოთა განათლების სისტემის ფორმირების პროცესის მეცნიერულ შესწავლას. გამოქვეყნებულ შრომებსა თუ მონოგრაფიებში ხაზგასმულია ბოლშევიკური ხელისუფლების ზრუნვა მშრომელთა ფართო მასების განათლების დონის ამაღლებაზე, მაგრამ აშკარად შეიმჩნევა ამ პრობლემის განხილვის დროს ქართველი ისტორიკოსების, როგორც რეალისტური პოზიცია, ისე ვითარების ზედმეტად იდეალიზაცია. შესწავლილია განათლების სისტემაში ნოვაციების დანერგვის მიზანშეწონილობის საკითხი, რეგიონალური თავისებურებების პრობლემა, მაგრამ მიგვაჩნია, რომ კვლევის მიღმა დარჩა მნიშვნელოვანი პრობლემა - თუ როგორ ხდებოდა ძველი განათლების სისტემის ადაპტაცია ახალ საბჭოთა სინამდვილეში? როგორ იცვლებოდა სასწავლო პროგრამები? რა შინაარსს სდებდნენ მასში? როგორი იყო მოსწავლეთა და მათი მშობლების დამოკიდებულება ახალი კომუნისტური სკოლის მიმართ? როგორ აისახა „ნეპის" პოლიტიკა და აქედან გამომდინარე სოციალური უთანასწორობის ელემენტები საბჭოთა სკოლის ფუნქციონირებაზე და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. ახალი მეთოდოლოგიური პრინციპების გათვალისწინებით შესასწავლია უმაღლესი სასწავლებლების მდგომარეობა 1921-25 წწ. პერიოდში. განსაკუთრებით კი სტუდენტი ახალგაზრდობის ძალისხმევა საქართველოს ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენის საქმეში. აღნიშნული პრობლემები ისტორიკოსების მიერ გაყალბებული იყო. ჩვენ არ უარვყოფთ, რომ კომუნისტური სახელმწიფო, გარკვეულწილად, ზრუნავდა ქართული მეცნიერების განვითარებაზე, მაგრამ საკვლევ პერიოდში ეს ძირითადად მოხდა იმ ინტელექტუალური პოტენციალის საფუძველზე, რაც ქართველ მეცნიერებს უკვე მოპოვებული ჰქონდათ წინა წლებში.

15. ქართულმა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ თავიდანვე დიდი ყურადღება მიაქცია საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში საქართველოში კულტურულ-საგანმანათლებლო სისტემის ფორმირებისა და მისი კომუნისტური პარტიის სამსა-

ხურში ჩაყენებისათვის განეული მუშაობის შეფასებას, რომლის გარეშეც წარმოუდგენელი იყო კომუნისტური იდეოლოგიისათვის ერთგული „ახალი ადამიანის" ჩამოყალიბება. ქართულმა ისტორიოგრაფიამ განსაკუთრებით გამოყო კლუბის, როგორც კულტურის ცენტრის მნიშვნელობა და როლი. სწორედ აქ ხორციელდებოდა კომუნისტური იდეოლოგიის ის ძირითადი პრინციპები, რომელიც მშრომელი ადამიანის გონებრივი და ფიზიკური შრომის ჰარმონიზაციას ითვალისწინებდა - თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ პროცესის შეფასებისას ქართული ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი იყო ფაქტოლოგიური მხარით ზედმეტად გატაცება და პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ოფიციალური დოკუმენტებით, დადგენილებებით, ცირკულარებით აპელირება.

ვერ დავეთანხმებით ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ შეხედულებებს საკვლევ პერიოდში პრესის ადგილისა და როლის შეფასებისას: მისთვის აშკარად დამახასიათებელი იყო არაოპერატიულობა, ტენდენციურობა, ფაქტებისა და მოვლენების არაადეკვატური გაშუქება და მიგვაჩნია, რომ 1921-1925 წლების საქართველოს მასმედიის (როგორც კომუნისტურის, ისე არაკომუნისტურის) ადგილისა და როლის შესწავლა დროის გადაუდებელი ამოცანაა.

Коба Ценгуашвили

Историография истории Грузии 1921-1925 гг.

Резюме

1921-1925 гг. являются особенно важными и значимыми в истории Грузии. Происходящие в мире грандиозные политические процессы и перемены коренным образом отражались на судьбе грузинского народа. 1921 году в Грузии насильственно была установлена советская власть, формировались новые структуры власти, имели место и репрессии против патриотических сил Грузии, но вместе с тем, была и вера в «новое, светлое будущее», надежда значительного экономического и культурного развития, достижения социального прогресса. Эти кардинальные, но во многом противоречивые исторические процессы достаточно полно были отражены в трудах грузинских историков советского периода. Поскольку историческая наука, особенно новая и новейшая история создавались под пристальным вниманием партийных структур, то эти монографии и исследования не всегда объективно отражали действительность. 90-годы XX столетия снова стали переломными в истории Грузии – крах коммунистической диктатуры, формирование новых, независимых государств, вызвали глубокие изменения и в сознании грузинских историков, в большинстве случаев они отмежевались от тех догматических принципов советской исторической науки, которые они сами же пропагандировали и обобщали. В силу этого, на современном этапе развития науки задачей грузинской историографии является всестороннее изучение богатого и содержательного исторического наследия, обобщение научных достижений грузинских историков этого периода, особенно тех, которые работали над историей 20-ых годов XX столетия, однако, непременно, надо отметить их заслуги, указать их ошибки и упущения, показать, по возможности, перспективу будущего развития.

Цель работы: 1. Показать формирование и становление той советской исторической школы в Грузии, которая внесла весомый вклад в деле изучения истории Грузии 1921-1925 г.г., 2. Вы-

явить уровень изученности исследуемого исторического периода, а также отметить заслуги, упущения и некоторые неточности грузинских историков, 3. Показать культивируемую практику работы над историческими источниками советологами Грузии, критически осмыслить их методы, показать неточности и упущения, 4. Показать, что развитие грузинской исторической науки, в том числе и советского периода, не статично, оно «движется», эволюционирует. Особенно необходимо подчеркнуть тенденцию ее развития и показать импульсы такого развития., 5. Изучить исследуемую проблему комплексно: показать масштабы, общий уровень и итоги изучения политических, социально-экономических и культурологических проблем истории Грузии 1921-1925 г. г. Надо отметить заслуги всех без исключения грузинских историков в этом важном деле, и вместе с тем, обязательно надо подчеркнуть важность тех радикальных идеологических изменении, которые произошли 90-е годы XX века и имели огромное значение и для современных историков Грузии, 6. Осмыслить по новому историю Грузии 1921-1925 г. г. Подчеркнуть основные итоги их работы, показать дискуссионные проблемы., 7. На современном этапе исторического развития изучения истории Грузии 1921-1925 г. г. имеет и другое предназначение – оно является важнейшим звеном идеологической борьбы против идеологов сепаратизма и агрессии.

В работе методологической основой формирования современного исторического сознания является аутентичный марксизм в комплексе достижении ведущих представителей европейских исторических школ (О. Шпенглера, М. Блока, М. Вебера и др.) и грузинской исторической мысли (И. Джавахишвили, Э. Такаишвили, С. Джанашия, Н. Бердзенишвили и др.). В первые в книге комплексно и, по возможности, достоверно отражена степень изученности грузинскими историками трех основных общественных явлений: политики, социально-экономической жизни и культурологического развития общества. Указывается, что тезис, господствующий многие годы – «История Грузии 1921-1925 г. г. наиболее лучше изученный период» - не соответствует действительности. Потому что, как выяснилось, некоторые вопросы - особенности социального развития интеллигенции Грузии,

взаимоотношения церкви и советского государства, молодежная проблема и др. не были изучены. На конкретных примерах показано некорректное и тенденциозное обращение к историческим источникам, об их умалчивании историков-советологов Грузии. В труде показаны и те радикальные изменения, которые произошли в мире в 90-е годы XX столетия, и как они отразились на научные исследования грузинских историков, работавших над историей Грузии 1921-1925 г. г. Впервые в монографии использованы те, до селе неизвестные исторические источники, которые были обнаружены членами научной экспедиции, работавшими в московском центральном архиве социально-политической истории России (июль. 2004 г.) – это письмо Л. Троцкого «О грузинских меньшевиках», письма к Троцкому бывшего депутата учредительного собрания Грузии, политарестанта А. Чиаберашвили, стенографический отчет дискуссии И. Сталина, Л. Троцкого и Б. Мдивани во время национальной секции XXII съезда РКП (б) и др.

Уже в 30-х годах XX века Коммунистическая партия предложила советским историком методологию- марксизм, вулгаризированный Лениным и интерпретированный Сталиным, требующий от историков классовый подход к историческим фактам и явлениям. На этой идеологической основе зародилась и грузинская историческая школа советологов, которая и внесла весомый вклад в деле изучения истории 1921-1925 годов. Но в этот период, вместе с весомыми достижениями, нельзя не заметить и тенденциозные интерпретации архивных данных, потасовку фактов, некорректное отношение к документальным источникам. После краха коммунистической идеологии, методологической базой современных исследований, по нашему мнению должен стать аутентичный марксизм, вкупе с достижениями исторических школ Запада (О. Шпенглера, М. Вебера, М. Блока и др.) и с творческим овладением всего ценного, созданного грузинской исторической мыслью (И. Джавахишвили, С. Джанашия, Н. Бердзенишвили и др.)

Грузинская историография в целом охватила все стороны политической жизни Грузии 1921-1925 г. г, но идеологический перелом 90-х годов XX в., который был вызван падением совет-

ского режима, изменил оценки и отношения грузинских историков к тем явлениям, которые имели место в исследуемый период. Некоторые авторы отмежевались от своих убеждений и итогов многолетних поисков.

Грузинская советская историография «Национал-уклонизм» и лидеров этого движения оценила резко отрицательно. После краха советской политической системы их стали реабилитировать называя их «коммунистами-патриотами». Работая в Центральном государственном архиве социально-политической истории России, мы пришли к заключению, что изучение этого вопроса необходимо продолжать.

В грузинской советской историографии национальный вопрос и межнациональные отношения изучались интенсивно и политика КП Грузии в ней оценивалась положительно. Это способствовало эскалации идеологии сепаратизма в трудах историков Абхазии и цхинвальского региона. Современная грузинская историография избавилась от односторонней интерпретации национальной политики советского режима и на основе объективного анализа противоречивых явлений 1921-1925 г. г. сумела сформировать особенности межнациональных взаимоотношений – этим была создана мощная идеологическая опора для решения этно-политических конфликтов на справедливой основе.

Грузинская советская историография негативно оценивала восстание августа 1924 г. В 90-е годы XX в. начали по новому осмысливать этот исторический факт – называя «Народным восстанием». Последние изыскания, в особенности итоги научной экспедиции в Москву, обнаруженное нами письмо Л. Троцкого «О грузинских меншевиках», даст нам основание для гипотезы – восстание было спровоцировано спецорганами советской власти.

Грузинская историография проблемы НЭПа изучала по схемам, созданным в идеологических и научных центрах Москвы. Последние годы в специальной литературе российские и западноевропейские историки аргументировано утверждают, что НЭП с самого начала «был кастрирован» и что к 1925 году исчерпал себя полностью. Эти утверждения наводят на мысль, что особенность развития НЭПа в Грузии требует неотлагательного изучения.

На основе розыскных работ подтверждается, что вопросы социально-экономичечского развития интеллигенции Грузии в советской историографии изучены не основательно. Современная грузинская историография в основном уделяет внимание изучению деятельности эмигрировавших на Запад представителям грузинской интеллигенции. Не можем разделить точку зрения, что т. н. «политика угождения» («цацолис политика») представляла собой компромисс с тоталитарным режимом, потому что со стороны советского режима никакого компромисса к интеллигенции этой группы не наблюдаем, а «компромисс», в действительности конформизм – был явным.

Можно утверждать, что история рабочего класса Грузии в исследуемый период, вопросы его социально-экономического развития в грузинской историографии достаточно объективно осмысленны.

Грузинская советская историография уделяла огромное внимание изучению аграрной политики КП Грузии и в основном оценивала ее положительно. Под дискуссию попадали второстепенные, не принципиальные вопросы. Но несмотря на это, нам кажется, что в последние годы скороспелые изменения некоторыми грузинскими историками итогов и соображений своих многолетних исследований без тщательной и длительной работы – нецелесообразно.

Грузинская советская историография негативно оценивала деятельность молодежных, не коммунистических организаций «молодых марксистов», «молодих социал-федералистов», не смогла в целом охватить этот социальный слой грузинского общества и довольствовалась изучением истории ЛКСМ Грузии, что в те годы не представлял многонациональный социальный слой молодежи. Можно констатировать и то, что в будущем надо будет специально и по новому изучать и вопросы эмансипации женщин в Грузии.

Понятно, что негативная оценка деятельности религиозных конфесий в Грузии с 1921 по 1925 г. была свойственна историографии, жесткие действия советского атеистического государства считали целесообразным. Радикальное переосмысление в деле изучения взаимоотношений конфессий и советского режима на-

чалось с 90-х годов XX в. Современная грузинская историография старается объективно показать деятельность конфесий в исследуемый период.

Нельзя не заметить внимания к вопросам культурного строительства. «Пролеткульт» - был новацией пролетарской революции, однако это интересное явление еще не достаточно изучен на примере Грузии. Можно констатировать, что грузинское кино, в отличии от грузинской литературы и театра с самого начало встало в ряды сподвижников советской власти, что можно объяснить интересами развития самой отрасли – без значительных государственных субсидий грузинская кинематография не смогла существовать. Эта связь была такой значительной, что гибель одного повлекло незамедлительную «гибель» другого.

Грузинская историография достаточно и полно изучила процесс формирования новой образовательной системы: ликвидация без грамотности, новации в системе просвещения, но явно и то, что почти не говорилось о том, как адаптировалась новая система образования в советскую действительность. как изменили школьные программы и т. д. Думаем, что по новому надо изучить положение высших учебных заведении в те тревожные 1921-1925 г. г., показать роль студентов, вузов в антисоветских движениях.

Большое внимание уделялось вопросам формирования культ-просвет-работы в первые советские годы, всесторонне изучена деятельность: клубов, библиотек и т. д. Но не разделяем ту высокую оценку по поводу работы грузинской прессы, потому что, как видно из достоверных источников, в эти годы советская пресса уже была тенденциозна, неадекватно освящала факты и явления, страдала неоперативностю.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

შესავალი

1. ი. კაჭარავა, ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები, თბ., 1962, გვ. 414.
2. იქვე, გვ. 424-425.
3. ი. კაჭარავა, ისტორიოგრაფიული ეტიუდები, თბ., 1977; Грузинская советская историография, Тб., 1963.
4. მ. ნათმელაძე, სკკპ XXY ყრილობა და საქართველოს მუშათა კლასის ისტორიოგრაფია. კრებული „საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხები", თბ., 1977, გვ. 162.
5. მ. ნათმელაძე, მრეწველობის ისტორიის შესწავლისათვის საბჭოთა საქართველოში (ახალი ნაშრომების გამო), კრებული „საბჭოთა საქართველოს ისტორიის საკითხები", თბ., 1967, გვ. 259.
6. ფ. ლომაშვილი, საქართველოს სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნების ისტორიოგრაფია, თბ., 1976, გვ. 121-126.
7. ს. ჩხარტიშვილი, საბჭოთა საქართველოს შრომითი კოლექტივების ისტორიოგრაფია, თბ., 1983.
8. ნ. ბენდელიანი, ისტორიოგრაფია საქართველოში 1921-1924 წლებში არსებული ვითარების შესახებ და სინამდვილე. ქუთაისი, 1993.
8. ა. სონღულაშვილი, საქართველოს „საბჭოთა პერიოდის" ისტორიის პრობლემები, საისტორიო ალმანახი „კლიო", №9, თბ., 2000, გვ. 117.

თავი I
ისტორიოგრაფიის მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის საკითხები

1. ი. ბ. სტალინი, ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ, „ლენინიზმის საკითხები", თბ., 1952, გვ. 450.
2. იქვე.
3. იქვე, გვ. 458.

4. ალ. დაუშვილი, ბრძოლა ისტორიისთვის – პოლიტიკური ბრძოლის ფორმა XX ს. 30-იანი წწ. საქართველოში, საისტორიო ალმანახი, „კლიო"№16, თბ., 2002, გვ. 106.
5. გაზ. „პრავდა", 1917 წ. 16 მარტი.
6. Л. Д. Троцкий, К истории русской революций, М., 1990, с. 255.
7. ფ. მახარაძე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიისათვის, თბ., 1927.
8. Л. Д. Троцкий, Сталин, т. I, М., 1990, с. 54-55.
9. ალ. დაუშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 118.
10. კ. მარქსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 269.
11. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ტ. V, გვ. 429.
12. დიალექტიკური მატერიალიზმი, თბ., 1970, გვ. 30.
13. იქვე, გვ. 32.
14. А. М. Сахаров, Методология истории и историография, М., 1981, с. 38.
15. ე. კოდუა, ისტორიის საზრისის საკითხისათვის, თბ., 1976, გვ. 108.
16. О. Шпенглер, Закат Европы, М., Петроград, 1923, с. 30.
17. ე. კოდუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 112.
18. იქვე.
19. მ. ვებერი, პოლიტიკა როგორც მოწოდება და ხელობა, თბ., 1994, გვ. 14.
20. А. Буллок, Гитлер и Сталин, т. II, М., 1994, с. 435-539.
21. ე. კოდუა, ისტორიის საზრისის საკითხისათვის, თბ., 1976, გვ. 194.
22. მ. კალანდაძე, კოპერნიკისეული გადატრიალება ისტორიკოსის პროფესიაში, საისტორიო ალმანახი „კლიო"№14, თბ., 2002, გვ. 6.
23. იქვე.
24. М. Блок, Апология истории, М., 1973, с. 18.
25. ალ. დაუშვილი, ლენინის უკანასკნელი ინტრიგა, თბ., 1998, გვ. 3.
26. М. Блок, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.
27. П. Лисовина, Категория "Исторический факт" в Марксистской и Буржуазной методологии, Кишинев, 1981, с. 10.
28. ლ. ბერია, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის, თბ., 1935.

29. Л. Д. Троцкий, Сталин, т. II, М., 1990.
30. კ. შელია, საქართველოს კომუნისტების ბრძოლა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და ხალხთა მეგობრობის ლენინური პოლიტიკის გატარებისათვის (1921-1925), სოხუმი, 1957.
31. ი. კაჭარავა, საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, თბ., 1958.
32. С. Хачмандарян, Ленин и становление Закавказской федерации, Ереван, 1969.
32. Такер Р., Сталин путь к власти, М., 1990.
33. გ. ჟვანია, ეგრეთწოდებულ ნაციონალ-უკლონიზმზე, თბ., 1990.
34. ალ. დაუშვილი, დასახ. ნაშრომი, 1998.
35. მ. სამსონაძე, საქართველო 1921-1991 წწ., თბ., 2001.
36. А. Ракитов, Историческое познание, М., 1982, с. 96.
37. იქვე, გვ. 107-108.
38. გ. ყორანაშვილი, პროფესია – ისტორიკოსი, თბ., 1986, გვ. 56.
40. ი. კაჭარავა, ისტორიოგრაფიული ეტიუდები, თბ., 1977, გვ. 22.
41. ვ. გურული, საქართველოს კომპარტიის მოღვაწეობა ისტორიულ-პარტიული მეცნიერების ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის 1921-1941 წწ., თბ., 1988, გვ. 4.
42. ი. კაჭარავა, ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები, თბ., 1962, გვ. 190.
43. ვ. გურული, დასახ. ნაშრომი, გვ. 79.
44. იქვე, გვ. 76.
45. ი. კაჭარავა, ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები, გვ. 190.
46. იქვე, გვ. 197.
47. საქართველოს უახლესი ისტორიის კვლევის ორგანიზაცია, შედეგები და ამოცანები, თბ., 1979, გვ. 12.
48. იქვე, გვ. 11.
49. იქვე, გვ. 56.
50. ა. დაუშვილი, თბილისი 1937, თბ., 1997, გვ. 18-19.
51. ო. ჯანელიძე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002, გვ. 406-407.

52. კაკტინის კომისიის შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ა. დაუშვილმა, რისთვისაც მას მადლობას ვუხდით.
53. გაზ „კომუნისტი", 1990 წ. 7 ოქტომბერი.

თავი II
საბჭოთა ტოტალიტარული სახელმწიფოს ფორმირების საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში

1. ვ. ი. ლენინი, სახელმწიფო და რევოლუცია. თბ., 1937, გვ. 43.
2. კ. შელია, საქართველოს კომუნისტების ბრძოლა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და ხალხთა მეგობრობის ლენინური პოლიტიკის გატარებისათვის. თბ., 1957, გვ. 115.
3. კ. შელია, ვ. ი. ლენინი და საბჭოთა ხელისუფლების პირველი ღონისძიებები საქართველოში, თბ., 1980, გვ. 25; И. Д. Ахалая, Революционные комитеты Грузии в борьбе за упрочения советской власти (февраль 1921-март 1922), სადოქტორო დისერტაციის ხელნაწერი. თბ., 1966.
4. გ. ერემოვი, საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის განვითარების ეტაპები, თბ., 106, გვ. 158.
